114
1985

ISSN 0182—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

7
114

3

1985

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 61-ე | № 3 | მარტი, 1985 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა. პოეზია

გიორგი ლებანიძე — ამხანაგი გუბერნატორი. რომანი. გაგრძელება . . . 3
ლია ასათიანი — ლექსები . . . 65
ლალი ჯაფარაშვილი — ლექსები . . . 69
ზურაბ ლორთქიფანიძე — ორი ლექსი . . . 71
თენგიზ კაკუშაძე — ლექსები . . . 72
ანდრი იაკუბანი — სიმღერა ძველ კეთილ მიწასა და აგრეთვე ზღვაზე. ლატვიურიდან თარგმნა უშანგ სახლთუხუცესმა . . . 74
ბიძინა მინდაძე — ლექსები . . . 90
ენვერ ნიჟარაძე — ლექსები . . . 92
ფრანსუა ვიიონი — დიდი ანდერძი. დასასრული. ფრანგულიდან თარგმნა დავით წერედიანმა. . . . 96

### ნარკვევი

ნოდარ შამანაძე — ზარები ჩვენ გვიხმობენ . . . 115

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ოტია პაჭკორია — $E=mc^2$ . . . 142
მანანა გვეტაძე — ერთგულება . . . 156

### მეცნიერება

ნოდარ ნათაძე — „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მთლიანობისათვის . . . 163

### წიგნების მიმოხილვა

თეიმურაზ ჩიქოვანი — ძველი სამცხე-საათაბაგოს სამეურნეო ცხოვრება . . . 175

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ნ. ებრალიძე (პ/მგ. მდივანი), კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლებანიძე

17.9.41

# ამხანაგი გუბერნატორი

რომანი

## თავი 21

მგელი ცხვრის ტყავში. პოლიციელები სამძიმარს უცხადებენ. პაკეტი იატაკქვეშელებისაგან. საგანგებო დავალებით. ჩერნიშევსკის მეგობარი. თხოვნა შესრულებული იქნება. პატრული დაეხმარა.

ვორონცოვ-დაშკოვი, გაკვირვებული და თანაც აღშფოთებული, შირინკინის მოხსენებას ჩაჰკირკიტებდა, მასში ბევრი რამ ეუცნაურა, გაუგებარი მოეჩვენა. საქმე იმაში იყო, რომ გურიაში მომხდარი ბოლო ამბები, წითელრაზმელთა „თავზედური" გამოხდომები, ხასაკირალის უღელტეხილზე კაზაკთა ასეულზე თავდასხმა — ყველაფერი ეს მოხსენებაში არაჩვეულებრივად რბილად იყო შეფასებული. ჩვეულებრივად რეპრესიებისა და დამსჯელი ოპერაციებისადმი განწყობილი გენერალი ამ დოკუმენტის მიხედვით მშვიდობის მაძიებელ ანგელოზად გამოიყურებოდა;

„ძნელი სათქმელია, — წერდა ის, — რატომ მაინცადამაინც მაშინ იფეთქა ამბოხებამ, როცა მოსალოდნელი იყო ხალხის დამშვიდება". კიდევ მეტი, — ის ეჭვს გამოთქვამდა, — ამბოხებაა ეს თუ არა?! ურჩევდა, ვიდრე გადამწყვეტ ზომებს მიიღებდნენ და სამხედრო საშუალებებით ჩაახშობდნენ მოძრაობას „...ეცადათ დაემშვიდებინათ მოსახლეობა სხვა ღონისძიებებით, რომლებიც მანიფესტის არსს უფრო შეესატყვისებოდნენ".

შირინკინი თითქოს ჭკუასაც ასწავლიდა მეფისნაცვალს, კავკასიაში ცენტრალურ ხელისუფლებას ყოველთვის შეუძლია გურია სამხედრო ძალით დაიმორჩილოს, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რომ „საზოგადოების ახლანდელი გუნებაგანწყობილებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების პირობებში გურიაში სისხლიანი რეპრესიები გამოიწვევენ პროტესტს არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთში და ხელისუფალნი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან..."

— ვერ გამიგია, რა დაემართა სერგეი ბორისოვიჩს? — გაოცებული ეუ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი", №№ 11, 12 (1984), … № 1, 2

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნებოდა გრაფი მის წინ მდგარ თანაშემწეს სულთან კრიმ-გირეის, თან პოლიციის გამგის მოხსენებას ხელში ატრიალებდა. — ჩანს, მანიფესტმა მონუსხა... გაგონილა, ასეთი მშვიდობიანი სენტენციები ასეთ უკიდურესად დაძაბულ მომენტში!

გრაფმა თანაშემწეს შირინკინის მოხსენება გადააწოდა. მან სწრაფად ჩაათვალიერა და გაკვირვებულმა შეფს შეხედა.

— მართლაც და ვერ ვცნობ მის მალალკეთილშობილებას. გახსოვთ, მაშინ გენერალი როგორ წინაღუდგა ჩემს ქუთაისის გუბერნიაში გამგზავრებას მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზების გამოსარკვევად. დღეს კი თვითონვე ნახეთ, რას გვირჩევს? კრიმ-გირეიმ ხმამაღლა წაიკითხა:

„...საჭიროა ადგილზე გაიგზავნოს თქვენი უგანათლებულესობის სრული ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც კარგად გაერკვევა საქმის ვითარებაში, შეიტყობს მოსახლეობის მოთხოვნებსა და მათი უკმაყოფილების მიზეზებს".

შემდეგ შირინკინი წერდა, რომ იმავე პირს შეუძლია გურიის მოსახლეობას ურჩიოს სპეციალური დეპუტაცია აირჩიოს, რომელიც თბილისს ჩამოვა და საქმის ვითარებას მეფისნაცვალს პირადად მოსახლეობის სურვილებსა და ზრახვებს მოახსენებს, ეს ხელს შეუწყობს სათანადო ხელშეკრულების მიღებას, რათა შემუშავდეს ამ პროვინციის მართვის შესაბამისი ფორმა..."

— არა, ნამდვილად ამ დოკუმენტში ვერ მიცვნია სერგეი ბორისოვიჩი! ვერ გამიგია, რა დაემართა — ჩაფიქრებულმა წარმოთქვა ილარიონ ივანეს ძემ და თანაშემწეს შეკითხვის მზერა მიაპყრო.

მას კი ეტყობოდა რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდა. გრაფმა ეს შენიშნა და წააქეზა:

— ბრძანეთ... ბრძანეთ... ნუ გერიდებათ...

— ჩემის აზრით, ეს დოკუმენტი მთლიანად და თავისი არსით... — აქ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე წამით მეყოვნდა, თითქოს შესაფერისი სიტყვა ვერ მოუძებნიაო, მერე კი პირდაპირ მოჭრა: — მიმართულია თქვენი უგანათლებულესობის წინააღმდეგ!...

მეფისნაცვალს წარბები ზევით გაექცა, დაკვირვებით დააცქერდა თანაშემწეს. მას უცებ გაახსენდა თავისი ამასწინანდელი მკვახე საუბარი შირინკინთან, გურიაში მომხდარი ამბების თაობაზე მისი მოხსენებების დაუშვებელი ტონის გამო. მასში იგი არ იშურებდა მაგარ-მაგარ სიტყვებს, კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის ცენტრალური მმართველობის მისამართით, რომელიც თითქოს განზრახ უმოქმედობდა, და ამით ხელს უწყობდა ამბოხების (მაშინ მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს ამბოხება იყო!) განვითარებას და გაღრმავებას. უფრო მეტიც, თურმე ნუ იტყვით, „თავად იღებდა მონაწილეობას ამ უმძიმეს სახელმწიფო ბოროტმოქმედებაში".

გრაფმა მაშინ შირინკინს მიუთითა, რომ ეს დოკუმენტი პრაქტიკულად, პირდაპირ თუ არა, მინიშნებულად მის, მეფისნაცვლის წინააღმდეგაა მიმართული. გენერალმა მაშინ ეს კატეგორიულად უარყო:

— მე მხედველობაში მყავს — ამტკიცებდა იგი, — ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც დანაშაულებრივ უმოქმედობას იჩენენ. მათ თქვენმა უგანათლებულესობამ მხარის სამოქალაქო მმართველობა მიანდო, ახლა კი ისინი ცდილობენ პასუხისმგებლობა აიცილონ, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. ჩემმა სინდისმა და ფიცისადმი ერთგულებამ მიკარნახა ვამხილო ეს პირები თქვენი უგანათლებულესობის წინაშე და მივუთითო სახელდობრ ვისი წყალობით შეიქნა ამ მხარეში ასეთი მძიმე და საშიში მდგომარეობა.

„პირდაპირ საოცარია, კრიმ-გირეისათვის შირინკინთან ამ საუბრის შესახებ მე არაფერი მითქვამს, — გაიფიქრა გრაფმა,—მაგრამ როგორ მოხდა რომ ისიც იმავ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოკუმენტიც ჩემს წინააღმდეგაა მიმართული. და თანაშემწეს, რომელიც უხერხულად დადუმებულიყო, მიმართა:

— დაამთავრეთ!... დაამთავრეთ!... გეთაყვა!

— მაშინ, თქვენის ნებართვით, ხმამაღლა გამოვთქვამ ჩემს ფიქრებს, — გათამამდა კრიმ-გირეი: — უპირველესად ყოვლისა გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მოხსენებაში ვითომდა შემთხვევით შეტანილ, ერთი შეხედვით, უწყინარ ფრაზას: „...სამხედრო რეპრესიებისათვის უნდა მიგვემართა ამა წლის 17 ოქტომბრამდე...“ ამის ქვეტექსტი, ჩემის აზრით, დაახლოებით ასეთია: „თქვენმა უგანათლებულესობამ თავის დროზე არ დამიჯერა, ლიბერალიზმი გამოიჩინა, სამხედრო მდგომარეობა გააუქმა, ახალ სიტუაციაში კი ხელები დამიბანია, მე არაფერ შუაში ვარ“. რამდენიმე კვირის უკან, მე კარგად მახსოვს, სრულიად საპირისპიროს მოითხოვდა...

— სწორედ ამან გამაკვირვა, — დაეთანხმა გრაფი. — ის თხოულობდა დაუყოვნებლივ სისხლში ჩაეხშო ამბოხება. იმუქრებოდა კიდეც, თუ არ დამიჯერებთ, გადავდგებიო, „ვერ ვიქნებით პასიური მაყურებელი იმ მოვლენებისა, რომლებიც იმპერიის ძირითად კანონებს ეწინააღმდეგებიანო“. აი, ასე, არც მეტი, არც ნაკლები. ახლა კი ასეთი მალაყი?!

— ვერაფერს იტყვი, ისტორიის ფურცლებზე დემოკრატად სურს დამკვიდრდეს. ყოველ შემთხვევაში, ქმნის დოკუმენტს, ხომ ნახეთ, მმართველობის რა დემოკრატიული ფორმების მომხრე გახლდითო... და კიდევ ერთი: მას ფიზიკურად სძულს სტაროსელსკი,ამიტომაც მოხსენებაში ბრალს სდებს არა მეამბოხეებს, არამედ „ადგილობრივ ადმინისტრაციას“. პირველ რიგში, რასაკვირველია, თქმა უნდა, გუბერნატორს.

— ყველა ყველა, მაგრამ მან ხომ იცის რა ტაქტიკური მოსაზრებებით ვხელმძღვანელობდით, როცა სტაროსელსკი ერთგვარ რწმუნებებით აღვჭურვეთ.

— ის თვლის, რომ თქვენ ახლა აყოვნებთ სტაროსელსკის პოსტიდან გადაყენებას.

— ისე, კაცმა რომ თქვას, სერგეი ბორისოვიჩი ყველაფერში როდი სტყუის. — დაიწყო გრაფმა, — სახელმწიფო დეპარტამენტი გაოცებას გამოთქვამს ქუთაისის გუბერნიის მმართველობის მეთოდების თაობაზე. ახლახან უცხოელ ჟურნალისტთა დიდმა ჯგუფმა კვლავ ითხოვა ქუთაისში ჩასვლის ნებართვა, რათა, როგორც აცხადებენ, — სურთ ადგილზე გაეცნონ რუსული სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმებს, რომელიც რევოლუციური თემების თვითმმართველობას წარმოადგენს და აღიარებს მხოლოდ რევოლუციური კომიტეტების ხელისუფლებას.

— დღესდღეობით ჩვენთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, რომ სტაროსელსკი მართლაც გადასაყენებელია. მაგრამ ვინ შეცვლის მას ახლა, ამ ურთულეს სიტუაციაში? აი, საკითხი.

— ვფიქრობ, რომ ახლა ეს აქცია დამატებით სირთულეებს შეგვიქმნის.

— მოვიცადოთ ერთხანს, — კვერი დაუკრა თანაშემწემ.

ვიდრე მეფისნაცვალი და მისი თანაშემწე პოლიციის გამგის ამ უცნაურ მოხსენებას განიხილავდნენ, გენერალ ალიხანოვ-ავარსკისთან შეთანხმებით შირინკინი პოლიციისა და ჟანდარმერიის ჩინებს საიდუმლო მითითებას აძლევდა: მოეწყოთ შეტაკებების პროვოცირება, უკიდურესად დაეძაბათ მდგომარეობა, წაექეზებინათ და ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი შავრაზმელთა ჯგუფების მოქმედებებისათვის და, ამრიგად, საქმე სამხედრო მდგომარეობის ხელახალ გამოცხადებამდე მიეყვანათ და საბოლოოდ სისხლში ჩაეხშოთ რევოლუციური მოძრაობა.

* * *

ადგილობრივი ხელისუფალნი სერიოზულად შეაშფოთა ცნობამ ოდესაში

ეროვნული

რევოლუციური გამოსვლების დროს ბარიკადებზე მოკლული ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ლაბორანტის ალექსანდრე კლდიაშვილის ცხედრის ბათუმიდან ქუთაისში ჩამოსვენების შესახებ. მათთვის ცნობილი იყო, თუ რა პატივი მიაგო ხალხმა მას ოდესიდან ბათუმში გემით გადმოსვენებისას.

ითვალისწინებდნენ რა მოსალოდნელ მასობრივ გამოსვლებს, თანახმად თბილისიდან მიღებული ინსტრუქციებისა პოლიციისა და ჟანდარმერიის სამმართველოებში განიხილავდნენ რიგ ღონისძიებებს „წესრიგის დასაცავად“: ქუჩებში პატრულის გაძლიერებას, სადგურის მიმდებარე მოედნის კაზაკთა, პოლიციელთა და ჟანდარმთა ქვედანაყოფებით ალყის შემორტყმას, ბაქანის გაძლიერებულ დაცვას და სხვა...

როცა გუბერნატორთან გამართულ საგანგებო თათბირზე პოლიციის სამმართველოს უფროსმა კლემენტიევმა ამ ღონისძიებების შესახებ მოახსენა, სტაროსელსკიმ ყურადღებით მოისმინა რა ეს ყველაფერი, დინჯად დაიწყო:

— ამრიგად, გამოდის, რომ თქვენი გეგმის თანახმად ხალხის წინააღმდეგ გაშლილი საომარი მოქმედების შედეგად ერთ დაკრძალვას ასი სხვა მიემატება? ამგვარი მოუფიქრებელი გეგმა მხოლოდ ისეთ ადამიანებს შეიძლება მოუვიდეს თავში, ვინც არ იცის და არც სურს გაიგოს ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათი და ტრადიციები.

— ჩვენ მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებები შემოგთავაზეთ, — თავი იმართლა კლემენტიევმა.

— პირიქით. თქვენ უწესრიგობათა პროვოცირების ღონისძიებებს გვთავაზობთ. ნუთუ იმაზე უკეთესი არაფერი მოიფიქრეთ, რომ ხალხის საყვარელი შვილის დაკრძალვის დღეს, იმ ადამიანისა, რომელიც რეპრესიების მსხვერპლი გახდა, მოაწყოთ ძალმომრეობის გამომწვევი დემონსტრაცია? თქვენ მოვალე ხართ იცოდეთ, რომ ქართველ ხალხში არსებობს გარდაცვლილის კულტი, წმინდად და სათუთად რომ ინახავს მას. და არავის არ მისცემს უფლებას, მათ შორის ჩვენც, ტახტისა და იმპერიის ერთგულ მსახურებს, შეურაცხყოს და, მით უმეტეს, წაბილწოს გარდაცვლილის ხსოვნა. ქართველი, უმალ სიცოცხლეს გაწირავს, ვიდრე ამას დაუშვებს.

სტაროსელსკი დადუმდა და შეკრებილთ გადახედა. ზოგის სახეზე დასტური ამოიკითხა, ზოგისაზე კი — გაუგებრობა და გაკვირვება. მცირე პაუზის შემდეგ დაასკვნა:

— დაკრძალვაზე არც ერთი პოლიციელი, ჟანდარმი თუ სამხედრო პირი არ დავინახო.

მერე კლემენტიევს მიუბრუნდა და მიუთითა:

— პროცესიას მხოლოდ თქვენ გაჰყვებით.

15 ნოემბრის დილიდანვე ქალაქის ქუჩები ათასობით აღელვებული და აღშფოთებული ხალხით გაივსო, აქ იყვნენ მუშები და მდაბიონი, სხვადასხვა ერის წარმომადგენელნი, სოციალ-დემოკრატიული პარტიების დელეგაციები. ყველა ესენი სადგურისაკენ მიეშურებოდნენ. წესრიგს ორასი შეიარაღებული რაზმელი იცავდა. ყველამ მოედანზე მოიყარა თავი, მწუხრის მოლოდინი ჩუმი და ბევრის მთქმელი იყო.

ბაქანზე ნელა შემოვიდა წითელი დროშებითა და სამგლოვიარო შავი კრეპით მორთული ორთქლმავალი. ერთ-ერთ ვაგონში იდგა ყვავილებში და გვირგვინებში ჩაფლული კუბო კლდიაშვილის ნეშტით. შემადგენლობა გაჩერდა და ბათუმელ რაზმელთაგან შემდგარი საპატიო ყარაულის თანხლებით, რომელსაც ქუთაისელები შეუერთდნენ, კუბო გადმოასვენეს ვაგონიდან და სადგურის მიმდებარე მოედანზე გამოიტანეს. ქალაქის მოსწავლეთა გაერთიანებულმა გუნდმა სამგლოვიარო რევოლუციური სიმღერა დაიწყო:

„თქვენ საბედისწერო ბრძოლაში დაეცით,
და ხალხს შესწირეთ სიცოცხლე ლაშაზი...“

ეროვნული

გლოვითა და მრისხანებით იყო სავსე ამ სიმღერის გულშიჩამწვდომი სიტყვები. იგი მრავალათასიანმა პროცესიამ აიტაცა.

გვირგვინებითა და დროშებით, მღვდლის გარეშე, ხალხი, რომელთა შორის ხელისუფლების მხოლოდ ერთი წარმომადგენელი — კლიმენტიევი გახლდათ, არხანგელის ეკლესიისაკენ დაიძრა. გუბერნატორის სპეციალური ნებართვით მის გალავანში მიცვალებული უნდა დაეკრძალათ. აქ სასაფლაოსთან გრანდიოზული მიტინგი შედგა. ორატორები გმობდნენ და სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ მკვლელებს — მეფესა და მის დამქაშებს.

სტაროსელსკის განკარგულებით დალუპულის დედასთან სამძიმრის გამოსათქმელად გაიგზავნა დეპუტაცია საგანგებო დავალებათა მოხელეების მეფისოვის, ანანიევისა და პოლიცმეისტერ კლემენტიევის შემადგენლობით.

* * *

ნოემბერში მთელი რუსეთი საყოველთაო გაფიცვამ მოიცვა. და უკვე დეკემბრისათვის მან შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. შესაბამისად ამ მოვლენებს კავკასია და, კერძოდ, საქართველოც გამოეხმაურა. გაიფიცნენ რკინიგზელები, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები. რკინიგზის სახელოსნოებში, ადელხანოვის ტყავისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკებში აგიტატორები აცნობდნენ ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ რსდმპ კავკასიის თბილისის კომიტეტის პროკლამაციას, სადაც ნათქვამი იყო:

„...მოსკოვი — წყნარი, უძრავი, რომანოვების ერთგული ძველი სატახტო ქალაქი — მთლად რევოლუციურ ცეცხლშია გახვეული. ხარკოვი, კიევი, ეკატერინოსლავი და სხვა კულტურული და სამრეწველო ცენტრები, მთელი შუა და სამხრეთი რუსეთი, მთელი პოლონეთი და, ბოლოს, მთელი კავკასია შეუდგნენ და მრისხანედ შესცქერიან თვალებში თვითმპყრობელობას. რა იქნება? თრთოლვითა და გულისფანცქალით ელის მთელი რუსეთი პასუხს ამ კითხვაზე. პროლეტარიატი ბრძოლაში იწვევს წყეულ ორთავიან ურჩხულს“.

პროკლამაცია შეიარაღებულ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. „აი ის დიადი ამოცანა, რომელიც დგას ამჟამად რუსეთის პროლეტარიატის წინაშე და დაჟინებით მოითხოვს გადაჭრას!... თვითმპყრობელობა, რომელმაც ყველა ეს შემაძრწუნებელი საშინელება შექმნა, უნდა მოისპოს! და იგი მოისპობა კიდეც!“ პროკლამაცია ხაზგასმით აფრთხილებდა პროლეტარიატს, რომ თვითმპყრობელობა ხალხებს შორის მტრობასა და შუღლს თესავს, უსისიანებს ერთმანეთს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებსა და ეროვნებებს. „მან (თვითმპყრობელობამ. — გ. ლ.) თათრების საშუალებით დაარბია რუსეთის ერთ-ერთი უაღრესად რევოლუციური ცენტრი და კავკასიის ყველაზე უფრო რევოლუციური ცენტრი ბაქო და რევოლუციას ჩამოაშორა მთელი სომხური პროვინცია“. პროკლამაცია კავკასიის პროლეტარიატს ერთიანობისაკენ მოუწოდებდა. „აჯანყების ჟამი მოახლოებულია! საჭიროა სავსებით მომზადებული შევხვდეთ მას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ საყოველთაო, ყველგან და ერთდროულად მომხდარი შეიარაღებული აჯანყებით შევძლებთ დავამარცხოთ ჩვენი საზიზღარი მტერი — მეფის წყეული თვითმპყრობელობა, — და მის ნანგრევებზე ავღმართოთ ჩვენთვის აუცილებელი თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ამ მოწოდების საპასუხოდ კომიტეტის ხელმძღვანელობით და თაოსნობით, კავკასიაში ახალი ძალით გაიშალა მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამისათვის ყველა ზომას ხმარობდნენ, პირველ რიგში სამხედრო საჭურველს შოულობდნენ პროლეტარიატის შესაიარაღებლად.

* * *

თანაშემწე კაბინეტის შესასვლელში შეყოვნდა, დაუცადა, ვიდრე გუბერნატორი ტელეფონით საუბარს დაამთავრებდა, შემდეგ კი მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ, ვიღაც ქალბატონს სურს თქვენი ნახვა, ამბობს სახელად ზინაიდა მქვიაო, გუბერნატორი მიცნობსო.

— სთხოვეთ!

კაბინეტში ნაზი გოგონა შემოვიდა, რომელსაც თავზე სალტეებად დაჭყობილი ქერა ნაწნავები ამშვენებდა. შეერთებულ წარბებქვეშ თაფლისფერი თვალები კიაფობდნენ.

— გამარჯობათ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, — ერთგვარი დარცხვენით, სასიამოვნო ხმით მიესალმა ის სტაროსელსკის.

გუბერნატორი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამოართვა:

— გამარჯობათ. გთხოვთ დაბრძანდეთ. ეს სთქვა და თითქოს მოსულის არსებობა დაავიწყდაო დიდის ყურადღებით განაგრძო ბლოკნოტში რაღაცის წერა.

სტუმარი ჩამოჯდა და კაბინეტს სწრაფად მოავლო თვალი. „მართლაც რომ საოცრებაა, — გაიფიქრა მან, — იატაკქვეშელებისაგან პაკეტი ჩამოვიტანე ასეთი სერიოზული დავალებით და ვაბარებ ვის?... თვით ხელმწიფის გუბერნატორს!“

სტაროსელსკიმ კალმისტარი ვეებერთელა სამელნეზე დადო, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და მოსულს დაკვირვებით დააცქერდა. ზინაიდამ თავისთვის აღნიშნა მისი თვალების გასაოცრად ღრმა და ჭკვიანი გამოხედვა, მაგრამ ამასთანავე ზინაიდას ის კუშტი და მკაცრიც მოეჩვენა, რომელიც, ალბათ, მის საკმაოდ ოფიციალურ გარემოცვას მიეწერებოდა, დიდ კაბინეტს, ან იქნებ პირველ შთაბეჭდილებას. ასე თუ ისე ქალიშვილი დაიძაბა, შეცბა.

— გამარჯობათ, ზინოჩკა! — ალერსიანად, მამაშვილურად მიმართა სტაროსელსკიმ გოგონას და მანაც ერთბაშად თითქოს ყინული გალღვა, [illegible]-რი სითბო იგრძნო.

— როგორ იმგზავრე?

— გმადლობთ, კარგად. თუმცა ოდესიდან ბათუმამდე ზღვა ძლიერ ღელავდა და საკმაოდ მაგრად მოგვქანცა.

— იმედია, ანტონი კარგად გრძნობს თავს?

— ახლა არა უშავს, მაგრამ ადრე ცუდად იყო.

— რა ამბები ჩამომიტანე?

გოგონა შეცბა. სტაროსელსკი მიუხვდა. წამოდგა, ზურგი შეაქცია და სტელაჟებზე წიგნებს თვალიერება დაუწყო. ამასობაში ზინამ სწრაფად ამოიღო მკერდიდან ორად დაკეცილი პაკეტი.

— ინებეთ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ. მინდა რომ იცოდეთ, აქამდე დიდის ვაივაგლახით მოვაღწიე. ერთხელ ალყაშიც მოვექეცი, ძლივს დავაღწიე თავი. ოდესაში სამი დღით ნაცნობებს შევაფარე თავი, ფილერებს ვემალებოდი, ამიტომაც შემიგვიანდა პაკეტის ჩამოტანა.

— გასაგებია, — უპასუხა სტაროსელსკიმ და ზარის ღილაკს თითი დააჭირა. შემოვიდა თანაშემწე.

— ბეგლარს მიხმეთ.

მალე გამოჩნდა წითელბლუზიანი რაზმელი, გუბერნატორის პირადი დაცვის უფროსი.

— გისმენთ, ბატონო ვალოდია!

— გთხოვთ ეს ქალბატონი ჩემთან სახლში მიაცილოთ, უთხარით იქ გაუმასპინძლდნენ და მოასვენონ. შემდეგ ზინას მიუბრუნდა და უთხრა:

— დიდი მადლობა.

როგორც კი გოგონა და ბეგლარი კარს მიეფარნენ, ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ კვლავ ზარი დარეკა და ახლა სხვა რაზმელი გამოიძახა.

— ვლასი, აბა სასწრაფოდ გაფრინდი ფილიპესთან და უთხარი, ანტონისაგან ცნობები მოვიდა-თქო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

იმავე საღამოს საგუბერნატოროს ძახლობლად, კონსპირაციულ ბინაზე თავი მოიყარა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის თითქმის ყველა წევრმა. სტაროსელსკიმ ზინას მიერ ჩამოტანილი პაკეტი გადააწოდა ფილიპეს.

— როგორ გეკადრებათ, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, თქვენვე გახსენით.

პაკეტში რვეულიდან ამოხეულ ფურცელზე დაწერილი მოკლე ბარათი იყო: „დეიდა მართა შვეიცარიიდან გამოემგზავრა. ფოთში გემით ჩამოვა 16-18 ნოემბერს. გთხოვთ დახვდეთ. თქვენი ტოგო“.

— ვაშა!... ვაშა!... ხმადაბლა დაიძახეს შეკრებილებმა და ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ.

— ყოჩაღ, ბიჭებო!

— ახლა კი შეათბე ქაღალდი. აუცილებლად სიმპათიკური მელნით დაწვრილებით სხვა რამ ცნობები იქნება დაწერილი. — შენიშნა ფილიპემ — თორემ ამ ანტონის ჩამოსვლის შესახებ უბრალო დეპეშითაც შეიძლებოდა ეცნობებინა.

სანთელი მოიტანეს. ბარათი რამოდენიმეჯერ ნელ-ნელა ალზე გაატარეს და აი, გამოჩნდნენ სტრიქონები. „მოემზადეთ ტვირთის მისაღებად. ძოდის ყუთებით შვეიცარული წარმოების „ვეტერლინგის“ სისტემის ათი ათასი შაშხანა და ერთი მილიონი ვაზნა“.

— მთავარია ახლა, — დაიწყო ფილიპემ, როცა ამხანაგებმა სიხარულის გრძნობები დაიოკეს და დაწყნარდნენ, — საქმე ისე მოეწყოს, რომ იარაღის გადმოტვირთვისას დანაკარგი არ იყოს. თბილისში მეკავშირე უნდა გავაგზავნოთ და გემის ჩამოსვლის ამბავი ვაუწყოთ, მათგან იარაღის განაწილების სია უნდა მივიღოთ. სხვა აზრი ხომ არ არის?

— არა!

— ცხადია, ეს ოპერაცია კონსპირაციის უმკაცრესი დაცვით უნდა ჩატარდეს. ამ მუშაობაში ძირითადად ადგილობრივი ფოთელი ამხანაგები უნდა ჩავრთოთ, მაგრამ ჩვენი წარმომადგენელი უმეთაურებს.

— სწორია! — დაეთანხმნენ ერთხმად, — უნდა ვიჩქაროთ, დრო არა გვაქვს, სულ რაღაც რამოდენიმე დღე დაგვრჩენია. ფოთში წინასწარ ვინმე უნდა გავაგზავნოთ, შეატყობინოს მომავალი ოპერაციის შესახებ...

* * *

სტაროსელსკის ძმა იული კომიტეტის დავალებით ფოთში დღის მიწურულს ჩავიდა. ამ ქალაქისათვის ჩვეულებრივი ულიმღამო, ცრიატი დეკემბრის დღე იდგა. თუმცა თერმომეტრი ნულს არ ჩამოსცილებია, იული სიცივემ აიტანა. ვაგონიდან ჩამოვიდა თუ არა, საგულდაგულოდ პალტოს ყველა ღილი შეიკრა, საყელო აიწია და ერთხანს ბაქანზე დაყოვნდა, ვიდრე მგზავრები და დამხვდურები არ წავიდწამოვიდნენ. მხოლოდ ბაქანის ბოლოს ჩანდა კონდუქტორის განმარტოებული ფიგურა ფარნით ხელში. სადგურის მოედანზე გამოსულს გაეხარდა, როცა ბირჟაზე მდგარ ფაეტონს მოკრა თვალი.

— ქალაქის გამგეობაში. — მოკლედ და თითქოს ბრძანებით უთხრა მეფაეტონეს. მან ჯერ ცნობისმოყვარეობით აათვალ-ჩაათვალიერა მგზავრი, შემდეგ გვერდზე გაიხედა და განზრახ ხმამაღლა იკითხა:

— ქალაქის გამგეობაში?

— დიახ, ქალაქის გამგეობაში, — გაუმეორა იულიმ, მყუდროდ მოეწყო და გაიფიქრა: „ხელმეორედ რად შემეკითხა, ხომ არ მოიყრუა თავი, აბა, ერთი შევამოწმო“. და საკმაოდ დაბალი ხმით იკითხა:

— დეკემბერი ფოთში ყოველთვის ასეთია?

— კი, ბატონო, თითქმის ყოველთვის. მყისვე მიუგო მეეტლემ. ამან იული გააოცა და ჩააფიქრა. მას გაახსენდა, რომ როცა ფაეტონში ჯდებოდა, ვიღაც ტიპი ტროტუართან ფეხსაცმლის თასმებს ინასკვავდა. იგივე კაცი ძახ ადრე ვაგონშიც შენიშნა. ნამდვილად

„კუდი“ იქნება. მართალია, ქალაქის გამგეობაში კი მივდივარ, მაგრამ ძერე სიფრთხილე მმართებს“. ამ ფიქრებში გართული იული მალე ერთ-ერთ შესანიშნავ შენობას მიადგა:

— გამგეობა — მოკლედ ჩაიდუდუნა მეეტლემ. იულიმ ფული გადაუხადა მეეტლეს და სადარბაზოში სწრაფად შევიდა.

ქალაქის თავმა — ნიკოლაძემ იული ფრიად გულთბილად მიიღო. საუბრისათვის რომ უშუალო, არა ოფიციალური ხასიათი მიეცა, მან სტუმარს ძაგიდის გვერდით მდგარ სავარძელზე მიუთითა და თვითონაც მის პირდაპირ სავარძელზე ჩამოჯდა.

შეცბუნებული იული, შებოჭილად გრძნობდა თავს. მის წინ ხომ არაჩვეულებრივი, საოცარი ხვედრისა და ბიოგრაფიის ადამიანი იჯდა. გამოჩენილი მწერალი და პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, პროგრესული იდეების გამო ბევრჯერ დევნილი, პირადად რომ იცნობდა კარლ მარქსსა და პოლ ლაფარგს, მიწერ-მოწერა ჰქონდა ვიქტორ ჰიუგოსთან და ალფონს დოდესთან, მეგობრობდა ალექსანდრე გერცენთან, გლებ უსპენსკისთან, მაქსიმე ანტონოვიჩთან, ნიკოლოზ მიხაილოვსკისთან. დაბოლოს, მის წინ იჯდა ადამიანი, რომელსაც რუსეთი მნიშვნელოვანწილად უმადლოდა მისი უდიდესი შვილის — ნიკოლოზ გავრილის ძე ჩერნიშევსკის ციმბირის გადასახლებიდან გამოხსნისათვის.

ქალაქის თავი ვერ მიხვედრილიყო ასე მოულოდნელი ვიზიტით რომ ეახლა მას ქუთაისის გუბერნატორის ძმა. შეკითხვასაც მოერიდა. უტაქტობაში არ ჩამომართვასო. როგორც საუბრის დასაწყისშია ხოლმე ამინდის თაობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. მერე მასპინძელმა სტუმარს მიმართა:

— დიდად მოხარული გახლავართ თქვენი გაცნობით. ჩემთვის კარგად არის ცნობილი თქვენი ძმის, თქვენი და თქვენი კოლეგების უკეთილშობილესი საქმიანობა — ქართული ვაზის კეთილდღეობაზე რუდუნებისა და, ასე ამრიგად, ამ მხარის ეკონომიკური საფუძვლის გადარჩენისა. — აქ ნიკოლაძემ მცირე პაუზა გააკეთა და ღიმილით დაუმატა:

— თუმცა ისიც უნდა შევნიშნო, რომ, სამწუხაროდ, მისმა აღმატებულებამ ვლადიმერ ალექსანდროვიჩმა ამ ბოლო ხანს ვაზს „უღალატა“, გუბერნატორის მაღალ პოსტზე სამსახური ამჯობინა.

— ამას თვითონაც განიცდის, — ნიკოლაძისათვის მოულოდნელი გულწრფელობით აღიარა სტუმარმა და განაგრძო: — საქმის ვითარება ისე აეწყო, რომ სხვა გზა არ ჰქონდა, — სასხლავი მაკრატელი გუბერნატორის ბეჭედზე უნდა გაეცვალა.

ორივეს გაეღიმა.

იულიმ განაგრძო:

— თუმცა ახლაც, ამ დაძაბულ, მძიმე ჟამსაც, პოულობს დროს, რომ თავისი ყოფილი „სამფლობელო“ საქარა მოინახულოს, მოეფეროს და მოესიყვარულოს მისთვის სათაყვანებელ ვაზს.

— მიუხედავად ამისა, ვლადიმერ ალექსანდროვიჩი მაინც ჩამოსცილდა ჩვენი ხალხისათვის ეგზომ საჭირო სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას.— მორიდებული საყვედურით თქვა ნიკოლაძემ.

— მე კი ასე მგონია, რომ ამ პოსტზეც, ამ რთულ ვითარებაში, ის ცხოვრობს და მოქმედებს მისი საყვარელი ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. — გამოეპასუხა იული.

— რა თქმა უნდა, თავის თავად ცხადია, რომ მისი უდიდებულესობის გუბერნატორად ყოფნა დიდად საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეა, — დაემოწმა ნიკოლაძე, — ამჟამად იმ პირებს, ვისაც მოვლენათა განვითარებაზე გავლენის მოხდენა ძალუძთ, დიდი წინდახედულობა და სიფრთხილე მართებთ. ერთ მოუფიქრებელ ნაბიჯს, ნაჩქარევ გადაწყვეტილებასაც კი შეიძლება დიდი მსხვერპლი მოჰყვეს.

— მაგრამ რევოლუციურ ბრძოლას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ, მსხვერპლი რომ თან სდევს?!

— მართალი ბრძანდებით. ისტორიულად მნიშვნელოვანი არც ერთი საქმე წარმატებით არ დაგვირგვინებულა უბრძოლველად და უმსხვერპლოდ, მაგრამ როგორც დიდი ჩერნიშევსკი გვასწავლიდა, გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი იმ ბრძოლას გააჩნია, რომელიც სწორადაა წარმართული და კარგად ორგანიზებული. მე კი ასე მგონია, თქვენი გამოთქმა რომ მოვიშველიო, „რევოლუციური ბრძოლა“ ნაადრევია და ამიტომაც გაუმართლებელი მსხვერპლის საშიშროებას ბადებს.

— რატომ გაუმართლებელი? მე მეშინია, რომ ეს აუცილებელი მსხვერპლია საბოლოო გამარჯვების მისაღწევად.

ნიკოლაძემ ცნობისმოყვარეობით გადახედა თავის თანამოსაუბრეს. მას, რალა თქმა უნდა, ჰქონდა ყური მოკრული სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან სტაროსელსკების კავშირის შესახებ, მაგრამ სტუმრის ასეთმა გულახდილობამ განაცვიფრა. მიუხედავად ამისა, საუბრის ამ სახიფათო თემას არ მორიდებია, მით უმეტეს, რომ უნებურად ჩერნიშევსკის სახელს შეეხნენ.

— მე ხშირად ვუბრუნდები ჩერნიშევსკის მოძღვრებას. არ დაგიმალავთ, ვამაყობ იმით, რომ მისი მოწაფე გახლავართ, თუმცა მხოლოდ ცამეტი წლითა ვარ მასზე უმცროსი. — აქ, მისი სათაყვანებელი სახელის გახსენებით ნიკოლაძეს სახე გაუბრწყინდა.

— თქვენ მისი უერთგულესი და მადლიერი მოწაფე აღმოჩნდით, — ჩაურთო იულიმ.

— მას მთელი რუსეთი უნდა ემადლიერებოდეს. მერწმუნეთ, მოვა დრო და სამშობლო ნიკოლაი გავრილოვიჩს ძეგლებს დაუდგამს.

— ეს დროც მალე დადგება, — კვერი დაუკრა იულიმ, — რუსეთი რევოლუციური გარდაქმნების გზაზეა!

— რა თქმა უნდა, მოვა დრო, როცა კაცობრიობა ისეთნაირად ააწყობს ცხოვრებას, რომ არავინ არავის ტვირთად არ აწვეს, სხვისი შრომით არ ცხოვრობდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს. ერთმანეთში განხეთქილების და წინააღმდეგობის მაგიერ შექმნის საზოგადოებრივ ჰარმონიას, ზომიერ ურთიერთობას, შეერთებულ შრომას და ძმურ ცხოვრებას, მაგრამ იქამდე ჯერ კიდევ მეტად დიდი მანძილია.

— გამოდის, რომ თქვენ ამჟამინდელი რევოლუციური მოძრაობისა არა გჯერათ რა, თუმცა მაინც უწყობთ ხელს მის განვითარებას. თქვენი ინიციატივით ხომ ამ დღეებში ქალაქის თვითმმართველობამ გადაწყვიტა გაუწიოს ერთდროული დახმარება — 600 მანეთის რაოდენობით პორტის მუშებს, რომლებიც დაითხოვეს ან დააპატიმრეს გაფიცვაში მონაწილეობისათვის, და, გარდა ამისა, შეჰქმენით სპეციალური კომისია მათი მდგომარეობისა და მოთხოვნების შესასწავლად.

იულის ასეთმა ინფორმირებამ გააოცა ნიკოლაძე. მან კარგად ვერ გაიგო, ხომ არ საყვედურობდა სტუმარი?

— მე ეს გულის კარნახით გავაკეთე, მინდოდა გაჭირვებულებს დავხმარებოდი. მაგრამ თქვენმა ძმამ, მისმა აღმატებულებამ გუბერნატორმა, ეს გადაწყვეტილება გაგვიუქმა.

— მომიტევეთ, მაგრამ ის არაფერ შუაშია, — გამოექომაგა ძმას იული, — ჩემთვის დანამდვილებითაა ცნობილი, რომ თქვენი გადაწყვეტილება ცნობილი გახდა კავკასიის პოლიციის ხელმძღვანელობისათვის, აქედან ამის შესახებ დაუყოვნებლივ მოხსენდა მეფისნაცვალს. მათ ამ აქციაში ამბოხების წაქეზება დაინახეს და გუბერნატორს პირდაპირი მავთულით გადაწყვეტილების გაუქმება უბრძანეს. უსაყვედურეს კიდეც, საქმის კურსში რატომ არ ბრძანდებიო. საიდუმლოდ გაგანდობთ, რომ ვლადიმერ ალექსანდროვიჩი ამ საკითხში თქვენს მხარეზე გახლავთ.

— უნდა ვივარაუდოთ, სამართლიანობის მხარეზე.

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩი ამის თაობაზე შეეპასუხა კიდეც გრაფს, მაგრამ გრაფი თავისებური კაცია...

— მე კარგად ვიცნობ მეფისნაცვალს... — რაღაც მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ნიკოლაძემ.

ეს მართლაც ასე იყო. ნიკო ნიკოლაძეს ფრიად ახლო კონტაქტები ჰქონდა ვორონცოვ-დაშკოვთან, მისი კარის მინისტრად ყოფნისას, იმის შემდგომ, როცა ნაროდოვოლცებმა ალექსანდრე II მოკლეს. საქმე იმაში გახლდათ, რომ დამფრთხალი თვითმპყრობელობა ალექსანდრე III-ის მეფედ კურთხევის დროს, ახალი ტერორისტული აქტების შიშით მზად იყო გარკვეულ დათმობებზე წასულიყო და ნაროდოვოლცების ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებაც კი ეწარმოებინა. ამისათვის საიმედო შუამავალი სჭირდებოდათ. არჩევანი ნიკოლაძეზე შეაჩერეს, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის მოხაწილეთა შორის დიდი ავტორიტეტისა და გავლენის მქონეზე. ხელისუფალთა სახელით მოლაპარაკებას ნიკოლაძესთან ვორონცოვ-დაშკოვი აწარმოებდა. მართალია, ფრთხილად, მაგრამ მიანიშნეს, რომ მისი საშუამავლო მისიის წარმატების შემთხვევაში, ყოველგვარი ხელწერილისა და ვალდებულებების გარეშე თითქოს და გაზეთის გამოცემისათვის ეს თანხა მართლაც ამ მიზნისთვის სჭირდებოდა მას. 300 ათას მანეთს გაიღებდნენ. ნიკოლაძემ, ეს მოსყიდვის ცდა კატეგორიულად უარყო. მან მოითხოვა თავისი მეცადინეობის საფასურად, იმის დამოუკიდებლად, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მას, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის დაუყოვნებლივი განთავისუფლება, რომელიც აი უკვე 20 წელია გადასახლებაში იტანჯებოდა. უფრო მეტიც. ნიკოლაძემ წინადადების მიუხედავად არ ისურვა ესარგებლა პოლიციის საიდუმლო ფონდებით, რათა პარიზს გამგზავრებულიყო და იქ ემიგრაციაში მყოფ ნაროდოვოლცების პარტიის მეთაურებთან მოლაპარაკება ეწარმოებინა. საფრანგეთს საკუთარი სახსრებით გაემგზავრა.

მოლაპარაკების მსვლელობისას ნიკოლაძე არაერთხელ შეხვდა ვორონცოვ-დაშკოვს. როგორც შემდეგში იგი იგონებდა, გრაფი მას იღებდა „ერთობ მოქანცული ხელმწიფის კარისკაცის პოზით, რომელსაც ყველა და ყველაფერი უსასრულოდ მობეზრდა, აღარაფრის სურვილი არა აქვს, არაფერს ესწრაფვის...“ მაგრამ ნამდვილად ეს ასე არ იყო. დაწყებული საქმის შედეგს გრაფისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოლაპარაკების განსაკუთრებულობის შესახებ თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ ნიკოლაძის გრაფთან ერთ-ერთი აუდიენციის დროს მეზობელ ოთახის კარის მძიმე პორტიერი წამდაუწუმ ირხეოდა. როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი ირწმუნება, მის უკან იდგა და საუბარს მალულად უსმენდა თვით ალექსანდრე III.

მოლაპარაკება ვორონცოვ-დაშკოვთან მოულოდნელად შეწყდა. სანამ ნიკოლაძე პარიზში იმყოფებოდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა, სამეფო კარის ინტრიგების შედეგად ვორონცოვ-დაშკოვის მოძულე შინაგან საქმეთა მინისტრის დ. ა. ტოლსტოის მეცადინეობით გრაფი მის უდიდებულესობას ჩამოაცილეს ისე, რომ პარიზიდან ჩამოსულ ნიკოლაძეს უკვე ფლიგელადიუტანტ გრაფ შუვალოვთან მოუხდა მოლაპარაკების განგრძობა. მან გრაფს წარუდგინა დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები ჩერნიშევსკის შესახებ და იმ პროცესის თაობაზე, რომლის შედეგად ნიკოლოზ გავრილეს ძე გადაასახლეს. მასვე გადასცა მოხსენებითი ბარათის პროექტი, რომელიც შეადგინა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე პიპინმა, ლიტერატურის ცნობილმა ისტორიკოსმა ჩერნიშევსკის დეიდაშვილმა, რომელიც ნეკრასოვთან ერთად რედაქტორობდა „სოვრემენნიკს“. ის ამტკიცებდა ჩერნიშევსკის უდანაშაულობას და სენატის მიერ გამოტანილი გა-

ნაჩენის უსაფუძვლობას. შუვალოვმა დააბრუნა ეს მოხსენებითი ბარათი — საქმეს ავნებსო და ნიკოლაძეს ურჩია მეფეს ჩერნიშევსკის შვილებმა მიმართონ მამის პატიების თაობაზეო.

ორი კვირის შემდეგ მოულოდნელად ნიკოლაძეს პირადად ეახლა თვით შუვალოვი და გადასცა თავისი ხელწერილი, რომელშიც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ფლიგელ-ადიუტანტი გრაფი შუვალოვი უმაღლესი ნებართვით ნიკოლაძის წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ მიაღწევს სახელმწიფო დამნაშავის ნიკოლოზ გავრილეს ძე ჩერნიშევსკის ციმბირიდან განთავისუფლებასა და სამშობლოში დაბრუნებას.

გაკვირვებული და გაოგნებული ნიკოლაძე გრაფს არწმუნებდა, რომ ასეთი ხელწერილი მას არ სჭირდება, რომ არც ვალდებულია და არც აპირებს ის ვინმეს აჩვენოს და რომ მოლაპარაკებაზე დათანხმდა (თუმცა მისი წარმატების რწმენა არა აქვს), მხოლოდ იმ იმედით, რომ მიაღწევს ჩერნიშევსკის განთავისუფლებას. ამის თაობაზე თქვენს სიტყვიერ განცხადებასაც სავსებით ვენდობიო. მაგრამ შუვალოვი დაჟინებით მოითხოვდა ხელწერილის მიღებას, ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში ის და გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი შეძლებენ ნიკოლაძისათვის მიცემული პირობის სასახლეში გატანას. ამასთან შუვალოვმა დასძინა, რომ თუ ეს საჭირო გახდება, დაერწმუნებია ყველა, თითქოს თვითონ მან, ნიკოლაძემ აიძულა მეფის წარმომადგენელი მიეცა ასეთი ხელწერილი...

აქ, კითხვა იბადება, მაინც რატომ გამოიჩინა შუვალოვმა, რომელიც რა თქმა უნდა, ვორონცოვ-დაშკოვის რჩევითა და მითითებით მოქმედებდა, ასეთი მონდომება ჩერნიშევსკის გამოსახსნელად? უნდა ვივარაუდოთ, რომ ამით მათ სურდათ, ჯერ-ერთი, პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის გულის მოგება, მათ თვალში ხომ ისინი კომპრომეტირებულები იყვნენ, როგორც ფარული ტერორისტული არისტოკრატული საზოგადოების „სვიაშჩენნაია დრუჟინის" („წმინდა რაზმის") ხელმძღვანელები. და მეორე — დაეშინებიათ ალექსანდრე III კონსტიტუციური მმართველობის საფრთხით, რასაც მოითხოვს მოწინავე ინტელიგენცია. რომ ეს ასე იყო იქიდანაც ჩანს, რომ შუვალოვი არწმუნებდა ნიკოლაძეს დათანხმებულიყო იმპერატორთან შეხვედრაზე, რომლის მოწყობას თვითონვე კისრულობდა. თურმე ნუ იტყვით, საჭირო იყო ალექსანდრე III-ის დარწმუნება იმაში, რომ რევოლუციონერები მას „უცილობლად და ძალიან მალე" როგორც მამამისს მოკლავენ, თუ ის არ უბოძებს რუსეთს კონსტიტუციას.

— მე უკუვაგდე შემოთავაზებული როლი, — იგონებდა ნიკოლოზ იაკობის ძე, — განვუმარტე გრაფ შუვალოვს, რომ ასეთი რისკის გაწევა შეუძლია მხოლოდ მას, ვის მხარეზედაცაა ქვეყნის მთელი მამოძრავებელი ძალა, ან ვინც პირადი პატივმოყვარეობით არის დაბანგული...

აი ასეთი ინტრიგებითა და შანტაჟით ცდილობდნენ თავიანთი კარისკაცული პოზიციების დაბრუნებასა და განმტკიცებას, იმპერატორის დარწმუნებას მასში, რომ დღემუდამ მისი უდიდებულესობის სიკეთეზე ზრუნავენ, რომ მათ გარეშე ის უცილობლად, ისევე როგორც მამამისი, დაიღუპება, და, წარმოიდგინეთ, ამ შანტაჟმა თავისი გაიტანა, მიზანს მიაღწია. 1883 წლის მაისში ალექსანდრე III-ის მეფედ კურთხევის მშვიდობიანად ჩატარების შემდეგ ვორონცოვ-დაშკოვი თვითმპყრობელმა კვლავ დაიახლოვა, ხოლო შუვალოვი სენატორი გახადა...

მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, ნიკოლაძისა და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლების მეცადინეობას ამაოდ არ ჩაუვლია. . 1883 წლის ნოემბრის დასაწყისში რუსეთის გაზეთებმა საზოგადოებას აუწყეს, რომ ჩერნიშევსკის საცხოვრებლად მიუჩინეს ასტრახანი და არა მშობლიური

სარატოვი, როგორც პირდებოდნენ. ეს რომ ნიკოლაძემ გაიგო, სიხარულით შესძახა: „ამისთვისაც მადლობა მომიხსენებია!“

...ფოთის ქალაქის თავისა და იული სტაროსელსკის ურთიერთნდობით ალსავსე საუბარი გრძელდებოდა. ლაპარაკი ქალაქისა და მისი პორტის გახაშენიანების პრობლემებს შეეხო. სტუმარი გააოცა ნიკოლაძის მიერ მხარის ეკონომიკური საკითხების ღრმა ცოდნამ. ჭეშმარიტად გრანდიოზული იყო ფოთის კეთილმოწყობისა და საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების მისი ჩანაფიქრი.

ბოლოს და ბოლოს იულიმ გადაწყვიტა, რომ უკვე დადგა მომენტი ეთქვა ნიკოლაძისათვის, თუ რისთვის ეახლა.

— მე დიდად ნასიამოვნები ვრჩები, თქვენო აღმატებულებავ, იმ ყურადღებით, რომელიც თქვენ ახლა გამოიჩინეთ ჩემს მიმართ, — მიუახლოვდა ის მთავარ სათქმელს. — მაგრამ თქვენ ალბათ მიხვდით, რომ მე აქ იმისათვის არ ჩამოვსულვარ მხოლოდ, რომ დამედასტურებია ჩემი ძმისა და ჩემი თქვენდამი უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება. ამის მიზეზი სხვა რამეც გახლავთ.

ნიკოლაძე ყურადღებით უსმენდა.

— ჩემმა ძმამ გთხოვათ შეგეწყოთ ხელი ჩემს მოლაპარაკებისათვის ქალაქის პოლიცმეისტერ აბაშიძესთან.

ნიკოლაძეს სურდა ეკითხა, რა ხასიათის თაობაზეო, მაგრამ თავი შეიკავა „ჩანს, არ სურს გამიმხილოს“ — გაიფიქრა, ხმამაღლა კი მიუგო:

— მისი კეთილშობილება აბაშიძე მეტად დადებითი პიროვნება გახლავთ...

— ეს სთქვა და ტელეფონის ყურმილი აიღო, — პოლიცმეისტერთან დამაკავშირეთო.

— თქვენო კეთილშობილებავ, ჩემი ეკიპაჟით თქვენ გეახლებით მისი აღმატებულების გუბერნატორ ვლადიმერ ალექსანდროვიჩ სტაროსელსკის ძმა. გთხოვთ შესაფერი ყურადღება და პატივი მიაგოთ.

იული გულთბილად დაემშვიდობა ნიკოლაძეს.

— ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ, თქვენისთანა გამოჩენილი ადამიანის გაცნობით და იმით, რომ მასთან ურთიერთობა მეღირსა.

— რას ბრძანებთ, რას, მეც დიდად ნასიამოვნები დავრჩი თქვენთან შეხვედრით, — თავის მხრივ შენიშნა ნიკოლაძემ...

იული სტაროსელსკი პოლიცმეისტერმა თავადმა აბაშიძემ მიიღო ფრიად თავაზიანად, მაგრამ ემჩნეოდა ერთგვარი შინაგანი დაძაბულობა. რამოდენიმე ბანალური საერთო ფრაზის შემდეგ, ვიდრე გაიგებდა მოსვლის მიზეზს, სტუმარმა გადაწყვიტა ჯერ „მოესინჯა“ მასპინძელი, დაეზუსტებია, რამდენად საფუძვლიანი იყო ხმები მისი სახალხო მოძრაობისადმი ლოიალური დამოკიდებულების შესახებ. იული დაინტერესდა ქალაქში შექმნილი მდგომარეობით.

— ყველაფერი მივიწყებულია, ღმერთიცა და ხელმწიფეც. — სევდიანად უპასუხა თავადმა.

— რას იზამ, ხალხის თვითშეგნება გაიზარდა...

— აქ თვითშეგნება არაფერ შუაშია, ჩემო ბატონო, საქმე ის არის, რომ მეამბოხეები ნამეტანი გათავხედდნენ. — მკვახედ მოუჭრა აბაშიძემ.

„ეჰე, ეს ჩემს ვარაუდს რაღაც ვერ ამართლებს, მაგრამ მან ჯერ ხომ არ იცის რა მისიითაც ვარ ჩამოსული და იქნებ იმიტომაც მე, როგორც გუბერნატორის ძმას, თავი ტახტის ერთგულ მსახურად სურს მომაჩვენოს?!“ — გაიფიქრა იულიმ და სასხვათაშორისოდ იკითხა:

— როგორია პოლიციის პირადი შემადგენლობის განწყობილება?

— ყველას კაცი ვერ ენდობა, მაგრამ ურჩები რკინის მარწუხებში მიჭირავს.

იულიმ კითხვის დაზუსტება გადაწყვიტა:

— მხედველობაში რა გაქვთ, როცა უნდობლობაზე ლაპარაკობთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ რა? — გაიოცა აბაშიძემ, — წესდების დარღვევა და მეამბოხეებთან ბრძოლაში პირდაპირი მოვალეობის შეუსრულებლობა.

— მე მგონი, თქვენთვის ცნობილია, რომ დღეს პრაქტიკულად ხელისუფლება სწორედ ამ, როგორც თქვენ ბრძანეთ, „მეამბოხეების“ ხელშია.

— მომიტევეთ, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით. ცოტაც და ავლგვით მათ პირისაგან მიწისა! — რაღაც გათამამებული თვითკმაყოფილებით წარმოსთქვა პოლიცმეისტერმა და განაგრძო:

— ჩვენ ისედაც დიდ დათმობებზე წავედით, როცა, მაგალითად, მე, თქვენთვის კარგად ცნობილი ბატონების რჩევით, აღარ ვუშლი ხელს აგიტატორებს ზოგიერთი პარტიების სასარგებლოდ შეწირულებათა და სხვადასხვა სახსრების შეგროვებაში, თუმცა იმასაც მოგახსენებთ, რომ ყოველ შემთხვევისათვის მათ ჩვენ სპეციალურად აღვრიცხავთ... აქ უცებ პოლიცმეისტერი წამოხტა, ფეხისწვერებზე კართან მიიპარა და სწრაფად გამოაღო. კარს უკან მისი თანაშემწე იდგა, ჩახს, საუბარს მიაყურებდა.

— მომიტევეთ... დაბნეულად წაილუღლუღა მან. — მე... მსურდა მომეხსენებინა თქვენი კეთილშობილებისათვის მომავალი ოპერაციის შესახებ... მოჰყვა ბოდიალს იგი.

— მერამდენედ გაფრთხილებთ, რომ გამოძახების გარეშე არ გაბედოთ მოსვლა! — მკვახედ გააწყვეტინა უფროსმა.

დანაშაულზე წასწრებულ თანაშემწეს ისღა დარჩენოდა, რომ გაუჩინარებულიყო.

წამოწითლებული და აღელვებული აბაშიძე მიუჯდა მაგიდას, იულის თვალწინ მთლად შეიცვალა, მოულოდნელად ნდობის კილოზე გადავიდა:

— აი, ასე გვიხდება მუშაობა, ძვირფასო იული ალექსანდროვიჩ. — ვატყობ, ამ ბოლო დროს აღარ მენდობიან.

სტუმარმა იგრძნო ამ სიტყვების სრული გულწრფელობა.

— საკუთარი თანაშემწეც კი მითვალთვალებს, — განაგრძობდა გულახდილად პოლიცმეისტერი. რას იზამ, უნდა მოუთმინო, მით უმეტეს, რომ ერთი მაღალი ჩინის ნათესავია და ის მფარველობს მას.

„აი თურმე ვის გასაგონად მელაპარაკა ასეთი ტონით აბაშიძე“. — გაიფიქრა იულიმ და ხმამაღლა განაგრძო:

— მაპატიეთ, მაგრამ გულახდილობაზე გულახდილობითვე მინდა გიპასუხოთ, — აქ გაიღიმა იულიმ, — უხდა ვივარაუდოთ, რომ თქვენს უფროსებს ალბათ გააჩნიათ საფუძველი იმისა, რომ არ გენდონ.

„ეჭვი არ არის, მას ნამდვილად საიმედო ინფორმაცია გააჩნია ჩემს შესახებ. სხვა არა იყოს რა გუბერნატორის ძმაა“ — გაიფიქრა აბაშიძემ, ხმამაღლა კი მიუგო:

— ადვილი შესაძლებელია! მე ხომ პირნათლად ვასრულებ საგუბერნატოროს ზოგიერთ წარჩინებული პირის ყველა რჩევასა და რეკომენდაციას.

„ოჰო, ძმაზე გადმომკრა!“

აბაშიძემ ხმას დაუწია, და უკვე ჩურჩულით განაგრძო:

— მე საჭიროდ მიმაჩნია, იული ალექსანდროვიჩ, მოგახსენოთ, რომ ჩემმა ხელმძღვანელობამ, პირადად შირინკინმა, არაერთხელ მიმითითა — გუბერნიის მმართველობის დავალებებს კრიტიკულად მოეკიდეო.

— ეს ნუ შეგაშინებთ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში საგუბერნატორო მარტოდ არ დაგტოვებთ, მხარს დაგიჭერთ.

— იმედი მაქვს, — ყრუდ წარმოთქვა აბაშიძემ.

იული მიხვდა თანამოსაუბრის ორჭოფულ მდგომარეობას, იგრძნო, რომ ის დაბნეულია, და გადაწყვიტა მასზე ერთგვარი ფსიქოლოგიური დაწოლა, ზემოქმედება მოეხდინა.

— აშკარაა, რომ ცარიზმი განწირულია. ახლა მთავარია ყოველმა საღად მოაზროვნე ადამიანმა ეს შეიგნოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად იმოქმედოს, მოძრაობას ხელი შეუწყოს.

— თქვენ ასე გგონიათ?! — ძნელი გასაგები იყო აბაშიძემ ეს ირონიულად თუ სრული სერიოზულობით იკითხა.

— ეჭვს გარეშეა, ცარიზმი სადაცაა დაემხობა და რევოლუცია ყველას, ვინც მის გამარჯვებას შეუწყო ხელი, პატივს მიაგებს — ერთგვარი საზეიმო ტონით წარმოთქვა იულიმ. — სხვადასხვა ხელმძღვანელი უწყებების მაღალი მოხელეებიც კი ამას უკვე გრძნობენ და ცდილობენ ხელი შეუწყონ საყოველთაო სახალხო ბრძოლას.

პოლიცმეისტერმა დაკვირვებით, დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეხედა სტუმარს და გაიფიქრა: „რაღა თქმა უნდა, მხოლოდ იმისათვის არ არის მოსული, რომ ეს ყველაფერი ეთქვა ჩემთვის. აქ სხვა რაღაცაშია საქმე. უცნაური დრო კი დაგვიდგა. თავის დროზე გაბედავდა ვინმე პოლიციის სამმართველოში ამგვარ საუბარს, თახაც ვინ? თვით გუბერნატორის ღვიძლი ძმა! ალბათ მართლაც რაღაც უცხაური რამ ხდება ამ ჩვენ ცოდვილ ქვეყანაში“.

იულიმ აქ გადაწყვიტა მთავარ საქმეზე გადასულიყო. უბიდან დაბეჭდილი პაკეტი ამოიღო და აბაშიძეს გადასცა.

— ძმისგან. — მოკლედ მოჭრა.

აბაშიძემ სწრაფად გახსნა პაკეტი, ჩაათვალიერა წერილი და მოიღუშა. ქაღალდი გვერდზე გადადო და თქვა:

— დავალება, პირდაპირ მოგახსენებთ, ფრიად უჩვეულოა. — შემდეგ თითქოს გონს მოეგო, იკითხა: — ერთი ეს მიბრძანეთ, იმედია, ქალაქის თავი საქმის კურსშია?

— არა. — მოკლედ მოუჭრა სტუმარმა.

იულიმ, რომელიც წერილის შინაარსს კარგად იცნობდა, თავისთვის აღნიშნა: დავალებამ მაინცა და მაინც არ გაახარა პოლიცმეისტერი.

აბაშიძე ერთხანს დადუმდა. შემდეგ წამოდგა, კარებთან სწრაფად მივიდა და კვლავ უეცრად გამოაღო. ამჯერად იქ არავინ იყო.

„ნერვიულობს“. გაიფიქრა იულიმ.

— ხელისუფალთა საქმე მართლაც ცუდადაა, როცა პოლიციის ისეთი მაღალი რანგის მოხელეს, როგორიც თქვენ ბრძანდებით, აღარ ენდობიან.. მაშინ მე, უბრალო მოკვდავს, რაღა მეთქმის, ან რატომ უნდა გამიკვირდეს, რომ, დღეს „კუდი“ ამეკიდა.

— რასა ბრძანებთ?! აი, ხომ ხედავთ, რარიგ აკლია ჩვენს მუშაკებს პროფესიული ოსტატობა, საქმის ცოდნა, — შეწუხდა პოლიცმეისტერი, — იმდენად პრიმიტიულად და უხეშად მოქმედებენ, რომ თქვენისთანა ამ საქმეებში გაუწაფავმა ადამიანმაც კი შენიშნა, რომ მას „კუდი“ აეკიდა. არა, ასეთ ხალხთან მუშაობა საშინელებაა!...

მერე უეცრად შეეკითხა სტუმარს:

— კი მაგრამ, საიდან დაასკვენით, რომ გითვალთვალებენ?

— არც ისეთი გაუწაფავი გახლავართ, როგორც ეს თქვენ გგონიათ. მე, აი უკვე მრავალი წელი, თქვენი უწყების საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ გახლავართ, ისე რომ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფერი შემეშლება.

აბაშიძე დადუმდა, ფიქრს მიეცა.

— თქვენის ნებართვით ახლა პატარა სპექტაკლს გავითამაშებ, ოღონდაც ეს ნუ შეგაკრთობთ. — მოულოდნელად შესთავაზა სტუმარს პოლიცმეისტერმა, შემდეგ ყურმილი აიღო და მაიორი უხაბინი გამოიძახა. მალე კარებში მომცრო ტანის, გამხდარი, ხანში შესული კაცი გამოჩნდა. მან სამხედრო სალამი მისცა პოლიცმეისტერს.

— გთხოვთ, — მოიპატიჟა იგი აბაშიძემ, — გაიცანით ეს ჩვენი კოლეგაა, ცენტრმა მოავლინა.

მაიორმა ახლა იულის მისცა სამხედრო სალამი, იმან კი თავი დაუკრა.

—საქმე ის გახლავთ მაიორო, რომ მიღებულია სათანადო მოწერილობა, რომლის თანახმად ხაზინის, ფოსტისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტელეგრაფის დაცვა უნდა გადავცეთ... სახალხო მილიციას.

— როგორ?! ამ ვიგინდარების ბრბოს?! — წამოიძახა უხაბინმა და ჩასისხლიანებულ თვალებში რისხვა ჩაუდგა.

— დიახ, დიახ, სწორედ მილიციას, — დაუდასტურა პოლიცმეისტერმა.

— ნება მომეცით, ვიკითხო, ვისი ძოწერილობაა?

— ამას არა აქვს მნიშვნელობა, — ორჭოფულად გამოეპასუხა უფროსი, — მთავარია, რომ ის არსებობს.

— მერე და თქვენ რას აპირებთ? — აღელვებისა და სიბრაზისაგან აკანკალებული ხმით დაინტერესდა უხაბინი.

— მე, რაღა თქმა უნდა... აბაშიძემ აქ განზრახ პაუზა გააკეთა, მაიორი კი დაიძაბა, — კატეგორიულ უარს ვამბობ ამ დავალების შესრულებაზე. თქვენ ჩემი ხელმოწერით ამის შესახებ სასწრაფოდ შეადგინეთ სათანადო პატაკი მისი მაღალკეთილშობილების, კავკასიაში პოლიციის გამგის გენერალ შირინკინის სახელზე.

— არის! — გაეხარდა უხაბინს. — ნება მომეცით წავიდე.

— შეგიძლიათ წაბრძანდეთ.

როცა ის კარს მიეფარა, აბაშიძემ შენიშნა:

— ვხედავ, რომ გაოცებული ბრძანდებით. ახლავე აგიხსნით ყველაფერს. მე მომეჩვენა, რომ ეს კაცი თქვენ გიცნობთ. ის ჩვენთან აგენტურულ ქსელს განაგებს და, შესაძლებელია, რომ სწორედ მისი კაცი აგედევნათ. თუ კი ეს ასეა, საფრთხე მოგელით. მე გადავამოწმებ და დაახლოებით ორ საათში ჩემი კაცი დაგიკავშირდებათ სადგურთან, სამიკიტნოში. თუ კი გითვალთვალებენ, საიდუმლო შეხვედრის ადგილზე თქვენი მისვლა უნდა გამოირიცხოს.

იულიმ გაოცებით შეხედა თანამოსაუბრეს.

— დიახ, დიახ, ჯობია, რომ არ გამოცხადდეთ საიდუმლო შეხვედრის ადგილზე, — გაიმეორა აბაშიძემ, — თქვენ გიკვირთ, საიდან მივხვდი, რომ საიდუმლო შეხვედრა გაქვთ დანიშნული? სულ უბრალოდ: თქვენ უნდა შეატყობინოთ ადგილობრივ ამხანაგებს ჩვენი მოლაპარაკების შედეგები და ალბათ ზოგი რამ სხვაც. — ჩემი რჩევაა — არ მიხვიდეთ დანიშნულ ადგილას, სხვა რამ გზა გამონახეთ. დღესვე დაბრუნდით ქუთაისში. რაც შეეხება პატაკს შირინკინის სახელზე, იგი, ვიმედოვნებ, მასთან არ მოხვდება, წითელრაზმელები ხელში ჩაიგდებენ. გადაეცით მის აღმატებულებას ვლადიმერ ალექსანდროვიჩს, რომ მის მიერ დასახელებულ ყველა ობიექტის დაცვას მთლიანად მილიციას ვერ გადავაბარებ, ეს შეუძლებელია. მასთან ერთად ყარაულში ჯარისკაცებიც იქნებიან. რაც შეეხება წერილში აღძრულ მეორე საკითხს: ხვალიდან ყველა პოლიციური ქვედანაყოფი ერთი კვირით გაყვანილ იქნება ქალაქიდან, მანევრებზე, პალიასტომის რაიონში.

როგორც კი იული გავიდა კაბინეტიდან, აბაშიძემ კვლავ უხმო მაიორს.

— აი, რა, — დაიწყო მან, — ცენტრის წარმომადგენლის დასწრებით არ მინდოდა მეთქვა. მოხსენებაში საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი, რომ მსგავს დავალებებს პოლიცია პირველად არ იღებს.

— აუცილებლად მივუთითებ, — დაეთანხმა მაიორი და ნდობის კილოთი დააყოლა:

— რაღა თქმა უნდა, ეს გუბერნატორის დავალებაა.

აბაშიძე ვითომც შეცბა.

— იცით რას გეტყვით, ჩვენ მაგ ბატონებთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ ჩვენი უფროსები გვყავს,... მაგრამ როგორ მიხვდით? — გაიღიმა პოლიცმეისტერმა.

— იმ კონვერტით, თქვენს მაგიდაზე რომ ძევს და... — აქ უხაბინი წამით შეჩერდა, — „ცენტრის წარმომადგენლის“ — გუბერნატორის ძმის წყალო-

გიორგი ლეონიძე

ბით, — როგორც იქნა ამოღერღა ბოლოს მან.

— წუნს ვერაფერში დაგდებთ, თქვენ საქმის დიდოსტატი ბრძანდებით, — შეაქო მაიორი აბაშიძემ.

უხაბინს სახეზე კმაყოფილების ღიმილი აუთამაშდა.

— თავისუფალი ბრძანდებით. მაგრამ რატომღაც მაიორი გასვლას არ ჩქარობდა, დაყოვნდა.

— აა, მიგიხვდით! თქვენ, ჩანს, გაინტერესებთ, ეს დავალება რატომ სტუმრის თანდასწრებით მოგეცით. იმიტომ, ჩემო გულუბრყვილო კოლეგა, რომ მათ ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ: ასეთი უცნაური თხოვნებით ჩვენ ნულარ მოგვმართავენ. ახლა, იმედია დავაკმაყოფილე თქვენი ცნობისმოყვარეობა. ირონიით დაასკვნა პოლიცმეისტერმა.

— დიახ, რა თქმა უნდა... — უპასუხა უხაბინმა და ახლა უფრო თამამად განაგრძო:

— თქვენო კეთილშობილებავ, ვფიქრობ ეს ძამია ფოთში მარტო იმისათვის არ არის ჩამოსული, რომ თქვენთვის ეგზომ უცნაური თხოვნა გადმოეცა...

— რა გაქვთ მხედველობაში.

მაიორმა მხრები აიჩეჩა.

— არა... არაფერი... იქნებ მათხოვებთ გუბერნატორის წერილს, ეს მნიშვნელოვნად გამიადვილებს პატაკის შედგენას.

— ჩვენს დოკუმენტში საგუბერნატორის მოხსენება არ გვსურს. ეს სუბორდინაციით დაუშვებელია. წერილს კი მე თავად დავურთავ პატაკს. თავისუფალი ბრძანდებით. — ახლა უფრო მეტი სიმკაცრით თქვა აბაშიძემ.

უხაბინი სწრაფად გავიდა.

იული პოლიციის სამმართველოდან გამოვიდა და მძიმედ დაფიქრებული მიწყნარებულ ქუჩებს გაუყვა.

დროის გაყვანის მიზნით ცენტრალურ მოედანზე გავიდა, ნელა აჰყვა ერთ ქუჩას, მერე მეორეს და ბოლოს ნახა, რომ დათქმული დრო ახლოვდებოდა და სადგურისაკენ გაემართა, თან სულ იმის ფიქრში იყო „სწორად კი მოვიქეცი პოლიცმეისტერთან... მან სპექტაკლი გაითამაშა, თუ...“ — უცებ ეჭვებმა აიტანეს იული. მაგრამ გაახსენდა თავისი ძმის ვლადიმერის მონაყოლი იმის თაობაზე, რომ თურმე ქუთაისის გუბერნიის პოლიციის უფროსი სპეციალური პატაკით დაჟინებით მოითხოვდა აბაშიძის ჩამოქვეითებას, რომ ვლადიმერმა თავისი თვალით ნახა, ამ დოკუმენტზე მეფისნაცვლის რეზოლუცია: „ფოთის პოლიცმეისტერს ვთვლი არასანდო პიროვნებად“.

გახსენებით კი გაიხსენა, მაგრამ მაინც სულის სიმშვიდეს ვერ მიაღწია. იჭვნეულ ფიქრებს მაინც ვერ გაექცა. და როგორც ჩვეულებრივ ორჭოფობისა და ეჭვების დროს ხდება ხოლმე, თავი იმითლა დაიმშვიდა, მომავალი გვიჩვენებსო. ადვილი სათქმელია, „თავი დაიმშვიდაო“, მაგრამ ვერა და ვერ მოიცილა აკვიატებული ფიქრები: „მაინც საიდან იცოდა საიდუმლო შეხვედრის შესახებ, როგორც აძიხსნა, თითქოს თავად მიხვდა, რაღაც არა მჯერა... და თუ მართლა იცის, სად არის გარანტია ხიფათის თავიდან აცილებისა? უფრო მეტიც, შესაძლებელია პოლიციაში იციან ჩემი აქ ჩამოსვლის ძირითადი მიზანიც! მაშინ?

ამ ფიქრში გართული იული სადგურს მიუახლოვდა.

უცებ გუმანით იგრძნო, რომ მას ვილაცა მისდევს. „მივიხედო, ეს იმას ნიშნავს ადევნებულს განზრახვა დავაჩქარებინო — გაიფიქრა და გზა განაგრძო, თუმცა უტყუარი ალღოთი ალიქვამდა უცნობის მბურღავ მზერას. აი, ქუჩის კუთხეში სწრაფად შეუხვია და მყისვე უკან შებრუნდა, და აქ პირისპირ შეეჯახა ვიღაც უცნობს. თუმცა მთლად უცნობი არ გახლდათ, ეს ის იყო, სადგურთან რომ შემოხვდა. ის შეცბუნდა, „პარდონ“, ჩაიბურტყუნა და თითქოს აქ არაფერიაო, დინჯად გზა განაგრძო.

იულიმ გაუჩინარება ამჯობინა. ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მიყრუებულ ქუჩაზე გაუხვია, ჯიბიდან გრძელ ძეწკვიანი ვერცხლის საათი ამოიღო, სიბნელეში ციფერბლატი ვერ გაარჩია, ყურთან მიიტანა, ღილაკს დააჭირა. შვიდის ნახევარმა დაიწკარუნა. პოლიცმეისტერის მიერ დანიშნული დრო ახლოვდებოდა. „მომეჩვენა თუ ნამდვილად ისევ ის „კუდი“ იყო, ერთბაშად დაეჭვდა იული. თუ მითვალთვალებენ, სად არის იმის გარანტია, რომ არ დამაპატიმრებენ, ან პროვოკაციას არ მომიწყობენ?! მაშინ, ხომ ოპერაციას ჩავარდნის ხიფათი დაემუქრება“.

აქ ვიღაცის მოულოდნელმა შეძახილმა შეაკრთო:

— თქვენი დოკუმენტები!

მის წინ, მიწიდან ამოსული მოჩვენებებივით პატრული იდგა. ორი მეზღვაური და ერთი ჯარისკაცი. მეზღვაურებს ბუშლატების სამკლაურებზე ეწერათ „ფსდ“ — ფოთის საქალაქო დაცვა.

იულიმ აუჩქარებლად ამოიღო დოკუმენტი.

— სტა-რო-სელ-სკი... — დამარცვლით წაიკითხა მეზღვაურმა თვითხაკეთი სანთებელას სუსტ სინათლეზე.

— ერთი მიბრძანეთ, გუბერნატორისა ვინა ბრძანდებით? — მოულოდნელად მიმართა მეზღვაურმა იულის.

— ძმა.

— აი, თურმე ვინ ყოფილა! — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნა მეზღვაურმა. — საით მიბრძანდებით?

— სადგურთან სამიკიტნოში ვივახშმებ, მერე კი ქუთაისის მატარებლით გზას გავუდგები.

— თქვენ მიემგზავრებით?

— დიახ, — არც თუ ისე მტკიცედ დაუმოწმა იულიმ, თანაც გაიფიქრა: „რატომ გაიკვირვა, მე ხომ თითქმის სადგურთან ვარ“.

— მაშასადამე, ჯერ სამიკიტნოში, — კვლავ იკითხა მეზღვაურმა.

— დიახ.

— მიდის და წავიდეს, რას ჩააცივდი. — მოუთმენლად წამოიძახა მეორე მეზღვაურმა, რომელიც აქამდე დუმდა. პატრულმა სტაროსელსკის დოკუმენტი დაუბრუნა, ხელი აუღო და ისიც გზას გაუდგა.

აგერ, კუთხის სახლი და იქვე სამიკიტნოც. კარებთან მივიდა, კიბეებს ჩაჰყვა. ქუჩაში დასადგურებული სიჩუმის შემდეგ იული გააყრუა მოქეიფეთა ჟრიამულმა და ყაყანმა. ჰაერი ღვინისა და თამბაქოს სუნით დამძიმებულიყო. ერთხანს იდგა ასე გაოგნებული, მერე მოშორებით, აგურის . თაღში მდგარ მაგიდას მიუჯდა. აქედან კარგად ჩანდა შემოსასვლელი კარი. მასთან ჭუჭყიან ხალათიანი ვიღაც ახმახი კაცი მივიდა; ხელზე გაურკვეველი ფერის პირსახოცი ჰქონდა გადაგდებული. დააკვირდა კლიენტს და, რაკი ვერ გადაწყვიტა, ვისთან აქვს საქმე, უგემურად ამოღერღა:

— რას მიბრძანებ? — მერე კი დააყოლა: — ბატონო.

— მშია. გემრიელი რაცა გაქვს, მოიტანე.

— კი ბატონო! — გახალისდა ახმახი. — დასალევს რას მიირთმევ?

— ერთი კვარტი „ცოლიკაური“.

მალე მაგიდაზე პურ-მარილი გაიშალა. იული მადიანად შეექცა, ღვინოც დააყოლა. პოლიცმეისტერის გამოგზავნილი კაცის მოლოდინში ცალი თვალით მოუთმენლად კარისკენ იყურებოდა. მის გვერდით, გაურანდავი ფიცრებით შეკრულ მაგიდას ადგილობრივი და უცხოელი მეზღვაურების მარგრად შეზარხოშებული კამპანია მისჯდომოდა. ეტყობოდათ ახლახან გაცნობილები იყვნენ, რაღაცაზე დავობდნენ, ერთმანეთის „შესანიშნავად“ ესმოდათ — ყველა თავის ენაზე ბილწსიტყვაობდა.

აი კარებში ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. მან სწრაფად ჩაირბინა კიბე და სტაროსელსკისკენ გაემართა.

— აა, იული ალექსანდროვიჩ! მაქვს პატივი! ბოდიში, ოდნავ შემაგვიანდა, — ისეთი ტონით დაიწყო, თითქოს დიდი ხანი არ არის, რაც ერთმანეთს და-

შორდნენ. იქვე მაგიდასთან თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა, უბოდიშოდ ბოლოკს დაავლო ხელი და ჩაკბიჩა.

იული მიხვდა, ვინც იყო ის.

— მართლაც შეგაგვიანდა, — თქვა მან და ოფიციანტს გადასძახა:

— თევზი და ჭიქა!

უცნობი იულისკენ დაიხარა და ჩასჩურჩულა:

— ნაბრძანები მაქვს გადმოგცეთ, გითვალთვალებენ.

— სულ ეს არის?

— დიახ. — მერე კი უკვე ხმამაღლა:

— მაშ ასე: ძვირფასო იული ალექსანდროვიჩ, მე მატარებლის ბილეთების საყიდლად გავრბივარ, ბაქანზე დაგელოდებით...

მერე სულმოუთქმელად ჭიქა ღვინო გადაჰკრა, ზედ პური და ყველი დააყოლა, წამოხტა, აირბინა აგურის კიბე და კარს უკან მიიმალა.

„...ჩემი წასვლა არ შეიძლება. ამხანაგები აუცილებლად უნდა ვნახო, თორემ ასე საგულდაგულოდ მომზადებული ოპერაცია შეიძლება ჩაიშალოს. ესეც არ იყოს, ხომ უნდა გავაფრთხილო შესაძლებელი ჩავარდნის შესახებ... მაგრამ როგორ? ეტყობა „კუდი" დამდევს!". ამ ფიქრებში იყო, როცა უეცრად მეზობელ მაგიდასთან აურ-ზაური ატყდა. ვიღაცამ მაგიდას მუშტი დაჰკრა და შეიგინა, მეორემ ასევე უპასუხა, მერე კი ყველაფერი აირ-დაირია. მთვრალი მეზღვაურები ერთმანეთს დაერივნენ. სარდაფის შუაგულში ჩამოკიდებული რკინის აბაჟურიანი ლამფა ისე ირწეოდა, გეგონებოდათ ძაგარი ღელავაო. იულის თავზე ვიღაცის მიერ ძლიერად ნატყორცნმა ბოთლმა გაიელვა და კედელს ისე მიენარცხა, ნამსხვრევებად იქცა. „მე ხომ არ მიმიზნებდა" — გაიფიქრა იულიმ, „ის დროა, რომ აქედან წავიდე. ამხანაგებთან პაემანის საათი ახლოვდება..." ის იყო ეს გაიფიქრა, რომ არეულობაში ნაცნობმა ფიგურამ გაიელვა.

— ღმერთო ჩემო, ეს ხომ ის არის...

ამასობაში სარდაფის პატრონი და ორი მისი დამხმარე — ზორბა ვაჟკაცები დინჯად და მეთოდურად „აწყნარებდნენ" მოჩხუბარ მოქეიფეებს, ფუთიანი მჯილებით უმასპინძლდებოდნენ, ისე რომ დარეტიანებულები იქვე ფილაქანზე ეცემოდნენ.

— პოლიცია! — დაიძახა ვიღაცამ. კარებში შეიარაღებული პატრული გამოჩნდა, მათ შორის იულის ნაცნობებიც იყვნენ. მათი გამოჩენისას მოჩხუბართა უმრავლესობა გონს მოეგო. ზოგი დაჟეჟილ ფერდებს იზილავდა, ზოგიც ჩამტვრეულ კბილებს იკვინჯავდა. პატრულის მეთაურმა, მაღალმა ზორბა მეზღვაურმა ერთ-ერთ მოჩხუბარს თავისი უშველებელი დაკუნთული თათი კისერში დაავლო. მისმა მოწინააღმდეგემ დაინახა იგი რკინის მარწუხებში გაკავებული, დრო იხელთა და ის იყო უნდა გაერტყა, რომ თვითონ მიიღო მჯილი ყბაში და იატაკზე გაიშხლართა. მეზღვაურმა, რომელსაც მუშტზე კბილების ნაჭდევი დაეტყო, დაიზილა, სული შეუბერა და ბოხი ხმით დაიძახა:

— აბა, ბიჭებო, პატარა მოილხინეთ, ახლა კი გეყოთ ცელქობა, მოდი, წესრიგი დავიცვათ. მოამზადეთ დოკუმენტები, ძვირფასო ბატონებო...

„რა ვილონო საიდუმლო შეხვედრის დრო ახლოვდება. როგორ მოვიცილო თავიდან ეს „კუდი?" იქნება დახმარებისათვის პატრულს მივმართო? მაგრამ კონსპირაცია?" ეს ფიქრები უტრიალებდა თავში იულის, როცა მას მეზღვაური მიუახლოვდა, მეგობრულად გაუღიმა და შენიშნა:

— აი, ხელახლა მოგვიწია შეხვედრა! — მერე სულ ახლოს მივიდა და ჩასჩურჩულა:

— ძველი შეხვედრის ადგილი გაუქმებულია. პორტში მიდით, მესამე ნავსაბელთან. იქ მეოთხე კნეხტთან ბიჭი დაგხვდებათ კარტუზით. ნურაფერს ჰკითხავთ, უბრალოდ გაჰყევით.

— გმადლობთ! — მიუგო გახარებულმა იულიმ, — მაგრამ ჯერ ყოველ შემთხვევისათვის „კუდი" უნდა მომაცილოთ. ის აქ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ადვილი საქმეა, — თქვა მეზღვაურმა, ამხანაგებს რაღაცა გადაულაპარაკა და დაიძახა:

— ყველამ ამ კუთხეში მოიყაროს თავი! — თაღზე მიუთითა მეზღვაურმა. — როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენს შორის იმალება კატორღიდან გამოქცეული ყალბი დოკუმენტებით, მკვლელი, რომელსაც პოლიცია დაეძებს. — გამოაცხადა მან. — ასე რომ გთხოვთ ადგილიდან არ დაიძრათ. ვინც გაქცევას დააპირებს, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მივახვრეტთ.

დაიწყო დოკუმენტების შემოწმება. დროდადრო პატრულის უფროსი იულის ირიბად გადახედავდა ხოლმე, „ეს ხომ არ არისო?".

როცა რიგი ფილერზე მიდგა, სტაროსელსკიმ თავის შეუმჩნეველი დაქნევით ანიშნა, ეგ არისო.

— აბა, მეგობარო, გვიჩვენე დოკუმენტები. ო... ო... ეს რაღაც არ მომწონს! ბეჭედი წესრიგში არ უნდა იყოს, ნაყალბევსა ჰგავს. შენი სიფათიც რაღაც თვალში არ მომდის, ძმობილო.

— თქვენ არა გაქვთ უფლება, ასე მელაპარაკოთ! — ჩაისისინა ჯაშუშმა.

— როგორ თუ არა მაქვს? შეხედე ერთი ამას? დაეხეტებიან ყალბი დოკუმენტებით, ქვეყანას ამღვრევენ და ჩვენ კი ბოდიშებით უნდა ველაპარაკოთ, სულ „ბატონო" და „მოწყალეო ხელმწიფევ" ვუძახოთ. ვერ მოგართვი. აბა სასწრაფოდ გაჩხრიკეთ! — უბრძანა მან ჯარისკაცს.

აგენტს ჯიბიდან რევოლვერი ამოართვეს.

— ამას დამიხედეთ, შეიარაღებულიც ყოფილა!

— გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს! მე პოლიციის თანამშრომელი ვარ, — ცოფი გადმოჰყარა ფილერმა.

— ხა, ხა... ეს კარგი რამ მოიგონე — პოლიციის თანამშრომელი ვარო. აი, პოლიციაში რომ გიკრავთ თავს, იქ გაჩვენებენ სეირს!...

— თქვენი დოკუმენტები... — მიუბრუნდა ახლა სხვას პატრული.

ამასობაში იულიმ სწრაფად აირბინა კიბე და კარს უკან გაუჩინარდა. ჯაშუშმა უმწეო, ბოღმიანი მზერა გააყოლა.

მალე სტაროსელსკი ფოთელ ამხანაგებთან აღმოჩნდა. შეატყობინა იარაღით დატვირთული გემის მოსვლის ამბავი. ერთად შეადგინეს იარაღის მიღებისა და გადმოტვირთვის ორგანიზაციის დაწვრილებითი გეგმა.

## თავი 22

### ხატის ძალა. ფოთი ემზადება. განკითხვის ჟამი. ხაზინას დაესხნენ. ხანძარი. „ერთ-ორ არშინ მიწას გთხოვთ". შიში. მარცხი. გვირაბის შუაგულში.

რა საშუალებასა და ღონეს არ მიმართავდნენ პოლიცია და ჟანდარმერია, რომ როგორმე „ბუნტის თავები", ღვთისა და ხელმწიფის წინააღმდეგ „მქადაგებლები", მიტინგების მომწყობნი ხელში ჩაეგდოთ, დაესაჯათ. მოქმედებდნენ ჯაშუშები, საიდუმლო აგენტურა, მოსყიდვასაც არ ერიდებოდნენ, ეჭვმიტანილებს აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ხალხი თავგამოდებით იცავდა და მალავდა მათ. საქმეში სამღვდელოებაც კი ჩაება. აღსარებისას მრევლისაგან ცდილობდნენ გამოეტყუათ ჯანყის ორგანიზატორთა გვარები.

ოღონდ ავკაცობა პატივში იყოს, თორემ მის მსახურთ რა გამოლევს. ახლაც ასე მოხდა. აბა ამას ხომ მოფიქრება უნდოდა, რომ მთელს გურიაში განთქმული „სიძლიერითა" და „სასწაულმოქმედებით" სურების ეკლესიის ლომის — კარელის ხატი პოლიციის „აგე-

ნტალ“ გამოეყენებიათ. ეს აზრი ბლალოჩინ რამიშვილს დაებადა და მეფის მოხელეების დიდი მოწონება დაიმსახურა. იდეა მათ ჭკუაში დაუჯდათ და დაუყოვნებლივ მის განხორციელებას შეუდგნენ.

სოფელ სურებში თავი მოუყარეს ორმოციოდე კაცსა და ქალს — ეჭვმიტანილთ, რომელთაც უნდა სცოდნოდათ სახელმწიფო დამნაშავეთა ვინაობა, მაგრამ არაფრით არ ამხელდნენ. მათთან ერთად მოიწვიეს იმ სოფლების მღვდლები, რომელთა მრევლს ისინი წარმოადგენდნენ. აქვე იყვნენ ბოქაულები და პოლიციელთა გადაცმული აგენტები.

— ერთი ამინდმაც თუ ხელი შეგვიწყო და ჰექა-ქუხილი თავს დაგვატეხა, მართლაც კარგი იქნება! — გაანდო სურვილი ბლალოჩინმა თავის მთავარს.

მართლაც, მოხდა ისე, რომ მზიანმა დღემ საღამოსათვის ნირი იცვალა, ძოილუშა, კუპრივით შავი ღრუბლები ცის კამარას მოედვნენ და ნელ-ნელა აქეთ, სოფლისკენ გამოცურეს.

ხატზე დაფიცების ცერემონიალი დაიწყო...

ატყდა ზარების გაშმაგებული რეკვა, გუნდმა საგალობელი წამოიწყო და ლომის-კარელის ხატი დიდის ზარ-ზეიმით, საცეცხლურებიდან ასული საკმევლის ბოლში გახვეული, მოელვარე სამკაულებით გაცისკროვნებული, მღვდლების ამალის თანხლებით სიფრთხილითა და მოწიწებით ეკლესიიდან გამოიტანეს და იქვე კაკლის ხის ძირას დაასვენეს. შეკრებილნი პირჯვრის წერით მუხლებზე დაეცნენ...

ბლალოჩინმა დაიწყო:

— მამათ ჩვენო, ყოვლადწმინდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი, წმინდაო, მოიხილენ და განჰკურნე უძლურებანი ჩვენნი, სახელის შენისათვის...

— უფალო შეგვიწყალე!

გალობით გამოეხმაურა გუნდი. — უფალო შეგვიწყალე... უფალო შეგვიწყალე...

მუხლმოდრეკილ ხალხს ბლალოჩინმა ქადაგებით მიმართა:

— შვილნო ჩემნო! გაგახსენებთ გოლგოთის მთაზე მომხდარ უბედურებას. როდესაც იესო ქრისტეს ჯვარზე ლურსმნებით აჭედებდნენ, ის ავედრებდა თავის მტრებს და ამბობდა: „მამაო ჩემო! შეუნდე მათ, რადგანაც არ იციან, რასა სჩადიან“. და იესო ქრისტეს სახელით, მისი მოციქულის სახელით ვამბობ: მამაო ჩვენო, შეუნდე მათ, ვინც იზიარებს ღმერთისა და ტახტის წინააღმდეგ მქადაგებელთა აზრს, ვინც ფარავს მათ, არ ამხელს მათს ვინაობას, რათა მიეზღოთ ეშმაკის მსახურთ მისაზღვრელი, და ვიმეორებ მაცხოვარ იესოს სიტყვებს: „შეუნდე მათ, რადგანაც არ იციან რასა სჩადიან“. მე მოვიხადე ვალი ჩემი, — მოგაგონეთ ქრისტეს ეს სიტყვები. — თქვა რამიშვილმა და მერე თითქოს ყველა იქ დამსწრეს ცალ-ცალკე მიმართავსო, განაგრძო: — ანათემა შენ, ღმერთმა დაგწყევლოს, შეგაჩვენოს, გაგისკდეს მიწა და გენიამ გშთანთქოს, არ დაგენახოს ცის სინათლე, დედის წყევლად შეგერგოს სმული და ჭმული...

აქ ბლალოჩინმა შეამჩნია, რომ მუხლმოდრეკილთაგან ბევრს ფერი ეცვალა, ამიტომ ექსტაზში შესულმა განაგრძო:

— თუ იმ ავსულთა და ანტიქრისტეთა მფარველი ხარ, ერთი გზა ღა დაგრჩენია — შენს სულში ჩასახლებულ ეშმაკისაგან განთავისუფლების თხოვნით მიმართო ყოვლისშემძლე ლომისკარელის ხატს. ის ხომ საშუალებაა ზეციურ სასუფეველთან ლოცვის დამყარებული ურთიერთობისა, მისგან ჩვენზე გადმოეფინება ღვთიური მადლი, მოწყალება და ლოცვა-კურთხევა, უთხარი ხატს სათქმელი და აღმაღლდი სულითა შენითა, ამინ!

— ამინ!

— ამინ!

— ამინ! — პირჯვრის წერით გამოეხმაურნენ მღვდლები და შეკრებილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა კი მიჰგვარეთ ხატს გზააბნეულნი შვილნი ქრისტესი! — გასცა განკარგულება ბლალოჩინმა. მთავარმა ანაფორიდან სია ამოიღო და დაიწყო გვარების ამოკითხვა. ვისაც დაასახელებდა, იმ მღვდლის თანხლებით, რომლის მრევლსაც ის მიეკუთვნებოდა, მიდიოდა ხატთან, მუხლს მოიდრეკდა და უნდა გული გაეხსნა — დაესახელებია ღმერთისა და მეფის გადამდგართა გვარები...

ხატთან ყაბალახიანი ახალგაზრდა მივიდა. თავი სწრაფად იშიშვლა, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა, ხატს თამამად შეხედა და თქვა:

— ვფიცავ შენს ნათელ სახელს, არაფერი ვიცი სუპოსტატების შესახებ! — მერე სწრაფად წამოდგა და იქაურობას გასცილდა.

ახლა ხატთან პირქვე დაემხო ძონძებში გახვეული მოხუცი. დიდხანს თავის ალებას ვერ ბედავდა. მის გვერდით მდგომმა მღვდელმა შენიშნა:

— ნუ გეშინია, მათე, შეხედე ხატს, ის ყოვლის შემძლეა და სულგრძელი...

გაფითრებულმა და აკანკალებულმა, როგორც იქნა თვალებში ჩამდგარი შიშით შეხედა ხატს, პირჯვარი გადაიწერა და რალაც თავგანწირვით შესძახა:

— მაპატიე ცოდვილს... არაფერი ვიცი...

— სცრუობ ... — უცებ ჩაესმა ყურში... შემკრთალმა და დაბნეულმა ხატს მზერა მოსწყვიტა და კაკლის ხეზე გადაიტანა, რომელთანაც ხატი იყო დასვენებული. მას მოეჩვენა, თითქოს ფოთლები შრიალით გაიძახოდნენ:

— სცრუობ, მოხუცო... სცრუობ!

— არ ვიცი... არაფერი ვიცი... — თითქოს შეეკამათაო, გაიმეორა მან... მაგრამ ეს რა მოხდა?! ყველა აქ დამსწრეთ შეძრწუნებულებმა და შეშინებულებმა აშკარად დაინახეს, როგორ გაირბინა სინათლის სხივმა ხატსა და საყდრის სამრეკლოს შორის და გამოსახულ წმინდანს თვალები რისხვად აუნთო. მოხუცს აქ, ეტყობა, გონება დაებინდა, კრუნჩხვები დაეწყო...

— ღმერთო, მომიტევე! — შეჰღაღადა უბედურმა, — ეს ჩემი შვილი ქაცვიაა. მერე თავში ხელი წაიშინა და შეჰყვირა:

— ვაი, შვილო! მაპატიე, დაგღუპე საკუთარმა მამამ! წამოდგა და ჩაღენილი ბოროტებით დამძიმებული, ბარბაცით ხალხისკენ გასწია...

— ბეჩავი...

— საწყალი...

— შეხე, როგორ გატეხა ხატმა უბედური, — საკუთარი შვილი გააწირვინა. — გაისმა ირგვლივ...

ხატთან ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი დაიბარეს. მან ჯერ ხანჯალი შემოიხსნა და ამხანაგს გადასცა, მერე თამამად შეხედა ხატს: — „ვფიცავ, არაფერი ვიციო“, თქვა და გაეცალა...

— ეს ცინცაძეა, ცინცაძე, მტრისას, თუ ვინმე თვალში არ მოუვა!— შეიქნა ხალხში მითქმა-მოთქმა.

როცა ხანჯალი ამხანაგს გამოართვა, ვიდრე წელზე შემოირტყამდა, ქარქაშიდან ამოიღო, ჰაერში შეათამაშა, თითქოს ვილაც უხილავს თავი მოჰკვეთაო, და უკან ჩააგო. ამ დროს ისე შეხედა ბლალოჩინს, რომ მას ფერი ეცვალა, მიხვდა, — ეს მზერა კარგს არაფერს უქადდა...

...მოხუცებულმა მშობლებმა ხატთან ხელკავით გამხდარი, ფერწასული, ეტყობოდა, ახლადნაავადმყოფარი მიიყვანეს. თავი ბანდით ჰქონდა გადახვეული.

დაიჩოქა...

— იესო ქრისტეს სახელით, ამ ყოვლისშემძლე ხატის სახელით გეკითხები, ვის იცნობ იმ სუპოსტატებისგან, რომლებიც ხალხს ამხედრებენ, ჰკუას უმღვრევენ.

ვაჟს თავი ჩაექინდრა და ხმას არ ილებდა, ხატს მზერას არიდებდა.

— თქვი, შვილო, თუ რამ იცი, — შეევედრა დედა, — ამ ხატმა სიკვდილს გადაგარჩინა. თუ არა ლომის-კარელი, შენ აღარ გვეყოლებოდი, მზე დაბნე-

ლებული დარჩებოდნენ შენი მშობლები...

— არ გააჯავრო, შვილო, ხატი, — დედას გამოეხმაურა მამა, ჯერ თავად გადაიწერა პირჯვარი, მერე შვილს გადასწერა.

ვაჟი დუმდა.

— დედა შემოგევლოს, არ განარისხო ხატი, არ გაგვაუბედურო, შეხედე ხატს, შვილო.

ახალგაზრდამ რაღაც უცნაური სევდით სავსე თვალები მიაპყრო მშობლებს და კვლავ არაფერი თქვა...

— შეხედე, შვილო, ხატს და ის გიხსნის გაჭირვებისგან, — კვლავ დაიწყო მამამ,—ის შენს უნებურად გათქმევინებს ყველაფერს, რის თქმასაც ვერა ჰბედავ... შეგინდობს ცოდვას, გაგიწმენდს სულს...

თითქოს ამ რჩევამ ძალა მოაკრეფინა, ვაჟმა ხატს მზერა მიაპყრო და ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— ეს ჩემი ძმა ტრიფონაა...

ამის გაგონებაზე მშობლები სახტად დარჩნენ. წამიც და დედა მიწაზე გულწასული დაენარცხა... მამა აქვითინდა და თავში ხელები წაიშინა. ხალხი მისცვივდა ამ უბედურებს და ძლივს მოაცილეს იქაურობას...

ერთი ჩოჩქოლი ატყდა, როცა ხატთან ლამაზმა გოგონამ დაიჩოქა. უბედური მთელი სხეულით ცახცახებდა, ხატს თვალებს არიდებდა. მღვდელმა იცოდა გამრავლებისა და შვილიერების რა დიდი კულტიც არსებობდა საქართველოში, განსაკუთრებით გურიაში. ამიტომ ყველაზე საშიში, რაც უნდა დამართოდა ქალს, ეს უშვილობა იყო. ამიტომაც ასე მიმართა ახალგაზრდა ქალს:

— შენ იცი, შვილო, ციცინო, რაც მოგელის, თუ ხატს უღალატებ, შენი ჭიჭვი ამოვარდება, უძიროდ გადაშენდები, კერიე გაგიცივდება...

ქალი ხმას არ იღებდა, თრთოდა, ხატისკენ გახედვისა ეშინოდა.

— თქვი, თორემ ხატი პატიებას გადაიგუნებებს და მაშინ არ აგცდება უძირშვილობა...

ქალი მწარედ აქვითინდა, შეშინებული და შეძრწუნებული იდგა და, თითქოს შველას მოითხოვსო, ხალხისკენ მუდარით იხედებოდა.

— ეხსენით ამ საბრალოს! — შეჰყვირა ვიღაცა ახალგაზრდა კაცმა, — ნუ აწამებთ! მან იცის, რომ ეს მე ვარ. ხალხს მიტინგზე ვუხმობ. ახლაც ვიძეორებ: ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას! — შესძახა ეს ვაჟმა და გაუჩინარდა.

ყველამ იცნო კარპეზი, გოგონას საქმრო, „ბუნტის“ ერთ-ერთი მოთავე...

ხატს მტკიცე ნაბიჯით ჭარმაგი მამაკაცი მიუახლოვდა, აპრეხილ ულვაშებზე ხელი გადაისვა, მუხლი დინჯად მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხატს მდუმარედ მიაჩერდა, ისე, თითქოს დამუნჯდა, რაღაცის თქმა უნდა და ხმას ვერ იღებსო, ხელების სავსავი დაიწყო... მღვდელმა გადაწყვიტა წამოხმარებოდა:

— ღმერთმა გიხსნას შეცდომისაგან, რამეთუ გაქვს კადნიერებაი მისსა მიმართ, რომლისა მკერდსა მიეყრდენ, ევედრე, რათა ნისლი ცოდვათა ჩვენთა განაქარვოს და მოგვანიჭოს ჩვენ დიდი წყალობა...

მოხუცმა ჯერ მღვდელს შეხედა, შემდეგ ისევ ხატს და ყელში წაივლო ხელი, მერე თმებზე გადაისვა და ხმამაღლა შესძახა:

— ვფიცავ შენს ნათელ სახელს: სატანის მსახურნი სტაროსელსკი და ყიფშიძეა. ხალხში არაჩვეულებრივი დაძაბულობა ჩამოვარდა.

— რომელი სტაროსელსკი და ყიფშიძე? — გამოეხმაურა ბლაღოჩინი.

— გუბერნატორი და მისი მოადგილე — თითქოს და დიდი წვალებით ამოღერღა მოხუცმა.

— რას ამბობ, ეს ხატი გალაპარაკებს თუ სატანა, ხომ არ სცოდავ? — დაუჯერებლად მოეჩვენა ნათქვამი რამიშვილს, — კიდევ კარგად დააკვირდი ხატს!

— დიახ, ამ ლომის-კარელის სახელს ვფიცავ, რომ გუბერნატორი და მისი მოადგილე ფიცის გამტეხნი და მოღალატენი არიან. — გაიმეორა მან.

ძნელი მისახვედრი გახლდათ, ეს მოულოდნელი იყო ბლაღოჩინისათვის, თუ...

ამის შემდეგ ხატზე დასაფიცად გამოძახებულმა ოზურგეთელებმა ერთიმეორის მიყოლებით იუარეს, „არაფერი ვიცით“, „არავის ვიცნობთ მქადაგებელსა და მოთავესო“...

ამ ერთსულოვნებამ დააბნია ბლაღოჩინი, გააკვირვა კიდეც... მერე გადაწყვიტა რაღაც ეღონა და ამიტომ, როცა ოზურგეთის სკოლების ზედამხედველმა დიომიდე შილაკაძემ მისი მრევლის ბოლო წარმომადგენელი, ღრმა მოხუცი ფილიმონი, ხატთან მიიყვანა და მასაც, თანასოფლელებივით ყველაფერი უნდა ეუარა, აქ ბლაღოჩინმა იგი შეაჩერა:

— მოიცა, ისმინე ხმა ღვთისა, — თქვა მან და ცას ახედა. აქ უკვე მავ ღრუბლებს მოეყარათ თავი. რამიშვილმა, თითქოს თავად მაღალ ღმერთს მიმართავსო, ხელები ზეცად აღაპყრო და შეჰღაღადა:

— გახსოვს, უფალო ჩემო!, როცა იესო ქრისტე ჯვარს აცვეს, იყო შუადღე, უცებ მზე დაიჩრდილა და ჩამოწვა უკუნეთი... იესო ქრისტემ თქვა „აღსრულდა“ და ხმამაღლა შეჰღაღადა: „მამაო! შენ განდობ ჩემს სულს“. დახარა თავი და განუტევა სული. იმავ წუთს მიწა იძრა და ფარდა ტაძრისა გაირღვა ორად, და კლდეები დასკდნენ, საფლავები გაიხსნა და მრავალი გვამი წმინდანებისა აღსდგნენ, გამოვიდნენ საფლავებიდან. ამ დროს თითქოს მართლაც ცა შუაზე გაიპო, ელვამ გადასერა ზეცა და ქუხილის გაბმულმა გრგვინვამ შეარხია მიწა, გადაუარა იქაურობას. დამსწრენი მუხლებზე დაეცნენ და გამალებით პირჯვრის წერა დაიწყეს, ლოცვით ღმერთს შეჰღაღადებდნენ მიეტევებია ცოდვები...

— ...და აი, ისინი, წმინდანები, — ბლაღოჩინმა ხატთან დაჩოქილ ფილიმონს მიმართა, — შენს გარშემო არიან, მოგიწოდებენ აღსარებისაკენ: იყო ხატთან გულწრფელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი დაბნეული მისჩერებოდა ხატს, მერე აკანკალებული ხელები თვალებზე აიფარა, რომ არ დაენახა, როგორ მიიჩქარიან მისკენ გალავანში გახსნილ საფლავებიდან ამოსული გვამები, უბედურმა მეტის ატანა ველარ შეძლო, უნდა გაეცა სიყრმის მეგობარი, ეთქვა, — მეფის მოღალატეო სიმონა, მაგრამ ამ დროს ანაზდად ყურში ჩურჩული ჩაესმა. ეს მღვდელი დიომიდე იყო.

— ხატთან მოლაპარაკებული ვარ, — ეუბნებოდა იგი, — ვილოცე შენი სულის შესანდობლად, ვთხოვე და ისიც დამეთანხმა, შენ არაფერს გერჩის, ნუ გეშინია, არავინ არ გასცე...

მოხუცმა თვალებიდან აცახცახებული ხელი მოიცილა და რომ დაინახა მღვდლის თეთრი თმით შემოსილი გასხივოსნებული სახე, მისი კეთილი, თანაგრძნობით სავსე თვალები, ამ დროს ის მფარველ ანგელოზად მოეჩვენა და მთლად გაბედულად თუ არა, მაინც დასძლია შიში და ამოილუღლუღა:

— ვფიცავ შენს სახელს, ლომისკარელო ხატო, არაფერი ვიცი... თქვა ეს ერთხელ კიდევ, დამფრთხალმა მიმოიხედა, პირჯვარი გადაიწერა და ხალხში სწრაფად გაერია...

დიომიდე შილაკაძემაც თავისუფლად ამოისუნთქა — არც ერთმა მისი მრევლიდან არავინ გასცა, არავინ დაასმინა და არავის უღალატა...

მაგრამ მოხდა ისე, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ თავად მღვდელი დააპატიმრეს რომელიც საპყრობილეშივე გარდაიცვალა.

სურებში მომხდარმა ამბავმა ფრიად აალელვა და დააფიქრა კომიტეტელები. ხუმრობა ხომ არ იყო, „ხატის ძალით“ ბევრი თავდადებული მებრძოლი „მქადაგებელი“ და მიტინგების ორგანიზატორი დააპატიმრეს და ციხეში ჩააგდეს, ზოგიც ციმბირის გზას გაუყენეს...

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით კომიტეტმა დიდი მსჯელობა გამართა იმის თაობაზე, თუ რა საწინააღმდეგო ზომები მიეღოთ.

— ცხადია, რომ ვერ შევძლებთ ხალხში რელიგიის, ამ უდიდესი ძალის, სწრაფად დაძლევას, მის ამოძირკვას, — დაიწყო ფილიპემ და დამსწრეთ ყურადღებით მოავლო თვალი, — მაგრამ ისიც ცხადია, რომ რევოლუცია მისგან დიდ ზარალს განიცდის. სასწრაფოდ რაღაც უნდა ვიღონოთ...

— მართალია, — გამოეხმაურა სერგო, მაგრამ რა ვიღონოთ, აი, საკითხი. ხატზე დაფიცების რიტუალს ისეთი ოსტატობით აწყობენ, რომ როგორც იქ დამსწრე ჩვენი ამხანაგები ჰყვებიან, მარტო დაჯერებული ათეისტი თუ დაეჭვდება ხატის ზეძალაში.

— ამბობენ, ის სულგაყიდული ბლალოჩინი რამიშვილი ამინდსაც კი არჩევსო, — დაიწყო მიხომ, — ჭექა-ქუხილს ხატის რისხვად ასაღებსო. ვიღაცა საძრეკლოზე დაუსვია და იქიდან სარკით ხატზე ათინათებს ათამაშებს, და ხალხს მთლად ტვინს ურევს და აგიჟებსო.

— კი მაგრამ, ის ოხერი მოხუცი მე და ბატონ ყიფშიძეს რაღას გვერჩოდა? — სიცილით ჩაილაპარაკა ვლადიმერ სტაროსელსკიმ, — მე მახსოვს, როცა ჩემს სახელს ხატზე ლოცულობდნენ... ახლა კი გადამიდგნენ...

— ეგ თქვენი ეგრეთწოდებული მეგობრების დამსახურებაა, შირინკინის უწყებიდან. — შენიშნა ტოგომ, — მართალია, შეეცდებიან ამ ფაქტების თქვენს წინააღმდეგ გამოყენებას, მაგრამ ხალხის თვალში ეს მეტ სარგებლობას მოგიტანთ.

— მაინც რა ვიღონოთ? — არ ეშვებოდა დასმულ კითხვას ფილიპე, — ჯერ ერთი, ხალხს უნდა განუმარტოთ მღვდლების ოინბაზობა, მაგრამ ეს, ცხადია, საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, იმ „პოლიციის აგენტის“ — ლომის-კარელის ხატის ნამეტანი სჯერათ...

— ხატი დაუყოვნებლივ უნდა მოვსპოთ! — შენიშნა ვიღაცამ.

— არა, მოსპობა არ ივარგებს, რაც არ უნდა იყოს, ხელოვნების იშვიათი განძია.

— მაშინ მოვიტაცოთ და სადმე გადავმალოთ!

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ხატის ამბავმა ჩვენ სხვა რამეშიც დაგვარწმუნა. თუ მისი „ძალით“ ჩვენთან ბრძოლაში მტერი სარგებლობს, რატომ არ გამოვიყენოთ ჩვენც იგი, როგორც დროებითი იარაღი მათ წინააღმდეგ, ვიდრე ხალხს გავათვითცნობიერებთ, ათეისტურად განვაწყობთ, მაგალითად ფიცის დადებისას და სხვა რიტუალებისას?!...

— არ გამოდგება, ეს ჩვენს იდეოლოგიას ეწინააღმდეგება, — კატეგორიულად უარყო წინადადება ვიღაცამ.

— ის, რაც რევოლუციურ ბრძოლას ოდნავადაც არგებს, ყველაფერი მის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ, — არ დაეთანხმა მეორე, — მტრის თოფებსა და რევოლვერებს ხომ კარგად ვიყენებთ... ხატიც იარაღია...

— აქ ორი აზრი არ არსებობს, „ხატის ძალა“ იქნება თუ ეშმაკის, ყველაფერი ჩვენი საერთო საქმის გამარჯვებისათვის უნდა გამოვიყენოთ! — დაასკვნა შეკრებილებმა.

* * *

ფოთელები იმ დეკემბრის დილით გაოცებულნი უყურებდნენ, მუსიკითა და სიმღერით როგორ სტოვებდნენ ქალაქს ადგილობრივი პოლიციის რაზმები და პალიასტომის ტბისაკენ გეზს იღებდნენ.

— რაშია საქმე? რა მოხდა ამ დილაადრიან? სიმღერისა და მუსიკის ხასიათზე რომ დამდგარან? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს გაოცებული მოქალაქენი.

— ამბობენ, მანევრები აქვთო.

უჩვეულო აღმოჩნდა ეს დღე პორტშიც. ცვლა დამთავრდა, მაგრამ მუშები სახლებში წასვლას არ ჩქარობდნენ. მალე აქ სახალხო მილიციის მებრძოლებიც გამოჩნდნენ. ისინი აქაურობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედვნენ და წინასწარ დათქმული ადგილები დაიკავეს.

ცხადია, რომ ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩა საბაჟო და პორტის დაცვისათვის. მაგრამ რა მიზნით ხდებოდა ეს, ვერ მიმხვდარიყვნენ. მათ მიერ გაგზავნილ მზვერავებს იქვე აპატიმრებდნენ მუშები და რაზმელები. მალე მათ ყაზარმას შემოარტყეს ალყა და გამოუცხადეს, რომ ყველა ისინი დატყვევებულნი არიან, თუ კი ვინმე გამოსვლას გაბედავს, სიკვდილს არ გადაურჩება. რა გაეწყობოდა, ისინიც დამორჩილდნენ. ამრიგად, ჩაფიქრებული ოპერაციის პირველი ეტაპი წარმატებით დაგვირგვინდა. იმ წამსვე ნანატრი ტვირთით უცხოეთიდან ჩამოსულ რეიდზე მდგომ გემისკენ ოთხი ბარკასი სწრაფად გაეშურა. მალე იარაღით დატვირთული პირველი მათგანი უკან დაბრუნდა და მწკრივში ჩამდგარმა ექვსასმა კაცმა იარაღის სასწრაფოდ გადმოტვირთვა იწყო. მის ნაწილს იქვე, მოსახლეობას ურიგებდნენ. ის-ის იყო შაშხანებითა და ვაზნებით დატვირთული უკანასკნელი ყუთები გადმოტვირთეს, რომ გაისმა შეძახილი:

— კაზაკები!

ცხენებით მოქროდნენ პორტისაკენ ქალაქში განლაგებული ხერსონის კაზაკთა ბატალიონის ჯარისკაცები. ეტყობა, ვიღაცამ შეატყობინა გემიდან იარაღის გადმოტვირთვის ამბავი. მათ ალყა შემოარტყეს პორტსა და მის მიმდებარე მუშათა კვარტალებს. მაგრამ ოპერაციის მონაწილეებმა შესანიშნავად იცოდნენ პორტის ყველა კუთხე-კუნჭული, ხვრელი, შესასვლელ-გამოსასვლელი. ისე, რომ ჯარისკაცების თვალწინ თითქოს მიწამ პირი უყოო, სადღაც გაუჩინარდნენ.

ქალაქში საყოველთაო ჩხრეკა და დაპატიმრებები დაიწყო. ჩამოართვეს რვაასი შაშხანა და ვაზნებით სავსე ორმოცდათოთხმეტი ყუთი, თითო მათგანი ხუთ ფუთს რომ იწონიდა. მაგრამ აღმოჩენილი ცარიელი ოცდაათი ყუთი იმას მოწმობდა, რომ ექვს[illegible] მეტი სადღაც გაქრა.

მთელი ღამის განმავლობაში ჟანდარმერია და სასაზღვრო დაცვა ამაოდ ცდილობდნენ დანარჩენი სამი ბარკასის ადგილმდებარეობის დადგენას. საქმე იმაში გახლდათ, რომ როცა ნავთსადგურში სროლა ატყდა, მათ სწრაფად იბრუნეს პირი და ღია ზღვაში გავიდნენ. მხოლოდ გათენებისას პორტში შემოსული ერთ-ერთი გემის ეკიპაჟმა მოიტანა ამბავი, რომ გზაზე გუდაუთისკენ მიმავალი ბარკასი შემოხვდათ. მას სასწრაფოდ სამხედრო გემი გამოედევნა, მალე რედუტ-კალესთან დაეწია და დაატყვევა. ცნობა მოვიდა, რომ მეორე ბარკასი გუდაუთას გასცდაო. აქ ჩამოსულმა ჟანდარმებმა დაიწყეს ძებნა გემის პატრონისა, რომელიც მის დაკავებაში მონაწილეობას იკისრებდა. ასეთ მისიას სხვადასხვა საბაბით თითქმის ყველამ თავი აარიდა. ძირითადად თავიანთი გემების გაუმართაობას იმიზეზებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი პატარა, მაგრამ სწრაფმავალი გემის მფლობელი ბოსერია დახარბდა დიდ გასამრჯელოს და დათანხმდა.

ის იყო ზღვაში გავიდნენ და მალე ჰორიზონტზე იარაღით მძიმედ დატვირთული ბარკასი შეამჩნიეს და გამოედევნენ. იგი დიდ სიჩქარეს ვერ ავითარებდა, ამიტომაც სულ მალე მდევრები წამოეწიენ. ჟანდარმებმა ნიშანი მისცეს, შეჩერდითო. საპასუხოდ ბარკასიდან სროლა ატეხეს. მისი მოძველებული ძრავა ძლივს „სუნთქავდა", სულს ღაფავდა, აშკარა იყო, რომ ცოტაც და მტერი მას ხელში ჩაიგდებდა, ამიტომ კურსი ნაპირისაკენ აიღეს. იმედი ჰქონდათ, რომ ზღვისპირა ტყეში თავს შეაფარებდნენ. ამას მოახერხებდნენ კიდეც, მაგრამ შორიახლო მყოფ საპატრულო გემზე „დონეცკზე" როცა სროლის ხმა გაიგეს, განგაში გამოაცხადეს და ზარბაზნის გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ მან ბარკასს გზა გადაუჭრა. მართალია, შეიძლებოდა სიჩქარის მოგების მიზნით იარაღის ზღვაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაყრა, მაგრამ აქ ასე განსაჯეს: არაუშავს რა, მტერს თუ ჩაუვარდება, მერე მას მაინც გამოვტაცებთ და უკან დავიბრუნებთო. ამიტომ გადაწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დანებებულიყვნენ. ჟანდარმებმა იარაღის კონფისკაცია მოახდინეს...

მეორე დღეს პორტის ტრაქტირში მაგრად შექეიფიანებული ბოსერია შევიდა.

— აბა, კოწია, — უბრძანა ოფიციანტს, — ყველას სამ-სამი ბოთლი ღვინო მიართვი, მე ვპატიჟებ.

როგორც კი კოწიამ ღვინო მიუტანა მათ, იმ წამსვე ერთდროულად იატაკზე დანარცხებული, დამსხვრეული ბოთლების ზრიალი გაისმა.

— რას შვრებით, ხომ არ გაგიჟდით! — წამოიძახა გაოცებულმა ბოსერიამ.

— იუდა ისკარიოტელის ღვინოს ღმერთი არ შეგვარგებს! მტკიცედ და მკაფიოდ წარმოსთქვა ტანადმა ახალგაზრდამ, მატროსის ზოლებიანი პერანგი რომ ეცვა და თეძოზე ვეება ხის ბუდეში მაუზერი ეკიდა. მან უწინაფრო ქუდი დაიხურა, ბუშლატი ყველა ღილზე შეიკრა, ადგა და მრისხანედ განაცხადა:

— რევოლუციურმა სასამართლომ, გუშინ ფოთში რომ შესდგა, შენ, მოღალატე ბოსერია, რევოლუციის მტრების თანადგომისათვის სიკვდილი მოგისაჯა. განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ის საბოლოოა და უნდა აღსრულდეს პირველ შესაძლებლობისთანავე.

ბოსერია ერთბაშად ვერ გაერკვა ვითარებაში, მაგრამ ნელ-ნელა მის ღვინით დახშულ გონებას მისწვდა, რომ აქ ხუმრობისათვის არავის სცალოდა. სცადა გულის გამაგრება და თავხედურად გაიღიმა.

— რა სისულელეს ჩმახავ?! მე რა შუაში ვარ? დიდ უარზე ვიყავი, მაგრამ რა უნდა მექნა, როცა დამაძალეს, — ეს სთქვა და კარებისკენ დაიხია. მეზღვაურმა ანიშნა და მაგიდიდან წამომდგარმა ორმა მისმა ამხანაგმა ბოსერიას უკან დასახევი [illegible]. აქ მისთვის აშკარა გახდა, რომ ცოცხალი აქაურობას თავს ვერ დააღწევდა. დაუოკებელმა შიშმა აიტანა, წამს გამოფხიზლდა და დამსწრეთ შეჰღაღადა:

— ძმებო, რას ამბობს ეს? რის სასამართლო, რა სასამართლო! თქვენ გამასამართლეთ, მე ხომ ყველა კარგად მიცნობს... კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეკრებილთა მოღუშულ და მრისხანე სახეებს რომ მოავლო თვალი, ხმა ჩაუწყდა, მიხვდა, რომ მისი აღსასრულის ჟამი დამდგარიყო. მუხლებზე დაეცა, თავის „გამოსყიდვა“ სცადა, ჯიბიდან ფულის დასტები ამოიღო და იატაკზე მიმოფანტა.

— სულ თქვენი იყოს, რევოლუციას ვწირავ... მერე შიშისაგან გადმოცვენილი თვალების აქეთ-იქით ცეცებით შეკრებილებისაკენ გახოხდა და მუდარით ხელებაპყრობილმა მიმართა:

— თქვენ გენდობით ბიჭებო, თქვენ გამასამართლეთ, ძმებო!...

— ხომ გითხარი, განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებამეთქი, — მოკლედ მოუჭრა მეზღვაურმა, — მაგრამ მაინც ვკითხოთ ამხანაგებს: ვინაა იმის მომხრე, რომ ბოსერია მოღალატედ ჩაითვალოს?

ყველამ ასწია ხელი.

— რევოლუციის სახელით! — თქვა მეზღვაურმა.

სროლის ხმა და არაადამიანური შეძახილი ერთმანეთს შეერწყო...

* * *

პეტროგრადიდან და განსაკუთრებით მოსკოვიდან მოსულმა ცნობებმა პროლეტარიატის ჯარებთან სისხლისმღვრელი შეტაკების შესახებ ახალი რევოლუციური აღტყინება ქუთაისის გუბერნიაშიც გამოიწვია...

ბელოგორში განლაგებულმა თენგინთა ასეულის უფროსმა ქუთაისიდან მიიღო საიდუმლო მითითება სასწრაფოდ გასულიყვნენ ყვირილასაკენ და შეერთებულიყვნენ აქ მყოფ მეორე ასეულთან. მერე ორივე ქვეგანაყოფს ყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილას ხაზინაში შენახული დიდი თახხა და სხვა ფასეულობა, იმის გამო, რომ აქ დაცვა სანდო არ იყო, უნდა გამოეტანათ და ქუთაისში ჩასულიყვნენ...

— არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში! — გაიმეორა სტაროსელსკიმ და ნერვიულად უკან მიუგდო გენერალ შიშკოვსკის ბრძანება თეხგინთა ამ მანევრის შესახებ, — ეს ყველაფერი მე ზედმეტად მიმაჩნია.

გუბერნატორის ასეთმა უხეშობამ გენერალი შეაცბუნა, გული მოუყვანა, გაფითრდა. ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ ეს შენიშნა და იქვე დაუყვავა:

— თქვენ, ძვირფასო მიხაილ ვასილიევიჩ ერთ-ერთი იმ სამხედროთაგანი ბრძანდებით, ვისაც შესანიშნავად და მთელის სიღრმით ესმის დღევანდელი მოვლენების არსი.

— უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემს მდგომარეობას გაუწიოთ ანგარიში. — აქ შიშკოვსკიმ დოკუმენტზე მიუთითა, — ამ ასეულების შეერთების თაობაზე ცენტრის მკაცრი მითითებაა. მან უნდა გააძლიეროს ყვირილას ხაზინის დასუსტებული დაცვა, სადაც ამჟამად საკმაოდ დიდი თანხა ინახება. ისინი ამ ფულს ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში გადაიტანენ.

— ეს ყველაფერი ზედმეტია, გაუმეორა გუბერნატორმა, — სარდლობა უნდა დაარწმუნოთ, რომ ამით ადგილობრივ ძალებს ვასუსტებთ.

— საქმე იმაშია, რომ სამეფისნაცვლოში ცნობილი გახდა რევოლუციონერების მიერ ყვირილაში პოლიციელების დაცვის განიარაღების ფაქტი.

„ცნობილი გახდაო“ ეს ისეთი ტონით წარმოთქვა გენერალმა, თითქოს ეს ცნობა თავად არ გააგზავნა და მისი წინადადებით არ ხდებოდა თენგინელთა ასეულების დღევანდელი მანევრი.

— მერე რა? — გააწყვეტინა სტაროსელსკიმ, — განა რაზმელები საიმედოდ არ იცავენ ხაზინას?

— ეს მართალია, მაგრამ სარდლობა თვლის, რომ არავითარი გარანტიები არ არსებობს...

— გარანტია ის არის, რომ ფული ხაზინაშია და ვერავინ გაბედავს მის ხელყოფას. — დაასკვნა სტაროსელსკიმ.

— მე უკვე გავეცი ბრძანება თენგინელთა დისლოკაციის შეცვლის თაობაზე, — შენიშნა გენერალმა. ხოლო იქ მე-16 საგრენადრო სამეგრელოს ასეულიც რომ გააგზავნა, ამის მოხსენება რატომღაც არ მოისურვა.

— მაშინ მე რას მითანხმებთ, თუ ყველაფერი წინასწარ ისე გაგიკეთებიათ, როგორც თქვენ გსურდათ, — დაუფარავი წყრომით შენიშნა გუბერნატორმა და იქვე დასძინა: — მე მაინც მოვალედ ვთვლი თავს, გაგიზიაროთ ჩემი ეჭვი, რომ ეს თქვენი და თქვენი უფროსების გადაწყვეტილება ბოლოს მცდარი არ გამოდგეს, ვშიშობ, ამ ღონისძიებამ სარგებლობის მაგივრად რამე ზიანი არ მოგვაყენოს...

გენერალმა არაფერი უპასუხა, დოკუმენტი კვლავ საქაღალდეში ჩადო, თავი დაუკრა და სწრაფად გავიდა...

შუადღე იყო, როცა ყვირილას რკინიგზის სადგურის ქვის შენობის ერთ-ერთ ნაწილში, სადაც ჩვეულებრივ კონდუქტორთა ბრიგადა იმყოფებოდა, თენგინთა განლაგებულ ასეულს ადგილობრივი ფოსტის მუშაკი ეწვია და უფროსი იკითხა.

— ბატონო! — უთხრა მან, — თქვენ ბელოგორის ასეულის უფროსი გთხოვთ ტელეფონთან. კაპიტანი გაჰყვა მას. ის-ის იყო საფოსტო შენობაში შევიდნენ, რომ ოფიცერს მოულოდნელად ვილაცამ ფეხი გამოსდო, და იატაკზე დაანარცხა. მერე სამი რაზმელი უცებ ზურგზე შემოაჯდა, იარაღი აჰყარეს და გაბაწრეს.

ცოტა ხანში ასეულში ისევ ის ფოსტის მუშაკი გამოცხადდა და აქ დარჩენილ მეორე ოფიცერს შეატყობინა კაპიტანი ფოსტაში სასწრაფოდ გიხმობსო. მასაც იგივე ბედი ეწვია.

მალე ყაზარმას სამასამდე თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული რაზმელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარს შემოერტყნენ. შეატყობინეს, რომ თქვენი უფროსები ტყვედ წაგიყვანეთო და წინადადებას გაძლევთ სამხედრო საჭურველი ჩაგვაბარეთ და თქვენც დაგვნებდით. ხანმოკლე სროლის შემდეგ, რომლის დროსაც ერთი ჯარისკაცი მოკლეს, ასეულმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და დანებდა.

იმავე დღეს ბელგოროდიდან ყვირილას მიმართულებით გამოსული თენგინელები გზაში ჩასაფრებულ წითელრაზმელებს შეეფეთნენ. ეს ოპერაცია რაზმელებმა ისე კარგად, წინასწარ მომზადებულად ჩაატარეს, რომ მიუხედავად გაწეული წინააღმდეგობისა, ცოცხალ ძალას არავითარი ზიანი არ მოსვლია, მტერს კი ასეულის მეთაური მოუკლეს, 25 კაცი დაუჭრეს და ასეული ხელთ იგდეს.

ორივე დატყვევებული ნაწილი სოფელ ჩიამურში დააბანაკეს. აქ მათ მოვლა-პატრონობა არ მოკლებიათ. მოსახლეობამ დაჭრილები სახლებში დაირიგა, უვლიდნენ კარგად, აპურებდნენ. ჯანმრთელი ტყვეები თავისუფლად დადიოდნენ...

...რაზმელები ყვირილას ხაზინას ყარაულობდნენ, როცა მათ მოულოდნელად სამეგრელოს მე-16-ე საგრენადერო პოლკის ასეული გამოეცხადათ.

— ჩვენ, — დაიწყო ასეულის მეთაურმა კაპიტანმა კალნიკოვმა, — მისი მაღალკეთილშობილების, მთავარსარდლის თანაშემწის გენერალ მალამას განკარგულებით მოვედით ხაზინის დაცვის გასაძლიერებლად. შემდეგ ფულს გადავიტანთ ქუთაისში, იქიდან კი თბილისში.

— ჩვენ დამხმარე არავინ გვჭირდება, — მოუჭრა წითელრაზმელთა მეთაურმა გორიანინმა, — ასე რომ საიდანაც მობრძანდით იქ წაბრძანდით.

— ჩვენ ბრძანებას ვასრულებთ!

— ეს თქვენი ბრძანება ჩვენთვის სრულიადაც არ არის სავალდებულო!

— ეს როგორ?

— უბრალოდ. ჩვენ საკუთარი უფროსები გვყავს.

— ვინ?

— საგუბერნატორო. გუბერნატორის პირადი ნებართვის გარეშე აქედან ფულს კი არა, კენჭსაც ვერ წაიღებთ — თქვა ეს გორიანინმა, დაიკუზა, კენჭი აიღო ხელში და შეათამაშა.

— ჩვენ ბრძანება გვაქვს და მას შევასრულებთ... ძალითაც კი! — გაცხარდა კაპიტანი.

შექმნილმა ვითარებამ აქ მყოფი ხაზინადარი სამბეკინი შეაშფოთა.

— ბატონებო, გთხოვთ ნუ ღელავთ, — ჩაერია ის კამათში და მიუბრუნდა რა კაპიტანს, განაგრძო, — თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ხაზინებსა და ბანკებს სამოქალაქო ხელისუფალნი განაგებენ. მიღებული დავალების შესასრულებლად ნამდვილად გუბერნატორის თანხმობაა საჭირო.

ამასობაში ხაზინასთან წითელრაზმელთა ახალმა ნაწილებმა მოიყარეს თავი. კაპიტნისათვის ცხადი შეიქნა, რომ ძალით აქ ვერაფერს გახდებოდა.

— სად არის აქ ტელეგრაფი? — იკითხა მან.

— ფოსტაშია, — და სამბეკინმა მეზობელ შენობაზე მიუთითა.

კაპიტნის შეკითხვაზე საგუბერნატოროში: „როგორ მოვიქცეთ“ პასუხს არ დაუყოვნებია. „ეს გაუგებრობაა, ფულის ხაზინიდან გატანას ვკრძალავ. — ეწერა დეპეშაში, — ხაზინის დაცვა ქუთაისის გუბერნიის ჯარების მთავარსარდლის შიშკოვსკის ბრძანებით თქვენ კი არა ყვირილაში განლაგებულ 77-ე ქვეითი თენგინის პოლკის ასეულს აქვს დავალებული. გუბერნატორი სტაროსელსკი“.

თენგინელების ხსენებაზე ბევრს აქ ლამსწრეთ ულვაშებში გაეღიმათ. ისინი დატყვევებულები გახლდნენ.

— ხომ გეუბნებოდით, არა ხართ-მეთქი საჭირონი. — ღიმილით შენიშნა გორიანინმა, — არაუშავს რა, პატარა გამოისეირნეთ, ახლა კი ის დროა, უკან დაბრუნდეთ!

— ამას ქვია, „პატარა გამოისეირნეთ“? რამდენი ვერსი მოვიტოვეთ

უკან. თუმცა, ტყუილად ხომ არა ვართ ქვეითი ჯარი. — ხუმრობითვე გამოეხმაურნენ ჯარისკაცები.

რაზმელებმა თავის მეთაურს რაღაცა გადაულაპარაკეს და რამდენიმე მათგანი სახლებისკენ გაეშურა.

მალე უკან დაბრუნდნენ ღვინის დოქებით, ჭაჭით სავსე ბოთლებით, სანოვაგით სავსე კალათებით. შესთავაზეს ჯარისკაცებს, დაგვეპატიჟეთო. ძათ უფროსს შეხედეს.

— მიეცით ბიჭებს უფლება წაიხემსონ. შობაა, — უთხრა გორიანინმა კალნიკოვს.

— რომ დაწამლონ — ეჭვი გამოთქვა კაპიტანმა.

— რას სულელობ, — გაბრაზდა გორიანინი, — გეტყობა ქართველთა სტუმართმასპინძლობისა არაფერი გაგეგება.

მალე ქეიფი გაჩაღდა. ნაწილის გარმონისტმაც თავი გამოიჩინა. ჯარისკაცებმა და რაზმელებმა წრე შეკრეს. ქართულ ცეკვას ენაცვლებოდა რუსული, უკრაინული, ბელორუსიული...

...ხაზინადარ სამბეკინის ოჯახი სუფრას უსხდა, როცა მის სახლს რაზმელი მხედარი მიუახლოვდა მარჭაფა ცხენით.

-- ქრისტე აღსდგა! ჩემო ბატონო! — ზრდილობიანად მიესალმა იგი მასპინძელს.

— ჭეშმარიტად! მიუგო მან.

რაზმელმა სამბეკინს წერილი გადასცა — ხაზინაში იწვევდნენ, თან სეიფის გასაღები წამოეღო. იგი შეშფოთდა:

-- რაშია საქმე! ხომ არაფერი მოხდა?

-- არა, ბატონო, ყველაფერი წესრიგშია.

— ტანეჩკა, -- მიმართა მან მეუღლეს, -- სტუმარს მიმიხედეთ, სანამ მე გადავიცვამ.

მალე სამბეკინი, რომელსაც ოჯახის წევრებმა შეშფოთებული მზერა გააყოლეს, ცხენზე ამხედრდა და რაზმელს გაჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზინაში მას ბუხჰალტერი[illegible] ისიც გამოეძახათ. ძალზე შეშინებული ჩანდა. სამბეკინმა აქ გარდა ნაცნობი რაზმელებისა რამდენიმე უცხო პირი შენიშნა, ჩანს, ქალაქიდან ჩამოსულიყვნენ.

— გამარჯობათ, ვასილ ვასილიევიჩ, — მიესალმა მას წითელრაზმელთა დაცვის უფროსი. — გეთაყვა, აბა ერთი სეიფი გაგვიხსენი.

სამბეკინმა დააპირა ეკითხა, ამ კვირა დღეს რისთვის დაგჭირდათ ესო, მაგრამ თავი შეიკავა. ადრე რაზმელთა მოთხოვნით ხომ არაერთგზის გაუხსნია და დაუკეტია ხაზინა. ამოიღო უშველებელი გასაღებების ასხმულა და მელოდიური ჟღარუნით ერთი მეორის მიყოლებით გახსნა სეიფის ლითონის მძიმე კარების საკეტები. რაზმელები და ქალაქიდან ჩამოსულები ასიგნაციების დასტების გადათვლას შეუდგნენ... ხაზინაში 201 635 მანეთი და 17 შეუვსებელი პასპორტი აღმოჩნდა. რაზმელებმა ბუხჰალტერს გასავლის წიგნი მოსთხოვეს და აღნიშნული თანხის მიღებაზე ხელი მოუწერეს. დარეტიანებული ხაზინადარი „დაამშვიდეს“.

— ეს ფული რევოლუციის საჭიროებისათვის ექსპროპრიირებულია, — ისე, რომ თავისუფალი ბრძანდებით, შეგიძლიათ სახლში წაბრძანდეთ.

თენგინელთა ორი ასეულის ასე ადვილად განიარაღებამ და დატყვევებამ, გრენადერთა ასეულის უკან გამობრუნებამ და აი, ახლად მოსულმა ამბავმა ხაზინის გაძარცვის შესახებ ქუთაისის სამხედრო სარდლობა საგონებელში ჩააგდო. განსაკუთრებით გონს ვერ მოსულიყო მათი უფროსი გენერალი შიშკოვი. „ვერ გამიგია! ეს როგორ მოხდა, რომ რევოლუციონერებმა გაიგეს ჩემი საიდუმლო ბრძანების შესახებ თენგინელებისადმი?! — დაბნეული ეკითხებოდა თავს იგი, — მერე და რა საოცარი სიზუსტით აღსრულდა ყველაფერი ისე, როგორც გუბერნატორმა ივარაუდა?!“.

შიშკოვსკიმ ტელეფონისტკას სთხოვა გუბერნატორი დამაკავშირეო.

— თქვენო აღმატებულებავ, უბედურება მოხდა! ეს-ეს არის პოლიციის სამმართველოს უფროსმა მომახსენა ყვირილას ხაზინიდან ფული გაიტაცეს! ხოპერთა ასეულის გაგზავნა მთხოვა!

— იქნებ შემოივლით ჩემთან, მიხაილ ვასილიევიჩ, მოვილაპარაკოთ, როგორ მოვიქცეთ!

— ახლავე გეახლებით, ხოპერლები ჩემი განკარგულებით უკვე დაიძრხენ ყვირილასაკენ.

სტაროსელსკიმ ყურმილი დადო, იქვე სწრაფად მოკლე ბარათი დასწერა და რაზმელს უხმო.

— ახლავე გადაეცი...

მან ბარათი ჩოხის კალთაში შიმალა და გაუჩინარდა.

გუბერნატორის კაბინეტში კი არ შემოვიდა ,ტყვიასავით შემოვარდა პოლიციის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი.

—თქვენო აღმატებულებავ, პატივი მქონდა თქვენთვის ადრე მომეხსენებინა ყვირილაში მოსალოდნელი დანაშაულის თაობაზე.

— მერე? რაც მოხდა, ეს ხომ თქვენი უნიათობის ბრალია, — მოუჭრა სტაროსელსკიმ.

— რანაირად? — გაოგნდა პოლიციელი.

— სულ უბრალოდ, მე ხომ გირჩიეთ ხაზინის დაცვაში რაზმელებთან ერთად ჩაფრებიც ჩააჩით-მეთქი. მაგრამ თქვენ დამარწმუნეთ, რომ ისინი არ დათანხმდებიანო...

ამ დროს კაბინეტში ხასიათწამხდარი გენერალი შიშკოვსკი შემოვიდა. სტაროსელსკი მას საყვედურებით შეხვდა.

— ეშმაკმა უწყის რა ხდება! ვისაც რა მოესურვება, იმას მოიმოქმედებს. არავითარი სუბორდინაცია, არავითარი პატივისცემა, ვერ გაიგებ, ვინ უფროსია და ვინ უმცროსი!

— მოწიტევეთ, თქვენო აღმატებულებავ, ამას ჩემზე ბრძანებთ? — ჰკითხა გენერალმა.

— დიახ, დიახ, სწორედ თქვენზე. გაგონილა ასეთი რამ? ადრე თეხგინელების დისლოკაციის შეცვლის თაობაზე მე ფაქტის წინაშე დამაყენეთ და ჩემი შეშფოთება და ეჭვი ყურად არ იღეთ, მერე ყვირილაში გრენადერები გამოცხადდნენ ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი. აი, ახლაც ისე, რომ არაფერს მეკითხებით, ჯარს აგზავნით პოლიციის სამმართველოს უფროსის განკარგულებით. — სტაროსელსკიმ პოლკოვნიკზე მიანიშნა და განაგრძო: — მან კი ისიც არ ინება, რომ პირველ რიგში ჩემთვის მოეხსენებია ეს ფრიად სამწუხარო შემთხვევები. ახლა კაცმა არ უწყის კიდევ რა უსიამოვნებას გადავეკიდებით.

— რა უნდა მოხდეს? — იკითხა გაოგნებულმა შიშკოვსკიმ.

— ის რომ თქვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ გზები ყვირილას მიმართულებით ბევრ ადგილას რაზმელების მიერ გადაკეტილია. კიდევ ერთი ნაჩქარევი გადაწყვეტილებით ასეულს დიდ საფრთხეში აგდებთ. შეიძლება თენგინელთა ამბავი განმეორდეს. გაუმართლებელი მსხვერპლი მოჰყვეს, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს აქცია გააბოროტებს მოსახლეობას, იგი მხარში აღარ ამოგვიდგება მძარცველების დაკავებისა და გატაცებული ფულის დაბრუნებაში. მიზანშეწონილად მიმაჩნია. დაუყოვნებლივ უკან გამოიწვიოთ ჯარი. მე კი სახალხო ხელისუფალთ მივმართავ დახმარებისათვის... — აქ სტაროსელსკი წამით შეჩერდა და შემდეგ დაასკვნა: — ამრიგად, გენერალო, შეასრულეთ ჩემი თხოვნა, გამოიწვიეთ ასეული.

— ეს უკვე შეუძლებელია, ჯარი კარგა ხანია რაც მარშზე გავიდა!

— მაშინ თუ რამე გართულება მოხდება, პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ ორივეს, მე კი ხელი დამიბანია. ვიმეორებ, იცოდეთ ტყუილუბრალოდ ხელმწიფის ერთგულ ჯარისკაცებს და-

ვკარგავთ და გატაცებულ სახელმწიფო სახსრებსაც ვერ დავიბრუნებთ.

დაახლოებით ასეც მოხდა.

შუაღამე კარგად გადასული იყო, როცა ხოპერთა ასეული გზის პირას მდგომ სამიკიტნოსთან გაჩერდა. რაზმის უფროსი ლარიონოვი შიგ შევიდა. აქ მოულოდნელად ბერდანით შეიარაღებულ გლეხს შეეფეთა. ოფიცერმა თოფი გამოსტაცა და დამტვრევის მიზნით იატაკზე რამდენჯერმე დაანარცხა, მერმე თოფმა იგრიალა და ლარიონოვი მუცელში დაიჭრა. კაზაკები მისცვივდნენ აქ მყოფთ და ყველანი თავიანთ ტყვეებად გამოაცხადეს. ხანმოკლე მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ და დაჭრილი უფროსი უკან ქუთაისში წამოეყვანათ. ასეც მოიქცნენ. გზაში კი ყველა ტყვე დახვრიტეს.

* * *

საგუბერნატოროს ორსართულიან შენობის სარდაფიდან ავარდნილმა ცეცხლის ალმა ღამის წყვდიადი თითქოს დაადნო და იქაურობა დღესავით გაანათა. ხანძარი ჯერ მეზობელ სახლებიდან შენიშნეს, სულ ცოტა ხანიც და ქუჩა ხალხით გაიჭედა.

— სტაროსელსკები! ალბათ სძინავთ, არაფერი იციან, უნდა შევატყობინოთ! — გაჰყვიროდა ვიღაცა.

— დაცვა უკვე მათთანაა! — აშშვიდებდა სხვა.

— ნამდვილად ვიღაცა არამზადამ წაუკიდა ცეცხლი...

— კი მარა, როგორ გამოვლენ სახლიდან, სადარბაზოში ცეცხლი მძვინვარებს.

— ეჰვსგარეშეა, მათი დაღუპვა ვიღაცას სწადია! — ბჭობდნენ შეკრებილნი.

ხალხი წყლით სავსე კასრებითა და დოქებით განზე გამორბოდა და სტაროსელსკებისათვის ქუჩაში გამოსვლის საშუალება რომ მიეცათ, ალმოდებულ სადარბაზოში ცეცხლის ჩაქრობას ლამობდნენ. საძინებელი ოთახები სახლის ეზოს მხარეს იყო განლაგებუ[illegible] დეიდა ამ დროს ბავშვების [illegible] ყოფებოდა, ავადმყოფ ადას ლოგინთან ეჯდა. ვლადიმერს ჩვეულებისამებრ ამ მძიმე და დაძაბულ დღეებში კაბინეტში ეძინა. მისი ფანჯრები ქუჩის მხარეს გამოდიოდნენ. ამიტომაც იქ ატეხილი ყიჟინა პირველად მის სმენას მისწვდა. და როცა თვალები გაახილა და კედელზე მოციმციმე ცეცხლის ათინათები დაინახა, საწოლიდან წამოხტა, ფანჯარას მივარდა და სწრაფად გამოაღო. ოთახში სიცივესა და ნესტთან ერთად ბოლი შემოიჭრა. იქ, ქვევით, არაფერი ჩანდა, მხოლოდ კვამლის შავი ბოლქვები ამოდიოდა, რომლებშიც ცეცხლის ენები ძლივს ატანდნენ. კარებზე ვიღაცამ რახარუხი ატეხა.

— ბატონო ლადო, ხანძარია!.. — წამოიძახა აღელვებულმა ბეგლარმა. აქვე იყვნენ კოსტია და რამოდენიმე რაზმელი. ბავშვების ოთახიდან ნადექდა გამოვარდა.

— რაშია საქმე? რა მოხდა?

— ხანძარია, ნადიუშა! სასწრაფოდ ჩააცვი ბავშვებს... — დასძლია რა მღელვარება, წყნარად, ისე რომ მეუღლე არ შეეშინებინა, თქვა ვლადიმერმა.

ნადექდა ბავშვებთან შევარდა და მათთან ერთად გამოვიდა სწრაფად. ხელში საბანში გახვეული ადა ეჭირა. გოგონას საყვარელი თოჯინა. — ტატა გულზე მიეკრა... ამასობაში სტაროსელსკიმ პოლკოვნიკ შიშკევიჩს დაურეკა. შეატყობინა რა ხანძრის ამბავი, სთხოვა სასწრაფოდ ჯარის ნაწილთან ერთად აქეთ წამოსულიყო. ტანთ გადაიცვა, ხელი ჩემოდანს დაავლო, გახსნა, შიგ ხელნაწერების დასტა და რამოდენიმე წიგნი ჩააგდო. ყველანი ერთად დაცვის დახმარებით კვამლში გახვეულ კიბეებს ჩაუყვნენ. ამ დროისათვის სადარბაზოში მეხანძრეებსა და ხალხს ცეცხლი უკვე დაეოკებიათ და როცა ისინი სალსალამათები ქუჩაში გამოვიდნენ, აქ მათ დიდი სიხარულითა და შვებით შეხვდნენ. სულ მალე

ჯარის ნაწილი და რაზმელები გამოჩნდნენ, შენობას ალყა შემოარტყეს და ცეცხლთან ჭიდილში ჩაებნენ.

ქუთაისელები ერთმანეთს ეცილებოდნენ სტაროსელსკების პატიოში.

— ბატონო ლადო, ჩვენთან მობრძანდით, ბავშვები ცოდვაა, დაცივდებიან.

— ჩემთან არ აჯობებს? მე აგერ ვცხოვრობ, ყურის ძირში!

— თქვენი არ მიკვირს? იმხელა ბინა მაქვს, ცხენი გაჭენდება. მხოლოდ ჩემთან, ლადო ბატონო!..

ნადეჟდა ბავშვებთან ერთად ძეზობლებს შეეხიზნა. სტაროსელსკი ადგილზე დარჩა. მას ყველაზე მეტად თავისი ლაბორატორია და ბიბლიოთეკა აწუხებდა...

მალე ყიფშიძემ და საგუბერნატოროს სხვა თანამშრომლებმაც მოირბინეს.

ცეცხლთან თავგამეტებულმა ჭიდილმა თითქმის დილამდე გასტანა და როგორც იქნა, ხანძარი ჩააქრეს. დაიწვა შენობის სარდაფი და პირველი სართულის რამოდენიმე ოთახი.

ხანძრის მიზეზის გამოძიებისას სარდაფში ნავთის ცარიელი კასრი იპოვეს და ნახევრად დამწვარი ფარაჯის ნაკუწებით შემოხვეული ჯოხები. იმ ღამეს საგუბერნატოროს გუშაგებს კოსტია ამწესებდა. მან აჩვენა, რომ შენობის მიმდებარე ქუჩებზე ღამის ორი საათიდან სამამდე საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. მხოლოდ რამდენიმე ხოპერელი კაზაკი დაინახა, რომლებიც აქეთ მოემართებოდნენ, ქუჩა ჩაიარეს და გაუჩინარდნენ.

მოგვიანებით ერთ-ერთი მოქალაქე გამოცხადდა და ირწმუნებოდა, რომ დაახლოებით იმავე დროს ნაპურმარილევი შინ როცა ვბრუნდებოდი, საგუბერნატოროსაგან შორიახლოს ქუჩაში მიმავალი კაზაკები დავინახეო.

— როცა ისინი შევნიშნე, სიმართლე გითხრათ, შემეშინდა, — აჩვენა მან გამომძიებელს, — ბოძს ამოვეფარე და გავიტრუნე. მათ ისე ჩამიარეს, რომ ვერ შემამჩნიეს. გამიკვირდა, მხარზე თოფების მაგიერ ჯოხები რეიზა გაუდვიათ-თქვა და კასრი რათ ჩააქციეს-თქვა.

სხვა მოწმეების ჩვენებებმაც ცხადყო, რომ ამ ბოროტმოქმედებაში აშკარად კაზაკების ხელი ერია. მაგრამ, როგორც არაერთგზის ყოფილა, პოლიციამ „ვერ შეძლო“ ბოროტმოქმედების „გახსნა“, კონკრეტული დამნაშავეების დადგენა.

* * *

გაგრის მაცხოვრებელი თავადი ალექსანდრე ინალ-იფა, აგურის ქარხნის მეპატრონე, ოჯახის წევრებთან ვახშმობდა, როცა ეზოდან ვიღაც მოკამათეთა ხმები მოესმა. ფანჯარაში გაიხედა, მაგრამ ბინდში ვერაფერი გაარჩია. სწრაფად ჩაირბინა კიბე. ჭიშკართან შეიარაღებული მამაკაცები შენიშნა. ერთ-ერთ მათგანს ქამარში გარჭობილ რევოლვერზე ედო ხელი.

— ხომ გითხარით, ბატონი სახლში არ ბრძანდება-თქვა.

— ჩვენ შენზე უკეთ ვიცით, სახლში ბრძანდება თუ, არა. აქაურობას ცეცხლს რომ წავუკიდებთ, მაშინ ხომ გამოძვრება ბუნაგიდან!

ინალ-იფა მიხვდა, რომ აქ სახუმროდ არ იყო საქმე, მსახურები მუჯლუგუნებით გზიდან მოიცილა და წინ წამოდგა.

— სახლის პატრონი მე გახლავართ.

— ჰოდა, სწორედ შენ გვინდოდი ალექსანდრე ბატონო!

— რაშია საქმე?

ერთ-ერთმა მოსულთაგანმა, რომელიც რაზმის მეთაური იყო, უბოროტოდ შენიშნა:

— ჯერ ერთი, კაი გამარჯობა, მეორეც, სად გაგონილა, აფხაზმა სტუმარი სახლში არ შეიპატიჟოს?

— სტუმარს გააჩნია.

— რით ვერ მოგივედით თვალში?

— ჯერ ერთი, არ გიცნობთ, ვინა ხართ?

— სამაგიეროდ ჩვენ ვიცით, ვინცა ბრძანდებით!

— მეორეც, — ვითომც ეს შენიშვნა არ გაუგონია, განაგრძო ინალ-იფამ, — როცა სტუმარს ეუბნებიან, მასპინძე-

ლი სახლში არ გახლავთო, მან ეს უნდა დაიჯეროს.

— კი, მაგრამ, თუ კი იცის, რომ ატყუებენ?

ინალ-იფა დარწმუნდა, რომ ამ კამათიდან არაფერი გამოვიდოდა და მომხდურებს უკვე დაყვავებით მიმართა:

— გამარჯობათ თქვენი, შემობრძანდით.

— ეს უკვე სხვა საქმეა. ნუ გეშინია, მთელი ჯოგით არ შემოგივარდებით. მხოლოდ მე და ჩემი ამხანაგი გეახლებით.

ინალ-იფა დაუპატიჟებელ სტუმრებთან ერთად სახლში რომ შევიდა, თავისიანებს ანიშნა, მარტო დაგვტოვეთო, და ისინიც, შიშისაგან გაფითრებულნი, გავიდნენ.

— ჩვენს რევოლუციურ კომიტეტს შენთან ერთი პატარა თხოვნა აქვს, — დაიწყო რაზმის მეთაურმა. — იქ, — ხელი ზღვისკენ გაიშვირა, — იარაღით დატვირთული ფელუკა დგას, გზის განგრძობა სახიფათოდ ჩავთვალეთ. ჯერ ერთი, ღელვაა, მეორეც, შეიძლება მდევარმა გვიყელოს. ამიტომ გადავწყვიტეთ იარაღი აქ გადმოვტვირთოთ და შენი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე ჩავფლათ.

— შემიწყალეთ, ნუ დამღუპავთ! გამიგეთ, ერთი საწყალი, უბედური კაცი ვარ, წვრილშვილის პატრონი! — აწუწუნდა ინალ-იფა.

სტუმარმა ამ ვიშვიშს ყურიც არ ათხოვა და განაგრძო.

— ამის შესახებ არავინ უნდა იცოდეს, თორემ ხომ გესმის... მერე და რა დაგემართა, იმ მრავალ ასეულ დესეტინიდან, რასაც შენ ფლობ, თანაც უკანონოდ, ჩვენ დროებით სულ რაღაც ერთ-ორ არშინ მიწას გთხოვთ, იმდენს, ერთ სამარეს რომ ეყოფა. სტუმარმა სიტყვა „სამარეს“ მრავლისმეტყველი მახვილი გაუკეთა და, თითქოს შემთხვევით, რევოლვერზე ხელი გაივლო.

— როდის შემოზიდავ იარაღს? — „დანებდა“ თავადი.

— ამაღამ. ამასობაში კი [illegible]რხნის ტერიტორიაზე [illegible]რიან.

თენდებოდა, როცა დაუპატიჟებელმა სტუმრებმა თავიანთი საქმე მოათავეს და სახლში შებრუნდნენ.

— კარგი მინდა შენთვის, თავადო, — თქვა დამშვიდობებისას რაზმის მეთაურმა, — ამიტომაც გაფრთხილებ... და თითი პირთან მიიტანა, შემდეგ ხელი ყელზე მოისვა, რაც, ყველა სიტყვაზე უფრო მეტყველი იყო.

როგორც კი რაზმელები გაუჩინარდნენ, სახლის პატრონმა თავისიანები შეკრიბა და სასტიკად გააფრთხილა — ღამეულ სტუმრებზე არავისთან არაფერი წამოგცდეთ, თორემ დედაბუდიანად ამოგვჟუჟავენო.

იმ დღიდან რაღაც უბედურების მოლოდინში შეშინებული თავადი ადგილს ვერ პოულობდა; ძილი და მოსვენება დაკარგა.

...საღამო ჟამი იყო, როცა მის გამახვილებულ სმენას უეცრად ფლოქვების თქარათქური მისწვდა და მხედარსაც მოჰკრა თვალი, რომელიც სახლს უახლოვდებოდა. აი, ის ჭიშკართან შეჩერდა. სწრაფად ჩამოქვეითდა და მათრახის ტარით კარზე დააკაკუნა. ლობესთან გაფთრებული ყეფით აშვებული ნაგაზი მიიჭრა.

სარდაფიდან მოსამსახურე ამოვიდა. გზადაგზა ჩოხას იცვამდა და ჭიშკრისაკენ ისე გარბოდა.

— რომელი ხარ?!

— ეს ძაღლი მომაშორე და ჭიშკარი გააღე! — უბრძანა უცნობმა.

— რაზე მოსულხარ?

— საქმე მაქვს შენს ბატონთან.

— ასეთ დროს?... — დაიწყო მსახურმა, მაგრამ მხედრის მრისხანე გამომეტყველება რომ შენიშნა, ენას კბილი დააჭირა და მთელი სიბრაზე თავს ნაგაზს დაატეხა — ერთი მაგრად ფერდში წიხლი უთავაზა და ისიც წკმუტუნით გაიქცა.

— მე თედორე სახოკია გახლავართ. ნაბრძანები მაქვს შენთან შენახული

იარაღი გავზიდო. — უთხრა ინალ-იფას ოთახში შესვლისთანავე სტუმარმა.

თავადს გაეხარდა, რაკი როგორც იქნა, თავიდან იშორებდა სახიფათო განძს, მაგრამ თავისთვის გადაწყვიტა მოსულისათვის ეს არ ეგრძნობინებინა, უფრო მეტიც, სათანადო დოკუმენტები და რწმუნებაც კი მოსთხოვა.

— გამოდის რომ არა სთმობ იარაღს! — ძნელი მისახვედრი იყო, სტუმარმა ეს სერიოზულად თქვა თუ იხუმრა.

ინალ-იფას შეეშინდა, ვაი თუ გადაიფიქროს და იარაღი ისევ მე დამიტოვოსო, ამიტომ წამსვე გულახდილად მიაყოლა:

— უცნაური კაცი ყოფილხარ, უბრალოდ, როგორც მობარებულ საქონელს შეჰფერის, იმისთვის გკითხე, თორემ რა თავში ვიხლი მაგ შენ იარაღს?! რაც მალე მომაცილებ აქედან, იმდენ მადლობას გეტყვი.

თედორემ თითქმის ერთი კვირა მოანდომა იარაღის გაზიდვის მოგვარებას. ბოლოს, როგორც იქნა, ადგილობრივი გლეხების დახმარებით ურმებით დაიწყო მისი გადატანა, და თანახმად მითითებისა, ისე, რომ მტერს ეს ყველაფერი ერთად ხელში არ ჩავარდნოდა, სხვადასხვა სამალავებში დაქსაქსა... ნაწილი იარაღისა მან ადგილზევე დაურიგა ხალხს და მოურიდებლად, ინალ-იფას თანდასწრებით საზეიმო ტონით ეუბნებოდა:

— გახსოვდეთ, პირველი მოწოდებისთანავე რევოლუციონერთა მწყობრში უნდა ჩადგეთ; რათა ანგარიში გავუსწოროთ სისხლისმსმელ მემამულეებსა და მეფის სატრაპებს.

ამ სიტყვებზე თავადს ფერი ეკარგებოდა, — ეს ხომ ის გლეხები იყვნენ, რომლებზედაც მას თავისი მიწები იჯარით ჰქონდა გაცემული.

* * *

კომიტეტმა სურების ეკლესიის ლომის-კარელის ხატის როგორც „პოლიციის აგენტის“ გატაცება გადაწყვიტა და ეს ამ სოფლის მკვიდრ [illegible] რაზმელებს ზაქესა და [illegible] სრა.

მათ დილისით წირვისას იქაურობა ერთხელ კიდევ დაკვირვებით აათვალჩაათვალიერეს, განსაკუთრებით კარის რაზებს დააკვირდნენ, მერე მოკლედ მოითათბირეს და ოპერაციის ჩატარება იმ ღამესვე გადაწყვიტეს.

როგორც კი არე-მარე ბინდმა მოიცვა, ისე, რომ არავის დაენახა, ძალაყინითა და წალდით შეიარაღებულნი ეკლესიისაკენ გაემართნენ. — შორიახლოს სასაფლაოს ქვასთან მიიყუჟნენ. აი, ეკლესიიდან მღვდელი გამოვიდა და აუჩქარებლად იქვე ახლოს მდგარ თავის სახლისკენ გაემართა. მალე დიაკვანიც გამოვიდა. მან კარებს საგულდაგულოდ დიდი ბოქლომი დაადო და ისიც შინისაკენ გაუდგა გზას. რაზმელებმა დაიცადეს ვიდრე ბინდი ბნელეთად იქცეოდა. მერე ბობღვით კარებისკენ გაემართნენ. დიდხანს ეჯაჯგურნენ ბოქლომს და ბოლოს, როგორც იქნა, სამაგრებიანად ამოგლიჯეს. კარები შეაღეს და სწრაფად მიხურეს. ზაქემ ჯიბიდან სანთელი ამოიღო და ზევინეს სთხოვა, აანთეო. მაგრამ ეს რა მოსდის უშიშარ რაზმელს? რატომღაც ხელები არ ემორჩილება. რამდენჯერაც გაჰკრა ასანთი, იმდენჯერ კოლოფს ააცდინა. ბოლოს იგი ძირსაც კი დაუვარდა. ბობღვითა და ხელების ფათურით მოძებნა. გაჰკრა, მაგრამ ახლა ასანთის ღერი გადაუტყდა.

— შე კაცო! რა დაგემართა, რავა მონუსხულივით იქცევი?! — შეუტია ამხანაგმა.

სიტყვამ „მონუსხულივით“ მთლად დააბნია ზევინე... მთელი ტანით აცახცახდა. უნდოდა ეთქვა: შენ თვითონ აანთეო, მაგრამ ხმა არ ემორჩილებოდა. ჩანს, ეს ღელვა და შიში ზაქესაც გადაედო. როცა მას ზევინემ უსიტყვოდ ასანთის კოლოფი გაუწოდა და უცაბედად სიბნელეში ხელი სახეზე მოუთათუნა, ისე შეხტა, რომ გეგონებოდა მეხმა დაარტყაო:

— მიშველეთ! — გულგახეთქილმა შესძახა მან... ეკლესიის თაღებმა ბევრჯერ გაიმეორეს ეს შეძახილი და მთლად დაუბინდეს გონება ორივეს. კარგა ხანს იდგნენ ასე გაშეშებულნი ერთ ადგილას. მერე პირველი გონს ზევინე მოეგო.

— ეს რა გვემართება... მოიტა კოლოფი, შენ სანთელი დაიკავე... უთხრა ეს და ასანთის ღერი კოლოფს გაჰკრა. სინათლემ წამით გაიელვა და უცებ, თითქოს მათ უკან მდგომმა ვილაცამ სული შეუბერაო მყის ჩაქრა და იქაურობა კვლავ წყვდიადმა მოიცვა.

— ღმერთო შეგვიწყალე და გვაპატიე — ძლივს ამოილუღლუღა ზევინემ და ისე, რომ ხმა არ ამოუღია, გამალებით დაიწყო პირჯვრის წერა. იგივე გააკეთა ზაქემ. ამან ორივენი თითქოს დაამშვიდაო, როგორც იქნა სანთელი აანთეს და კანკალითა და შიშით, მზერის მალვით ხატისკენ გაემართნენ. სანთელი იქვე დიდ შანდალში ჩააგეს და ხატის ჩარჩოს დაეჭიდნენ, ჩამოღება სცადეს. მაგრამ მოეჩვენათ, რომ იგი რაღაც ანდამატის ძალით კედელს ვერ შორდებოდა.

— ზევით ასწი შე კაცო... — რატომღაც ჩურჩულით ურჩია ზევინემ ამხანაგს.

— მე ზევით ვეწევი, შენ კი ქვევით ქაჩავ. — უსაყვედურა ზაქემ.

ვერა და ვერ იქნა, ხატი ადგილიდან ვერ დაძრეს.

„ღმერთო ჩემო, ნამდვილად ისე ხდება, როგორც იმ დღეს მღვდელმა იქადაგა. თურმე როცა ბაბილონელებმა ისეთი კოშკის აგება დაიწყეს, ცას რომ უნდა მისწვდომოდა, ღმერთმა ეს ხალხი ცოდვად ჩაუთვალა და განრისხებულმა „აღრია ენა მათნი“. გაახსენდა რა ეს ზაქეს, ისევ კანკალმა აიტანა... ამ დროს მათ თავზე ერთი-მეორეს მიყოლებით უცნაური წივწივით ვილაცის უშველებელმა ჩრდილებმა გადაუქროლეს, ისე, რომ სანთლის ალი შეირხა და კინაღამ ჩაქრა. შიშისაგან ორივენი იატაკზე გაიშხლართნენ, შანდალი გადაუბრუნდათ და იქაურობა კვლავ უკუნეთმა შთანთქა. ეტყობა მის ქვეშ მყოფ უშველებელ ვირთხას მყუდროება დაერღვა და დამფრთხალმა მიწაზე განრთხმულებს ზედ გადაურბინა. მათ ავსულად მოეჩვენათ იგი და შიში გაუათკეცდათ... უბედურების მოლოდინში, ისე, რომ განძრევასაც კი ვერ ბედავდნენ, გარინდულები იწვნენ. რამდენხანს იყვნენ ასეთ ყოფაში, არ ახსოვთ. როგორც იქნა ზაქემ ნებისყოფა მოიკრიფა და ამხანაგს ჩურჩულით მიმართა:

— რამ წაგვახდინა ასე, შე კაცო? ახლა მივხვდი, უთუოდ ღამურები იყვნენ. მათი ჩრდილები სანთლის შუქზე მოგვეჩვენა ასე უშველებლად. ეს კი ნამდვილად ვირთხამ გადაგვირბინა...

ამ მოსაზრებამ ორივენი ოდნავ დაამშვიდა. დაწოლილებმა ასანთი რის ვაივაგლახით იპოვეს, სანთელიც იქვე ეგდო, აანთეს, მაგრამ წამოდგომა რომ დააპირეს, ფეხები აღარ ემორჩილებოდათ, თითქოს დამბლა დაეცათო...

— დავიღუპეთ და ეგ არის! ნამდვილად ხატმა დაგვაბა — ამოღერღა ზევინემ და გამალებით ლოცვას შეუდგა. მას ზაქეც აჰყვა.

კვლავ სცადეს წამოდგომა და მხოლოდ ახლა-ღა მიხვდნენ, რომ წამოქცეული შანდალი ფეხებზე დასწოლოდათ. როგორც იქნა, წამოდგნენ, შანდალი ადგილზე დადგეს, ზედ სანთელი დაამაგრეს. მერე ხატისკენ შებრუნდნენ, მუხლებზე დაეცნენ და დიდის სასოებით ლოცვას შეუდგნენ, ხატს პატიებას სთხოვდნენ, მაგრამ ეჩვენებოდათ, რომ ის მათზე გულს ვერ იბრუნებდა და მზერაში რისხვა არ უნელდებოდა. პირიქით, ეჩვენებოდათ თითქოს სულ უფრო მეტს ბრაზობსო. მეგობრებმა გადაწყვიტეს რაც შეიძლება მალე გაცლოდნენ იქაურობას. სწრაფად შებრუნდნენ და კარებისკენ გაექანნენ. პირველი გარეთ ზევინე გავარდა. ის-ის იყო ზაქეც კარებს უნდა გასცდენოდა, რომ ვილაცამ ხელი სტაცა და ადგილზე გააქვავა.

— ვაიმე, მიშველეთ!... — ერთი კი

შეჰკივლა უბედურმა და გონება დაჰკარგა. ზევინემ სირბილს უმატა. ხან სასაფლაოს ქვებს აწყდებოდა, ხან კიდევ ჯვრებს...

დილით ადრე მოსულმა დიაკვანმა ეკლესიის კარებზე ჩოხის კალთით ლურსმანზე გამოდებული და ჩამოკონწიალებული გულწასული კაცი რომ ნახა, მთელი სოფელი შეჰყარა. უბედური ძლივს მოასულიერეს. მალე ეს ამბავი მთელს გურიას მოედო და გლეხები უფრო მეტად დაარწმუნა ხატის არაჩვეულებრივ ზეძალაში...

აქვე უნდა დავძინოთ, რომ საბოლოოდ ხატი რაზმელებმა მაინც გაიტაცეს და საიმედოდ გადამალეს...

* * *

...ავდრიანი დღე იდგა. ზღვა ოდნავ ღელავდა. ბინდდებოდა, როცა გაგრის მახლობლად სოფელ ალახაძესთან ნაპირს ნავი სამი მგზავრით მიადგა. ნავი მყუდრო ადგილას გაჩერდა და ყველამ ერთად ამ სოფლის მკვიდრის ვანოს სახლს მიაშურა. როგორც ეს სუპტროპიკებში იცის ხოლმე, წვრილი წვიმა ერთბაშად თავსხმად გადაიქცა. მაგრამ მოსულებმა არ ისურვეს მიუხედავად მასპინძლის დაჟინებული პატიჟისა სახლში შესვლა და სთხოვეს ახლავე გაჰყოლოდა იარაღის შენახვის ადგილას. მალე სამი ყუთი, რომლებშიც ოც-ოცი თოფი იყო, და ვაზნებით დატვირთული ხუთი ყუთი. ისევ ნავს დაუბრუნდნენ და ზღვაში გასცურეს. მალე ისინი ღამის წყვდიადმა შთანთქა. გადატვირთული ნავი ძლივს მიაპობდა აქოჩრილ ტალღებს. რა ღონეს არ ხმარობდნენ, რა ძალით არ უსვამდნენ ნიჩბებს მგზავრები იმისათვის, რომ ნავი როგორმე ნაპირის გასწვრივ წარემართათ, მაგრამ დინება მათ მაინც შუა ზღვისაკენ მიაქანებდა.

უთენია, როგორც იქნა, დაღლილდაქანცულებმა პატარა დასახლებას — ბომბორას მიაღწიეს. აქ, ზღვის პატარა უბეში, შედარებით სიწყნარე იყო... ცოტაც და ნავი ნაპირს მიუახლოვდა. ვიდრე უკან წამოსული ტალღა [illegible] ზღვისკენ გაიტაცებდა, ერთ-ერთი მენიჩბე მარდად ჩახტა ყინულივით ცივ წყალში, ხელი სტაცა ნავს და ადგილზე გააჩერა. შემდეგმა ტალღამ იგი უფრო ახლოს მიაგდო ნაპირს. ახლა ყველა გადმოხტა და ნავი რის ვაი-ვაგლახით წყლიდან ამოათრიეს.

— დალახვროს ეშმაკმა! ამასაც თუ ამინდი ჰქვია, ბატონო სერგო! — მიმართა ერთ-ერთმა მგზავრმა, რომელსაც თევდორე ერქვა, ჩაფსკვნილ მამაკაცს.

— ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ასეთი ამინდია, ნაპირს ასე შეუმჩნევლად რომ მივაღწიეთ.

ნავი წყალზე გადმოკიდებული კლდის ძირას პატარა ყურეში გადამალეს. ორნი აქ სამეთვალყუროდ დარჩნენ, დაღლილმა და მთლად გაწუწულმა სერგომ კი დასვენება არ ისურვა და გუდაუთისკენ გზას გაუდგა. ბოლოს გზის პირას მდგარ მომცრო სახლს მიადგა და დათქმული ნიშნით ფანჯარას მიუკაკუნა. მას სახლის პატრონი ლადო გამოეხმაურა.

— სერგო, შენა ხარ?

მალე ის მხრებზე ნაბადწამოსხმული და თავზე ყაბალახწაკრული პარმაღზე გამოვიდა. მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ. სერგო პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— ლადო, იარაღი ჩამოვიტანეთ, საჭიროა ხალხი და საზიდრები.

— ახლა რას ვიზამთ? დილამდე უნდა დავიცადოთ. შემოდი სახლში, პატარა გათბი, დაისვენე, — უთხრა მასპინძელმა.

მეორე დღეს ბაზარზე ორი საზიდარი დაიქირავეს, სანდო ადამიანები ნახეს და ისე, რომ კაზაკების, ჟანდარმებისა და პოლიციელების ყურადღება არ მიეპყროთ, მალულად ზღვისკენ გაემართნენ.

იმ დღეს ბომბორის მამასახლის სტეპანოვს გაუკვირდა, როცა შენიშნა, რომ ორი საზიდარი რატომღაც შარას კი არ მიჰყვებოდა, არამედ ზღვის სანაპიროსკენ უგზო-უკვლოდ მირახრა-

ხებდა. მამასახლისი ბექობს ამოეფარა, დააკვირდა. „ნამდვილად კონტრაბანდისათვის მიდიან“. — გადაწყვიტა მან და ბომბორში განლაგებულ ყაზარმებისაკენ გაექანა. გზაზე ურიადნიკი შემოხვდა, თავისი მოსაზრება გაუზიარა.

— ცხენებზე! — დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება ურიადნიკმა და კაზაკები სანაპიროსკენ გაექანნენ.

ნავში ერთი იარაღის ყუთი-ღა იყო დარჩენილი (დანარჩენი ტყეში საიმედოდ გადამალეს), როცა სერგომ თვალი მოჰკრა მხედრებს, რომლებიც მათკენ ეშურებოდნენ.

— კაზაკები! — დაიყვირა მან. ბევრმა ტყეს შეაფარა თავი. სერგო და მისი ორი ამხანაგი კი ბუჩქნარისკენ გაიქცნენ. აქ ისინი ერთ-ერთ საზიდარს მოახტნენ და გუდაუთისკენ გააქახეს. ის-ის იყო გზაზე გამოვიდნენ, რომ მოესმათ შეძახილი:

— შესდექით! — და შაშხანის საკეტის რაჩხუნი გაისმა.

საზიდარი გაჩერდა.

— როცა შეგვეკითხებიან, აქ რას აკეთებდითო, ვუპასუხოთ, მოპარულ ძროხას ვეძებდით-თქო. — ჩასჩურჩულა მეგობრებს სერგომ.

საფარიდან დანარჩენი კაზაკები გამოვარდნენ, საზიდრის ჩხრეკა დაიწყეს. ნაბდის ქვეშ დამალული სამი შაშხანა და ვაზნები იპოვეს.

— ერთი შაშხანა ჩემია, — განაცხადა რაზმელმა, — ეს ორიც ზღვის ნაპირას ვიპოვეთ.

— ზღვის ნაპირას იპოვეთ?! — გაიმეორა ურიადნიკმა და ჯარისკაცებს მიუბრუნდა:

— ესენი ვერსად წაგვივლენ. ამას, — მიუთითა სერგოზე; — კარგად ვიცნობ, გუდაუთაში ფერშლად მუშაობს. ისე, რომ სასწრაფოდ სანაპიროსაკენ! — უბრძანა ურიადნიკმა კაზაკებს!..

— ენაზე ვინ გეწეოდა? ვერ თქვი, რომ თოფები გზაზე ვიპოვეთ! — შეუტია რაზმელს სერგომ.

კაზაკებმა სანაპიროზე იარაღი და ვაზნები იპოვეს. მერე, როცა ბუჩქნარი და მახლობელი ტყე გაჩხრიკეს, იქ მათ რამდენიმე კაცი დააპატიმრეს და ისევ საზიდარს გამოეკიდნენ.

სერგო და მისი ამხანაგები უკვე გუდაუთას უახლოვდებოდნენ, როცა კაზაკები წამოეწივნენ და ყვირილი დაუწყეს:

— შესდექით!... შესდექით!...

ისინი კი, თითქოს არც გაუგიათ რა, ცხენებს გამეტებით ურტყამდნენ და წინ მიჰქროდნენ. კაზაკები მიხვდნენ, გუდაუთამდე ვერ დავეწევითო და სროლა ასტეხეს, რათა ყაზარმებში დარჩენილი ჯარისკაცების ყურადღება მიეპყრათ. იმათ ამ ხმაურსა და სროლას ყური რომ მოჰკრეს, შარაზე გამოვარდნენ და გაქცეულებს გზა გადაუღობეს. ის, ვინც საზიდარს მართავდა, კოფოდან გადმოხტა და მიმალვა სცადა. მაგრამ კაზაკებმა იქვე შეიპყრეს და უმოწყალოდ ცემა დაუწყეს.

— რას სჩადიხართ! უფლება არა გაქვთ! — გაცხარდა სერგო. ამ დროს ერთ-ერთმა კაზაკმა ისე მაგრად ჩასცხო მას თავში კონდახი, რომ დარეტიანებული მიწაზე დაენარცხა.

* * *

სადგურ მიხაილოვოდან მოსული ორთქლმავალი სურამის გვირაბის პორტალთან იდგა და მძიმედ ქშინავდა. მემანქანე და მისი თანაშემწე, საქვაბურში წნევა რომ მაქსიმუმამდე აეწიათ, საცეცხლურში ნიჩბებით ნახშირს საგულდაგულოდ ყრიდნენ. მილიდან ცეცხლის ნაპერწკლების კონები ცვიოდა და კვამლის შავი ბოლქვები ამოდიოდა. მალე თანაშემწე ძირს ჩამოხტა და გზის პირას მდგარ, რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილ კაცთან მივიდა. ის ჯიბის საათს ყურადღებით დასცქეროდა. ისრები თორმეტ საათს რომ მიუახლოვდნენ, მან მემანქანეს ნიშანი მისცა. ორთქლმავალი აქშინდა, შემდეგ, თითქოს საკუთარ ძალას ამოწმებსო, სწრაფად დააბუქსავა თვლები, საყვირით იქაურობა გააყრუა, ერთხელ კიდევ ღრმად ამოიხვნეშა და ადგილი-

დან მძიმედ დაიძრა. მაგრამ ეს რა ხდება? მემანქანე ძირს გადმოხტა, ორთქლმავალმა კი თანდათანობით სვლას უმატა. ამ დროს გვირაბიდან საპასუხო საყვირის ხმა გაისმა. სამივემ ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად და კმაყოფილებით გადახედეს და იქაურობას გასცილდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ გვირაბის ვეებერთელა ყელიდან საშინელი ჯახუნისა და აფეთქების ხმა გამოვარდა. თითქოს გიგანტური ყალიონიაო, მას ბოლიც მოჰყვა.

— ყველაფერი რიგზეა, — კმაყოფილებით შენიშნა ერთ-ერთმა რკინიგზელმა, — ახლა ეს გველის წიწილები, დამსჯელები დამხმარე ძალებს ველარ მიიღებენ, გვირაბს ვერ გასცდებიან.

— წუნს ვერ დასდებ, ბიჭებმა ზუსტად გამოთვალეს დრო. ჩანს, ორთქლმავლები ერთმანეთს გვირაბის შუაგულში შეეჯახნენ. — დააზუსტა მემანქანემ.

— ნალდია, მოძრაობას კარგა ხანს ვერ განაახლებენ, — უხაროდა თახაშემწეს.

სამივე აუჩქარებლად სადგურისკენ შპალებით გაემართა. იქ მათ თვალში მოხვდათ გასამგზავრებლად გამზადებული სამხედრო ეშელონი, რომელსაც გვირაბისაკენ ჰქონდა პირი.

## თავი 23

## ორი კაპიტანი. ისევ სამხედრო მდგომარეობა.

იმ დღეს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სახლში გვიან დაბრუნდა და, მთელი ოჯახი ერთად შეიკრიბა სავახშმოდ. საუბარი ვერა და ვერ აეწყო, ყველა თავ-თავიანთ ფიქრებს გაეტაცა. ბავშვებიც დუმდნენ თითქოს, მათაც რაღაც გამოუთქმელი გრძნობა დაუფლებოდა.

მოულოდნელად ბეგლარი გამოჩნდა.

— ბოდიში, ბატონო ლადო, ვიღაც ორ კაპიტანს სურს თქვენი ნახვა, ამბობენ, სასწრაფო საქმე გვაქვსო.

— რა საქმეო?

— არ ვიცი, პირადად უნდა მოვახსენოთო.

— სთხოვეთ!

სასადილოში უცნობი ოფიცრები შემოვიდნენ. ერთმა მათგანმა, მესანგრის ფორმაში რომ იყო, მოახსენა:

— გვარდიის კაპიტანი სიდორენკო! მე გამოგზავნილი გახლავართ რკინიგზისა და ტელეგრაფის აღსადგენად.

მეორე გვარდიელის ფორმაში იყო, გულზე ორი გიორგის ჯვრის ჯილდო ჰქონდა მიბნეული.

— კაპიტანი ავსეენკო, გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ადიუტანტი.

— ასე გვიან ჟამს რაზე გარჯილხართ, ბატონებო?! — იკითხა მასპინძელმა.

— თქვენო აღმატებულებავ, გვინდა გაგაფრთხილოთ, — თავხედური ტონით დაიწყო სიდორენკომ, — რომ დამსჯელი რაზმი, რომელიც აქეთ მოემართება, აღშფოთებულია თქვენით, განსაკუთრებით ოფიცრები. მათ სახელით მოვითხოვთ: დაუყოვნებლივ შეადგინოთ და გადმოგვცეთ მეამბოხეთა ხელმძღვანელების სრული სია.

— თუ ამას არ გააკეთებთ, ჩვენ პასუხისმგებლობას ვიხსნით პირადად თქვენი და თქვენი ოჯახის უსაფრთხოებაზე. — დაუმატა მეორემ.

სტაროსელსკი გაფითრდა, მაგრამ შინაგანი ძალის დიდი დაძაბვით აღშფოთება დაიოკა და წყნარად იკითხა:

— მომიტევეთ, კარგად ვერ გავიგე: ეს ვინ დაგაკისრათ ჩემს უსაფრთხოებაზე ზრუნვა და მერე, ვინ „ჩვენ“?!

— ჩვენ, მისი იმპერატორობითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდებულესობის ერთგული ჯარისკაცები.

— საინტერესოა, ვინ მოგცათ ამის რწმუნება, ან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის გუბერნატორთან ვინ გაბედვინებთ ასეთნაირ მოქცევასა და ლაყბობას?!

ვითომც ეს არც კი გაუგონიაო, სიდორენკომ განაგრძო:

— ჩვენთვის სრული სიზუსტით ცნობილია, — მათი რიცხვი ას ორმოცდაოთხია. არ დაგიმალავთ, წინასწარ გეტყვით, — ყველას დავხვრეტთ.

— თქვენ ჩემს კითხვაზე არ მიპასუხეთ!...

— ამჟამად მაგას მნიშვნელობა უკვე აღარა აქვს, ვისი რწმუნებითა და რა უფლებით...

ბეგლარმა ერთხანს მიაყურადა ამ დიალოგს და რაკი მიხვდა, რომ ეს თავხედები სასიკეთო საქმისთვის არ იყვნენ მოსულნი, ჩუმად გავიდა ოთახიდან.

— ჩვენი ვალია გაგაფრთხილოთ, თუ კი სიას არ გადმოგვცემთ, მაშინ 1144 მოქალაქე დაიხვრიტება. თავის თავად ცხადია, არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე.

— ჩემი მეგობარი მართალს მოგახსენებთ, — დაუდასტურა მეორე ოფიცერმა, — ჩვენს ხელთ არის ფოსტაში აღმოჩენილი თქვენს მიერ გაგზავნილი დეპეშები, რომლებიც ეჭვს არ იწვევენ, რომ თქვენ ხელს უწყობთ მეამბოხეებს, მფარველობთ მათ, ცდილობთ მეფის ერთგულ კაზაკთა ნაწილების გუბერნიიდან გაძევებას...

— ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი იმ ჯარის ნაწილებისათვის, რომლებიც აქეთ მოიჩქარიან, — გააწყვეტინა სიტყვა სიდორენკომ, — ოფიცრები და სალდათები რისხვითა და შურისძიების გრძნობით არიან გამსჭვალულნი, მათ ანგარიშსწორება სწყურიათ. სხვათაშორის გეტყვით, რომ ამ საქმეში ფრიად გაწაფული გახლავართ. მოსკოვ-რიაზანის რკინიგზაზე პირადად დავხვრიტე სადგურის უფროსები და სხვა მეამბოხეები.

— სირცხვილი იქონიეთ, დამსწრეთ მაინც მოერიდეთ! — შეუტია სტაროსელსკიმ და თავის ოჯახის წევრებზე მიუთითა. შემდეგ კი ნადეჟდას უთხრა:

— წადი, ნადიუშა, და ბავშვებიც გაიყოლე. გაფითრებულმა დედამ შეშინებული ბავშვები სასწრაფოდ მეორე ოთახში გაიყვანა. ვლადიმერმა კი განაგრძო:

— თქვენ აშკარად პროვოკაციული მიზნით შემოიჭერით ჩემთან.

ამ დროს კარებში შეიარაღებული რაზმელები გამოჩნდნენ ბეგლარის მეთაურობით, თოფის კონდახები იატაკს დაჰკრეს და განკარგულების მოლოდინში სმენაზე დადგნენ.

ამან ოფიცრებზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ისინი მაინც არ ცხრებოდნენ.

— ჩვენი ნაწილები, — მუქარით დაიწყო გვარდიელმა, — აქეთ რომ მოიჩქარიან, რკინიგზის გასწვრივ ხუთვერსიან ზოლში სწვავენ ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტს...

— აბა, გეყოთ ტინგიცობა. სანამ გვიან არ არის, დაუყოვნებლივ დასტოვეთ აქაურობა. — ჩუმად, მაგრამ საკმაოდ მრისხანედ უთხრა მოსულთ მოთმინებადაკარგულმა სტაროსელსკიმ.

ოფიცრები შეყოყმანდნენ.

— მე, როგორც პოსტზე მყოფი გუბერნატორი, კვლავ გიბრძანებთ, რომ ახლავე გაეთრიოთ აქედან! — უფრო ენერგიულად შეუტია სტაროსელსკიმ, — წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით მიგაბრძანებენ.

რაზმელებმა იარაღი გამართეს.

— ჩვენ, თქვენო აღმატებულებავ, ვალი მოვიხადეთ, გაგაფრთხილეთ. ახლა თქვენ იცით...

რაზმელები მათკენ გაემართნენ და კარებისკენ უბიძგეს „სტუმრებს“.

— ბატონო ლადო, რას გვიბრძანებთ, დავაპატიმროთ?

— გააგდეთ, ჯანდაბისკენ გზა ჰქონიათ!

სტაროსელსკი დიდხანს გაოგნებული და შეძრწუნებული ოთახის შუაში იდგა. ამ ოფიცრების თავხედობამ გააკვირვა და სადღაც სრული სიცხადით დაანახვა, რომ მომავალი კარგს არაფერს უქადდა. ამ ფიქრებით დაძძიმებულს ნადეჟდას ხმა მოესმა:

— ვალოდია, ძვირფასო, ნუ ღელავ, თავს გაუფრთხილდი, ჩვენ ხომ ვიცოდით, რაზეც მივდიოდით, რა მსხვერპლის გაღება მოგვიხდებოდა ნათელი საქმისათვის.

— ჰო, ნადიუშა, სიმართლის რწმენა ძალას მმატებს...

— სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ჩემო ძვირფასო. გვიმძიმს, საფრთხე კარზეა მომდგარი, მაგრამ სულში რაღაც უცნაურად სინათლე კიაფობს, და სიწმინდე სუფევს...

რა კარგი მყავხარ, ნადიუშა, — სთქვა ეს და სტაროსელსკი მეუღლეს მოეფერა. მერე განაგრძო: — ორი აზრი არ არსებობს, თუ არა შესაბამისი სანქცია, ოფიცრები ასეთ თავხედობას ვერ გაბედავდნენ!

რაზმელებმა საგუბერნატოროს შენობიდან დაუპატიჟებელი სტუმრები რომ გამოაბრძანეს, კოსტიამ კაპიტანი ავსეენკო გვერდზე გაიყვანა.

— ნება მომეცი, მეგობარო, შეგეკითხო.

— როგორ მიბედავ, თავხედო, შენობით ლაპარაკს?!

— მადლობა თქვი, შე ყეყეჩო, რომ არ მიგახვრიტე, როგორც დეზერტირი. — გაცხარდა კოსტია.

— როგორ თუ დეზერტირი? — შეიცხადა კაპიტანმა.

— სულ უბრალოდ. იმ დღეს, როცა შენ ჩვენი ნაწილიდან აითესე, მდევარში მეც ვიყავი. ბრძანება გვქონდა, თუ არ დაგნებდებით, მოკალითო. ძაშინ გაგვექეცი, ახლა ხომ შემიძლია ბრძანება შევასრულო.

— შენ რაღაცას ურევ, სალდათო! — წყნარად თქვა კაპიტანმა.

— მე ვურევ, კაპიტანო ავსიენკოვ, იგივე პრაპორშჩიკო კოშჩუკ?

— გეუბნები, გეშლება-მეთქი, რით ვერ გაიგე! — გაიმეორა ოფიცერმა.

— თუ საჭირო იქნება, შენს შესახებ სრული ცნობის მოცემა შემიძლია. ასე რომ ფრთხილად იყავი. გინდა, კიდევ ერთს შეგახსენებ. ბოლოს და ბოლოს ფოთში დაგაპატიმრეს, რის შემდეგ მე და შენ გვერდ-გვერდით თბილისში, მეტეხის ციხის საკანებში „ვისვენებდით", მართალია, სხვადასხვა საქმის გამო. შემდეგ ავადმყოფობა მოიგონე და ჰოსპიტალში გადაგიყვანეს, საიდანაც გაქცევა მოახერხე. მერე, ეტყობა, პოლიციამ დაგისაკუთრა. შენისთანები ახლა დიდ პატივში არიან, ძალიან სჭირდებით.

კაპიტანი ამას ყველაფერს ისმენდა და როგორღაც შინაგანად იძაბებოდა, თან ცდილობდა აღელვება არ გამოემჟღავნებია.

— ასეა, ძმობილო, — განაგრძობდა რაზმელი, — ისე იცოდე, ვლადიმერ ალექსანდროვიჩს ერთი ბეწვიც რომ ჩამოვარდეს თავიდან, იმ წამსვე გაგცემ. თუ დააპირებ ანგარიში გამისწორო, არაფერი შეგეშალოს, — შენი ამბავი სხვასაც ეცოდინება.

— კარგი, კარგი, ნუ მაშინებ. მერე და შენც ხომ დეზერტირი ხარ? ბოლოს და ბოლოს ჩვენ ერთი პოლკელები გამოვდექით, მომილოცავს! — სცადა გახუმრება კაპიტანმა.

— არა, მეგობარო, ჩვენ სულ სხვადასხვა პოლკებში ვმსახურობდით. მე — რევოლუციის პოლკში გახლავარ, შენ — კი ბოროტმოქმედების, ბანდიტებისა და მკვლელების პოლკში. გაფრთხილებ, საჭიროებისას ან ხელს შეგვიწყობ, ან მოვა შენი აღსასრულის ჟამი. ახლა კი მოუსვი აქედან!

— მშვიდობით! — დაუქნია ხელი ავსეენკომ და სწრაფად გაეცალა.

— რა უნდოდა? — დაინტერესდა სიდორენკო.

— მემუდარებოდა, თუ რამე მოხდება, დახვრეტას გადამარჩინეო.

— ააა... გრძნობენ, რომ მათი გეში იძირება და ვირთხებივით გარბიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მან კარგად იცის, დღეს თუ არა ხვალ, მას და მის შეფსაც შავი დღე დაადგებათ... მოდი რესტორანში დავბრუნდეთ, ყელი გამიშრა...

— სად დაიკარგეთ, სად გაგვეპარეთ, ბატონებო! — სიხარულით შეხვდა მათ პლასტუნებისა და ხოპერის პოლკების ოფიცერთა შეზარხოშებული კამპანია.

— კაპიტან ავსეენკოს საჯარიმო ჭიქა! — წამოიძახა ერთ-ერთმა. — სულ ახლახანს შენი შეფის — გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სადღეგრძელო შევსვათ. აბა, შემოგვიერთდი!

— სიამოვნებით, — მიუგო კაპიტანმა, ჭიქას ხელისგული დააფარა, გადმოატრიალა, სულ წვეთი წვეთ გამოწრუპა ღვინო და შესძახა:

— თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბატონებო!

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — გაისმა აღფრთოვანებული შეძახილები და ტაში.

— ერთიც დაუსხი, — ბრძანა თამადამ და ავსეენკოს მეორე ჭიქა მიართვეს. ახლა მან სასმისი ხელისგულზე დაიდო, ხელი რაღაცნაირად შეატრიალა, ისე რომ წვეთიც არ დაუქცევია, ჭიქა ტუჩებთან მიიტანა და სულმოუთქმელად დასცალა.

— ბრავო!... ბრავო!...

— ერთიც დამისხით! — აიწყვიტა კაპიტანმა.

მან ჭიქა მაგიდაზე დადო, შემდეგ კბილებით დასწვდა და ნელ-ნელა ბოლომდე გამოსცალა.

როცა ტაში და აღფრთოვანებული შეძახილები დაცხრა, ავსეენკომ შესძახა:

— კიდევ უკეთესს გაჩვენებთ!

რევოლვერი იძრო და სამი გასროლით სამი სანთელი, მებუფეტეს ზურგს უკან, დახლზე რომ ენთო, — ჩააქრო. პირდაღებული დახლიდარი კი გაშტერებული იდგა ერთ ადგილას.

— აბა, ერთი „მოვხატოთ“ ეს ვაჟბატონი! — დაიძახა ვიღაცამ. ყველა წამოხტა და შიშისგან ფერწასულ მებუფეტეს მივარდა. კედელთან ძალით დასვეს სკამზე, რევოლვერები მოიმარჯვეს და სროლა დაუწყეს, კედელს ტყვიებით, რომ მისი ფიგურის მოხაზულობა გამოეყვანათ. ყოველი გასროლისას მებუფეტე მთელი ტანით კრთოდა, ლამის გული უსკდებოდა, მაგრამ მაინც ცდილობდა იხტიბარი არ გაეტეხა და იღიმებოდა.

ორკესტრმა მაზურკა დაუკრა. ოფიცრებმა ქალები გაიწვიეს, ზოგიც მაგიდას დაუბრუნდა. აქ ავსეენკოსა და სიდორენკოს მომცრო ტანის, სუსტი და ფერმკრთალი კაცი მიუახლოვდა და ჩუმად კითხა:

— როგორ ჩატარდა თქვენი ერთობლივი ექსპედიცია?

— რას ბრძანებთ, რის მეამბოხეთა სია, შევაშინებთო და მოგვცემსო, — უპასუხა სიდორენკომ, — ისე გვიფრინა, რომ სულ კუდით ქვა გვასროლინა. მის თავზე ხელაღებულ მცველებს ძლივს გადავურჩით.

— არა უშავს რა, ეს პირველი ცდა იყო, — თქვა ახლად მოსულმა და კაპიტნებს გასცილდა. მათთან შორიახლოს დადგა. მერე, ისე რომ ავსეენკოს არ შეემჩნია, სიდორენკოს ანიშნა „გამომყევიო“ და კარისაკენ დაიძრა.

ცოტა ხანში სიდორენკო ისევ უკან დაბრუნდა და შეზარხოშებულ ოფიცრებისკენ გაემართა:

— საოცარი რამ ხდება, ბატონებო! — ხმამაღლა დაიწყო მან, — ჩვენ ამბოხების მეთაურებს დავეძებთ, იმ დროს, როცა თურმე გუბერნატორი ყველა მათგანს შესანიშნავად იცნობს და მათთან ურთიერთობაც კი აქვს.

მართალია, ყველას ღვინო და არაყი თავში გამჯდარი ჰქონდა, მაგრამ ნათქვამმა დააინტერესა. იჭვის ნაპერწკალმა თავისი გააკეთა — ხანძარი დაანთო.

— როგორ თუ იცნობსო?! — დაინტერესდა ერთი ოფიცერი.

— სულ უბრალოდ. ნუთუ არ გესმით, რომ საგუბერნატოროში დღეშუდამ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ამბოხებას ხელი არავინ შეუშალოს, რომ ითარეშონ სამშობლოსა და მეფის

ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ, თავიანთი შავბნელი საქმე აკეთონ, აბა სხვანაირად რითი ახსნით იმას, რომ გუბერნატორს ჩვენი ტახტის ერთგული მცველების აქედან უცილობლად მოშორება სწადიან?

— ეს სიმართლეს წააგავს. მეც გამიგონია, ქუთაისიდან მის უგანათლებულესობასთან, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან დეპეშა დეპეშაზე მიდის, კაზაკები მოგვაცილეთო.

— მაგ დეპეშების ასლები ჩემი თვალით ვნახე ტელეგრაფში.

— რასა ბრძანებთ, ბატონებო! ნუთუ ეს შესაძლებელია?

— სამწუხაროდ, — სიმთვრალისაგან ენის ბორძიკით ჩაერია საუბარში ვიღაც პოდპოლკოვნიკი, — გუბერნატორი შეთქმულთა მხარეზეა...

— რაღაც გაუგონარ რამეს ბრძანებთ, — არ დაეთანხმა ერთ-ერთი მოქეიფეთაგანი, — რომ მისი აღმატებულება გუბერნატორი, მეფეს ღალატობდეს?!

— გაჩუმდით! შენ მას არ იცნობ. ის პირწავარდნილი წითელია! — წაესივჩინ ღაეჭვებულს სხვა ოფიცრები.

— თუ კი წითელია, ისე უნდა გავუსწორდეთ, როგორც წითელს! — წამოხტა მთვრალი ოფიცერი.

— როგორ გგონიათ, ვისი მითითებით განაიარაღეს თქვენი ასეული? რალა თქმა უნდა, მისი წაქეზებით. — შეუკეთა სიდორენკომ თენგინელებს.

— ნუთუ თქვენმა კეთილშობილებამ არ იცის, რომ დღეს თუ არა, ხვალ შეიარაღებული წითელ რაზმელები სტაროსელსკის მეთაურობით ყველა ჩვენგანს ყელებს გამოგვღადრავენ? ამისათვის ნიადაგსაც ამზადებს, მას თურმე მეფისნაცვლისთვის მიუწერია, — თუ ხოპერელებსა და პლასტუნებს აქედან არ გაიწვევთ, ხალხის მოქმედებაზე პასუხს არ ვაგებო.

— ერთი შეხედე ამ მოღალატეს, რაებს ბედავს!.. — დაიღრიალა მაიორმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა.

ყველა ადგილიდან წამოხტა.

— ხომ არ დაველოდებით, როდის ამოგვწყვეტენ ეს არამზადები...

— არ მოხდება ეს! ჩვენ მათ ადრევე მოვუღებთ ბოლოს...

— დაუყოვნებლივ!..

ოფიცრები ხმაურითა და ყაყანით გარეთ გამოვარდნენ.

პოდპოლკოვნიკმა ორდინარეცი გამოიძახა, რომელიც თავის მეგობრებთან რესტორნის სამზარეულოში არაყს ხუხავდა და რაღაც ბარათი გადასცა; უბრძანა დაუყოვნებლივ ყაზარმებში გავარდიო. ხოლო მაიორმა იგივე დაავალა ერთ-ერთ მოქეიფე ოფიცერს.

ამ დროს ავსეენკოს, რომელიც დარბაზის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, ვიღაცა მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— სასწრაფოდ გთხოვეს გამოცხადდეთ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსთან, მისი კეთილშობილება პოლკოვნიკ სტრელცოვთან.

მიუხედავად იმისა, რომ ავსეენკო კარგა მაგრა შეზარხოშებული იყო, ძის გონებამდე მიაღწია, რომ ტყუილუბრალოდ ასეთ გვიან ჟამს მას არ გამოიძახებდნენ, ტუალეტში შევიდა, თავი ცივ წყალს შეუშვირა, თმა გადაივარცხნა და უკვე თითქმის გამოფხიზლებული გაჰყვა მოსულს. მათ რესტორნის შესასვლელთან ორთვალა ელოდა.

უფროსმა ავსეენკო გულთბილად მიიღო.

— კაპიტანო, შუა ქეიფში იქნებოდი? არა უშავს რა, აი მალე ჯილდოს მიიღებ და ალბათ სათანადოდ აღნიშნავ. ნამდვილად ქების ღირსი ხარ, ამიტომაც გადავწყვიტეთ ზოგი რამ ძველი ცოდვებიდან ჩამოგაწეროთ.

— მზად ვარ სამსახურისათვის! თქვენო კეთილშობილებავ! — შესძახა ავსეენკომ და ხელი ქუდთან მიიტანა.

— ახლა კი საქმე... — განაგრძო პოლკოვნიკმა, — ცნობა მოვიდა, რომ ვილაცის საიდუმლო მითითებით პოლიციამ ჩვენთან ერთობლივი ოპერაციის ჩატარებაზე კოდით „ჯანყი“ ხელი აიღო, თუმცა ოფიციალურად ამის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ არაფერი უცნობებიათ. ჩანს, რაღაც სხვა მიზანი დაისახეს და მის მისაღწევად დამოუკიდებლად მოქმედება გადაწყვიტეს. დარწმუნებული ვარ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უხეშად და ტლანქად იმუშავებენ. — აქ პოლკოვნიკს თითქოს რაღაც მოაგონდა, ავსეენკოს კითხა: მითხარი, პოლიციის აგენტი კაპიტანი სიდორენკო შენ სად დატოვე?

— როცა საგუბერნატოროდან რესტორანში დავბრუნდით, ჩვენთან ოპერაციის ხელმძღვანელი მაიორი მოვიდა და დაინტერესდა გუბერნატორთან შეხვედრის შედეგებით. მერე მე ისე მომეჩვენა, რომ მან სიდორენკოს რაღაცა ანიშნა, ისიც შეუმჩნევლად მომცილდა, კარისაკენ გასწია...

— ახლა ყველაფერი გასაგებია! — კმაყოფილებით აღნიშნა პოლკოვნიკმა. მე ეს-ეს არის შემატყობინეს, რომ პოლიციის მაიორის დავალებით სიდორენკო ოფიცრებს აქეზებს: სტაროსელსკის დაუყოვნებლივ უნდა გაუსწორდეთო! ამის დაშვება კი არამც და არამც არ შეიძლება. ჯერ ერთი თუნდაც იმიტომ, რომ ის დღეს პოსტზე მყოფი გუბერნატორია და ჯარის ხელით შესრულებული ეს აქცია არასასურველ პრეცედენტს შექმნის. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ ზევით არ მოიწონონ ეს და ამაზე ჩვენ, ჟანდარმერიას, პასუხიც კი მოგვთხოვონ. აუცილებლად უნდა დაველოდოთ საკითხის ოფიციალურ გადაწყვეტას და მიღებული მითითების თანახმად სტაროსელსკი ჩვენ უნდა ჩავიგდოთ ხელში და ჩვენვე უნდა გავუსწორდეთ...

— კი მაგრამ, როგორ, რა გზით უნდა დავაოკოთ გამძვინვარებული ოფიცრები და მათი სალდათები, თუ ისინი საგუბერნატოროს ეკვეთებიან?!

— მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რომ კაზაკებმა გუბერნატორს შეუტიონ, იმიტომ, რომ მაშინ, როცა ეს საჭირო გახდება, იგი ჩვენ ადვილად დაგვნებდება. მაგრამ ახლა რადაც არ უნდა დაგვიჯდეს პოლიციას ხელი უნდა შევუშალოთ განზრახვის სისრულეში მოყვანას. ამისათვის გავალებ გამოიყენო შენი გავლენა ჯარზე, როგორც ეგრეთწოდებული გენერალ ალიხანოვ-ავარსკის „ადიუტანტისა". აბა, გასწი, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!

ავსეენკო ეტლით ბრძანების შესასრულებლად გაექანა.

* * *

ერთი საათიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც პოლიციის აგენტმა სიდორენკომ ეჭვის თესლი დათესა, რომ გუბერნატორის რეზიდენციის მიმდებარე ქუჩები დაიკავეს კაზაკებმა და თენგინელთა იმ ასეულმა, რომელიც რამოდენიმე დღის წინათ განაირაღეს.

— გუბერნატორი გამოვიდეს! — ღრიალებდნენ ჯარისკაცები.

— ამბოხის მეთაურების სიები გადმოგვცეს!... იარაღი დაგვიბრუნოს! — გაჰყვიროდნენ თენგინელები.

სტაროსელსკი ბეგლარმა გააღვიძა.

ვლადიმერმა ფანჯარაში გაიხედა და მოზღვავებული ჯარი რომ დაინახა, სწრაფად გადაიცვა გენერლის მუნდირი და დაცვის თანხლებით პარმაღში გამოვიდა.

— უფროსი ოფიცერი ჩემთან გამოცხადდეს! — ხმამაღლა უბრძანა გუბერნატორმა.

ადგილიდან არავინ დაიძრა.

— არ გესმით, უფროსი ოფიცერი გამოცხადდეს! — კვლავ გაიმეორა მან.

ოფიცრები არსად ჩანდნენ. ალბათ ბოლო მომენტში მიხვდნენ, რომ გადაამლაშეს და ჯარისკაცების ზურგებს ამოეფარნენ.

— თუ კი აქ არავინაა უფროსი, მე ვბრძანებ: დაიშალეთ და დაბრუნდით ყაზარმებში!

ჯარისკაცები განაგრძობდნენ ხმაურს.

— თქვენ გესმით, რომ ეს ჯანყია და ამას შესაბამისი მკაცრი შედეგი მოჰყვება. ჩანს, თქვენ ვიღაცამ გაგაბრიყ-

გიორგი ლეონიძე
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვათ. ცხადია, პირველ რიგში პასუხისმგებლობა ოფიცრებს დაეკისრებათ, თუმცა, არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე!

— ჩვენ არავის გავუბრიყვებივართ. მეამბოხეებს უნდა გავუსწორდეთ. სიები კი თქვენა გაქვთ. თანაც თქვენ თითონ... აქ კი კაზაკმა წაიფორხილა, ფრაზის დამთავრება ვერ გაბედა.

ქუჩის ბოლოში კაზაკებმა ვიღაცას გზა უტიეს. გენერალი შიშკოვსკი და პოლკოვნიკი შიშკევიჩი გამოჩნდნენ. მათ ქვეითი ჯარისკაცები მოჰყვნენ. ესენი ქუჩის გასწვრივ ჩამწკრივდნენ. როგორც გამოირკვა, გენერალსა და პოლკოვნიკს ნადეჟდამ დაურეკა და შველა სთხოვა.

— აი, ის, ყველაზე მეტს რომ გაჰყვირის, მომიახლოვდეს. — მოითხოვა სტაროსელსკიმ.

კაზაკები მას ხელს ჰკრავდნენ, წინ წამოდექიო, მაგრამ ის შემკრთალი ურჩობდა.

ვითარება საკმაოდ გართულდა. ჯარისკაცები დაჟინებით მოითხოვდნენ იარაღსა და მეამბოხეთა სიებს. თუ არა და იმუქრებოდნენ, შენობას დავარბევთო...

აქ გენერალმა უბრძანა:

— ყაზარმებისკენ ნაბიჯით იარ!

ჯარისკაცები ადგილიდან არ დაიძრნენ.

— უფროსი ოფიცერი გამოცხადდეს!

— ყველამ აქეთ-იქით დაიწყო თვალების ცეცება, ოფიცრებს თითქოს მიწამ პირი უყო.

— გამოდის, რომ თქვენ თვითნებურად მიატოვეთ ყაზარმები?

— რატომ თვითნებურად? გვიბრძანეს და ჩვენც აქ მოვედით! — გაისმა გაუბედავი ხმები.

— ეს ხელისუფლების საწინააღმდეგო ამბოხებაა და ყოველ თქვენთაგანს, რა თქმა უნდა, ციმბირი არ ასცდება, — დაიწყო შიშკოვსკიმ. სახე მთლად გაფითრებული ჰქონდა, ხელი რევოლვერის ბუდეზე ედო, მზად იყო იარაღი ეხმარა.

— ღვთის გულისათვის, გონს მოდით, მე გთხოვთ, — ჩასჩურჩულა სტაროსელსკიმ.

— მეგობრებო, თქვენ არაკეთილსინდისიერმა ადამიანებმა შეგაცდინეს. უნდა გესმოდეთ, რომ არავითარი წართმეული იარაღი და მით უმეტეს მეამბოხეთა სიები არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს. თქვენ ისიც უნდა გესმოდეთ, რომ ჯარისკაცებს არ ეკადრებათ ასე მოეპყრან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის გუბერნატორს. რა თქმა უნდა, თქვენ, და განსაკუთრებით წამქეზებლებს, პასუხს მოვთხოვთ. დაბეჯითებით გთხოვთ, ვიდრე გვიანი არ არის, დაიშალეთ!

— არსადაც არ წავალთ!.. — კვლავ გაისმა ამჯერად გაუბედავად, ამ პროვოკაციის ერთ-ერთი წამომწყების ხმა.

— რას სჩადით, ძმებო?! — მოულოდნელად დაიძახა ვიღაცამ. — რა გამოდის, მართლაც, ვის წინააღმდეგ მივდივართ? ხელმწიფის მსახურის წინააღმდეგ? გენერალს არ ვემორჩილებით?

— ეს არაფერს არ გავს, — დაუდასტურა ზოგიერთმა.

სტაროსელსკის უკან მდგარმა კოსტიამ ბრბოში აქეთ მომავალ ნაცნობ კაპიტანს მოჰკრა თვალი. ხელში სტეკი ეჭირა. კოსტიამ სწრაფად ჩაირბინა კიბე, მასთან მიიჭრა.

— ახლა შენი ჯერია, — უჩურჩულა, მერე ხელი დაავლო და სტაროსელსკის სახლის პარმაღისკენ გაიყოლია. კაპიტანი ჯერ ისე გაისარჯა, ვითომც უძალიანდება, შემდეგ კი ხელი გააშვებინა და მორჩილად გაჰყვა. სახლის კიბეს რომ მიუახლოვდნენ, კოსტიამ უთხრა:

— აბა, ახლა იმოქმედე, როგორც საჭიროა!

ავსეენკო კიბის რამდენიმე საფეხურს აჰყვა, აქ მდგომთ ხელი აუღო და შემდეგ შეკრებილთ მიმართა:

— უსმინეთ ჩემს ბრძანებას!

ყველასათვის ცნობილი კაპიტანი რომ დაინახეს, ჯარისკაცები მიჩუმდნენ.

— სმენაა! — ყველა სმენაზე დადგა,

— ზურგისაკენ! ნაბიჯით იარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცები უსიტყვოდ დაემორჩილნენ და აქაურობს მოსცილდნენ.

— გმადლობთ, მიხაილ ვასილიევიჩ და კლემენტი გეორგიევიჩ თანადგომისათვის, — მიმართა სტაროსელსკიმ შიშკოვსკის და შიშკევიჩს, როცა კაბინეტში შევიდნენ.

— ჩვენ არაფერ შუაში ვართ, მადლობა კაპიტანს ეკუთვნის, — უკმაყოფილოდ წარმოთქვა გენერალმა და ხელი ჩაიქნია, — ყველაფერი იმპერიაში აირ-დაირია, ინგრევა და იშლება...

ამ დროს ყიფშიძე შემოვარდა:

— ცოცხალი ბრძანდებით?! მადლობა ღმერთს! ქალაქი ფეხზე დადგა, ხმა დაირხა: თითქოს საგუბერნატოროს ცეცხლი წაუკიდეს, თქვენ კი სიცოცხლეს გამოგასალმეს. ხალხი ქუჩაშია გამოფენილი. ერთი შეხედეთ, თქვენს სახლთან რა ამბავია.

ფანჯარასთან რომ მივიდნენ, ნახეს, როგორ მორბოდნენ ყოველ მხრიდან აქეთ მოქალაქეები. მალე ხალხის ზღვა დადგა, ისინი ერთხმად გაიძახოდნენ:

— ბატონო ლადო! ბატონო ლადო!

გამოჩნდა თუ არა აივანზე სტაროსელსკი, ყველა ტაშითა და შეძახილებით შეხვდა:

— გაუმარჯოს ჩვენს ლადოს! გაუმარჯოს ვლადიმერ ალექსანდროვიჩს!

— ურა! ვაშა! ჩვენი ლადო ცოცხალია! — გაჰყვიროდნენ ჯარისკაცები და ქუდებს ჰაერში ისროდნენ.

— გმადლობთ, მეგობრებო, გმადლობთ! — მიმართა მათ გულაჩუყებულმა სტაროსელსკიმ. — გთხოვთ დამშვიდდეთ და ყოველგვარ აქციებისაგან თავი შეიკავოთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ რომ მე დიდ პატივს გცემთ. მერე შეკრებილთ ხელი დაუქნია და ოთახში შებრუნდა. თვალებზე ცრემლები უციმციმებდა. შიშკოვსკისა და შიშკევიჩს რომ დაემშვიდობა, ყიფშიძეს სთხოვა დარჩენილიყო.

— იქამდე მივიდა საქმე, რომ ჩვენს ბედს ვიღაცა კაპიტნები განაგებენ. — შენიშნა ვიცეგუბერნატორმა.

— ეჭვს გარეშეა, — დაიწყო ვლადიმერმა, — რომ მდგომარეობა სულ უფრო იძაბება. ეტყობა საქმე სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებისაკენ მიდის. ვცდი, იქნებ კიდევ ერთხელ შევძლო წინ აღვუდგე მას.

— მგონია, ამ სიტუაციაში არაფერი გამოგივათ.

— უნდა შევეცადო გრაფი როგორმე დავარწმუნო რეპრესიების უაზრობაში. თუ არა და კატეგორიულად გადადგომას მოვითხოვ. — თქვა ეს სტაროსელსკიმ და იქვე მაგიდას მიუჯდა.

ორივენი სამეფინაცვლოში გასაგზავნი მოხსენების შედგენას შეუდგნენ. მასში აღნიშნავდნენ, რომ მომავალ რეპრესიების მოლოდინში მდგომარეობა გუბერნიაში კვლავ რთულდება და ადვილი შესაძლებელია, რომ გუბერნიაში სიმშვიდის დასამკვიდრებლად ადრე ჩატარებულმა ყველა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიაროს... რომ მოსახლეობა სასოწარკვეთილებას მიეცა და მზად არის ახალი მსხვერპლი გაიღოს, რათა ის, რაც სისხლითა და ოფლით მოიპოვა, არ დასთმოს...

„...გევედრებით... აკრძალეთ ძალადობა, გადაარჩინეთ მხარე სრულ გაპარტახებას. ხოპერთა პოლკის ამ უკანასკნელ ხანს თავაშვებულება საფუძველს იძლევა ვამტკიცო: მათ მიზნად დაისახეს ქუთაისში სისხლისღვრის მოწყობა. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ პოლკი არ ემორჩილება გუბერნიის ჯარების მთავარსარდალს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ძალადობაში და ძარცვაში, რასაც სალდათები სჩადიან, ოფიცრებიც იღებენ მონაწილეობას. პოლკის მეთაური, როგორც მისი ჩემდამი გამოგზავნილი თავხედური წერილიდან და გენერალ შიშკოვსკის სახელზე ყალბ მოხსენებებიდან ჩანს, აქეზებს ჯარისკაცებს დარბევისაკენ, ამიტომ მე თავს ნებას ვაძლევ კიდევ ერთხელ მოგმართოთ თქვენო უგანათლებულესობავ, შუამდგომლობით, რომ პოლკი დაუყოვნებლივ გაიწვიოთ გუბერნიიდან, ან მიმიღოთ, რათა პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადად მოგახსენოთ შექმნილი ვითარება. თუ კი თქვენი უგანათლებულესობა ჩემი ამ უმორჩილესი თხოვნის დაკმაყოფილებას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, ყურად არ იღებს მას, მაშინ საშუალება მეკარგება აქაურობას სისხლისღვრა ავაცდინო. ყველა ზემოთ მოხსენებულის გამო ჩემს ზნეობრივ და სამსახურებრივ ვალად ვთვლი თქვენს უგანათლებულესობას ვთხოვო აღძრას შუამდგომლობა ჩემი თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე".

სტაროსელსკიმ მშიფრავს მოუხმო და დაავალა — დეპეშა დაუყოვნებლივ თბილისში გაეგზავნა.

როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, გრაფმა არა თუ არ შეიწყნარა სტაროსელსკის მუდარა, არამედ პირუკუ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ამჯერად მას ამბოხების ჩასაქრობად უკვე ხელთ სათანადო ძალი ჰქონდა, ბრძანა გუბერნიაში რეპრესიები გაეძლიერებინათ.

* * *

შირინკინმა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროს გენერალ გრიაზნოვთან საიდუმლო მოლაპარაკების შედეგად მეფისნაცვალს გურიის ამბების გამო ტრაგიზმით სავსე მოხსენება გაუგზავნა. საქმე ისე წარმოაჩინა, რომ კვლავ სამხედრო წესების შემოღების მეტი აქ არაფერი უშველიდა. ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს და 17 ოქტომბრის მანიფესტის ძირითადი დებულებები კავკასიის „უკულტურო და მტრულად განწყობილმა მოსახლეობამ არასწორად გაიგო..., რამაც აჯანყებული გურიის დასაპყრობად (მიაქციეთ ყურადღება „დასაპყრობად" — გ. ლ.) განსაკუთრებით მძიმე პირობები შექმნა". აშინებდა რა ვორონცოვ-დაშკოვს, ის წერდა: „ეჭვგარეშეა, რომ ყველაფერი ეს საფრთხეს უქმნის სამოქალაქო წესრიგს მთელს სამეფისნაცვლოში".

ვინ იყო, შირინკინის აზრით, ამაში დამნაშავე? რაღა თქმა უნდა, სამოქალაქო ხელისუფალნი და, კონკრეტულად, გუბერნატორი, რომელიც შეგნებულ უმოქმედობას იჩენდა და ამით ხელს უწყობდა ამბოხებას. „ასე ამგვარად... ის ამ მძიმე სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებაში თავად ღებულობს უშუალო მონაწილეობას". შირინკინი დაასკვნიდა: „ასეთია შედეგი იმ ხელისუფლების წარმომადგენელთა დანაშაულებრივი უმოქმედობისა და თავისი მოვალეობისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა, რომლებსაც თქვენი უგანათლებულესობის ნდობით მხარის სამოქალაქო მმართველობა დაეკისრათ... სინდისი და ტახტის ერთგულება არ მაძლევენ უფლებას თქვენი უგანათლებულესობის წინაშე არ ვამხილო ეს პირები და არ მივუთითო, ვისი წყალობით აღმოჩნდა მხარე ასეთ მძიმე და საშიშ ვითარებაში".

ბოლოს და ბოლოს, ვორონცოვ-დაშკოვმა შეიწყნარა შირინკინის არაერთგზის თხოვნა და ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა ხელახლა გამოაცხადა. ასე ამგვარად, ახალი უბედურება თავს დაატყდა გუბერნიის მოსახლეობას. ყოველი მხრიდან მოდიოდა ცნობები სისხლიანი შეტაკებებისა და რეპრესიების შესახებ.

* * *

ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმები კვლავ ქუთაისის გუბერნიისკენ დაიძრნენ. იმის გამო, რომ სურამის გვირაბი რკინიგზელებმა ორთქლმავლებით ჩახერგეს, ჯარის ნაწილებს უღელტეხილის ფეხითა და ცხენებით გადალახვა მოუხდათ, თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ისინი წითელრაზმელთა მოულოდნელი თავდასხმის შიშით, წინ მზვერავებს აგზავნიდნენ, ყველაფერმა ამან რაზმების მოძრაობა საგრძნობლად შეაფერხა. ამიტომ, როცა მომხდურებმა გზა გაიკვლიეს და ბელაგორს მიადგნენ, აქ მთელი მოსახლეობა გახიზნული დახვდათ. გაბოროტებულებმა სულ რამდენიმე საათში ეს დაბა ნაცარტუტად აქციეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორაპანთან, ჯარს წითელრაზმელთა ტყვეობიდან განთავისუფლებული თენგინელთა ორი ასეული შეუერთდა. დამსჯელი რაზმის ოფიცრები მათ მუქარით შეხვდნენ: როგორც მხდალებსა და მოღალატეებს, სამხედრო ტრიბუნალს ვერ გადაურჩებითო. ოფიცრებს ვარაუდი გაუმართლდათ: შეშინებულმა თენგინელებმა თავის გამართლების მიზნით სალდათებს რაღაც მონაჭორის მოყოლა დაუწყეს. ვითომდა მათ მოულოდნელად თავს დაესხა რამდენიმე ათასი შეიარაღებული რაზმელი. „აბა რას გავხდებოდითო“ გაიძახოდნენ ისინი, „ვინც არ ნებდებოდა, თვალებს თხრიდნენ და იქვე კლავდნენო — ძლივს გადავურჩით მაგ მხეცებს. ახლა ტყვეობაში ნულარ იტყვით რა დღეები გამოვიარეთ: მშიერ-მწყურვალებს დილიდან ღამემდე გვირტყამდნენ, ბევრს ცეცხლის ნაკვერჩხლებით გვაწამებდნენ“. ეს მონაყოლი დამსჯელებს შურისძიებისა და სამაგიეროს მიზღვის გრძნობას ულვივებდა. ამ ლაპარაკის მომსწრე ერთ-ერთმა თენგინელმა ველარ მოითმინა და აღშფოთებულმა ხმამაღლა შესძახა:

— ძმებო! არ დაიჯეროთ, სისულელეებს ბოდავენ, რაზმელები, ხალხი ძალიან კარგად გვეპყრობოდნენ...

— მართალია! — დაემოწმა მეორე.

— წითლები, ნამდვილად წითლები არიან, — დაიღრიალა იქვე მდგომმა ოფიცერმა, იძრო რევოლვერი და ორივე ტყვიებით დაცხრილა...

ჯარმა გზა განაგრძო... მალე ხალხისაგან დაცარიელებული ყვირილა ცეცხლის ალში გაეხვია. სულ ცოტა ხანში მისგან ფერფლი და ნაღვერდალი დარჩა...

თავი 24

## კალანდობა. ფიცი. ღამეული სროლა. კონსპირაციულ ბინაზე.

სტაროსელსკისთან ბეგლარი შევიდა და კარებში აიტუზა.

— რა ამბავია, ხომ არაფერი მოხდა?

— ბატონო ლადო, პატარა სათხოვარი მაქვს. საშობაო-საკალანდოთ ჩვენებთან ბახვში მინდა ჩავიდე, რამდენი ხანია ცოლ-შვილი არ მინახავს. კოსტია შემცვლის. ესეც რომ არ იყოს, დავალება მაქვს ერთი, თქვენ იცით აძის შესახებ.

— კეთილი, წადი. — სტაროსელსკი წამით ჩაფიქრდა და დაუმატა: — გამგზავრების წინ ჩვენებთან შეიარე.

მეორე დღეს დილით, უფროსის ბრძანებით ბეგლარი მის ბინას ეწვია. აქ მას ნადეჟდამ დიდი უარის მიუხედავად საჩუქრებით სავსე ყუთი მაინც შეაჩეჩა. რა არ იყო შიგ, ნაძვის ხის სათამაშოები, კანფეტები, ბავშვის კაბები, ქართული წიგნები.

— დიდი მადლობა, ქალბატონო ნადია, დიდი მადლობა! — აღელვებული ეუბნებოდა ბეგლარი.

თენდებოდა, როცა ბეგლარმა მშობლიურ სოფელში შეაგელვა ცხენი.

სახლის ფანჯრებში სინათლე ციცინათელებივით კრთოდა, ბუხრებიდან ამოვარდნილი კვამლის ბოლქვები ცას სწვდებოდა. დიდი და პატარა გურიაში სათაყვანებელ შობა-კალანდობისთვის ემზადებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სულ ახლახანს საეგზეკუციო ჯარისკაცებმა გაანაგეს და დაარბიეს ოჯახები, გლეხებმა მაინც შეძლეს მცირე სურსათ-სანოვაგის გადამალვა და ახლა სასიხარულო დღის სამზადისს შესდგომოდნენ.

აი, გზის მოსახვევში ბეგლარის სახლიც გამოჩნდა. ნათქვამია, „კარმიდამოს თვალი მოავლე და რა კაციც ცხო-

ვრობს იქ, მიხვდებიო". პატარა, კოხტა ხის ოდას, ნალიასა და ოთხ ფეხზე დაყენებულ საქათმეს ოსტატურად დაწნული ღობე ერტყმოდა. ეზოში ჭაც იყო. ირგვლივ შემოძარცვული ხეები იდგა. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ხურმის მომწიფებული ნაყოფი ამშვენებდა. ხეებზე მზრუნველ ხელს ვაზი — ადესა გაეშვა. გადახურულ მარანში ჩაფლულ ქვევრებში ოქროს ფერი ღვინო ელოდა შინაურსა თუ სტუმარს. რაკარუკი გაქონდა ღომის საცეხველას, რომელიც პატარა, მოჩუხჩუხე მდინარეს მოჰყავდა მოძრაობაში.

ბეგლარს, ცხადია, საშობაოდ ყველა ელოდა. ჭიშკართან ცხენი რომ შეაჩერა და ჩამოქვეითდა, მთელი ოჯახი მხიარული ყიჟილ-ხივილით მიეგება: მეუღლე მაიკო, პირმშო რაჟდენი, ქალიშვილი ტასიკო, პატარა ნოდიკო და ფრიდონი. ბავშვები კისერზე ჩამოეკიდნენ, ფეხებში ებლანდებოდნენ. მერე საჩუქრებით სავსე ყუთს დაეძგერნენ, გახსნეს და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ბეგლარიც არ დარჩა უსაჩუქროდ. ქალიშვილმა თავისი ხელით მოქსოვილი წინდა მიართვა, მეუღლემ შინნაქსოვი პერანგი. მერე ყველანი კერიას მიუჯდნენ და ბეგლარს სოფლის ამბები აუწყეს. უსიხარულო იყო ეს თხრობა: ეგზეკუტორებმა ვინ მოკლეს, ვის პატივი ახადეს...

— ნენა, ნეტავ ბოლო როდის მოეღება ამ ჩვენს ტანჯვა-წამებას? — სასოწარკვეთით დააბოლოვა მონაყოლი მაიკომ, — დღე ისე არ გავა, რამე ჭირსა და უბედურებას არ გადაეყაროს ადამიანი. კიდევ კარგი, ამ არაკაცებს თქვენი, წითელრაზმელებისა ეშინიათ.

— ცოტაც მოითმინე — ამშვიდებდა ქმარი, — აი, რევოლუცია გაიმარჯვებს და ჩვენც დაგვადგება საშველი, ადამიანურად ვიცხოვრებთ...

მეორე დღეს ბეგლარი მეზობელთან, ომართან გადავიდა. აქ მას მრავალი თანასოფლელი დახვდა, ბეგლარის ჩამოსვლის ამბავი რომ შეიტყეს, აქეთ გამოეშურნენ. ხუმრობა ხომ არ არის, თვით გუბერნატორის პირადი დაცვის უფროსი, წითელრაზმელი ჩამოვიდა, თანაც ეს ბეგლარია, თანასოფლელები დიდ პატივს რომ სცემენ, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელსაც არ მოისვამენ. წარმოიდგინეთ, თვით ეგზეკუტორებიც მის ოჯახს მორიდებით მოეპყრნენ — ოფიცერმა ბრძანა, მის სახლში ჯარისკაცები ნუ დადგებიანო.

— რასა იქს, რავაა ჩვენი ლადო, ახლობელივით მოიკითხეს გლეხებმა გუბერნატორი.

— ეჰ, ნუ იტყვით, შავი დღე ადგია უბედურს, უფროსები სისხლს უშრობენ, გლეხკაცს მხარს რატომ უჭერო, რატომ ესარჩლებიო, — ამოიოხრა ბეგლარმა.

— მაი კაცი ღვთით მოვლენილია, მისი მოციქულია მიწაზე — დაუმოწმა ვილაცამ.

— თავად თქვენ რავა ხართ — კითხვა შეუბრუნა ბეგლარმა.

— რავა უნდა ვიყოთ, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. კაზაკებმა გაგვაჩანაგეს, სული გაგვიმწარეს. იქნებ არც იცი, ამასწინათ შენმა მეზობელმა ხარიტონმა კაზაკი გალახა. ურჯულომ მის გოგოს გაუპატიურება მოუნდომა. მერე საცოდავი მთელი ოჯახით ტყეში გაიხიზნა.

— განა მარტო ეგ არის მაგ დღეში! ცოტაც და ყველანი მის გზას გავყვებით. ერთი იმედია, ლადო დაგვეხმარება.

გვიანამდე საუბრობდნენ თანასოფლელები, თავის მძიმე ხვედრს უჩიოდნენ. მასპინძელი კი სულ ბოდიშობდა:

— მაპატიეთ, ბატონებო, ხომ იცით, მარხვაა, მხოლოდ ლობიოთი შემიძლია გაგიმასპინძლდეთ.

— გმადლობთ, მაგან სახლშიც მოგვაბეზრა თავი. — ხუმრობდნენ სტუმრები.

— მაშინ მოხარშული კვახი მაინც მიირთვით, — არ ეშვებოდა მეზობლებს ომარი, — როგორც კი ხსნილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგება, მობრძანდით და საკადრის პატივს გცემთ.

სანამ ბეგლარი მეზობლისას იყო, ქალებმა, როგორც ეს ჩვევად იყო ძილებული, ნადიმი გამართეს. ამ დროს აქ კაცის ჭაჭანება არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ ბეგლარის უფროსი ვაჟი — რაჟდენი მეგობართან გადავიდა. ქალებმა საზეიმო მზადება გააჩაღეს: შალს რთავდნენ, ქსოვდნენ, ბალიშებს ბუმბულით ავსებდნენ. განსაკუთრებით ქალიშვილები ცდილობდნენ, იქნებ სადედამთილოებს მოვეწონოთო. შეკრებილნი მარტო ხელსაქმეში როდი ეჯიბრებოდნენ, — ზღაპრის მოყოლაშიცა და ჩონგურზე დაკვრაშიც. აი მეზობლის თინიკომ ჩონგური აიღო, თითები სიმებს შეახო, დაამღერა. მერე დაქალებს დაუარა, წრე რომ შეეკრათ, ყოველი მათგანისათვის შესატყვისი თბილი და ხატოვანი სიტყვა გამონახა.

დაქალებიც აჰყვნენ სიმღერაში. უცებ თინიკო შეჩერდა, მერე კარს მივარდა, სწრაფად გაალო და ლამის ცხვირპირი დაულეწა მეზობლის ბიჭს, რომელიც კარს უკან, მალულად უსმენდა გოგონების სიმღერას. ქალებმა სიცილი დააყარეს და ბიჭმაც მოუსვა.

ახლა დიასახლისმა მაიკომაც ჩამოჰკრა ხელი ჩონგურს და დაამღერა:

ძილო, ნუ დამეძინები  
საბრალოსა მეო,  
ქმარს პერანგი არ მიცვია  
საბრალოსა მეო.  
მოვუსტავ და მოვუკერავ  
საბრალოსა მასო.

მეგობრებმა ეს სიმღერაც აიტაცეს...

მოხარშული კვახი და ჯანჯუხა რომ მიირთვეს, მეზობლები ხუმრობითა და სიცილ-კისკისით როგორც იქნა, დაიშალნენ.

შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა მამა და შვილი სახლში დაბრუნდნენ.

კერია დილამდე რომ არ გაციებულიყო, მაიკომ მუგუზალს ნაცარი მიაყარა და თან დააყოლა: „ცეცხლო ელოდე, მელოდე, მე მელოდე, მზეს ელოდე, მთვარეს ეთაყვანებოდე, დილით ადრე ადგებოდე, დოჩხაური დამხვდებოდე!...“

გათენდა თუ არა, მაიკომ ქალიშვილთან ერთად ცომი მოზილა, ორი ქათამი დაკლა, სუნელში ამოავლო და ცეცხლზე შედგა. მოსახარშად გაამზადეს რაჟდენისა და მისი ძმების ნადავლი: კაკანათით დაჭერილი და საკალანდოდ დამარილებული შაშვები, ბელურები და ჭივჭავები. გამოაცხვეს ღვეზელი და მუცლის სალოცავი კვერები იმდენი, ოჯახის ყველა წევრს, რომ რგებოდა.

წინასაახალწლო დღეებში გურიაში სტუმრიანობა არაა მიღებული. სახლიდან არავინ გავა.

აი, უკვე მერამდენე დღეა ყოველ დილით საუზმეს რომ მიუსხდებოდნენ, ბეგლარი იტყოდა:

— აბა, ჩემო კარგებო, ახლა ვიოცნებოთ, სურვილები „გოდრით დავდგათ“.

ყველა ხმამაღლა გამოთქვამდა თავის ოცნებას: ბეგლარმა — მართალმა საქმემ გაიმარჯვოსო, მაიკომ — ქმარშვილი მყავდეს კარგად და კიდევ ერთი ძროხა შევიძინოთო, ბავშვებმაც ინატრეს: ერთმა — ახალი კაბა, მეორემ — ძროხამ ხბო მოიგოსო. იგივე მეორდებოდა სადილზეცა და ვახშამზეც.

როცა მზე მიიმალა, ბეგლარმა ოჯახის ყველა „მამაკაცი“ შეაგროვა და გობით ხელში, რომელზედაც შემწვარი გოჭის თავი, ხაჭაპური და დოქით ღვინო ელაგა მარნისკენ გასწიეს. ცვილის სამი სანთელი დაანთეს, გობს სიმეტრიულად მიამაგრეს. მერე ის სამჯერ წალმა შემოატრიალეს და თან დააყოლეს:

— მშვიდობის წელიწადი გაუთენდეს ჩვენს ოჯახს, მოგვცეს უხვი მოსავალი ღვინის და ყოველგვარი ნამუშიერის.

— იცოცხლოს და იხაროს ჩვენმა ლადომ, შენ რომ დალუპვისაგან გიხსნა, ჩემო ძვირფასო ვაზო, მზის წვენით

ბიბლიოთეკა

რომ აავსო ჩემი ჭური, — ლოცვასავით წარმოთქვა ბეგლარმა, ჭიქა გამოსცალა, გოჭისთავს პატარა ნაჭერი მოაჭრა, ხაჭაპურიც დააყოლა. იგივე გაიმეორა რაჟდენმაც. პატარებმა ჭიქას მხოლოდ ტუჩები მიადეს. მერე ხელში რაც მოხვდათ, იმით შეიარაღდნენ: ხრიკით, ლაპოტით, ნაჯახით, კეტით, და საწნახელთან მივიდნენ, ბეგლარმა დაამღერა:

— აგუნა, აგუნა გადმეიარე — ბახვი, ასკანა გადმეიარეე...

ბიჭებმა ბანი მისცეს: — ხო-ხო-ხო-ხო-ხო-ხო-იო. და საწნახელს, თითქოს დოლიაო, ერთი რაკარუკი აუტეხეს.

ბეგლარმა განაგრძო:

— ჩვენს მამულში ყურძენიო, მტრის მამულში, ფურცელიო!

— ხო-ხო-ხო-ხო და იო-იო! — და კვლავ ატყდა საწნახელზე რაკარუკი.

ბეგლარმა ფრიდონი აიტაცა ხელში, ბავშვი ვაზს დასწვდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მომავალ წელს ყურძნის აკიდო მძიმე და სავსე იქნება.

ბეგლარმა კვლავ წაუმღერა:

— ჩვენს მამულში გოდორ-გოდორიო.

— მტრის მამულში კიმპალ, კიმპალიო.

ბავშვები ისევ ერთხმად აჰყვნენ. ასეთივე რიტუალი ყოველ სახლში სრულდებოდა. სიმღერა და საწნახლებზე რახუნი მთელს გურიაში გაისმოდა. შემდეგ იქაურობა გააყრუა თოფების და რევოლვერების სროლამ. ეს ყველაფერი გაგრძელდა ერთი საათი...

აი ახალი წლის დილა გათენდა. კოხტად დავარცხნილი და ახლებში გამოწყობილი ბეგლარის ოთხივე ბავშვი დედის წინ აიტუზნენ. დედამ თითოეულს წინადღით გამომცხვარი სალოცავი კვერი მუცელზე სამ-სამჯერ მოავლო და დააყოლა:

—ამისი მუცლის ტკივილი ალმა ქარს, დალმა წყალს.

მერე თითოეულმა კვერი გემრიელად მიირთვა, დარწმუნებულმა იმაში, რომ წელს ავადმყოფობა ვერაფერს დააკლებს.

საახალწლო ზარები აწკარუნდნენ და ხალხს ეკლესიისაკენ მოუწოდეს. ამ დღეს ყველა ცდილობდა შეძლებისდაგვარად საგანგებოდ მორთულიყო. გლეხები ახალ შინნაქსოვ ტანისამოსში გამოეწყვნენ, ადგილობრივი თავადაზნაურობა მობრძანდა მაუდის ჩოხებში, თეთრ ნაბდებში გახვეულები და თავზე ყაბალახწაკრულნი. ფეხზე უძიროები ეცვათ.

ჩვეულებისამებრ ეკლესიაში მრევლი ასე განლაგდებოდა ხოლმე: წინ — მამაკაცები, მათ უკან — ქალები. აზნაურები, სამღვდელო პირები და შეძლებული გლეხები — საკურთხეველთან ახლოს დგებოდნენ და აქედან თავმომწონედ უყურებდნენ ღარიბ გლეხკაცობას. მაგრამ ამჯერად ამ ადათ-წესში ცხოვრებამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა. მშრომელმა გლეხკაცობამ შეავიწროვა ძლიერნი ამა ქვეყნისანი და იძულებული გახადეს მორჩილად უკან დაეხიათ. იდგნენ დაშფოთხლები და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. ეკლესიაში მოსული ოფიცრებიც კი ფრთხილობდნენ.

წირვა დაიწყო... იგი დასასრულს უახლოვდებოდა როცა ექტინიის კითხვისას, იმ ადგილას, სადაც მღვდელს ღმერთის, მეფისა და მისი ოჯახის ხოტბა უნდა ეგალობა, მან მოულოდნელად წარმოთქვა:

— იმერეთ-სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა კომიტეტს მრავალჟამიერ!

მრევლს გაეღიმა, სამგზის დაიგუგუნა:

— ამინ!

— ამინ!

— ამინ!

წირვა ნაჩქარევად დასრულდა, მღვდელი საცეცხლურით ხელში დიაკვანთან ერთად საფლავების კურთხევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდგა. მათ უკან კაცი მოჰყვებოდათ და შესაწირს კალათში აწყობდა: კუპატს, შეჭრვარ წიწილებს, ღვინის დოქებს,, სანთლებს...

მრევლი აქვე, ეკლესიის გალავანში ახალ წელს ერთმანეთს ულოცავდნენ. მამაკაცები ჯგუფად შეკრებილნი ერთმანეთს თუთუნით უმასპინძლდებოდნენ და სოფლის ავ-კარგზე მსჯელობდნენ. ახალგაზრდებს კი ცეკვა-თამაში და სიმღერა გაეხურებინათ: გული რომ იჯერეს დაიშალნენ, სახლებისკენ გასწიეს და საზეიმო პურ-მარილს შეუდგნენ.

ბეგლარი თავისი ოჯახით კერიასთან მდგომ ტაბლას მიუჯდა. რომელზეც კაკლის წნელისაგან საგულდაგულოდ გაკეთებული ჯვრის მაგვარი ფორმის ჩიჩილაკი იდგა, ლამაზად შემოჭრენოდა მჭრელი დანით წვრილად ათლილი ბურბუშელა. იგი ტკბილეულობით იყო მორთული. ბეგლარის ჩიჩილაკს სტაროსელსკების ნაჩუქარი ნაძვის ხის სათამაშოებიც ამშვენებდა. რაც პატარების განუზომელ სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევდა. მალე სტუმრებმა იწყეს მოსვლა ოჯახის უფროსმა ლოცვა წარმოთქვა. პურ-მარილს ჯვარი გადასწერა და ჭეიფი დაიწყო. არსებული ადათ-წესის მიხედვით განსაკუთრებული სითბოთი პირველ მოსულს, — ფეხბედნიერ მეკვლეს ხვდებოდნენ. ითვლებოდა, რომ მასზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული ახალ წელიწადში ოჯახის ბედნიერება, სიხარული და კეთილდღეობა.

მეკვლე ამჯერად ისიდორე გამოდგა, ბეგლარის უმცროსი შვილის ნათლია, დაკვირვებული და ბრძენი კაცი.

მალე თითქმის სტუმრებით გაიჭედა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს ცვლიდა. ნადიმი გვიანობამდე გაგრძელდა. შუაღამეს კარგად გადაცილებული იყო, როცა სტუმრებმა დაშლა დაიწყეს. დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ბეგლარმა ანიშნა, — ნუ წახვალთო.

— ამხანაგებო, — დაიწყო ბეგლარმა, — მე თქვენ ჩვენი სოფლის საუკეთესო წარმომადგენლებს იმიტომ გთხოვეთ დარჩენილიყავით, რომ კომიტეტის დავალებით ზოგი რამ მყაქვა თქვენთვის. არ დაგიმალავთ. მძიმე ჟამი დგება. მეფის ხელისუფლება იერიშზე გადმოდის. მთელს რუსეთში რეაქცია მძვინვარებს, მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებები, ციმბირში გადასახლება, დახვრეტა. ჩამოხრჩობა. რა თქმა უნდა, ჩვენც მოგველის განსაცდელი, ასე რომ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძოლას ვწყვეტთ. უნდა შევეცადოთ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, მარად ერთგული ვიქნებით ჩვენი ბრძოლის იდეებისა...

— მართალი ხარ ბეგლარ — დაეთანხმა ისიდორე. — თუ უკანდახევა მოგვიწევს, ისე უნდა გავაკეთოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დავზარალდეთ, მომავალი ბრძოლებისათვის ძალები შევინარჩუნოთ.

კიდევ დიდხანს ბჭობდნენ შექმნილი ვითარების შესახებ, დამშვიდობებისას კი ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ნახვამდის, ხვალ საღამომდე!

* * *

გრძელი და მოუსვენარი ღამით გამოსავათებულ ბახვს თითქოს და ძკვდარი ძილით ეძინა. მაგრამ ეს ერთი შეხედვით... შუაღამე კარგა გადაცილებული იყო, როცა სახლებიდან ფრთხილად გამოდიოდნენ მამაკაცები და თითო-თითოდ სოფლის განაპირას, სასაფლაოსთან მდგარ ეკლესიისაკენ მიეშურებოდნენ. ბეგლარიც იქით გაემართა ისიდორესთან ერთად. მალე ეკლესიის თაღქვეშ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. მართალია, თანასოფლელები ერთმანეთს ჩურჩულით მიმართავდნენ, მაგრამ ეკლესიის კედლები და თაღი ამ ხმადაბალ საუბარსაც თავისებური გუგუნით ირეკლავდა. თითქოს და აქით გაბოროტებულნი, მრისხანედ გამოიყურებოდნენ წმინდანების რიგში ჩამწკრივებული ხატები. სანთლების სუსტი, მოციმციმე შუქი იჭაურობას რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმალების სამოსელში ხვევდა, ძოწწუბისა და გაურკვეველი შიშის გრძნობას ბადებდა. ადამიანების ჩრდილები ხან წაგრძელდებოდნენ ისე, რომ თვით ეკლესიის თაღს სწვდებოდნენ, ხანაც მოკლდებოდნენ. საკურთხეველთან მაგიდა იდგა — მასზე ხატი იდო, წმინდა გიორგის გამოსახულებით, რომელიც გველეშაპს შუბით გმირავდა, და კიდევ სახარება. მაგიდას, ერთი მეორის მიყოლებით, გლეხები უახლოვდებოდნენ. მარცხენა ხელს სახარებას ადებდნენ, მარჯვენათი პირჯვარს იწერდნენ და ბეგლარის მიერ წარმოთქმული ფიცის სიტყვებს იმეორებდნენ. მათი ხმები ერთი კედლიდან მეორეს ეხლებოდა, კაცს ეგონებოდა, წმინდანებმა ენა ამოიდგეს და ერთმანეთს ეხმიანებიანო.

— მე, მონა ღვთისა...

— მე, მხევალი ღვთისა, — გამოეხმაურა წმინდა ნინო.

— მე, მონა ღვთისა, — ხმა დაიბოხა მთავარანგელოზმა.

— მე, მონა ღვთისა, — ჩურჩულით წარმოთქვა მოციქულმა.

— ფიცსა ვდებ წმინდანთა წინაშე...

— ფიცსა ვდებ წმინდანთა წინაშე... — გამოეხმაურნენ ხატები, — რომ რწმენითა და ჭეშმარიტებით ვემსახურები ხალხის წმინდა საქმეს...

— ხალხის საქმეს...

— თუ ამ წმინდა საქმეს ვუღალატებ, მომეწიოს ღვთის რისხვა და ჩემი ამხანაგების შეჩვენება.

— ჩემი ამხანაგების... — იმეორებდნენ ეკლესიის თაღები.

ფიცის შემდეგ ზოგი საგანგებოდ ამ მიზნისთვის იქვე დადებულ ქაღალდზე ხელს აწერდა, ზოგიც მურში ამოსვრილ დიდ თითს ადებდა. აქვე თითოეული მათგანი შეძლებისდაგვარად „რევოლუციის ფონდს“ შეეწეოდა. ბეგლარი მათ რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის სახელით ხელწერილს აძლევდა, სადაც შეტანილი თანხის რაოდენობა იყო მითითებული და ხელს მაგრად არტყამდა.

ფიცის დადებით ცერემონიალი დამთავრდა. შეკრებილთ, ისიდორემ მიმართა. ორატორის სახეზე მოთამაშე შუქჩრდილები ხაზს უსვამდნენ მის ვაჟკაცურ იერს.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან დინჯად, — მუშა კაცს აღარ სურს მონობის უღლის ზიდვა. მასთან ერთად თვალი აეხილა და ბრძოლაში ჩაება გლეხობაც. მან, ჯერ კიდევ გუშინ ქედმოხრილმა და დაბეჩავებულმა, თავი მაღლა ასწია, წელში გაიმართა და ამაყად უცხადებს თავის სისხლისმსმელებს:

— ჩვენც ადამიანები ვართ და ადამიანურ ცხოვრებას მოვითხოვთ. — აქ ორატორმა ხმას აუწია. — განა არ დადგა იმის დრო, რომ გამოვერკვიოთ, გამოვფხიზლდეთ? თვალი გადაავლეთ წარსულს, გაიხსენეთ ეგრეთწოდებული გლეხთა განთავისუფლება. მაშინ მეფის მთავრობამ საქვეყნოდ გამოაცხადა, ბატონ-ყმობა აღარ არისო, აქაო და თქვენ, გლეხები, თავისუფლები ხართო. გახსოვთ, რა სიხარულით შევხვდით ჩვენ ამ ცნობას? გულუბრყვილოებმა და გაუწაფავებმა დავიჯერეთ, რასაც მეფის მთავრობა გვეუბნებოდა და გახარებულები ერთმანეთს განთავისუფლებას ვულოცავდით. აბა რას ვიფიქრებდით მაშინ, რომ გვატყუებდნენ, გვამასხარავებდნენ და ჩვენთვის ახალ ხუნდებს სჭედდნენ. სწორედ რომ გვატყუებდნენ, ვინაიდან ჩვენი წინაპრების მიერ სისხლით მორწყული მიწა, ტყე, საძოვრები, წყალი — ყველაფერი ეს უსინდისოდ ჩამოგვართვეს და მემამულეებს გადასცეს. ესეც არ იკმარეს და ახალი გადასახადები დააწესეს, სალდათობა შემოიღეს. ხსნას არსაიდან არ უნდა ველოდეთ, ხალხმა თვითონვე უნდა იკისროს საკუთარი განთავისუფლება. გურიიდან ქიზიყამდე აღსდგა მშრომელი გლეხობა, გაისმის ერთსულოვანი მოწოდება: „ძირს ბატონყმური წესები!“. „ძირს მეფის მთავრობა!“

— ამხანაგებო, ბოლომდე ვუერთგულოთ ჩვენ ფიცს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძირს ცარიზმი! გაუმარჯოს რევოლუციას!

თითქოს საღათას ძილისაგან გამოერკვა საუკუნეებით დადუმებული ეკლესია, ლამის ჩამოანგრია კედლები და თაღი ომახიანმა შეძახილებმა:

— ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!

...წმინდანები რისხვით შეჰყურებდნენ ადამიანებს...

* * *

საღამო ჟამი იყო, როცა სტაროსელსკიმ ბეგლარი დაიბარა და დაავალა: ფილიპესთან წადი და გადაეცი, ცნობილ მისამართზე შეხვედრა დანიშნოს. ბეგლარმა შენიშნა, რომ სტაროსელსკი გაფითრებული და აღელვებული იყო, და ამიტომ კაბინეტიდან გასვლა არ იჩქარა. ეტყობოდა რაღაცის თქმა უნდოდა. გუბერნატორმა ეს შენიშნა:

— რამის თქმა გსურს?

— ბატონო ლადო... — ბეგლარს წამით ენა დაებნა, — ცუდი დრო დაგვიდგა... ყველა ცდილობს სადღაც მიიმალოს, იატაკქვეშეთი გადადის, როგორც ამბობენ, დროებითო. აქ ჩვენ ბიჭებთან საუბარი გვქონდა და იმ ოფიცრების მოსვლამ ძალიან შეგვაშფოთა. ეტყობა, მიუხედავად თქვენი ასეთი დიდი თანამდებობისა, რაღაც ხიფათი მოგელით. ჩვენ თავებს დავდებთ და არავის მივცემთ უფლებას, რომ ვინმემ რამე დაგიშავოთ.

— გმადლობ, ჩემო ბეგლარ, მაგრამ აბა თქვენ რას გახდებით. იმ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა მართალი თქვეს, — აქეთკენ დიდი სამხედრო ძალები მოემართებიან.

— მაშინ გამოდის, რომ თქვენც იატაკქვეშ უნდა წახვიდეთ, სასწრაფოდ დასტოვოთ აქაურობა. სიტყვას გაძლევთ, მთელ ოჯახს ისე დაგმალავთ, რომ ეშმაკიც ვერ გიპოვით.

— არა, ჩემო ბეგლარ, ასე არ გამოვა, მე ხომ ჯერ... გუბერნატორი ვარ...

ბეგლარი გავიდა დავალების შესასრულებლად. მალე უკან დაბრუნდა, პასუხი მოიტანა: „ღამის 11-12 საათისათვის შევიკრიბოთო".

როცა ეს დრო მოახლოვდა, სტაროსელსკიმ ფარაჯა გადაიცვა და ბეგლარის თანხლებით ქუჩაში გამოვიდა.

მთვარე ირგვლივ ფერმკრთალ შუქს ფენდა, მალე იგი ღრუბლებში გაეხვია და მგზავრები სიბნელემ მოახთქა. ერთი ქუჩა მშვიდობიანად ჩაიარეს და როცა ის-ის იყო მეორეზე შეუხვიეს, უეცრად ბეგლარმა ხელი სტაცა სტაროსელსკის და ლამის მოჭიდავის ილეთით მიწაზე დააწვინა. იმ წამსვე თავზე ტყვიებმა გაუზუზუნეს. ქუჩის ბოლოში რამდენიმე ლანდმა გაიელვა. უცნობები სროლით სტაროსელსკისა და ბეგლარს უახლოვდებოდნენ.

— ვინ უნდა იყვნენ? — გაოცდა ვლადიმერი, — აქ, ალბათ, რაღაც გაუგებრობაა!..

— ეი, თქვენ, იდიოტებო, ვის ესვრით?! — დაიქუხა ბეგლარმა, — ეს ხომ მისი აღმატებულება გუბერნატორია!...

ამ სიტყვების პასუხად სროლა კიდევ უფრო გაძლიერდა. ჩანს, თავდამსხმელებს „მისამართი" არ შეშლიათ.

— უნდა დავბრუნდეთ, — ჩუმად თქვა ბეგლარმა, რევოლვერი ამოიღო და გასაფრთხილებლად რამოდენიმეჯერ ჰაერში გაისროლა.

უკან გაზოხდნენ, მაგრამ შეამჩნიეს, რომ ქუჩის საპირისპირო მხრიდანაც მათკენ ორი სილუეტი დაიძრა.

— იქნებ რომელიმე სახლს შევაფაროთ თავი? — თქვა სტაროსელსკიმ.

— კარს ასეთ დროს ვინ გაგვიღებს? ჩანს, ეგენი საგუბერნატოროდანვე აგვედევნენ და აქ ჩაგვისაფრდნენ.

ამ სიტყვების თქმა იყო და ტყვიამ კედელს ასხლიტა აგურის ნატეხი და იგი სტაროსელსკის საკმაო ძალით მხარში მოხვდა.

გვერდიდან ჩუმი სტვენა გაისმა. ვიღაცა ჩამქრალი ფარნის ბოძს ამოფარებოდა. ბეგლარმა დაუმიზნა.

— ბეგლარ, ეს მე, ბიბერთი ვარ, — გაისმა ყრუ ჩურჩული.

გიორგი ლეონიძე
ბიბლიოთეკა

— შენ აქ რა გინდა? — იკითხა გაკვირვებულმა ბეგლარმა.

— ვლადიმერ ალექსანდროვიჩს ვიცავ... ვგენი ვერა ძხედავენ. ცოტაც გაუძელით, მე კი ვაცდები დავუძვრე ამათ, ჩვენებს შევატყობინო.

— წადი, ოღონდაც ფრთხილად...

ბეგლარმა ერთი-მეორის მიყოლებით კიდევ რამდენჯერმე გაისროლა, რათა თავდამსხმელების ყურადღება თავისკენ გადმოეტანა. მათ სროლითვე უპასუხეს, ბიბერთმა ერთი თავდამსხმელთაგანი მიზანში ამოიღო. ესროლა, იგი იქვე წაიქცა, მეორე კი კედელს გაეკრა. ერთხანს დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. ბიბერთმა სწრაფად, კედელ-კედელ ქუჩის ბოლოს მიაშურა, მშვიდობით მიაღწია მას და კუთხის სახლს უკან მიიმალა. მოპირდაპირე მხარეს ჩასაფრებულნი საგონებელში ჩავარდნენ. ვერ მიხვედრილიყვნენ ვინ და საიდან ესროლა მათ ამხანაგს. ყოველ შემთხვევისათვის ტროტუარს გაშორდნენ.

— მოვსინჯავ, უკანდახევის საშუალებას, — ჩაიჩურჩულა სტაროსელსკის ბეგლარმა და ის იყო წამოიწია, რომ თავზე ტყვიებმა გადაუზუზუნეს და იძულებული გახადეს კვლავ ჩაწოლილიყო. თავდამსხმელები გათამამდნენ და შეტევაზე გადმოსვლა სცადეს. მდგომარეობა ფრიად კრიტიკული შეიქნა. ბეგლარს ვაზნები შემოელია. აშკარა იყო, რომ მტერი არ დაინდობდა მათ, ადგილზევე გაუსწორდებოდა.

— რა დაგემართათ, ხომ არ შეიშალეთ?! — ისევ შეუძახა ბეგლარმა, — არ გესმით, აქ თვით მისი აღმატებულება გუბერნატორია!...

— მომისმინეთ, ბატონებო... — ახლა მათი ნამუსზე შეგდება სცადა სტაროსელსკიმ.

პასუხად კვლავ სროლა გაისმა, რომელიღაც თავდამსხმელთაგანი რამდენიმე სეკუნდით ლანდად გამოჩნდა და მას ბეგლარის ტყვია მიეწია, ძან ერთი შეჰყვირა და მიწაზე დაენარცხა.

— მე მგონია ბიბერთი სამშვიდობოს გავიდა. მაგრამ ჩვენები თუ ცოტასაც დაიგვიანებენ შავი დღე დაგვადგება. — წყნარად თქვა სტაროსელსკიმ.

— ეს მათ ძვირად დაუჯდებათ, ლადო ბატონო, — უთხრა ბეგლარმა და თან გაიფიქრა: „რა საოცარი კაცია". ეს უკვე მერამდენედ გახდა ბეგლარი მოწმე. როგორი საფრთხეც არ უნდა ყოფილიყო, გუბერნატორს არაჩვეულებრივი თავშეკავებულობისათვის, სიმტკიცისათვის და ნებისყოფისათვის არასდროს არ ულალატნია. „თანაც საკვირველი ის არის, რომ სამოქალაქო პირია, მეცნიერი". — დაასკვნა ბეგლარმა. ის ამ ფიქრებში იყო როცა სტაროსელსკიმ შენიშნა:

— ვერ გამიგია, ღამის სამხედრო პატრული სადღაა. ის ხომ აქ სადმე ახლო-მახლო უნდა იყოს! თუმცა ეშმაკმა უწყის, იქნებ თვითონ ისინი არიან...

ამ დროს ქუჩის ბოლოში გამოჩნდა გუბერნატორის დაცვა. წითელრაზმელები კოსტიას მეთაურობით.

— აბა, სადა ხართ, თქვე ჩერჩეტებო, ძრამზადებო! — ყვიროდა იგი, — რომ ეგ უტვინო თავები ტყვიით გაგიხვრიტოთ.

თავდამსხმელები მიხვდნენ, რომ ოპერაცია ჩაეშალათ და სწრაფად მოუსვეს. ბეგლარმა მათ რამდენიმე ტყვია დაადევნა. როცა სტაროსელსკიმ და მისმა დაცვამ ქვაფენილზე დავარდნილი ორი მოკლული კაზაკის გვამი ნახეს, გაუკვირდათ:

— ეს ხომ ხოპერთა ბადრაგის წევრები არიანო — შენიშნა კოსტიამ...

ბეგლარის, კოსტიასა და ბიბერთის თანხლებით სტაროსელსკიმ გზა განაგრძო.

— ყოჩაღ! — შეაქო ბეგლარმა ბიბერთი და მხარზე ხელი დაჰკრა.

— თქვენ კი დაცვაში ჩემი ჩარიცხვა არა გსურთ... სულერთია, მე ერთი ნაბიჯითაც არ ვშორდები მას, თქვენ კი, სხვათაშორის, ვერც კი ამჩნევთ ამას. — საყვედურით შენიშნა ბიბერთმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ყველანი საგუბერნატოროს შენობის ახლოს მდგარ სახლს მიადგნენ. მის ქვედა სართულში იყო პატარა ოთახი, რომელიც უფრო სარდაფსა ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. იატაკი ფილაქნიანი ჰქონდა.

ოთახის შუაგულში იდგა გრძელი ხის მაგიდა, ათიოდე ტაბურეტი და ტახტი, რომელსაც ძველი, დაძონძილი ხალიჩა ეფარა. ეს იყო ბინის მთელი მორთულობა. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. პატარა ლამფა ძლივს აშუქებდა იქაურობას. მაგიდას რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრები შემოსხდომოდნენ. ყველას აღელვება ეტყობოდა.

— უმძიმესი დრო დაგვიდგა, ძვირფასო ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, — მიმართა ფილიპემ სტაროსელსკის, როგორც კი ის ოთახში შემოვიდა. სამხედრო წესების შემოღებამ ფრიად გაართულა მდგომარეობა, — თქვენთან იმ ორი თავზეხელაღებულის ვიზიტი კარგს ვერაფერს მოასწავებს...

— რაღა თქმა უნდა, მათი ვიზიტი შემთხვევითი არ იყო, — დაიწყო სტაროსელსკიმ, — მოსინჯეს ჩემი ხერხების სიმტკიცე. ახლაც, თქვენსკენ რომ მოვემართებოდი, თავდასხმა მომიწყეს. — და სტაროსელსკი მოკლედ მოყვა იმის შესახებ, რაც მათ გზაში გადახდათ. მერე ჯიბიდან ოთხად მოკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა: „სრულიად საიდუმლოდ" ეწერა მასზე. ეს მეფისნაცვლის მიერ „ცნობისათვის" გამოგზავნილი ასლი იყო საიდუმლო დეპეშისა, რომელიც მან შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველის დურნოვოსაგან მიიღო. სტაროსელსკიმ დაიწყო მისი ხმამაღალი კითხვა. მმართველი დიდის სიამოვნებითა და კმაყოფილებით აღფრთოვანებულ ტონებით იტყობინებოდა, რომ მოსკოვის აჯანყება ჩახშობილია, რომ იმპერიაში დაპატიმრებულნი არიან რევოლუციური და საგაფიცვო კომიტეტები, გლეხთა გამოსვლების წამქეზებლები და ხელისშემწყობნი, წითელრაზმელები. აიკრძალა მიტინგებისა და კრებების ჯარს მიეთითა: იმოქმედოს მთელის სიმკაცრითა და დაუნდობლობით... დურნოვო რეკომენდაციას უწევდა მეფისნაცვალს დაუყოვნებლივ იგივე მეთოდებით ემოქმედა...

— აი ეს-ეს არის პროკლამაციები მივიღეთ, — სთქვა ფილიპემ და ფურცლების დიდი დასტიდან ერთი ქაღალდი გამოიღო. ისე, რომ კითხვას არ შესდგომია, ზეპირად აღნიშნა:

— მძვინვარე რეაქცია მოსდებია მთელ რუსეთს. მისი ბობოქარი ტალღები ველური ღმუილით და გრიალით მიგორავს კიდით კიდემდე და ყოველივე ცოცხალს ნთქავს თავის გზაზე... რეაქციამ მთელი რუსეთი, მთელი ხალხი თავის შეურიგებელ მტრად გამოაცხადა და მთელი ძალებით ეკვეთა მას... სახელმწიფოს სათავეში იგივე გუბერნატორები... დარჩნენ... ფილიპე შეჩერდა. სევდანარევი ღიმილით ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს მიუბრუნდა:

— ეს მთელს იმპერიაში ერთადერთ გუბერნატორს, თქვენ, არ შეგეხებათ. და განაგრძო:

— ჟანდარმები, კაზაკები და ჯაშუშები... ეს ძალები წელში გასწორდნენ, შემჭიდროვდნენ და შეიმუშავეს მასობრივი ძარცვისა და ხოცვა-ჟლეტის გეგმა... ვიტე და დურნოვო სათავეში ჩაუდგნენ კონტრრევოლუციურ ძალებს და მეფესთან მოაწყვეს შეთქმულება თავის დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად. მეფემ ბრძანება გასცა: არ დაზოგოთ ვაზნები ხალხის ჩახშობის დროს. მეფისნაცვალმა კი მთელი გეგმა დაუსახა თავის ჯარებს, რომლის მიხედვითაც უნდა გაენადგურებინათ იმერეთი.

ფილიპემ პროკლამაცია გაშალა და ამაღლებული ტონით კითხვას შეუდგა:

— „ამხანაგებო, მოქალაქენო! ჩვენი დამარცხება რევოლუციის დამარცხება როდია: ეს არის დამარცხება ჩვენი საბრძოლო მოუმზადებლობისა. რევოლუცია გზას იკაფავს, აღრმავებს და აფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როთოებს თავის კალაპოტს, მიუხედავად მთავრობის მზაკვრობისა...“

— ჩვენ, ამხანაგებო, იატაკქვეშეთში გადასვლას მოგვიწოდებენ, რათა ძომავალი ბრძოლებისათვის რევოლუციური ძალები შევინარჩუნოთ...

— ჩვენ კი გადავალთ არალეგალურ მდგომარეობაზე, მაგრამ ვლადიმერ ალექსანდროვიჩმა რა ქნას? — შენიშნა თეოდომ.

— ცხადია, ძალიან გვაწუხებს თქვენი ხვედრი, ძვირფასო ვლადიმერ ალექსანდროვიჩ, ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ თქვენ, ჩვენი ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი, რუსეთის თარეში გადაურჩეთ. ამისათვის, როგორც ჩვენ ვიცით, ცენტრი შესაფერ ზომებს სახავს...

სტაროსელსკის ამ გაჭირვების ჟამს მის ბედზე ამხანაგების ასეთმა ზრუნვამ გული სითბოთი აღუვსო.

— ეჭვს გარეშეა, რომ სამხედრო მდგომარეობის ხელახალი გაუქმება აღარ მოხერხდება, როგორმე განვადება უნდა ვცადოთ. ახლა მთავარია ძალების შესანარჩუნებლად დრო მოვიგოთ. იქნება სცადოთ და სამეფოისნაცვლოში დეპეშა გააგზავნ[illegible]ით, შეაჩერონ ჯარების ლაშქრობა, ვიდრე გრაფი პირადად არ მიგიღებთ და არ მოგისმენთ.

— ეს მე უკვე გავაკეთე, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ რამე გამოვიდეს. — სინანულით თქვა სტაროსელსკიმ.

— ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო. ასეა თუ ისე, ყველაზე უარესისათვის მზად უნდა ვიყოთ. ზოგიერთ ჩვენთაგანს აქედან წასვლა მოუხდება, შეიძლება საზღვარგარეთაც. რა თქმა უნდა, პასპორტები დაგვჭირდება.

— რამდენიმე ცალი შემონახული მაქვს. ნაწილი ყვირილას სახაზინოში გავაგზავნე, თქვენთან რომ მოხვედრილიყო.

— დიდი მადლობა, ვლადიმერ ალექსანდროვიჩ.

— მეგობრებო, — ფილიპე ცდილობდა მღელვარება დაემალა, — დადგა დამშვიდობების ჟამი. ვინ იცის, ერთმანეთს კიდევ როდის შევხვდებით. იქნებ ზოგიერთნი ვეღარც კი ვეღირსოთ ამას...

ყველა წამოდგა. თანამებრძოლები ერთმანეთს გადაეხვივნენ...

## თავი 25

### თვითმპყრობელი მოხსენებით კმაყოფილია. „უქველშევრდომილესი ბარათი“. დედოფალი ჭკუას არიგებს. „მისი ადგილი კარგ ტირიფზეა...“ ქუთაისი ცეცხლის ალში.

ბალტიისპირეთიდან მონაბერი ცივი ქარებითა და ცრიატი დღეების ნაცრისფერ მოსასხამში გახვეული იანვარი ეწვია ცარსკოე სელოს. ამიტომ იყო, რომ სასახლის აპარტამენტებში დღისითაც კი ელექტრონის შუქი ჩახჩახებდა. იმპერატორის კაბინეტში კი უშველებელი ბროლის ჭაღები ჩაექროთ და იქაურობას მარტო მაგიდის ლამფა აშუქებდა. ამიტომ ოთახში რაღაც შეუდარო ბინდ-ბუნდს დაესადგურებინა. დღეს იმპერატორს აუდიენციაზე რამოდენიმე კაცი ჰყავს დაბარებული. იგი მათ კაბინეტის ამაღლებულ ადგილას მდგარ მაგიდასთან კი არ ღებულობს, როგორც ეს ჩვეულებრივ ოფიციალური მოხსენებისას ეტიკეტითაა დაწესებული, არამედ ფეხზე დამდგარი, თავის მეორე საწერ მაგიდასთან შორიახლოს ესაუბრება.

აი, ის, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი... საშუალო ტანის მამაკაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაფსკვნილი, მოკლე, მაგრამ ღონიერი ფეხებით. ტანთ აცვია ფართე ტყავის ქამარშემორტყმული მწვანე მაუდის გიმნასტური პოლკოვნიკის პაგონებით. განიერი შარვალი შაგრენის მოკლეყელიან, გარმონივით დაკეცილ ჩექმებში აქვს ჩატანებული. მის წინ დგას დიდის მოწიწებითა და რიდით ალსავსე გენერლის მუნდირში გამოწყობილი, ხანში შესული მსუქანი კაცი. ეს გრიაზნოვი — კავკასიის ჯარების შტაბის უფროსი გახლავთ.

— კეთილი. ჩვენ კმაყოფილი ვართ თქვენი მოხსენებით. როგორც ჩანს, მდგომარეობა უმჯობესდება. გავალებთ მეამბოხეთა წინააღმდეგ იმოქმედოთ მთელის სისასტიკითა და დაუნდობლობით. გადაეცით გრაფს ჩემი საუკეთესო სურვილები. — დაასკვნა ნიკოლოზმა და თანამოსაუბრეს ზურგი შეაქცია.

მაგრამ სტუმარი რატომღაც წასვლას არ ჩქარობდა. იმპერატორი შემობრუნდა და მოუთმენლად ჰკითხა:

— რაშია საქმე? კიდევ რამე გაქვთ მოსახსენებელი?

— თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, უმდაბლესად გთხოვთ ნება მომცეთ კიდევ ერთი წუთით მივიპყრო თქვენი ყურადღება.

ნიკოლოზმა ცნობისმოყვარეობით შეხედა გრიაზნოვს.

— მომახსენეთ! — მოკლედ ბრძანა მან.

— მე კარგად მესმის ჩემი ქვემორე განცხადების მთელი პასუხისმგებლობა. — დაიწყო მან. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა წინასწარ კარგად მოფიქრებული და გაზეპირებულიც კი ჰქონდა, გენერალს ალელვება დაეტყო. სახე წამოუწითლდა, მერე, როგორც იქნა, დასძლია თავისთავს და განაგრძო, — მინდა ჩემი მეუფისათვის ცნობილი გახდეს ის ფაქტი, რომ ყველა იმ გამოხდომებში, რასაც ქუთაისის გუბერნიაში აქვს ადგილი, ყველაფერში გუბერნატორი სტაროსელსკია დამნაშავე... — გრიაზნოვი წამით შეჩერდა, თითქოს სულს ითქვამსო და მერე როგორც იქნა ამოღერღა:

— ის თქვენი მოღალატე და ფიცის გამტეხია!

ნიკოლოზმა მზერა წამით მიაპყრო მას და იქვე მოაცილა. კაცი ვერ გაიგებდა, პირველად ესმის ეს ამბავი, თუ არა.

— დიახ, დიახ, მოღალატე და ფიცის გამტეხია, — უფრო მტკიცედ გაიმეორა გენერალმა და განაგრძო: — საქარის სანერგეში, სადაც ის ადრე მუშაობდა, მისი ხელმძღვანელობით ბომბები მზადდებოდა, რომლებითაც ტერორისტები თქვენს ერთგულეს მსახურებს სიცოცხლეს უსპობდნენ. სარწმუნო წყაროებიდან ჩემთვის ცნობილია, რომ სტაროსელსკი რევოლუციონერების დამქაშია, ის ყოველნაირად ხელს უწყობს და ეხმარება მათ.

ნიკოლოზი ყურადღებით უსმენდა, მერე კი გოროზად შეეკითხა:

— ნაჩქარევი ხომ არ არის თქვენი დასკვნები?

— არავითარ შემთხვევაში, თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ. — მტკიცედ, საბოლოოდ თავს დაუფლებულმა წარმოთქვა გენერალმა.

— გრაფი ილარიონ ივანოვიჩი ინფორმირებულია ამის შესახებ?

შეკითხვამ გრიაზნოვი ცოტა არ იყოს შეაკრთო და დააფიქრა, ამიტომ პირდაპირ პასუხს მოერიდა...

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ გრაფი ილარიონ ივანოვიჩი შეცდომაში შეჰყავს მის თანაშემწეს კრიმ-გირეის.

— სულ ეს არის? — თითქოს გულის გარეთ იკითხა იმპერატორმა და იქვე დააყოლა — თავისუფალი ბრძანდებით.

გრიაზნოვმა გამომშვიდობებისას ხელზე კოცნა დაუპირა, მაგრამ ნიკოლოზმა არ დაანება. გენერალმა რამდენჯერმე მდაბლად თავი დაუკრა და უკანუკან დახევით კაბინეტიდან გააღწია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რამდენიმე კვირის შემდეგ თვითმპყრობელის მოთხოვნით შინაგან საქმეთა მინისტრი პეტრე ნიკოლოზის ძე დურნოვო მოახსენებდა მას კავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ. უსმენდა მას მეფე და მისი ცივი, ნაცრისფერი თვალების მზერა ოთახის კუთხეში მდგარ საქსონურ ფაიფურის ვეება დეკორატიულ ვაზაზე იყო მიპყრობილი. დროდადრო წითურ წვერზე ისვამდა ხელს. სქელ ულვაშებში მალავდა თავის შეუცნობელ ღიმილს. ის, ვინც ნიკოლოზის ამ ჩვეულებას ნაკლებად იცნობდა, იფიქრებდა, რომ მოხსენება მაინცა და მაინც არ აინტერესებდა, თითქოს საკუთარ ფიქრებით იყო გართული. უფრო მეტიც: მალე, თითქოს ეს ყველაფერი მობეზრდაო, ბოლთის ცემა დაიწყო. მას დურნოვო, ისე რომ მოხსენება არ შეუწყვეტია, გამოენთო... აი, თვითმპყრობელი მოულოდნელად შეჩერდა და მინისტრისაკენ სწრაფად შემობრუნდა. დურნოვო კინაღამ შეეჯახა. იმპერატორმა თანამოსაუბრე თავით ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. ამან შეაცბუნა მომხსენებელი, სიტყვა შეეშალა. ნიკოლოზი თავის საწერ მაგიდისაკენ გაეშურა, მიუჯდა მას, ფეხები ჩვეულებისამებრ ერთმანეთში განასკვა და მინისტრს სავარძელზე მიუთითა. მერე ნელი მოძრაობით პორტსიგარიდან პაპიროსი „სალვე“ ამოიღო, ჩიბუხში თამბაქო ჩატენა, ასანთი გაჰკრა, მოუკიდა. დურნოვო სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა.

იმპერატორი დუმდა. მერე უხმოდ მარჯვენა ხელი გაუშვირა. დურნოვომ წამოხტა, წელში მოიკაკვა და ნიკოლოზს წინასწარ გამზადებული „უქვეშევრდომილესი ბარათით“ ტყავის წითელი საქაღალდე უბოძა. თვითმპყრობელი დოკუმენტის კითხვისას წამდაუწუმ თავს აქნევდა, მოხსენების ზოგიერთ ადგილს ლურჯი ფანქრით ხაზს უსვამდა, თან რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. თუმცა მინისტრი ყურთასმენას ძაბავდა, მაგ[illegible]-რით გაიგო.

„ქუთაისის გუბერნიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ისევე როგორც ფოთის ნავსადგური მეამბოხეთა ხელშია. — ნათქვამი იყო „ბარათში“ — სრულებით არ იგრძნობა, რომ გუბერნატორი, კოლექსკი სოვეტნიკი სტაროსელსკი მათ წინააღმდეგ რამე ზომებს ღებულობდეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისა და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა განცხადების თანახმად თვით კოლექსკი სოვეტნიკი სტაროსელსკი შეიძლება ჩაითვალოს გურიის მოძრაობის ხელშემწყობად“.

— გესმით, რამოდენა პასუხისმგებლობას კისრულობს თქვენი უწყება, როცა ასეთი მაღალი თანამდებობის პირს ამბოხების ხელის შეწყობაში ადანაშაულებთ? — ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ისე, რომ თავიც კი არ აუღია და ტექსტისათვის თვალი არ მოუცილებია, წარმოთქვა ნიკოლოზმა.

დურნოვომ მის ამ შენიშვნაში, ხმის ინტონაციაში შეკავებული სიბრაზე და აღშფოთება შეამჩნია.

— თქვენ გესმით, ეს რას ნიშნავს?
— განაგრძო იმპერატორმა. — ეს ხომ უდიდესი ტრაგედიაა, როცა ჩვენი ნდობით აღჭურვილი პირი გვღალატობს, — გვმტრობს. ეს გაუგონარი ამბავია. ასეთი არამზადა ათასჯერ უფრო საშიშია, ვიდრე აშკარად ჩვენს წინააღმდეგ მოქმედი რევოლუციონერი!

— დიახ, თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, დიდად — სამწუხაროა, მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით.

ნიკოლოზი სავარძლიდან წინ წამოიწია, თითქოს ტანის სიმძიმის ცენტრის გადაადგილებას ლამობსო და სწრაფად წამოდგა. დურნოვოც მყისვე წამოხტა.

— ამ დოკუმენტიდან, — ნიკოლოზმა მოხსენების წითელ საქაღალდეზე მიუთითა, — გენერალ გრიაზნოვის მოხსენებიდან და სხვა წყაროებიდანაც ჩანს, რომ ჩვენ სერიოზულ სახელმწი-

ფო მოღალატესთან; გაქნილ მეამბოხე-რევოლუციონერთან გვაქვს საქმე.

— უეჭველად. — იქვე დაუმოწმა დურნოვომ. თუმცა გრიაზნოვის მოხსენების შინაარსი მისთვის უცნობი იყო. მან გვირგვინოსანს ვერ გაუბედა — გენერალმა რა ცნობა მოგაწოდათო.

— ეშმაკმა უწყის. რა ხდება ჩემს იმპერიაში. აქ მოსკოვის ამბოხება, იქ — წყეულ ტუზემცემის ამბოხებას ბოლო ვერ მოვუღეთ. ან კი როგორ უნდა შევძლოთ ეს. როცა გამოირკვა, რომ თურმე ჩემი ტახტის მსახური გუბერნატორი მოღალატეა, ამბოხების მონაწილე და მოთავეა. ეს პირდაპირ წარმოუდგენელია. — შესჩივლა თუ უსაყვედურა თავის მინისტრს ნიკოლოზმა.

— ჭეშმარიტად. — კვერი დაუკრა დურნოვომ და ყოველ შემთხვევისათვის თავის მართლებას შეუდგა. — თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი უწყება კატეგორიული წინაამდეგი გახლდათ სტაროსელსკის ამ პოსტზე დანიშვნისა. თუმცა ბოლოს და ბოლოს მოგვიხდა დაგვეთმო დაჟინებული მოთხოვნებისათვის...

— ახლა კი მივხვდი, — გააწყვეტინა მას ნიკოლოზმა, — თურმე რატომ ითხოვს ჩემი მეგობარი გრაფი ილარიონ ივანოვიჩი გადაყენებას. ჩანს, გარს მხოლოდ მოღალატეები და მეამბოხეები ახვევია. ისინი ეტყობა სარგებლობენ იმით, რომ გრაფი ბუნებით კეთილი ადამიანია, ლამის ლიბერალიც. უჭირს სასტიკი, გადამწყვეტი ზომების მიღება.

— ო. გრაფი შესანიშნავი პიროვნებაა. — წამსვე აუღო ალღო თვითმპყრობელს დურნოვომ. — ეს აშკარაა. რომ თანაშემწეები ღალატობენ. მეცდომაში შეჰყავთ. თუმცა უხდა ითქვას, რომ ამ ბოლო ჟამს მეამბოხეების მიმართ შესაბამის სიმკაცრესა და სისასტიკეს იჩენს. უფრო მეტიც. მიღებული მოხსენებებიდან ჩანს. რომ იგი მზადაა ამბოხებას საბოლოო ლახვარი ჩასცეს.

— ამის შესახებ დაწვრილ[illegible] მახსენა გრიაზნოვმა, — და[illegible] ნისტრს ნიკოლოზი და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა:

— კავკასიის დაშოშმინების მეთოდების თაობაზე დაწვრილებით მოეთათბირეთ სერგეი იულიევიჩ ვიტეს. ის ხომ თბილისში დაიბადა და ტრაბახობს კიდეც — კავკასიელი ვარო. მისი მამა კავკასიაში მეფისნაცვლის საბჭოს წევრი იყო. ჰოდა, აჰა, მას ბურთი და მოედანი! მან უნდა იცოდეს, რა გზითა და რა საშუალებით შეიძლება ადგილობრივი მეამბოხეების სასწრაფოდ მოთოკვა. ერთი ისიც საინტერესოა, რას იტყვის ფიცის გამტეხ სტაროსელსკიზე?

დურნოვოს აზრმა გაუელვა: „გამორიცხული არ უნდა იყოს. ის ფაქტი, რომ ვიტე, რუსეთის იმპერიის ახლახდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მფარველობდა და პროტეჟირებდა სტაროსელსკის. ვიტეს მამა და ამ მოღალატის ბიძა, მართალია. სხვადასხვა დროს. მაგრამ ხომ თანამშრომლობდნენ კავკასიის სამეფისნაცვლოში. და ადვილი შესაძლებელია. რომ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ“.

ვიდრე დურნოვო ამ ფიქრებმა გაიტაცა. ნიკოლოზმა, თითქოს თახამოსაუბრისადმი ინტერესი დაკარგაო. ზურგი შეაქცია. მინისტრი მიხვდა, რომ აუდიენცია დამთავრებულია, მდაბლად დაუკრა თავი... თვითმპყრობელის ზურგს და სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

იმავე საღამოს ნიკოლოზმა დაწვრილებით მოუთხრო „თავის უსაყვარლეს და უძვირფასეს განძს „მეუღლეს — ალექსანდრა თეოდოროვნას ასულს ქუთაისის გუბერნატორის ღალატის შესახებ. უსმენდა რა ქმარს, დედოფალს აღშფოთებისაგან ალმური ასდიოდა, ხან სისხლი თავში აწვებოდა. ხან ფითრდებოდა. ტუჩებს იკვნეტდა. გაოფლილ მკერდსა და ხელებზე ისტერიისათვის დამახასიათებელი წითელი ლაქები უჩნდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო სიყვარულო, ჩემო ანგელოზო, — დაიწყო მან აკანკალებული ცრემლმორეული ხმით, — რაღა თქმა უნდა, ამ ფიცის გამტეხისა და მოღალატის ადგილი ერთ მაგარ ხის ტოტზეა... ეს სხვასაც ასწავლის ჭკუას. — სული მოითქვა და განაგრძო: — ძე ვიცი, ყველა შენი მინისტრი მხდალი და სულელია, მაგრამ ისინი ურჩობას ვერ გაგიბედავენ. გუბერნატორი და რევოლუციონერი? ეს წარმოუდგენელია! აი, სწორედ ახლა გმართებს გამოიჩინო განსაკუთრებული ულმობლობა. იცოდე, არ დავმშვიდდები, ვიდრე არ გავიგებ, რომ ის ჩამოხრჩობილია! თუ დაინდობ, ამას შენი ძალაუფლების სისუსტეში ჩამოგართმევენ და ადვილი ძესაძლებელია ამ არამზადას თახამდებობის სხვა პირებმაც მიბაძონ... შენ ხომ მთელი რუსეთის ბატონ-პატრონი ხარ! შენს წინაშე ყველა უნდა თრთოდეს!...

* * *

იმპერატორის საუბარი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ვიტესთან და შინაგან საქმეთა მინისტრთან დურნოვოსთან ფრიად ხანმოკლე გამოდგა. თვითმპყრობელმა ისე მოისმინა მოკლე მოხსენება კავკასიის ამბების შესახებ, რომ მათ დაჯდომაც კი არ შესთავაზა. არც თვითონ დამჯდარა.

— თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, — ამბობდა ვიტე, — მე თბილისში დავიბადე და საკმაოდ კარგად ვიცნობ კავკასიელთა ბუნებას. ეს მეტად თავისებური ტრადიციების მქონე ხალხია. გოლიცინმა აქ მხარეს ვერა გაუგო რა, და დამოშმინების ნაცვლად უფრო გაამწვავა და დაძაბა მდგომარეობა. ჩანს, გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა გადაწყვიტა საპირისპირო ლიბერალური გზით ემოქმედა, რაც ასევე არა ეფექტური გამოდგა... პოლიტიკურ ჰორიზონტზე თვით სტაროსელსკის გამოჩენაც ამას მოწმობს...

„დახე, სურს, რომ მას გაემიჯნოს“ — გაიფიქრა დურნოვომ...

— ასეა თუ ისე, — დაიწყო მოთმინებადაკარგულმა თვითმპყრობელმა და დურნოვოს მიუბრუნდა, — გრაფს უნდა მიეთითოს, რომ ეს მეამბოხე დაუყოვნებლივ გააძევოს გუბერნატორის პოსტიდან და მისი ანტისახელმწიფოებრივი ქმედების გამოძიება დაიწყოს.

როგორც კი გამოძახებულებმა კაბინეტი დასტოვეს, ნიკოლოზი მივიდა ტელეფონთან და საკუთარი კანცელარიის მთავარ მმართველს დაურეკა.

— როგორია კავშირი თბილისთან?

— თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, სატელეგრაფო კავშირი კავკასიასთან ჯერჯერობით ისევ დარღვეულია. შეიძლება ვისარგებლოთ მხოლოდ ინგლისურ-ინდური ტელეგრაფით.

— არა, ეს ჩვენ არ გამოგვადგება. საქმე მეტად კონფიდენციალურ საკითხს ეხება და ამ არამზადა ინგლისელებმა შეიძლება დეპეშა ხელში ჩაიგდონ.

— მაშინ აქ ვორონცოვ-დაშკოვის ფელდეგერი გახლავთ.

— ძალიან კარგი. სასწრაფოდ მოძებნეთ და დაალოდინეთ.

— არის!

ნიკოლოზი საწერ მაგიდას მიუჯდა და რაღაცნაირად გვერდზე გადახრილი, თავისი მკაფიო, გარკვეული ხელით ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე ბარათის წერას შეუდგა. რამოდენიმეჯერ წამოხტა ადგილიდან, კაბინეტში ბოლთის ცემა დაიწყო და შემდგომ ისევ მაგიდას მიუჯდა. ბოლოს, როგორც იქნა, წერა დაამთავრა, კალმისტარი სამელნეზე დასდო, ხელით ძსხვილი კისერი მოისრისა, თმები გაისწორა და ბარათი ხელახლა ჩაიკითხა:

„ძვირფასო ილარიონ ივანოვიჩ! ვსარგებლობ თქვენი ფელდეგერის გამგზავრებით და გწერთ რამოდენიმე სტრიქონს. თქვენს მიერ ჩემთან მოვლინებულ გრიაზნოვთან საუბრით ფრიად კმაყოფილი დავრჩი, განსაკუთრებით იმით, რაც თქვენს შესახებ მომახსენა. რარიგ გამაოცა, პირდაპირ გეტყვით, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღის შემდეგ მიღებულმა თქვენმა წერილმა, სადაც თანამდებობიდან გადაყენებას მთხოვდით. მე ის მოსკოვის ამბოხების დროს მივიღე, როცა სატელეგრაფო კავშირი კავკასიასთან შეწყვეტილი იყო. დიდხანს არ გიპასუხეთ იმის გამო, რომ არა მსურდა ინგლისურ-ინდური ტელეგრაფით სარგებლობა. ჩემმა შელახულმა რუსულმა გრძნობამ არ მომცა ამის უფლება.

ცნობების არ მიღება ყოველთვის მძიმედ მოქმედებს.

მაგრამ ამისდა მიუხედავად დარწმუნებული ვიყავი, რომ იმავ წამსვე, როგორც კი უწესრიგობის ენერგიულ ჩახშობისათვის ჯარებს მოვუხმობდით, ისინი უძნელეს მდგომარეობიდან გამოგვიყვანდნენ. რამდენადაც თქვენი დეპეშებიდან ჩანს, ეს ასეც მოხდა, ახლა უკვე იარაღის ძალით დათრგუნვის საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთ, არ მოერიდოთ ყველაზე უკიდურეს ზომებსაც კი.

უმჯობესია მსხვილი რაზმების გაგზავნა, ვიდრე მცირერიცხოვანისა, რომლებიც მერე გამოსახსნელი ხდება...

რა თქმა უნდა, აგრარული მოძრაობის ჩახშობა გაცილებით უფრო რთული და ძნელი საქმეა. ეს უახლოეს დროში უნდა მოხდეს.

მაპატიეთ, თუ კი შევეხები საჩოთირო საკითხს კრიმ-გირეის შესახებ. არა მგონია, რომ ის თქვენთვის სასარგებლო მრჩეველი და თანაშემწე იყოს.

აი, ვის მიმართ ვთვლი საჭიროდ მკაცრი სიტყვა ვიხმარო — ეს ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკის შესახებ. ყველა ჩემთან მოსული ცნობის მიხედვით ის ნამდვილი რევოლუციონერია, რომელიც დაკავშირებულია იმ პარტიასთან აშკარა ურთიერთობით. ჭეშმარიტად მისი ადგილი... ერთ კარგ ტიროფზეა! მაგალითი ბევრისთვის სასარგებლო იქნებოდა.

დროა დავამთავრო. სულითა და გულით გისურვებთ, გრაფ, ჯანმრთელობას, ძალ-ღონესა და წარმატებას.

ჩემი გულწრფელი მოკითხვა [illegible]ნიას.

თქვენი პატივისმცემელი და მოყვარული

ნიკოლოზი".

იმპერატორმა კიდევ დიდხანს ათვალიერა დაწერილი ფურცელი. შემდეგ კი კანცელარიის მთავარი მმართველი იხმო. ის დაუყოვნებლივ გამოცხადდა.

— თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ, ფელდეგერი ადგილზეა და იცდის.

— ეს წერილი როგორც ჯერ არს დალუქეთ და გადაეცით. ' ახლავე გზას გაუდგეს.

კანცელარიის მმართველი გავიდა. ნიკოლოზი წამოდგა. გაიარ-გამოიარა. მერე უცებ გაახსენდა, რომ აი უკვე მერამდენე დღეა, რაც აპირებს მისწეროს დედას. ის ხომ ცხოველ ინტერესს იჩენს, თუ „ბოლოს და ბოლოს როდის იქნება ჩახშობილი ამბოხება".

იმპერატორი ისევ მაგიდას მიუჯდა. დაიწყო იმით, რომ ბოდიში მოუხადა დედას წერილის დაგვიანებისათვის... „დაკავებული ვიყავი იმით, რომ გრძელი წერილი მივწერე გრაფ ვორონცოვს. საბედნიეროდ, ის ახლა უფრო ენერგიულად მოქმედებს — და იქ (კავკასიაში) ყველაფერი უკეთ ეწყობა..." შემდეგ ნიკოლოზი ატყობინებდა, რომ ბალტიისპირეთის გუბერნიებში „დამშვიდება უკვე ახლოა... ციმბირშიც უკეთესობაა... თუმცა ყველა სიბინძურისაგან განწმენდა ჯერ კიდევ არ არის მომთავრებული". შემდეგ მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ „მოსკოვის ამბების შემდეგ ვიტე სრულიად გამოიცვალა. ახლა მას სურს ყველა ჩამოახრჩოს და დახვრიტოს".

წერილი, როგორც ყოველთვის შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „მგზნებარედ შენი მოყვარული ნიკი".

ასე გაახარა შვილიკომ თავისი ქვრივი დედა იმპერატრიცა საკუთარ ხალხთან ომში მოპოვებული გამარჯვებების ცნობებით.

* * *

ქუთაისში ცნობა მოვიდა, რომ ალიხანოვ-ავარსკის რაზმი უკვე რიონს გამოსცდა. გაყუჩებული და შეძრწუნებული ქალაქი ელოდა თავის მწარე ხვედრს — რბევასა და ნგრევას. სტაროსელსკის მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ჯარის შემოსვლას თან დაემთხვა 9 იანვრის „სისხლიანი კვირის" წლისთავისადმი მიძღვნილი გაფიცვა. ისე რომ იმ დღეს სამუშაოზე არავინ გამოსულა. მაღაზიები დაკეტილი იყო.

დილის 9 საათზე ხოპერთა პოლკი თავისი უფროსის მეთაურობით ყაზარმიდან გამოვიდა და სასულე ორკესტრის დაკვრით და სიმღერებით დემონსტრატიულად ქალაქის ქუჩები დაიარა. მთელი თავისი მოქმედებით ცდილობდნენ ხალხისთვის ეჩვენებინათ, რომ მდგომარეობის ბატონ-პატრონები ჩვენ ვართო. ბოლოთან პოლკის მეთაურმა უბნის ზედამხედველი დაიბარა და დაავალა, რომ მას ქალაქის პოლიცმეისტერისთვის გადაეცა, თუ მაღაზიებს მათი პატრონები ახლავე არ გააღებენ, ამას ძალით ჩვენ, კაზაკები, გავაკეთებთო, აქაურობას დავარბევთ და დავანგრევთო. მალე მათ ერთი ზარ-ზეიმით პლასტუნებიც შემოუერთდნენ. ცოტაც და ისინი მუქარის აღსრულებას შეუდგებოდნენ...

სტაროსელსკიმ შეიტყო რა ეს ამბავი, ტელეფონით დაუკავშირდა ჯერ გარნიზონის უფროსს გენერალ მიშკოვსკის და მერე თავის მეგობარს ფეხოსანთა პოლკის უფროსს შიშკევიჩს და სთხოვა დახმარებოდნენ ქალაქის რბევისაგან გადარჩენაში. ისინიც ადგილზე მოვიდნენ. შიშკევიჩი თავის ბესარაბთა პოლკით გამოცხადდა. საერთო ძალებით თავიანთი უფროსების მიერ გახელებული და სისხლმოწყურებული სალდათები ძლივს დაიოკეს. ამასობაში სტაროსელსკიმ დაკეტილი მაღაზიები გაახსნევინა.

ეტყობა, ნგრევისა და რბევის სურვილს ადამიანში ისეთი [illegible] მისი დაოკება ბევრს არ ძალუძს, მით უმეტეს ჯარს, რომელსაც უფროსებმა შთააგონეს, რომ ისინი ღმერთისა და ხელმწიფის ნებას ასრულებენ... და აი, ოდნავ შებინდდა თუ არა, ქალაქი მყის მიწყნარდა.

უბედურების მოლოდინში მყოფი მცხოვრებლები სახლებში შეიყუჟნენ. სტაროსელსკი, ყიფშიძე და ზოგიერთი სხვა მოხელე საგუბერნატოროში დარჩნენ...

ღამის 11 საათი იქნებოდა, როცა ერთდროულად ქალაქის რამდენიმე ადგილას ხანძრის ალი ცას მისწვდა... ცენტრში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შენობა — გველესიანების სახლი — იწვოდა, რომლის ქვედა სართულში საგუბერნიო სტამბა და მაღაზია იყო მოთავსებული, ზემო სართულზე კი საგუბერნიო დაწესებულება და სახლის პატრონი ცხოვრობდა... ერთდროულად ქალაქში ოცამდე ხანძარი მძვინვარებდა, ძირითადად მაღაზიები იწვოდა... მეხანძრეების, მოსახლეობისა და სტაროსელსკის მიერ სასწრაფოდ გამოძახებული შიშკევიჩის ბესარაბთა პოლკის ჯარისკაცების დახმარებით ქუთაისი ფერფლად ქცევას გადაურჩა. ხანძრის ჩაქრობას თავდადებით ვიცე გუბერნატორი ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე ხელმძღვანელობდა.

დილით ქალაქზე, შავ ღრუბლებად დამდგარი კვამლილა მოწმობდა ღამე დატრიალებული ტრაგედიის შესახებ.

ხანძრის გაჩენის ადგილას იპოვეს სამხედრო ქუდები, გატეხილი ხმლები და სხვა ნივთმტკიცებანი, რომლებიც აშკარად მიანიშნებდნენ დამნაშავეთა ვინაობაზე: ეს ყველაფერი ხოპერთა და თენგინთა ნახელავი გახლდათ... მაგრამ კონკრეტულად ამ სიავის ჩამდენის ვინაობის გამოძიებისათვის აბა ვის ეცალა!...

□დასასრული შემდეგ ნომერში□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია ასათიანი

## შერეული ნაბიჯით

ვიცით, რას აღწევს ულტრაბგერა? —
ნგრევას ხმაურით,
ბუნებაში ხომ არაფერი არ იკარგება.
სად ინახება, მაშინ, ყველა
ჩვენი ნათქვამი,
ოხვრა, კივილი, გაცინება და დაძახება,
სად იმალება საოცარი დისჰარმონია
ლოცვის და წყევლის,
დატირების, ანდა ლილინის?
იქნებ მიწისძვრით, ქარიშხალით,
ჰექით, ქუხილით,
მზითა და მთვარით
ბრუნდებიან ჩვენთან ისინი?
არა, არ გვინდა ამოდენა შეძახილები...
შესდექი, ძრავა!
მაშხალები ოცნებამ ხატოს.
ახალს,
ცოტა ხანს,
ნულარაფერს გამოვიგონებთ,
ნუ გავხლეჩთ ატომს?
არა, არ გვინდა ამოდენა შეძახილები,...
თორემ, დამთხვევაც ხომ არ არის გამორიცხული.
და ამ სამყაროს ყველა მკვიდრმა რომ მოინებოს
და ერთდროულად დაიძახონ:
    გვინდა მშვი-დო-ბა!!!
რა მოჰყვებოდა ამდენ ბგერას,
ლაზერზე გამჭოლს,
მეგატონებზე უფრო ძლიერს?
წარღვნა და ნგრევა
გამყინვარება, დინოზავრი,
ადამ და ევა,
მიგრაციები,
    კერპის ძიება,
შენება ახალ პანთეონთა,

ბიბლიოთეკა

მორთვა ფოთოლით,
უქმი შენება ბაბილონის ახალ გოდოლის...
ან რისთვის უნდა გაისარჯოს
    ხელახლა ნოე?...
მშვიდად ვიზრუნოთ მშვიდობაზე...
    მშვიდობავ, მოვედ!

## ფსევდოკლასიკური თბილისური საღამო

ძვირფასი იყო წვეულება...
თვითეულ ქალის,
თვითეული ბროლის მძივიც კი
ირეკლებოდა ფსევდოკლასიკურ სარკის სიღრმეში.
ეგზალტაციურ თავდავიწყების ზღვრამდე მისული მაგნიტოფონი
მოგრძო კუნთებზე
მასაჟის მარდი დასტაქარივით მუშაობდა.
სადარბაზოდან, თუ ტელეფონით,
განუსაზღვრელად რეკდა ზუმერი.
ნულამდე ბგერადაყვანილი ტელევიზორი,
რატომღაც სულ არ მიიჩნევდა თავს დაჩაგრულად.
ცხელი მარტენის ღუმელივით ისროდა იგი
ლურჯ-მეწამულად გამოკვეთილ ცოცხალ სურათებს,
რომლებიც ხელებს ასავსავებდნენ,
პირებს აღებდნენ
და ძალზე მარჯვედ
ისადაგებდნენ:
დანა-ჩანგლის და ზუმერების,
კარის ღრჭიალის,
სკამების გაწევ-გამოწევის ქაოტურ ხმაურს,
და, რაც ყველაზე მთავარია —
ნარდის კამათლის რიტმიან მღერას.

    ნარდს ორნი უსხდენ
და ორივენი მუსიკოსები იყვნენ უთუოდ,
რადგან ერთ მათგანს,
დანაოჭებულ მაღალ შუბლზე
ვირტუოზულად თმა ჩამოშლოდა.
თან კამათელს რომ გააგორებდა,
ღრმად ჩაფიქრების მძიმე წამებში,
ნარდის დაფაზე,
მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითით
დოულით ტრელი გამოჰყავდა,
ხოლო მეორე, რაღაც გრაციით,
გამუდმებულად ყელს იღერებდა,
ვიოლინოზე დამკვრელივით,
ნიკაპის წვერით დაყრდნობილი მარცხენა ლავიწს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროს გასაყვანად თამაშობდნენ,
თან, გუშინდელი ფეხბურთის მატჩზე
სხვის ცხარე კამათს,
არც უსმენდნენ და მაინც ჰყვებოდნენ.
ხან, უნებლიეთ თვალს აპარებდნენ
თეთრ როიალზე
მძიმე, ბრინჯაოს გუმბათისებრ საათისაკენ,
თუმც მერამდენედ რწმუნდებოდნენ,
რომ ამ საათსაც,
როიალივით
მარტოოდენ უტყვი ფუნქცია ჰქონდა დათქმული.
და რაც არ უნდა ბუნებრივად არ მოგვეჩვენოს,
როცა ოჯახის დიასახლისმა,
უკანასკნელი ხაჭაპურები დადო სუფრაზე,
ფსევდოკლასიკურ სტილით ნაქარგი წინსაფარი
კოხტად შეიხსნა და
— მობრძანდით!-ო
მიმართა სტუმრებს,
თითქოს პიესა ოთხი ხელისთვის დაასრულესო,
პარტნიორებმა,
ერთდროულად შეწყვიტეს ნარდი
და ისევ,
თითქოს ერთმანეთთან შეთანხმებულად,
ორივეს თავის უახლესი ნაწარმოები წამოაგონდა.
და რაც არ უნდა ბუნებრივად არ მოგვეჩვენოს,
ისინი ისეთ უნისონში ამღერდნენ უცებ,
რომ გაოცების ჩრდილმა ორთავეს,
როგორც ქარიან ცაზე ღრუბელმა,
პირისახეზე გადაუარა,
მაგრამ საკითხის კვიმატურად გარკვევისათვის
ახლა, მათ უკვე აღარ ეცალათ.

## ორიდან ერთი, რომელიმე

ერთი კუთხიდან მეორემდე
ბოლთასა სცემდა,
შორს, როგორც ზღვაში იალქანი
კედლის ეკრანზე მოჩანდა ტილო.
ფუნჯს მოჰყვებოდა ორი გამა:
დიდ სიხარულის კრთომა ფარული
და დიდი სევდა.
ის ფერებს რევდა პალიტრაზე.
მასტექინი კი
კამერტონივით ტონს დაეძებდა.
და მუდამ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ტილოზე მკვეთრად
დღესასწაულის განწყობილება ისადგურებდა,
სევდა იპყრობდა.
და მასთან ერთად,
ჭიდილსა და შერთვაში ფერთა,
თუკი ალწევდა
იდუმალ სევდას,
ეუფლებოდა სიხარული განუზომელი...
რომელს მოჰქონდა, მასთან, რომელი —
მტკიცედ იცოდა.
და, მაინც, სხვისთვის
ნიადაგ სურდა
ორიდან, მხოლოდ
ერთადერთი გამოეჩინა,
რომ რაღაც, დიდი საიდუმლო
ბოლომდე ეთქვა.

## არდაბრუნება

...მე ისევ მენატრება
ჩუმი ალერსი არდაბრუნების.
**გალაკტიონი**

რაღაცა იძვრის, თან მიაქვს ხორცი
და ვრჩები ისე ფარატინა, ვით პერგამენტი,
ეს არის შენით შეძრული სული,
ამბოხებული შენი სიშორით
და გადაღლილი შენი ლოდინით.
ძლივსღა ვიგონებ,
რომ ოდესღაც ვყოფილვარ კირკე...
ვარ პენელოპე
და მაინც გაბმით
ველარა ვქსოვ იმედის რიდეს.
ვრაზავ კარიბჭეს,
ვუშვებ კრეტსაბმელს,
აღარ ვჭვრეტ სივრცეს,
რადგან არ მჯერა,
რომ დაბრუნდება ოდისევსი,
ისევ, ოდესმე,
ან, რომ რაიმე იარსებებს სამას წელს, კიდევ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ლალი ჯაფარაშვილი**

## მეგობარს

მიწიდან ზეცამდე
აფრებს აუშვებდა
ავი დედაბერი — ქარი,
ავი ბერიკაცი — ყინვა ჭახჭახებდა,
იდგა იანვარი,
მე შენ გამშვიდებდი, —
თებერვალი მოვა და
ყველაფერს ეშველება...
თებერვალმა კი
ხოშარ თოვლით
ჩამოფარცხა არე,
ქარს აფრები
საიმედოდ დაუკემსა,
ისეც უნდო და აშარი
მარტი გადაიბირა...
ველარ გამშვიდებდი,
ველარ გამშვიდებდი,
ისე დავიღალე!
ჩემთვის ვჩურჩულებდი:
— სათნოების ღმერთო, ახლა მოგვეც
გაძლებისად ძალა,
სათნოების ღმერთო, ახლა მოგვეც
პატიების ნიჭი,
შორი ლოდინია, შორი ლოდინია,
იჭვი მომეძალა...
სათნოების ღმერთო, ახლა დაგვასიზმრე
მშვიდი ზეცის ხილვა,
ახლა მოგვალანდე სხივმფინარი მზე და
ყვავილების თოვა,
ახლა დაგვაჯერე, ვიდრე შეგვიძლია
კიდევ დაჯერება,
რომ აპრილი მოდის,
რომ გზაშია უკვე,
რომ საცაა მოვა!

## გაფრთხილება

უცხო მიწაზე
ძალიან დიდხანს
ნუ დაყოვნდები,
ხომ შეიძლება
დაბრუნებულს
გადატრუსული
დაგხვდეს მინდორი,
წყალი — დამშრალი,
სახლი — დამწვარი,
ის კი სხვის სულში
გამოკეტილი;
და ნუ იფიქრებ,
რომ ადვილია გამოხმობა
სხვისი სულიდან...
როცა წახვალ სახეტიალოდ,
გაიხსენე და
იჩქარე სახლში, —
უცხო მიწაზე,
ძალიან დიდხანს
ნუ დაყოვნდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მესამე მუდამ
საშინლად ცდება,
როცა ჰგონია, რომ შეიტყო
ჭეშმარიტება ორის შესახებ;
მაგრამ მესამეს
ეს შეუცნობი
ისე იზიდავს,
რომ ორის გვერდით
ტრიალებს მუდამ,
სმენად და მზერად გადაქცეული,
ცდილობს გაიგოს,
ვისზე ან რაზე საუბრობენ ახლა ისინი,
ჯავრობენ თუ უხარიათ...
და ისევ ცდება,
რადგან ორის სიხარულში
ნაღველიც სახლობს,
ხოლო სევდაში
სიხარულიც იგულისხმება,
სიტყვები კი...
ამის ახსნაც არ შეიძლება,
რადგან ოდითგან,
ორთა ენა
ერთადერთია დედამიწაზე,
რომლის თარგმნაც
არ ხერხდება მესამისათვის, —
მესამე მუდამ საშინლად ცდება!

## თოვლის გედი

ნ... ს

რახანია,
ყინვის გზაზე
მიაბიჯებ ეულად,
რადგან შენი
სიყვარული
თოვლის გედად ქცეულა,

მზე დაადნობს
გაზაფხულზე,
სწუხარ მარტის აისებს, —
შენი წვიმით
ერთი ბიჭი
პეშვებს უხვად აივსებს;

მზიან ჩქერში
იხორხოცებს
უზრუნველად, ნებისად
და ვერ იგრძნობს,
რომ ეს წვიმა
ნაყურია გედისა.

## ხვარამზეს ფიქრი

ნატვრაც არის და ნატვრაც,
ფიქრიც არის და ფიქრიც,
მე რომ დამღალა დარდმა,
მე რომ მოლოდინს ვითვლი;

ცას რომ შევყურებ ისევ
და გულზე დამდის წარღვნა,
რა გენაღვლება, — მზე ხარ,
საითაც გინდა წახვალ!

მიმწუხრს აიკრეფ სხივებს
(ო, რა იოლად ითქმის),
მე კი ვდგავარ და ვფიქრობ,
ფიქრიც არის და ფიქრიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზურაბ ლორთქიფანიძე**

## მარადისობას ხელს ვკიდებ მორცხვად

ესალმებიან ჰაერს ფოთლები
ღვთიურ მიწა-წყლის შვილთაშვილები.
დგანან ხეები, — მწვანე ოდები,
ღრმად ფიქრებივით ცად აშლილები.

არიან კიდევ ისეთი ხენი,
ხენი მაღალნი... დევთა მიმყოლნი...
დედამიწიდან წამოხეთქილნი —
ვაჟა-ფშაველას მძლავრი სტრიქონი.

ხენი დიდრონი ველით, მთით,
კლდენით —
შლიან სიმწვანის შრიალა ტილოს.
წვეთავს სიამე, წვეთავს ნაღველიც,
მარადისობავ, კი ხარ საფრთხილო!

ჟამს როგორ უძლებ, მინდა გავსინჯო,
ჩემი მცირედი სურვილიც დაცხრეს.
თითქო შენს ახლო, ხეობავ დიდო,
მარადისობას ხელს ვკიდებ მორცხვად.

## ციცინათელა ნუნისის დასასვენებელ სახლში

ციცინათელას ფრენა შუაღამით
ჩემთან ოთახში ოცნებად ღირდა.
სიკვდილს ლამობდა და თითქო ამით
სინანულივით ნათელს მაღვრიდა.

თვალს რომ ხუჭავდა საჯოჯოხეთოდ
დალურსკუმებულ უკუნ ბნელეთში,
ის კვლავაც წამით გაიღიმებდა,
პატარა ფარნით საწყალ ხმელეთზე.

რას მთხოვდნენ ნეტავ, ვერ ვხვდები
ეხლა.
ღრმად გულის შიგნით რაღაც მეტკინა.
მისთვის რომ თვალი აღარ მომეკრა
შუაღამისას დავტოვე ბინა.

ბიბლიოთეკა

## თენგიზ კაკუშაძე

* * *

ნეტავ რომელი დრო რომელს სჯობდა,
რომელი ღხინი რომელ ვაებას,
წუთები შენსკენ რომ გამორბოდა,
მერე ობობას ქსელში გაება.
ჩამავალო მზევ, როგორ მომწონდა,
როდესაც სიცხე კოცნის სიგრილეს,
სიამოვნება გამიკოცონდა,
ისევ გნახე და თითქოს ვიტირე.
ყოვლის შემძლეო, შენ დამიფარე,
აქეთ თუ იქეთ, გამერიდა მკერდი,
მზით ანთებულო ნეტარო მხარევ,
ამ სიყვარულში შემოგაბერდი.

* * *

მომეცით წილი წითელი ფარდა,
იგი ხომ ჩემი სისხლის ფერია,
უნდა ვიმღერო, ზარის ხმის გარდა,
მე ხომ არასდროს არ მიმღერია...
არეულია სევდა, ხალისი,
თვალებს ვხუჭავ და ჩავლილს ვატან
დროს,
რა მეშველება მძვინვარ ხარის წინ,
დაქანცულსა და დაღლილ მატადორს.
განგების ძალავ, თვალებს ვაცეცებ,
ვის მოვუხადო ქვეყნად ბოდიში,
ვკრებ მიმოფანტულ დროის ნამცეცებს,
მოუხელთებელ წუთის ლოდინში.

* * *

სინანულის მოსიყვარულე
ვიყავი, ვარ და მუდამ ვიქნები,
სკოლიდან ნაძვის ხეზე
წასვლა მენატრება,
ალმაცერ შუქში კი თოვლის ფიფქები.
შორს ხის კენწეროზე შავად
რომ მოჩანს, ალბათ,
ჩამოძენძილი ყვავია,
იმ დაქცეული და წასული
ზამთრის დღეები,
დღეს გულზე ენძელებად ყვავიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

უკან მოხედვა სულაც არ მინდა,
წინ მზით აჭრილი მხოლოდ ნისლია,
ბედისწერის გზის უცნობ ყამირთან,
მოგონებები კენჭებს ისვრიან.
უკან მოხედვა სულაც არა მსურს,
მიდი, წარსულო, დამიდექ წინა,
ხან საცოდავს და ხანაც თავგასულს,
ხან იმედს მაძლევ, ხანდახან მწირავ.
გთხოვ, დამილოცე გზა სათნო რისხვით,
მკერდს და შუბლს ვუშვერ მაცდურ
ამინდებს,
გამოარღვიე, მზეო, ის ნისლი,
მე თვითონ ვიცი, საით წავიდე.

* * *

ვინ არიან, ვინ არიან, ვინ არიან, ვინ არიან,
ეს სიცოცხლე ამღვრეული და ხან სუფთა მდინარეა.
წვიმის წყალში პირს დავიბან, შევიმშრალებ მზეზე ხელებს,
მნათობს სწყდება შუქთა კონა, როცა ქარი ჩაახველებს.
ამ უზღვავმა ფერადებმა, გამიზნიქა თვალის ბროლი,
ველარ ვასწრებ, ველარ ვასწრებ ბევრი მქონდა მოსაყოლი,
ქარს ფოთოლი წაუღია, მდინარის წყალს კი ნაფოტი,
მოიმღვრევა ფერადებით ამ სიცოცხლის კალაპოტი.

* * *

გამოვფხიზლდი და ყველგან დავეძებ,
ჩაუწერელ და დაკარგულ ლექსებს.
წვიმის ხმაურში, ქარის მკლავებზე
და მახსოვრობას თან ვუმსხვრევ მესერს.
სინანულისგან შემშლია სახე,
ხსოვნის ლექვისგან ამტკივდა ყბები,
ძველი ძველია და თუ ვერ ვნახე,
ნუთუ სიახლეს არ წავაწყდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრი იაკუბანი

# სიმღერა ძველ კეთილ მიწასა და აგრეთვე ზღვაზე

## მოთხრობა

ა. იაკუბანი (დაიბადა 1941 წ.) დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია ლატვიაში (სწავლობდა ისტორიის ფაკულტეტზე, მუშაობდა რედაქტორად, ლიტერატურულ კონსულტანტად. ამჟამად გაზეთ „ლიტერატურა უნ მაქსლამი" („ლიტერატურა და ხელოვნება") პროზის განყოფილების გამგეა). მოთხრობების პირველი კრებული „ჩემი თეთრი გიტარა" 1968 წ. გამოქვეყნდა. თარგმნილია რუსულად და ესტონურად.

წლის საუკეთესო მოთხრობების კონკურსში (ლატვიაში) მწერლის მრავალ ნაწარმოებს გაუმარჯვია, მათ რიცხვს მიეკუთვნება წინამდებარე მოთხრობაც.

ქართველი მკითხველი ა. იაკუბანის შემოქმედებას პირველად 1971 წ. გაეცნო, როცა ალმანახ „ცისარტყელაში" დაიბეჭდა მისი მოთხრობა „თბილისო, თბილისო, თბილისო..."

ბერიკაცები სამნი იყვნენ და სამივენი ერთ სუფრას უსხდნენ.

და ზვეინიეკიაანთ ოსკარმა, ზვეიას ქუჩაზე რომ ცხოვრობს, თქვა: წელს ძალიან ადრე იქუხა, ხეებს ჯერ კოკორიც კი არ გამოუტანიაო.

და ზვეინიეკიაანთ ოსკარმა, ზვეიას ქუჩაზე რომ ცხოვრობს, მიუგო: პაპაჩემი ამისთანა ამინდზე იტყოდა ხოლმე, უმოსავლო წელი იქნებაო, ხეირიანად არც ქაშაყი იქნება ზღვაში და ლუდსაც და არაყსაც თვალით აღარავინ გვაჩვენებს მაღაზიაშიო. ერთი სიტყვით უსიამოვნების მეტს არაფერს უნდა მოველოდეთო.

და ვეინიაანთ ბენედიქტემ, ვეიას ქუჩაზე რომ ცხოვრობს, ჩვეულებისამებრ დუმილი არჩია და არაფერი თქვა.

და სამივენი ერთ სუფრას უსხდნენ. სამივეს მთლად გასთეთრებოდა თმა და სახეც ზღვისპირული ფიჭვის ქერქივით დანაოჭებოდა. მხოლოდ თვალები ჰქონდათ ჭკვიანური და მშვიდი, როგორიც ბუკიოტებს, ათასი წელი რომ უცხოვრიათ და ბევრი რამ იციან, კარგიც უნახავთ და ავსაც ხშირად გადაჰყრიან, ამიტომაც აღარაფერი აშინებთ.

და საუბრობდნენ დინჯად და საფუძვლიანად, რადგან მზე უკვე ჩასასვლელად ემზადებოდა და ძველ კეთილ მიწაზე, რომელზეც ამდენხანს უვლიათ, ლივს აქა-იქ ამოეყო თავი. ყინული აღარსად ჩანდა. ზღვაც დამდნარიყო და მდინარეც. ზამთარში ბევრი სძინებოდათ ბერიკაცებს, ყელში ამოსვლოდათ ტელევიზორის ცქერა, მობეზრებოდათ თავიანთ დედაბრებთან ბუზღუნი და ონავარი შვილიშვილების ტუქსვა.

და მომავალ საუკუნემდე რაღაც ოცდაათი წელიღა დარჩენილიყო. თუ რომელიმე მიაღწევდა იქამდე, ამის იმედი აღარც ჰქონდათ, რადგან უკვე პენსიონერებად ითვლებოდნენ. რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც დიდ წყლებში კი აღარ დაცურავენ, აქვე, მეჩეჩებს შორის ჩუჩუნებენ თავიანთ ჭიის გასახარებლად და ქაშაყებს უფრთხობენ სიმყუდროვეს. თითქოს ცხოვრებაშიც ისეთი არაფერი გაუკეთებიათ: — ზღვა ბადით უწურნიათ, შვილები დაუზრდიათ, უომნიათ, მაგრამ, მოდი, ნუ ავიჩქარდებით და ისე ჩამოვთვალოთ: სამი რევოლუცია და ორი მსოფლიო ომი გამოუვლიათ, ოთხი უმოსავლო წელი გაუჯახირებიათ, რიგის ყურეში თუ შორეულ ზღვებში ასჯერ მაინც დაუმარცხებიათ ქარიშხალი; შვიდი თავმჯდომარე გამოუცვლიათ, ორი მედუქნე და თხუთმეტი მებუფეტე ადრინდელ დუქანში, ახლა რომ კაფეს ეძახიან და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ამბავი და ადამიანი მიეცა დავიწყებას. ეს ყველაფერი კი მას აქეთ მოხდა, რაც მათ ტყესა და დიდ დიუნს შუა ქოხი ააგეს, თანდათან ნამდვილ სახლს რომ დაამსგავსეს. მერე ქუჩებიც გაჩნდა თავისით, თითქოს ხუმრობით რომ მოითხოვეს, მათი სახელი ეწოდებინათ, რადგან კარგი გვარი კაცის სიამაყეა. გვარი, სიცოცხლის მანძილზე ყველგან თან რომ უნდა ატარო.

და ეს იყო მაისის დასაწყისი — მშრომელთა სადღესასწაულო დღეები, როცა საზეიმო კრებები იმართება და გამარჯვებულთ საპატიო სიგელებით აჯილდოებენ. ეს იყო ნავების გაფისვისა და მზეზე გათბობის დღეები. „ქილის“ საზეიმო გახსნის დღეც ახლა დამდგარიყო. ყველაფერი ჩვეულებისამებრ ხდებოდა: შოშიები მოფრენილიყვნენ, ქათმები შარშანდელ ფოთოლში იქექებოდნენ, ძროხებს უკვე გამოლეოდათ საკვები და ისე საცოდავად ბღაოდნენ გომებში, რომ ყველა წესიერ კაცს, ვისაც კი გული უდევს მკერდში, სხვა აღარაფერი დარჩენოდა, უნდა ამდგარიყო და „ქილაში“ წასულიყო.

და ეს „ქილაც“ კიტრისა და სოკოს დასამწნილებელი კასრი არ გეგონოთ ანდა წვიმის წყლის ჩასაყენებელი გოვზა. არა, ამ სიტყვას ჭურჭელთან საერთო არაფერი აქვს. „ქილას“ მიხის ჯიხურს — საზაფხულო კაფეს ეძახდნენ, ძველი დუქნისათვის რომ მიეშენებინათ და მარტო ზაფხულობით აღებდნენ. კაფეს ოფიციალურად მშვენიერი სახელი — „ზაფხული“ ერქვა. თუმცა ახლავე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სახელი რამდენადაც ლამაზი იყო, იმდენად უხერხული გახლდათ სხვა კაფეების სახელებივით. აბა, ეს რა თქმაა: ჩამოვსხდეთ ზაფხულში! ვისაუზმოთ ზაფხულში! ვიცეკვოთ ზაფხულში! დრო ვატაროთ ზაფხულში! ეს ხომ ჭკუათხელობა იქნება და მეტი არაფერი. ზაფხული ზაფხულია და არ შეიძლება იგი ჯდომასთან, ჭამასთან, ცეკვასა და დროსტარებასთან გავაიგივოთ, რადგან მეთევზეები არც ჭრიჭინები არიან და არც თეთრშარვლიანი და შავსათვალიანი კოხტაპრუწები, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს ხელკავით რომ დაასეირნებენ სანაპიროზე. ზაფხულში უნდა იმუშაონ, თევზი უნდა დაიჭირონ და არა სილაში იგორაონ. აი, რატომ ეძახიან ამ კაფეს „ქილას“ (ქილაც ხომ მრგვალია!). ეს კი სულ სხვა საქმეა, გაუგებრობა თავისთავად მოიხსნება, ბრიყვები ისედაც ვერაფერს მიხვდებიან, ჭკვიანებს კი ბევრი ახსნა-განმარტება აღარ დასჭირდებათ.

და ბერიკაცებისათვის უკვე ყველაფერი ნათელია — ყინული დამდნარა, შოშიები მოფრენილან, მზესაც თანდათან უთბება გული, სულ მალე კი საზაფხულო მუშაობა გახურდება და კაცი ველარ მოიცლის განთიადიდან განთიადამდე. ახლა კი თეთრი პერანგები და საგარეო კოსტუმები უნდა ჩაიცვან, ქალებმა ტუჩები უნდა შეიღებონ, კარადიდან ჭრელაჭრელა კაბები გამოალაგონ და „ქილაში“ წავიდნენ. ქვეყნის ამბავი იქ უნდა შეიტყონ, კარგად უნდა გამოიკითხონ, ვინ მომკვდარა, ვინ დაბადებულა, ვის ვინ შეურთავს, ვისი ცოლი გაავებულა, ვისი სიდედრი გათხუპნულა ფერ-უმარილით, ვის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარელს დაუწყია ლოთობა და ბოლოს ისიც უნდა დაადგინონ, რომელ დედას ჰყავს კარგი და ჭკვიანი შვილები. მერე ის ლამაზი ქალიშვილები უნდა აცეკვონ, რომ ვარდივით უღვთოდეთ ლოყები და დოშებად არ იქცნენ. ერთხელ და საბოლოოდ უნდა დაადგინონ, ვინ უფრო ლამაზია, ვინ უფრო ნარნარად ცეკვავს, ვინ კი საერთოდ ვერ გათხოვდება, თუ თმის დავარცხნაც არ იცის და კვირიდან კვირამდე გაბუებული ივლის, თუნდაც ტანზე ეს უცხოური ნეილონის, დედერონის, კაშმილონის, პერლონის, პოროლონისა და შიფონის ძვირფასი ტანსაცმელი ეცვას, მის მამას ოთუზბირი რომ უჯდება. რას იზამ, ასეთია ქალიშვილთა მამების ბედი: გაშანშლე წითელთუმნიანები ქორწილისათვის, მერე სიძეც თუ ერთი ჯიბეგახვრეტილი ვინმე გამოგადგა, გაშანშლე წითელთუმნიანები საბავშვო ეტლისათვის! ეს ყველაფერი „ქილაში“ უნდა გადაწყდეს. ოღონდ ნუ აჩქარდებით, ცოტა მოითმინეთ, მზე გადავიდეს, „ქილის“ სარკმლებს ჩრდილი მოადგეს, მერე კი, როცა ძველ კეთილ მიწაზე პირველი ვარსკვლავები და ხელოვნური თანამგზავრები გადმოაშუქებენ, მთელი სოფლის წუხილი და სიხარული ხუთი თითივით გეცოდინებათ და იტყვით, ქვეყანაზე საიდუმლო არაფერი დაგვრჩენიაო.

და წლევანდელი სეზონის საზეიმო გახსნაზე „ქილის“ სარკმლები ისე საგულდაგულოდ გაეკრიალებინათ, ლამის პირდაპირ იქიდან შესრიალებულიყო კაცი. ნათურებზე ახალი ვარდისფერი შუქფარები ჩამოეცვათ და ფარდებიც ახალთახალი ჩამოეკიდათ. ფარდებზე იმდენი ლამაზი რგოლი იყო, რომ ლამის თითო სტუმარზე თითო მოდიოდა და გვირგვინივით ადგა თავზე. ასე რომ „ქილაში“ ყველანი წმინდანებს დამსგავსებოდნენ. ეკლესიის ძველ, ჩაშავებულ ფრესკებზე რომ გინახავთ. მიმტან ქალიშვილებს თეთრი წინსაფრები გაეკეთებინათ და წამდაუწუმ სარკეში იცქირებოდნენ, რადგან პარიკმახერთან სამი დღით ადრე ემზადებოდნენ ამ მნიშვნელოვანი საღამოსათვის. მთელი „ქილა“ ძშვენიერი სანახავი იყო. ყოველი მხრიდან დუდუნი ისმოდა. დედაკაცები ჭორაობით იქცევდნენ თავს. ქალიშვილები შეშინებულებივით მინაბულიყვნენ და ყველაფერზე წითლდებოდნენ. იმათ კი, ვინც კარგად იცოდნენ, რომ გაწითლებას ველარ მოახერხებდნენ, ფერ-უმარილით დაეზილათ ლოყები. ბიჭები ოხუნჯობდნენ, ქალიშვილებს ათვალიერებდნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ მათ სილამაზეზე. როცა შემაღლებულზე დიდი ხნის ნანატრი ორკესტრი ავიდა, ბერიკაცების ჩიბუხები უკვე საოკეანო ხომალდებივით ბოლავდა. უცებ ყველა გაინაბა.

და ჩვეულებისამებრ ყველაზე პირველად და მოწიწებით კოლმეურნეობის მოხალისე მეხანძრეების უფროსი რობი რიტინი ჩამოჯდა თავის საქსოფონიანად. ჩამოჯდა და როგორც ყოველთვის, არც ახლა უძღვნიათ ძისთვის სალამი, რადგან ვერაფერი უფროსი ბრძანდებოდა. განა ყველა უფროსი ყველა შემხვედრს ესალმება? მას ხომ დიდი აზრები უტრიალებს თავში. ყვერაობითაც კი, თუნდაც იგი კაფეში იჯდეს და საქსოფონს უკრავდეს, მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა ფიქრობდეს და წყვეტდეს, როგორ გააკეთოს ყველაფერი სწრაფად და კარგად, რომ სკამი არ დაკარგოს. ის თუ ყველას მიესალმა, ან გაუღიმა, იფიქრებენ, ესეც ერთი უბრალო მოკვდავიაო და თანამდებობაზე აღარ გააჩერებენ.

და ახლა მეაკორდეონე ზიგურდ სკრებლი ჩამოჯდა, უბრალოდ ბრეცელას რომ ეძახდნენ, რადგან მის გვარს — სკრებლს კაციშვილი ვერ იტყოდა ისე, ენას თუ არ მოიტეხდა. ცოლის დახმარებით თერთმეტი შვილი უნდა ერჩინა მას, თანაც ორი ქალისათვის ალიმენტი ეძლია. კაცი რომ ასეთ ყოფაში ჩაიგდებს თავს, ყველაფერზე თანახმაა, ღვინით ლეიბები ბერტყოს, მინა ჩასვას სარკმლებში, ფეხსადგილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი ხაპოს. ღამით ცეცხლფარეშად იმუშაოს თევზის ფაბრიკაში და საღამოობით კი აკორდეონი დაუკრას „ქილაში".

და როგორც ყოველთვის, ახლაც მოგვიანებით შემოვიდა ბატონი სპეკულანტი, სწრაფი ნაბიჯით გამოემართა, თითქოს სადღაც მიეჩქარება და აქ ერთი წუთით შემოიარაო. დოლთან ჩამოჯდა და ყველას გულთბილად გაუღიმა. მას მეტად ამაყი სახელი რიჩარდი ერქვა და გვარიც არანაკლებ ჰქონდა — აუგსტგეოლდი.[1] ულმანის[2] დროს მისგან „მებადურის შვილის" გაროზას[3] მსგავსი ვინმე გამოვიდოდა უეჭველად და ამიტომაც იყო, ალბათ, რომ ყველა ამ დამამცირებელ სახელს — „ბატონ სპეკულანტს" ეძახდა. „ქილაში" მხოლოდ იმიტომ აბრახუნებდა დოლს, რომ მუქთახორად არ ჩაეთვალათ. საქმის დღეებშიც კი გამოწკეპილი დასეირნობდა სოფელში და მშვენიერ ტყავის ჩანთას დაატარებდა. ჩანთაში ყოველთვის ეღაგა ცოცხალი თევზი, რასაც მოაგარაკეებსა და სხვა ხმელეთელებს მიჰყიდდა ხოლმე. ამ ამბავზე იქნება გაგეცინოთ, მაგრამ, თუ ცოტა ღრმად ჩაუფიქრდებით, რიჩარდ აუგსტგეოლდი სწორედ რომ ტრაგიკული მდგომარეობის მსხვერპლი გახლდათ. სანაპიროზე ყოველდღე თევზით დატვირთული ნავები ჩერდებოდა, მთელი სოფელი ღამის თევზის სუნში იხრჩობოდა. მაღაზიებში კი მარტო გამხმარი, შებოლილი ქაშაყი ეყარა და წყნარი ოკეანის თევზის კონსერვით სავსე ყუთები ეწყო. რა უნდა ექნათ, ბატონი სპეკულანტი რომ არ ჰყოლოდათ? ის აგრეთვე კატების, ძაღლებისა და ხბორების შეძენა-გაყიდვაში ეხმარებოდა მათ და თუ კარგად მოელაპარაკებოდით, ჩანთაში უცხოური საქონელიც აღმოაჩნდებოდა, რასაც ვერც ერთ მაღაზიაში კი არა, დაბლქვემაც რომ ვერ იშოვის კაცი, თუმცა კი ყოველ მეორეს აცვია ტანზე. ერთი სიტყვით, რიჩარდ აუგსტგეოლდი ნაღდი ბატონი სპეკულანტი გახლდათ, რომელსაც, ღმერთმა უწყის, აქამდე რომ არ იჭერდა მილიცია. იქნებ იმიტომ, რომ საგიჟეთიდან წამოღებული ცნობა საავსებით ადასტურებდა, იგი მთლად გიჟი თუ არა, ცოტა შერყეული მაინც ბრძანდებოდა და აბა, შერყეულებსა და გიჟებს ხელს ვინ ახლებდა.

და მეოთხეც ერთი ლაზღანდარა გახლდათ. გადაღლოკილი თმა ჰქონდა და ულვაშები შავად უბზინავდა. ჩამოჯდა, გიტარა მუხლებზე დაიდო, ნოტები წინ დაიწყო და თვალებით ჩააფრინდა, თითქოს შველას იქიდან მოელისო. ვინმეს რომ ნოტები გამოეყენებინოს, „ქილაში" ასეთი საოცრება ჯერ არავის ენახა. ეს რაღაც ახალი რამ იყო და ლაზღანდარასაც მაშინვე „ინჩიბინჩა" შეარქვეს. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ იგი ნამდვილად ელმავალს ჩამოჰყვა სადღაციდან, რადგან აქაური არავინ იქცეოდა ასე.

და ბოლოს ყველანი რომ მოკალათდნენ თავიანთ სკამებზე, მეხანძრეთა უფროსმა რობი რიტინმა ლოყები დაბერა და თითი მაღლა ასწია, ბრეცელი უკვე თვლემდა, ოცნებაში ჩაძირულმა ბატონმა სპეკულანტმა ჭერს გაუშტერა თვალი, ინჩიბინჩა კი ისევ ნოტებში მალავდა ულვაშებს. როცა რობი რიტინმა მეორე თითი ასწია და მესამეთი კი ეფექტურად აახრჭიალა საკრავი, ოთხივემ დაიწყო იმის განმარტება, თუ რატომ ხმაურობს ბალტიის ზღვა, რომლის სანაპიროზეც ტირიფები ჰყვავის. ვინც ამ ზღვის ნაპირზე დაბადებულა, ამავე ნაპირზე უნდა დალიოს სული. რაიმონდ პაულის ეს სიმღერა ყველამ ზეპირად იცოდა და არც არავის გაჰკვირვებია, თუმცა კი აქეთ-იქით იყურებოდნენ და მომღერალს ეძებდნენ, მაგრამ ნისკარტა არსად ჩანდა. ყველაფერი ჩვეულებისამებრ ხდებოდა: — გაზაფხულდა, ბავშვები უკვე არდადა-

1 მაღალკეთილშობილი (აქაც და ქვემოთაც მთარგმნელის შენიშვნა).

2 ბურჟუაზიული ლატვიის დიქტატორი.

3 ვ. ლაცისის რომანის „მებადურის შვილის" ერთ-ერთი პერსონაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებისთვის ემზადებოდნენ. ყველამ იცოდა, ვის დაიყენებდა მდგმურად და გული საგულეს ჰქონდათ. „ქილაში" ყველა მაგიდაზე ლარნაკი დაედგათ და შიგ ადრეული ყვავილები ჩაეწყოთ. ყვავილები სუნსაც კი აფრქვევდა, მაგრამ ნისკარტა არსად ჩანდა.

და ზვეინიეკიაანთ ოსკარმა, ზვეის ქუჩაზე რომ ცხოვრობს, სახეალაყლაყებულ ჟანს მოჰკრა თვალი თუ არა, მაშინვე ხელი დაუქნია.

და ეს ჟანი აქაური არ იყო, რიგელი გახლდათ. იქ კი ერთდროს, რასაც ხშირად თვითონვე ჰყვება ხოლმე, საკმაოდ ცნობილი პიროვნება ყოფილა, ცენტრალურ ბაზარში ხორცის პავილიონის ყველაზე კარგ ყასბებს ძეთაურობდა თურმე. და აი, ერთხელაც „ქილაში" რომ მოსულა, მთელი თავისი ხელქვეითების ნახალტურევი ფული შემოხარჯვია. ერთი დღე კიდევ დარჩენილა აქ და ოქროს კბილებსაც დამშვიდობებია. და რაკი სამსახურში აღარ დაბრუნებულა, მებუფეტე ამალია პიპინია შეურთავს ცოლად. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ ქალი ახლა კნაპინია გამხდარა. ამალიამ ახალი კბილები უყიდა ჟანს იმ პირობით, ლოთბაზარობას თუ მოეშვებოდა. მათმა შეუღლებამ გაუთავებელი საჭორაო გაუჩინა სოფლის დედაკაცებს, რადგან ჟანი ცოცხალი მაგალითი იყო იმისა, რომ ჰკვიან ცოლს ლოთბაზარაც კი შეუძლია კაცად აქციოს. სიყვარულიც კიდევ ხომ საკვირველი რამ გახლავთ. ეს დაახლოებით იგივეა, კამეჩს რომ სამთითა ფიწალი ატაკო ნეკნებში და მერე თუნდა გამოაძრე და თუნდა ნუ გამოაძრობ, მოგჭამა ჭირი! მერე შეწვი კატლეტი. გუფთა, ბიფშტექსი ან, თუ გნებავთ, დაკეპილი მიირთვით.

და ჟანი მოუიდა თუ არა ბერიკაცების სუფრასთან, ზიზღით გადახედა ლუდის ბოთლებს.

და ზვეინიეკიაანთ ოსკარს არც ამინდი უკითხავს და არც თევზაობის ამბავი, არც სხვა რამ მიუკიბ-მოუკიბავს, პირდაპირ ჰკითხა:

— ნისკარტა სად არის?

და ჟან კნაპინმა ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ნისკარტას საქმე წასულია, ღმერთმა უწყის, თუ კიდევ ვნახავთ როდისმე. — ჟანმა კიდევ ერთხელ ჩაიქნია ხელი, თითქოს ამით იმის თქმა უნდოდა, ნისკარტაზე ისე შემტკივა გული, ლაპარაკიც კი მიჭირსო. როცა დარწმუნდა, ბერიკაცებს მისგან აღარაფერი უნდოდათ, უკანვე გაბრუნდა. აქ ის კარისკაცად მუშაობდა და ფულს უხდიდნენ. ახლაც უნდა ენახა, ვინმე ხომ არ შემოდიოდა ნასვამი და კარს არ ამტვრევდა. კარს თუ შემოუმტვრევდნენ, რაღას უყარაულებდა?

და ზვეინიეკიაანთ ოსკარი არ დააკმაყოფილა ჟანის პასუხმა, რადგან ერთი კაცი თუ გარკვევით ეკითხება მეორეს, ის კი ბუნდოვანი გამოცანებით პასუხობს, კარგს არაფერს უნდა მოელოდეს.

და კუძენიეკიაანთ იეკაბმაც, კუძის ქუჩაზე რომ ცხოვრობს, ვერაფერი მოიფიქრა, თუ რა დაემართა ნისკარტას, ფეხები გაჭიმა, ლიპი დაიდო თუ ცოლი შეირთო მხოლოდ...

და ვეინიაანთ ბენედიქტემ კი, ვეიას ქუჩაზე რომ ცხოვრობს, არაფერი თქვა, რადგან პირს მხოლოდ ჭამა-სმის დროს ამოძრავებდა. სიტყვა ხომ ქარივით მჩატეა, გამოფრინდება და გაუჩინარდება, ხეირი კი არაფერი მოაქვს. განა პირის გაღება-დახურვით ვინმეს თავისი სიმართლე უკან დაუბრუნებია, როცა იგი დაუკარგავს? განა პირის გაღება-დახურვით ვინმეს დაუჭერია თევზი, როცა ბადიდან გასხლტომია? განა პირის გაღება-დახურვით ვინმეს ჰკუა მოუპოვებია? მხოლოდ თავისი სირეგვენე გამოუმჟღავნებია და უხერხულობაში ჩავარდნილა. როგორ დაარწმუნებ კატას, რომ უბუტრავეია? ბრძნული შეგონებით? არა. ძლოგვი უნდა ამოუსვა კუდქვეშ. როგორ უნდა დაიჭირო თევზი? ყბედობით? არა. ზღვაში უნდა შეხვიდე და ბადე მოუსვა. ყბედობასა და საქმეს შორის, სუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვილსა და შეძლებას შორის. ასევე ნაპირსა და ცისკიდურს შორის მთელი ზღვაა გადაშლილი. კაცი ჰკუათხელი უნდა იყოს, ეს რომ არ იცოდეს.

და რაკი ვეინიაანთ ბენედიქტეძ კრინტი არ დაძრა, კუძენიეკიაანთ იეკაბმა თქვა: ნისკარტას რომ ვერ კხედავ, გუნება წამიხდაო, ასე მგონია, სული ამომაცალესო. და მაშინვე დაამატა: არა, ეს ის არ არის, რის თქმაც მინდოდა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოვიგონეო, რადგან ნისკარტა არც წრიპინა გახლდათ და არც ერთი ვიღაც ყროყინა, საშინლად რომ იჭაჭებიან ხოლმეო. ნისკარტას კაცური გული აქვსო, სულიო, რომ გითხარით, ღმერთის ან ბაპტისტების მოძღვარ თეოდორ მარიტს ნუკი დაუკავშირებთ, ყოველივე იმ სიკეთედ ჩათვალეთ, რაც ადამიანს გააჩნია, რადგან ადამიანები არა მარტო ჭამენ, სვამენ და ლაპარაკობენ, არამედ მღერიან და ცეკვავენ კიდევაც და ეს კი უკვე რაღაცას ნიშნავსო. სიკეთის ნატამალი ყოველ ადამიანშია, მაგრამ ამ სიკეთის სხვისთვის გადაცემის უნარი უკვე ხელოვნებააო, აი, სული სწორედ ეს გახლავთო. ხომ ყველამ იცით, რომ ნისკარტა არც წმინდანიაო და არც ვარდისფერლოყება და ლიაცისფერთვალება ანგელოზი, რადგან რაღაც ხაკლი მასაც ჰქონდაო, მაგრამ უნაკლო აბა, რომელი მამაკაციაო? ნისკარტა რომ სოფლის სული და გული იყო, ძაღლებმაც კი იციანო. ქუჩაში მიმავალს არასოდეს შეუყეფდნენ, რადგან ადამიანური საქმეებისა მათაც ბევრი რამ გაეგებათო. ძაღლი შეხედავს თუ არა ადამიანს, მაშინვე მიხვდება, მშიშარაა იგი თუ ინდაურივით ტრაბახა, კატასავით თაღლითი და მსრიტი თუ ძაძალი ბატივით ჩერჩეტი, თუ ისეთი გულკეთილი და სულგრძელი, როგორიც ნისკარტა იყოო. ასეთი ძაღლი შეხედავს თუ არა, მიხვდება, რომ ეს კაცი არამზადა არაა, მას არც მეგობრები გაუცუცურებია, არც რაიმე სისაძაგლე ჩაუდენია, ასეთმა ძაღლებმა იციან, რომ კეთილი ადამიანი

კი არ უნდა შეაწუხო, უნდა ...

და ზვეინიეკიაანთ ოსკარმა, საბოლოოდ ჯერაც რომ ვერ გაარკვია ნისკარტას ამბავი, ბუფეტთან რუძბულიეტეს მოჰკრა თვალი, მაშინვე თავისთან მოიხმო.

და ეს რუმბულიეტე სოფლის „ცნობის ფურცელი" გახლდათ. ყველაფერი მან იცოდა, განსაკუთრებით კი საშინელი ამბები. საათობით შეეძლო ექაქანა, რომ მავანი მანქანას გაუტანია, საჭესთან კი სამრეწველო საქონლის მაღაზიის დირექტორის ქალიშვილის მამამთილის მესამე ცოლის ძმა მჯდარაო; მავანს ზღვაში ბოთლის ნამსხვრევზე გაუჭრია ფეხი, შეუხვევია, ისევ შესულა საცურაოდ და დამხრჩვალა; მავანი კი ქუჩაზე მიდენილა, თავზე ყინულის ლოლუა დასცემია, თავისქალა ჩახვრეტია, ჰკუაზე შერყეულა და მომკვდარა. ხუთი წუთითაც რომ დაგეგდო მისთვის ყური, შეიტყობდით, რომ ამ ქვეყანაზე თითქოს მკვლელობის, ძალადობის, გაუპატიურებისა და გაზით მოწამვლის გარდა სხვა არაფერი ხდებოდეს. და ეს ყველაფერი რუმბულიეტემ იცოდა, ყველაფერს იგი იგებდა. მხოლოდ ერთს ვერ მიმხვდარიყო რუმბულიეტე — მისმა ქმარმა თავი რატომ ჩამოიხრჩო. ვისაც კი შეხვდებოდა, ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა:

— ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, რატომ უნდა ჩამოეხრჩო თავი? ცხოვრება გაუჭირდა? იმისთანა კეთილი, გამრჯე კაცი მეორე არ დაიარებოდა ამ ქვეყანაზე. იატაკს რეცხავდა, საუზმეს, სადილსა და ვახშამს ყოველთვის თვითონ ამზადებდა. არც მტვერსასრუტი მაყიდვინა და არც სარეცხის მანქანა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა. აბა, რომელი დედაკაცი დააფასებს ისე ლამაზად, როგორც ის მიუთოვებდა ტანსაცმელს. რა უშლიდა ცხოვრებას? არ სვამდა, პაპიროსს არ ეწეოდა. მაშ თავი რატომღა უნდა ჩამოეხრჩო? ვერაფერი გამიგია, თქვენი ჭირიმე.

და კუძენიეკიაანთ იეკაბმა აუწყა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ნათქვამი: ნისკარტას თქვენი ჭირი წაუღიაო.

და ამის გაგონებაზე სახე დაეღმახჭა რუმბულიეტეს, თვალები სადღაც და შუბლზე გადაუადგილდა, რადგან ნისკარტაზე ასე თუ ისე რაღაც იცოდა: — რაო? მართლა? ეგრეც ვფიქრობდი. გუშინ მაღაზიაში მივდიოდი და ნისკარტას შევხვდი. ადამიანის ფერი აღარ ედო. სულ მაღლა-მაღლა იყურებოდა... ხის ტოტებს ათვალიერებდა... როგორც საწყალი ჩემი ქმარი თავის ჩამოხრჩობის წინ. ხეებისაკენ, სულ ხეებისაკენ გაურბოდა თვალები. თითქოს მაგარ ტოტს ირჩევსო. ველარ მოვითმინე და სწორედ ასე ვკითხე: „ჩამოხრჩობას ხომ არ აპირებ, სულ მაღლა-მაღლა რომ იყურები და ტოტებს ათვალიერებ?" და იცით, რა მითხრა? იქნებ ეგ უკეთესიც იყოსო. ცხოვრებაში ისე გავიხლართე, გამოძრომა აღარ შემიძლიაო. საცოდავი, თან ისე მოწყენილი იყო, ლამის ცრემლები წასკდომოდა. ეეჰ, საწყალი ჩემი ქმარიც ასე იყო თავის ჩამოხრჩობის წინ. ღმერთო, ღმერთო, რა საჭირო იყო ეს? ის ხომ ისე კარგად მღეროდა, გეგონება, ოპერაშიაო. ოღონდ არავის უთხრათ და ერთ ამბავს გაგანდობთ. — ეს ყველაფერი მებუფეტე ამალიას ბრალია. რომანი ნისკარტასთან ჰქონდა, ცოლად კი ქანს გაჰყვა. მართლაც რომ საზარელია ეს ქვეყანა! კაცი ისე მშვენივრად მღეროდა, თითქოს ოპერაშიაო, და იმ ტოტების თვალიერება კი დასჭირდა! მე ხომ ვუთხარი, ეგრე ნუ უყურებ, ნუ, კეთილი არ დაგეყრება-მეთქი. მაგრამ განა ყურს მიგდებს ვინმე? — რუმბულიეტე აქვითინდა, ჯიბიდან ორი ცხვირსახოცი ამოიღო და სლუკსლუკით იწმენდდა ცრემლებს. ტიროდა ნისკარტას, თავის ქმარს, ყველა წასულს და კიდევ იმათ, ვინც მის რჩევას არ შეისმენს და უეჭველად ცუდად დაასრულებს ცხოვრებას. როცა მიხვდა, რომ ტირილში ვერავის აიყოლიებდა, — ბერიკაცებმა ბანი არ მისცეს, — მგრძნობიარე გულის საძებნელად წავიდა, რათა ეს უბედური ამბავი ეუწყებინა და ტირილით ეოხებინა გული.

და კუძენიეკიაანთ იეკაბი სულ სხვა აზრისა იყო ოპერაზე, რომელიც სრულიად შემთხვევით ენახა ტელევიზორში. ჯერ იყო და თავისმა დაღეულმა დედაკაცმა გული გაუწყალა ყბედობით. სულ მალე დიდებულ რამეს ნახავო. ოპერა ისეთი განუმეორებელი ხელოვნებაა, რომ, როცა კი ტელევიზორს ვუყურებ, გულის კანკალი მეწყება და ერთ ადგილას ველარ ვჩერდები ხოლმეო. პატივცემულ ტელემაყურებლებსაც, ალბათ, ჩემსავით ემართებათო. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს განუმეორებელი საოცრებაც გამოჩნდა. ეკრანზე ორი სქელი კაცი და ერთი შუახანსგადაცილებული, ჩათქვირებული დედაკაცი გამოვიდნენ და არაადამიანური ხმით აბღავლდნენ სიყვარულზე. სამივეს ბოლომა გვახრჩობსო და სამივენი სიყვარულის გამო ჰლექით უნდა დავიხოცნეთო. ისე ულვთოდ იჭაჭებოდნენ, რომ საბრალო ტელევიზორმა ველარ გაუძლო და შუაზე გასკდა. ისე მოიფურტკნა, რომ რიგელმა ოსტატებმაც კი მთელი ნახევარი წლის განმავლობაში ვერ შეაკეთეს. კუძეხიეკიაანთ იეკაბმა იმ დღიდან მოყოლებული სასტიკად აუკრძალა ოჯახს ტელევიზორის ყურება, როცა ოპერას გადმოსცემდნენ. თავის მეგობრებსაც ეს ურჩია, რადგან „ქილის" მომღერალი ნისკარტა ათას ოპერას სჯობიაო. სხვა თუ არაფერი, ცოცხალი ადამიანი მაინც არისო, წესიერი ყმაწვილიც ჭახლავთ და არც ისე ულვთოდ მღერის, როგორც ოპერაში მღერიანო.

და გულახდილად უნდა გითხრათ, რუმბულიეტეს ნათქვამმა თავზარი დასცათ ბერიკაცებს. მართალია, ოპერისა არაფერი გაეგებოდათ და არც ამ ჭორების გუდას დაეჯერებოდა რამე, თუმცა მის ნათქვამში ჭეშმარიტების მარცვალი ყოველთვის ერია. მთლად ტყუილს არასოდეს ლაპარაკობდა. მისმა ქმარმა ხომ მართლა ჩამოიხრჩო თავი და თანაც ყველა ამ საშინელ ამბავში

ისეთ სიბრძნეს ავლენდა, რომ თვით ჯოჯოხეთის მბრძანებელ ბელზებელსაც კი შეშურდებოდა. ნისკარტა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მაშინ ხომ „ქილაში“ იქნებოდა და იმღერებდა. ის აქ არ იყო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რაღაც უბედურება შეემთხვა.

და ბერიკაცებმა გადაწყვიტეს, რომ ნისკარტას როგორც უნდა დაესრულებინა სიცოცხლე, დიდებულად უნდა დავასაფლაოთო. დაკრძალვაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიტიროთო, არამედ ყველამ ის სიმღერები უნდა ვიმღეროთ, ნისკარტას განსაკუთრებით რომ უყვარდა და „ქილაში“ მღეროდა, როცა კარგ გუნებაზე იყოო. დაკრძალვაზე შეიძლება სიტყვაც წარმოვთქვათ, ვუთხრათ ის, რასაც სიხარდვილეში ვფიქრობთ მასზე, რადგან ნისკარტა ისეთი კაცი იყო, ვის საფლავთანაც შეიძლება თავს ამის ნება მისცეო.

და თუმცა ჯერ კიდევ დანამდვილებით არ იცოდნენ, როდის, რანაირად, ან მართლა თუ მომკვდარიყო ნისკარტა, რომ ზვეინიექიაანთ ოსკარი უკვე გამოსათხოვარ სიტყვაზე ფიქრობდა. ამაში დიდი გამოცდილება ჰქონდა, რადგან არა ერთი და ორი მეგობარი გაუცილებია იმიერ ქვეყანაში და სიტყვაც წარმოუთქვამს. დაკრძალვაც ხომ არც ისეთი საშინელი რამ გახლავთ: — ერთად შეიკრიბებიან აქ დარჩენილები და ტკბილი სიტყვით გაიხსენებენ იმ ქვეყნად მიმავალს. კიდევ ერთხელ ირწმუნებენ ყველაზე მარტივ ჭეშმარიტებას — ამ ბებერ, კეთილ მიწაზე მარადიული არაფერია.

და ზვეინიექიაანთ ოსკარმა კარგა ხანს რომ იჯიჯლინა, თქვა: — კარგ გამოსათხოვარ სიტყვას კარგი მოფიქრება და წინასწარვე მოსინჯვა სჭირდება. კარგი სიტყვა ძველებურ სიმღერასავით უნდა ჟღერდეს. ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა დედაბერს ცრემლი მოჰგვაროს, ბერიკაცებს კი თვალი გადაავლებინოს განვლილ ცხოვრებაზე, მიახვედროს, რომ ამ ქვეყნად უქმად არ ყრილან, მიცვალებულთან [illegible] ორიოდე კარგი საქმე მათთ[illegible]ბიათ და კიდევაც გააკეთებენ. ახალგაზრდობას კი უნდა შთააგონოს, მათი სიკვდილის ჟამი ჯერ კიდევ შორსაა, ამიტომ უნდა იცხოვრონ ისე, რომ მათი საფლავის კართანაც ერთი-ორი კეთილი სიტყვის თქმა ყველას შეეძლოს. ასეთი სიტყვის მოსმენისას ერთი რამ უნდა იყოს ნათელი: ცხოვრება საოცრად მშვენიერია, ოღონდ თვითონ ადამიანებმა არ უნდა იცხოვრონ ლორულად.

და ზვეინიექიაანთ ოსკარმა წარმოიდგინა, რომ ნისკარტა უკვე კუბოში წევს და მთელი სოფელი თავჩაღუნული დგას: — ჩვენ ახლა შენს საფლავთან ვდგავართ და ვეღარასოდეს შევძლებთ შენთან საუბარს. მე მართლაც მწყინს, ნისკარტას რომ გეძახდით და არა შენს ნამდვილ სახელს, იურკა სტაკლიტ! შენი გვარი არ იყო ლამაზი და ცხვირიც საკმაოდ გრძელი გქონდა, მშვენიერს ვერ ეტყოდა კაცი. ალბათ, ეს მეტსახელი იმიტომ არ გწყინდა, რომ ჩვენ ცუდი არაფერი გვიფიქრია. განა ჩვენ სოფელში ვინმეს გადაუხდია ქორწილი, შენ რომ არ გემღერა? თუნდაც არ ეთხოვათ, შენ მაინც მიდიოდი და მღეროდი. რა გაგიკეთებია ცხოვრებაში? კაცმა შეიძლება თქვას, რომ დიდი არაფერი. ერთი გადარეული მაგნიტოფონივით მღეროდი და ეგ იყო. თუმცა მაგნიტოფონი რას მოუვიდოდა შენთან! გჯერა, თუ არ გჯერა, ჩვენ კი დიდებულად ვგრძნობდით თავს, როცა შენ მღეროდი, აი, თუნდაც იმ სიმღერას, „ზღვას რომ ლურჯი სამოსი ჩაუცვამს ქალიშვილივით, ნაპირს რომ სჭირდება დიუნის სილა და ზღვას კი — ძლიერი მამაკაცების ძოდგმა“. ჩვენც შენთან ერთად გადარეულებივით ვმღეროდით არა იმიტომ, რომ არყით ვიყავით გაბრუებულები, არამედ იმიტომ, რომ ეს მართლაც კარგი სიმღერაა და შენც კარგი კაცი იყავი. მაშ, მოდი, ვიმღერებთ ყველანი ამ სიმღერას შენს პატივსაცემად და მოსაგონებლად. და სანამ პირში სული

გვილდგას. არ დაგივიწყებთ არასდროს!

და ბერიკაცებმა დაიწყეს სიმღერა. მეზობელი სუფრიდანაც შემოუერთდნენ, რადგან ეს მართლაც დიდებული სიმღერა იყო. მერე ორკესტრიც აჰყვათ და მთელი „ქილა" ერთი ოჯახივით მღეროდა ზღვაზე. ქალიშვილივით ლურჯი სამოსი რომ ჩაუცვამს, ნაპირს რომ დიუნის ალლა სჭირდება. ზღვას კი — ძლიერი მამაკაცების მოდგმა. მღეროდნენ და თან იმაზე ფიქრობდნენ, რომ ეს ბებერი, ცოტა არ იყოს, მოსაბეზრებელი ზღვა ქინიან გოგოსა ჰგავს, ვინც მხოლოდ სიყვარულს მოითხოვს და თვითონ კი ვერასოდეს ხვდება, რომ ესენი ნამდვილი მამაკაცები არიან, ვინც ამ ქვეყნად იმიტომ მოსულან, იგი რომ უყვარდეთ მუდამ. უსიყვარულოდ ხომ ცხოვრებაც არ შეიძლება. უსიყვარულოდ მხოლოდ საზრდოს იშოვის კაცი და ნელ-ნელა მოემზადება სიკვდილისათვის.

და, როცა ეს მშვენიერი სიმღერა მიწყდა და ახლა ცოტა უნდა შეესვენათ, კუძენიეკიაანთ იეკაბი აჯიჯლიხდა, რადგან ისიც ემზადებოდა სათქმელად. გამოსათხოვარი სიტყვა ასე შეადგინა:

— ჰა! მე ვამბობ, ჰა-მეთქი! რადგან ეს პაწაწკინტელა სიტყვა მურწასავით აძკვრია ენაზე და უამისოდ გამოსათხოვარ სიტყვასაც ვერ ვიტყვი! იურკა სტაკლიტ! დღეს, როცა შენ ბებერი ძიწის კალთაში გაწვები, ნება მომეცი, ის დღე გავიხსენო, დიდი უბედურობისაგან რომ გვიხსენ ძველი ბიჭები. პირველად რომ წავედით ატლანტიაში, მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა უწვერულ ყმაწვილებსაც კი შეუძლიათ ეს, მაგრამ მაშინ ჩვენ ხომ პირველნი ვიყავით! ჩემი წაყვანა არც კი უნდოდათ, ძილში ხვრინავო, შარი მომიდეს. ჰა! მე კუთხარი, ჰა-მეთქი! და მაინც წავედი. განა მაშინ მეთევზეს რიგიანი ჩექმები ანდა ხელთათმანები ჰქონდა. ბაღეზე რომ არაფერი ვთქვათ! ზღვაში დავცურავდით და ფეხები თევზებივით გალუმპულები გვქონდა, გადაყვლეფილი ხელებიდანაც ლაშის სისხლი გვდიოდა. თავში [illegible]ზრი გვიტრიალებდა — ჰა! ნაპირზე დავბრუნდებით და ამ ტანჯვა-წამების სანაცვლოდ ფულს გადაგვიხდიან ბლომად: სახლი ან „ვოლგა"! წვერი თითქმის მუხლებზე გვცემდა, ნახევარი წელი გავიდა, თავი არ დაგვებანა. მაგრამ, შინ რომ ვბრუნდებოდით, ყველანი მხიარულად ვიყავით. ჰა! და გადავწყვიტეთ, როგორც კი ნაპირზე ავიდოდით, რამე ქოთანი ჩაგვეგდო ზღვაში, რადგან დამხვდურები დანალექიანებულნი იქნებოდნენ ჩვენზე და გვინდოდა გაგვემხიარულებინა. ყველამ იცის, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ მეკობრეებად მოგვეჩვენებინა თავი — პირისახე ხელსახოცებით შევიბურეთ, ცხვირში რგოლები გავიყარეთ, პირითა და ხელებით კი ქაშაყის საჭრელი დანები დავიკავეთ. ალბათ, მეჯლისზე პირველ ადგილს მოვიპოვებდით. დამხვდურებს ვრცელი სიტყვით უნდა მოემართათ ჩვენთვის, ამისთვის საგანგებო ტრიბუნაც კი აეგოთ — გემბანიდან ფეხს გადმოვდგამდით თუ არა, ტრიბუნაზე აღმოვჩნდებოდით. მერე ნიალვარივით წამოვიდოდა სიტყვები, რადგან ზღვაში ლაპარაკისთვის ვისა სცალია. ნაპირზე კი ილაქლაქე, რამდენიც გნებავს. როცა ხელმძღვანელობას დაუნახავს ეს ჩვენი საშინლად გრძელი წვერები და ცხვირ-პირში გარჭობილი დანები და რგოლები, კინაღამ ენა ჩავარდნიათ. აბა, ასეთ საფრთხობელებს ტრიბუნაზე ვინ აგვიშვებდა. სწორედ შენ იყავ, გასაჭირიდან რომ გვიხსენ. ალბათ, ის რაღაც სადიდებელი სიმღერა უნდა გვემღერა ჩვენთვის, რითაც გმირებად და, ღმერთმა უწყის, კიდევ რად აღარ მოგვენათლავდნენ. მაგრამ შენ ხომ გაჭირვების ტალ-კვესი იყავი მუდამ. სხვებივით პირდაღებული კი არ მოგვჩერებოდი. სიმღერა სჭექე უცებ: „ცელქი, გიჟმაჟი ბიჭი იყავ შენ!" ნისკარტავ, ავტირდი მაშინ, გესმის, რადგან ეს სიმღერა ტყვიასავით მომხვდა გულში! ჩემი ბებრუხუნა შემომყურებდა, ჩემი ბიჭები შემომყურებდნენ, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ მე არ მერიდებოდა მათი და აკვნის ბალღივით ვბღაოდი, რადგან შემეძლო მეთქვა, ჰა-მეთქი! — მთელი ატლანტია შემომივლია, მაგრამ ჭეელებისთვის ტოლი არ დამიდვია არც ერთ საქმეში. ძვირფასო მეგობარო, მოდი ამ მძიმე წუთსაც, როცა მიწა გეყრება გულზე, ვიმღეროთ ის კარგი სიმღერა, მაშინ რომ გვიხსნ უხერხულობისაგან. თუ სადმე სამართალია, შენ უნდა იდგე ჩემ საფლავთან, მაგრამ რას იზამ, ისე მოხდა, რომ შენ მალე მიწად იქცევი, მე კი ცოტა ხანს კიდევ ვიცოდვილებ ამ მიწაზე. ამიტომაც მოვუწოდებ ყველას, ვიმღეროთ: „ცელქი, გიჟმაჟი ბიჭი იყავ შენ!“

და ზვეინიეკიაანთ ოსკარმა ამ მშვენიერი სიტყვისათვის შეაქო კუძეხიეკიაანთ იეკაბი და სთხოვა, თუ მოახერხებ, შენი მეგობრის დაკრძალვაზედაც ასევე ილაპარაკეო. მერე საზეიმოდ წამოიწყეს კუძენიეკიაანთ იეკაბის შემოთავაზებული სიმღერა, მეზობლებმაც მაშინვე ხმა აუწყეს. ორკესტრმაც მუსიკაააყოლა და მთელი „ქილა“ ერთი ოჯახივით მღეროდა იმას, რომ ყველა მოხუცი წინათ ახალგაზრდა და გიჟმაჟი ბიჭი ყოფილა და მოზვერივით დაუდგრომელი და, რომ ისინი არც ახლა არიან შამბით დაფარული ხიდები და არც ნაპირთან მდგარი ხავსმოდებული გემები, ჯერაც რომ ცოცხლობენ და რაღაცის გაკეთებაც შეუძლიათ. ეს გადარეული სიმღერა ამის დასტური გახლდათ.

და ეს დიდებული სიმღერა რომ მოათავეს, კუძენიეკიაანთ იეკაბთან შვილიშვილი ოსკარი მოვიდა.

და ეს სახელი ამ ყმაწვილს შემთხვევით არ ერქვა. კუძენიეკიაანთ იეკაბი თავის შვილიშვილს ოსკარს ეძახდა, ზვეინიეკიაანთ ოსკარმაც თავის შვილიშვილს იეკაბი დაარქვა. ასეთი იყო მეგობრების პირობა, რადგან ნამდვილ მამაკაცს არამარტო გვარი, სახელიც ძარღვიანი უნდა ჰქონდეს. ესეც ერთი მიზეზი გახლდათ იმისა, რომ ვეინიაანთ ბენედიქტე მუდამ მოლუშული და საცოდავი ყოფილიყო, რა[illegible] ძე ებადა და არც ძის ძე, მხოლოდ ასულნი ესხდნენ და ასულთა ასულნი. ვერც მეგობრები დაიყოლია, შვილიშვილებისათვის ბენედიქტე დაერქმიათ, რადგან ყველა რიგიანი სახელი — იეკაბი, ანდრი, ოსკარი და სხვა კალენდარშია ჩაწერილი და თავის დროზე სახელდების დღეც გააჩნია. ბენედიქტეს კი ასეთი დღე არა აქვს. არ გააჩნია. მორჩა და გათავდა! ვეინიაანთ ბენედიქტეს ამის თაობაზე თავის სიცოცხლეში ერთადერთი საჩივარიც კი მიეწერა კალენდრის რედაქციისათვის. იქიდან კი ასეთი პასუხი მოსვლოდა: — სახელი ბენედიქტე გაქრობის გზაზეა დამდგარი, აღარავის სურს მისი დარქმევა, რადგან კათოლიკურ სარწმუნოებას მოაგონებსო და კიდევ ერთგვარ სასმელს, ბენედიქტურას რომ ეძახიანო. ამიტომაა, რომ არცერთი თანამედროვე ადამიანი თავის შვილს ამ სახელს აღარ არქმევსო. ასე რომ ვეინიაანთ ბენედიქტეს სურდა თუ არ სურდა, უკანასკნელი ბენედიქტე უნდა ყოფილიყო, რადგან მისი ასულნიც მხოლოდ ასულებს შობდნენ. იგი შურით შეჰყურებდა კუძენიეკიაანთ იეკაბის შვილიშვილ ოსკარს, დიდი ადამიანივით რომ ელაპარაკებოდა პაპას: — რა ამბავია, პაპა, რა წარამარა ხმაურობთ? მე და ანიტას ცეკვა გვინდა, თქვენ კი ზედიზედ მღერით, ორკესტრიც თქვენ აგყვებათ ხოლმე და ცეკვა აღარ გამოგვდის.

და ვეინიაანთ ბენედიქტეს უკვე პირი უნდა გაეღო და ეთქვა, რომ მეტს აღარ იმღერებდნენ, რათა ახალგაზრდებს ცეკვის საშუალება მისცემოდათ. ანიტა ხომ მისი შვილიშვილი იყო, თანაც დამჯერი და თუ ისინი შეუღლდებოდნენ, იქნება ერთი შვილთაშვილი მაინც გამოსვლოდა ბიჭი და ბენედიქტე დაერქვა.

და კუძენიეკიაანთ იეკაბმა ისე დაარტყა მაგიდას ხელი, რომ ჭიქებიც კი ააჟღრიალა. — ჰა! კიდევ ვამბობ, ჰამეთქი! ენა ჩაიგდე, შე ლაწირაკო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრინტი-მეთქი! მერე რაა, რომ ჩემი შვილიშვილი ხარ! კაცი მომკვდარა, ამათ კი ცეკვა-კუნტრუში აქეთ პირზე!

და ეს ისე ხმამაღლა იღრიალა, რომ მთელმა „ქილამ“ გაიგონა და ყველამ ერთხმად იკითხა: — ვინ? ვინ მომკვდარა?

და კუძენიეკიაანთ იეკაბმა მიუგო: — ნისკარტა მომკვდარა.

და „ქილაში“ ყველა დადუმდა. მიწყდა ჩანგლების კაკუნი. აღარც ჰიქები წკარუნებდა და აღარც სკამები ჭრიალებდა. ახალ, ლამაზრგოლებიან ფარდებს ნიავი აქანავებდა და იმის შრიალილა ისმოდა. ეს რგოლები ლაძის კაცის თავზე თითო მოდიოდა და ყველანი ძველი მონასტრის ფრესკებზე გამოსახულ წმინდანებს ჰგავდნენ. უცებ გულწასული ამალია უხმაუროდ ჩაიკეცა დახლს უკან.

და ამ სამარისებურ მდუმარებაში კუძენიეკიაანთ იეკაბის ხმალა ისმოდა. თუმცა ამ საღამოს ყველანი საძხიარულოდ მოვსულვართო, ამბობდა იგი, მაგრამ ახლა ხუმრობა-გართობას თავი უნდა დავანებოთ და ნისკარტას ვცეთო პატივი. გამოსათხოვარი სიტყვით გამოვხატოთ ჩვენი მწუხარება და თახაც ის სიმღერები უნდა ვიმღეროთ, ნისკარტას რომ უყვარდაო. თუ ვინმეს სათქმელი არაფერი აქვს, სჯობია გაჩუმდეს და მიცვალებული, შეძლებისდაგვარად, კეთილსინდისიერად გაიხსენოსო.

და „ქილაში“ თითქმის ყველამ იგრძნო, რომ რაღაც საშინელება მოხდა, რასაც ვერც ნავის ძრავასავით შეაკეთებ, ვერც წინდასავით დააკერებ და ვერც უბრალო ჭრილობასავით მოირჩენ.

და მესაქსოფონეს — მოხალისე მეხანძრეების უფროსს რობი რიტინს უნდოდა წამომდგარიყო, რათა ორიოდე სიტყვა ეთქვა, მაგრამ ბერიკაცებს რომ გადახედა, მიხვდა, მართალს ვერაფერს იტყოდა. ნისკარტა ხომ ყოველთვის დასცინოდა მას და უფროსუნას ეძახდა, რომელიც სხვა უფროსუნას [illegible] უძვრება და უკან აღარ გამოდის, რადგან იმ უფროსუნას უფროსუნაც ახლა სხვა უფროსუნას უძვრება და ასე დაუსრულებლივ, რის შედეგადაც საზიზღარი სუნი დგებაო. შენაო, ხანძრის ჩაქრობა სულაც არ გადარდებს, უფროსის პატივისცემაზე ფიქრობო, ხშირად გადაუკრავდა ხოლმე ნისკარტა და სიმღერას: „ჩუმი მუდარით ჩემი სიმღერა მყუდრო ლამეში ისმის“, — ასე წაუმღერებდა ხოლმე: „ჩოქვით და ხოხვით მთელი დღე დავალ, სანამ ცხუხლები მიძლებს“ და მერე ისეთ უხამსობას მოაყოლებდა, რომ სიმღერის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ამიტომაც რობი რიტინმა სიტყვა აღარ დაძრა. სიმართლე გითხრათ, ცოტა გაუხარდა კიდევაც, „ქილის“ გახსნისას ნისკარტა რომ ვერ დაინახა. მაგრამ როცა გაიგო, მომკვდარაო, დაღონდა, რადგან ნისკარტა მართლაც კარგი ბიჭი იყო. არასოდეს მოიწყენდა. წვრილმანები არ აშინებდა და ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა. ეს კი ის თვისება გახლდათ, რობი რიტინს თვითონ რომ არ გააჩნდა. წუხდა, რადგან ასე ვერასოდეს მოიქცეოდა.

და მეაკორდეონე ბრეცელისაც სუროდა, ორიოდე სიტყვის თქმა, რადგან ნისკარტას თავის საუკეთესო მეგობრად თვლიდა. შარშან გაზაფხულზე ცოტა ქესატად ყოფილან ორივენი, სოფლის ინტელიგენტების სახლები ჩამოუვლიათ და ფეხსადგილები ამოუწმენდიათ. სულ რაღაც ორიოდე საათში ამოხაპავდნენ ორმოს და კარგა გვარიანად შოულობდნენ ფულს. მერე ამასთან მოსულან, რომ სიბინძურე მოეცილებინათ და მონაგარიც შუაზე გაეყოთ. უცებ ურჩხულივით დასცემიათ ამის დედაკაცი. — მოიტათ ეგ ფული! ბავშვებს ტანსაცმელი უნდათ, საჭმელი უნდათ, მეც პალტო მჭირდება! ეს ყველაფერი ისევ ალიმენტებს მოუნდებაო. ნისკარტას ყოველივე რომ მოუსმენია, უთქვამს, ცოლს არასოდეს შევირთავო, და თავისი წილიც ბრეცელასათვის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცია. თქმა აღარ უნდა, დედაკაცი მთვარესავით გაბადრულა. მისმა ქმარმა რაკი ამდენი ფული იშოვა, ხორცი შეუწვა და მაღაზიიდან თვითონვე მოუტანა ღვინო. ბოეცელა მთლად დაბნეულა, რადგან აღარ იცოდა, როგორ დაებრუნებინა ნისკარტასათვის თავისი წილი. ნისკარტას კი დაუმშვიდებია და უთქვამს: — ნუ ხარ მეწვრილმანეო, თავს მაშინ ვგრძნობ კარგად, როცა ადამიანები მხიარულად იღიმებიანო. ეს კი ჩვენთვის დიდი ჯილდოა, რასაც კაცი ფულით ვერასოდეს მოიპოვებსო. და ნისკარტამ იმ ღამეს მოხუც კაპიტან კოიშზე იმღერა, ვინც არასოდეს მოიწყენდა. რაც უნდა ცუდად ჰქონოდა საქმე, მაშინაც მხიარულად ყოფილა და ამას მღეროდა თურმე: „დაე, ქარმა დაუბეროს, შორს წაიღოს ყველაფერი, თუკი გოგოს შეიყვარებ, გაგიჟებით შეიყვარეო, რადგან რაკი ქარი დაუბერავს, შორს წაიღებს ყველაფერსო. ნურც სიკვდილი დაგაფიქრებს, ჩაგაწვინოს კუბოშიო, რადგან, რაკი ქარი დაუბერავს, შორს წაიღებს ყველაფერსო". ეს სიმღერა ყველას ისე მოეწონა, რომ დიდი და პატარა, თვით დაბოღმილი დედაკაცებიც კი ერთხმად მღეროდნენ.

და მეაკორდეონე ბოეცელასაც უნდოდა, წამომდგარიყო, ორიოდე სიტყვით გაეხსენებინა ის მშვენიერი საღამო, ნისკარტასთან რომ გაეტარებინა და ყველასთვის შეეთავაზებინა სიმღერა ქარზე, ოთხელიც მუდამ გვაზარალებს, თუ ყველა უსიამოვნებას გულგრილად მოვეკიდებით. მაგრამ შწიბელს ეუხერხულა ფეხსადგილის წმენდაზე საუბარი, არ სუროდა, ყველას გაეგო, რომ ამნაირ საქმესაც აკეთებდა. ეს ხომ ჭირივით ეჯავრებოდა მას. ახლა თუ სხვებიც გაიგებდნენ, თხოვნით თავს მოაბეზრებდნენ, ჩვენთანაც მოდიო. კარგად იცოდა, მათ თავაზიან თხოვნას უარს ვერ ეტყოდა. ასეთი გულის პატრონი რომ იყო, სწორედ ამიტომ ჰყავდა თერთმეტი შვილი და ორი ქალისთვისაც ალიმენტი უნდა ეძლია. ახლა უფრო დიდ უსიამოვნებას [illegible] გადაჰყროდა, დუმილი არჩია.

და არც მეტოლეს — ბატონ სპეკულანტს სუროდა, ნისკარტას სასარგებლოდ რაიმე ეთქვა, რადგან ნისკარტას მისგან ყოველთვის უსესხნია ფული, დაბრუნებით კი არასოდეს დაუბრუნებია. თუნდაც მას — ბატონ სპეკულანტს, თავაზიანად და მოკრძალებით ეთხოვნა. ნისკარტას მხოლოდ ერთი რამ უკვირდა. ბატონი სპეკულანტი ასეთი დაშაქრული ენის პატრონი როგორ არისო. და თვითონვე ასეთ ახსნა-განმარტებას მოაყოლებდა ხოლმე: — ბატონი სპეკულანტის დედიკო თავის ვაჟიკოს მუცლით რომ დაატარებდა, ეტყობა, ძალიან ბევრ ტკბილეულს მიირთმევდაო. უფრო მეტად კი, ალბათ, ვაჟინს ეტანებოდაო. მე კი, ასეთ დაშაქრულ საუბარს რომ მოვისმენ ხოლმე, კიტრის მწნილი მინდებაო, მაგრამ, რა ვქნა, ჭამა არ შემიძლიაო. სიმჟავე მაქვს და ვისაც სიმჟავე აწუხებს, ამბობენ, კიტრის მწნილს ახლოს არ უნდა გაეკაროსო. ბატონ სპეკულანტს ბოლოს იმასაც ეტყოდა ხოლმე, იმ ფულს ტყუილად მისტირიო, რადგან მაგ უპატიოსნო გზით ნაშოვნ ფულს ისევ უპატიოსნოდ რომ ჰკარგავ, სავსებით პატიოსნად მიმაჩნიაო.

და ახლა ბატონი სპეკულანტი ისე საცოდავად დაიღრიჯა, რათა ყველას დაენახა, ნისკარტას დაღუპვას მეც განვიცდიო.

და ეს უცნაური ლაზღანდარა, შავი ულვაშები და გიტარა რომ ჰქონდა, და „ქილის" კლიენტებმაც ინჩიბინჩა დაარქვეს უკვე, აზრზე არ იყო, აქ რა ხდებოდა. გაოცებული უყურებდა დამწუხრებულ სახეებს და ულვაშებს ივარცხნიდა, რადგან ადამიანი რაც უნდა უტვინო იყოს, სილამაზე მაინც სჭირდება.

და ჟან კნაპინი „ქილის" კარებთან აყუდებულიყო. ვიღაცა აბრახუნებდა და შემოსვლას ითხოვდა, ის კი ხესავით იდგა და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მისი გონება მხოლოდ ერთ რამეს

ეროვნული

ხვდებოდა — ნისკარტა ველარასოდეს იმღერებს მის საყვარელ სიმღერას: „ვიცი, ოდესმე ბაღს გავაშენებ, შიგ კი მედგება მხოლოდ ვარდები და გული აღარ ამიკვნესდება“. ყასბობა ბატარაობიდანვე დაეწყო ყანს და კარგი გამორჩენაც ჰქონდა, მაგრამ ეს ხელობა მაინცდამაინც არ იზიდავდა, რადგან საწყალი სოფლელები ყოველ დღე ეხვეწებოდნენ, ეს ერთადერთი ბურვაკი თუ ბოჩოლა, რაც შეიძლებოდა, კარგად აეკუწა. სამაგიეროდ კი ტკიცინა ქაღალდს ჩაუცურებდნენ ხოლმე ჯიბეში. ყანი ცდილობდა, ყველაფერი კეთილსინდისიერად გაეკეთებინა, მაგრამ ეს სოფლელები, ჩუმად რომ ფულს ჩოდნენ ჯიბეში, პირსუქან მყვლეფავს ეძახდნენ. იგი იმ კაცივით გრძნობდა თავს, სხვისთვის სიკეთე რომ უნდა და ყველანი კი მაინც არამზადას ეძახიან. კარგახანი გაეტარებინა ასეთ ყოფაში, თითქმის თმაც სულ გასცვენოდა კინკრიხოზე, რომ უცებ მისი ცხოვრება ერთ სიმღერად იქცა „ქილაში“. ნისკარტა მღეროდა: „ჩვენი ცხოვრების გზები ერთდება!“ — ყანმაც ამალიასთან შეაერთა თავისი ცხოვრების გზა და ზედ ბედნიერად დაიწყო სიარული. ნისკარტა მღეროდა: „მიყვარხარ, სიცოცხლევ!“ — ყანი „ქილის“ კართან იდგა და სხვებთან ერთად მღეროდა, რომ მასაც უყვარს სიცოცხლე და უხარია, ბედნიერ სახეებს რომ ხედავს. ნისკარტა მღეროდა: „ვიცი, ოდესმე ბაღს გავაშენებ, შიგ კი მედგება მხოლოდ ვარდები და გული აღარ ამიკვნესდება!“ — ყანიც ეხმარებოდა ამალიას ბაღის გაშენებაში და ვარდების გარდა სტაფილო, კიტრი და კარტოფილი მოჰყავდა, თანაც ათიოდე ქათამს ზრდიდა, ცხვარი და ძროხაც გაიჩინა და ვერ წარმოედგინა, რომ ოდესღაც ცენტრალურ ბაზარში ამ მშვენიერი ცხოველების ასო-ასო აქნა შეეძლო. თუმცა ახლაღა მიხვდა, რა ხანმოკლე ყოფილა ბედნიერება. მან გუშინ ნახა ნისკარტა, რომელმაც უთხრა, „ქილაში“ აღარ ვიმღერებო. მისი სიკვდილის ცნობამ კი მთლად დაადამბლავა და მიახვედრა, რომ ამ ქვეყანაზე მარადიული არაფერია.

და ყანმა ნაღვლიანად ამოიოხრა. ბრახუნი რომ ჩაესმა, კარი გააღო.

და ღია კარში საღ-სალამათი ნისკარტა იდგა. ისე ლამაზად იღიმებოდა, რომ ყანი სხვა პლანეტიდან ჩამოსულ მოჩვენებასაც ვერ უწოდებდა, რადგან ნისკარტას ღიმილი არც ერთ მოჩვენებას არ ექნებოდა.

და ნისკარტას ახალი პერანგი ეცვა, რომელზეც ცისარტყელასფერი თუთიყუშები ეხატა, ყელზე შავარშიანი ყაბო ეხვია, თმა ჰიპივით მოეშვა, ოდეკოლონი ბლომად ესხურებინა და ამალიას ყვავილნარივით სურნელს აფრქვევდა.

და ამ დროს ფეხზე წამოდგა მაღალი, თმააწეწილი კაცი და ნამტირალევი ხმით წამოიწყო: — ღმერთი არ არის და აღარც ნისკარტა გვყავს. ქვეყანა თანდათან იღუპება და ჩვენ ველარაფერს ვუშველით.

და ეს წოწლოკინა, სახენამტირალევი კაცი ბაპტისტების ყოფილი მოძღვარი თეოდორ მარიტი გახლდათ. ამ ბოლო დროს მთელი მისი ცხოვრება ღვთის უარყოფას და კვლავ აღიარებას ეწირებოდა. აღიარება და უარყოფა ხშირად იცვლებოდა და დასასრული აღარ უჩანდა. აღიარებისას ცდილობდა ყველა ქალიშვილი დაერწმუნებინა, რომ ღმერთი არსებობსო. მაგრამ ისეც ხედებოდა, რომ მას მხოლოდ გადაყრუებული დედაბრები უსმენდნენ და, აბა, ამ ბებრუხანებს სხვას რას გამორჩებოდა, თუ არა იმას, რომ შესაწირავი გამოერთვა, სამლოცველოები განეახლებინათ და გულდამშვიდებით დალოდებოდნენ მეორედ მოსვლას. სამლოცველოებისათვის შეაგროვებდა თუ არა ფულს თეოდორ მარიტი, „ქილაში“ ამოყოფდა თავს და იმდენ ხანს დარჩებოდა აქ, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ არც ღმერთი არსებობს, არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთიო. რასაც ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროლში. ყველაფერი ამ ცოდვილ ქვეყანაზე უნდა აისრულოთო.

და ამ დროს ყველამ ნისკარტას მოჰკრა თვალი და თითქმის ერთხმად წამოიძახეს: „ნისკარტა ცოცხალია!"

და თეოდორ მარიტმაც დაინახა ნისკარტა და თქვა: — ნისკარტა არის, მაგრამ ღმერთი მაინც არ არის! (ახლა ღვთის უარყოფის პერიოდი დამდგარიყო). ეს კი იმას მოასწავებს, რომ ნისკარტა ღმერთზე დიდია, რადგან ღმერთი ხან არის, ხან კვლავ არ არის. ნისკარტა კი ყოველთვის არის! მაშ ნისკარტა იყოს ჩვენი ღმერთი, რადგან ეს ჩვენი სიხარულია. ამას კი თავისი სამღოწველო სახლი — „ქილა" აქვს!

და ზყვინიეკიაანთ ოსკარმა ქება-დიდება კი არ დაუწყო ნისკარტას, პირდაპირ ჰკითხა: — სად იყავ, შე ეშმაკის ფეხო, ჩვენ აქ კინაღამ დაგასაფლავეთო.

და ნისკარტამ პატიება სთხოვა ბერიკაცებს, მერე კი მიუგო, რომ ახლა ნამდვილი ხელოვანი გავხდიო, რადგან დედაქალაქის რესტორანში ვმღერიო, დღეს ვისვენებ და ძველი ნაცნობების ნახვა გადავწყვიტეო.

და კუძენიეკიაანთ იეკაბმა ჰკითხა: — ასე რად მოიქეციო?

და ნისკარტამ მიუგო, რომ ქვეყანა დიდია, ახლა დედაქალაქში მინდა ბედი ვცადოო. უკვე ორმოცი წლისა ვხდები და პენსიაზე აქედანვე უნდა ვიფიქროო. „ქილაში" ძალიან მცირე ჯამაგირი მქონდა და აქ რომ დავრჩენილიყავი, პენსია არაფერი დამენიშნებოდაო.

და კუძენიეკიაანთ იეკაბმა ულრიალა: — რაებს ბოდავ, შე ეშმაკის გავარდნილოო!

და ნისკარტა დაეთანხმა, რომ მართლაც ვბოდავო, მაგრამ რა ვქნა, ყველაფერი საარსებო წყაროს გამო ხდებაო. გულისმბრძანებელი გამირისხდა და აღარ ვუნდივარო.

და ბერიკაცებმა სთხოვეს, ეს უსიამოვნო ამბავი გულთან არ მიიტანო და ერთი კაი რამე გვიმღერეო.

და ნისკარტას ხვეწნა აღარ სჭირდებოდა. მიკროფონი აიღო და იმანტ კალნინის სიმღერა დაამღერა: „მე ვარ ის კარგი, შენ ჩემო ცუდო, ჩემო სიცოცხლევ!" და მებუფეტე ამალია გონზე მოვიდა და ვერაფერს მიხვდა. ხედავს, რომ ნისკარტა ისევ „ქილაშია", ხალისიანად დახტის დამკვრელებში და მხოლოდ მას უმღერის. „მე ვარ ის კარგი, შე ვარ ის ცუდი, მე ვარ ნისკარტას სიცოცხლე: მისი მზე, მისი ალმასი და მისი ცრემლიც მე ვარო". და ნისკარტას ციისარტყელასფერი თუთიყუშებით მოქარგული, გადასარევი პერანგი ეცვა და შავარშიანი ქაბო ეხვია. ამალიას სურდა, თუ არა სურდა, უნდა გაეხსენებინა ის ღამეები, ნისკარტასთან რომ გაეტარებია. გაგიჟებით ჰყვარებია, მაგრამ ცოლობაზე ყოველთვის უარი უთქვამს. სურდა, თუ არ სურდა, უნდა გაეხსენებინა რომ ქანს მისი ჯიბრით მისთხოვდა და ეს ლოთბაზარა კაცად აქცია, რათა დაემტკიცებინა, რომ მისგანაც შეეძლო ხეირიანი ადამიანი გამოეყვანა. სურდა, თუ არ სურდა, უნდა გაეხსენებინა, რომ გათხოვების შემდეგ ზურგი აქცია მას და პატიოსან და ზნეობიან ქალად წარმოუდგინა თავი. ახლა კი მიხვდა, რომ ძალიან ცუდად მოქცეულა.

და ამალიამ უთხრა თავის ქმარს: — აბა, რა ქმარი ხარ, როცა ვერ დაინახე, შენს ხორციელ ცოლს გული როგორ წაუვიდა.

და ქანმა მიუგო, არ შემიმჩნევიაო, და თან ჰკითხა, ნუთუ გული მართლა წაგივიდაო?

და ამალია თავის ჯვარდაწერილ ქმარს აუსისინდა, ქვასავით უგულო და ყასაბივით უხეში ხარო. თვითონ კი ნისკარტას შეჰყურებდა და გრძნობდა, რომ სიყვარულით იწვოდა.

და არც ქანი იყო ბრმა. ხედავდა, რომ მისი მეუღლე გაგიჟებული შეჰყურებდა ნისკარტას და მიხვდა, კეთილი აღარ დაეყრებოდა. თავისი ბედნიერება რომ გადაერჩინა, უკანასკნელ ხერხს მიმართა: — ხელოვნური კბილები გამოიღო პირიდან და დახლზე დააწყო. ნისკარტა კი უკვე გადარეულიყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელი „ქილა“ მასთან ერთად მღეროდა ერთი ბედნიერი ოჯახივით, რომლის კერასაც გზააბნეული საყვარელი შვილი დაუბრუნდა. ამ სიმღერას დასასრული აღარ უჩანდა, ნისკარტა ისევ და ისევ თავიდან იწყებდა, რადგან კარგი სიმღერა ცხოვრებასავით უსასრულოა. ასე გგონიათ. მარტო ამაღამ კი არა, მთელ წელს და, ალბათ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთსაც ამას იმღერებენ. ჩვენ ხომ უკანასკნელ წუთზე გაუქრებაც არა გვსურს. ჩვენ მხოლოდ სიმღერა, სიმღერა, სიმღერა გვინდა.

და ამალია ვერ ხედავდა დახლზე დაწყობილ ქანის ხელოვნურ კბილებს, თუმცა ისინი საქორწილოდ თვითონ არჩია. ნისკარტას გარდა მისი თვალები ვერაფერს ამჩნევდა.

და მესაქსოფონე რობი რიტინი გიჟივით უბერავდა, რადგან იგი არა მარტო კოლმეურნეობის მოხალისე მეხანძრეების უფროსი გახლდათ, კარგი კაციც იყო. მუსიკა ხომ ძალას ჰმატებს და დამოუკიდებელს ხდის ადამიანს! სალამოობით საქსოფონი რომ არ დაეკრა „ქილაში“, ცხოვრება გაუჭირდებოდა.

და მეაკორდეონე ბრეცელა მიხვდა, რომ ეს მეორე ბედნიერი დღე იყო მის ცხოვრებაში, სიბერეში უეჭველად მოუყვება თავის შვილიშვილებს ამ საღამოს საოცრებაზე, ნისკარტა ყველას მკვდარი რომ ეგონა და ის კი ცოცხალი და უვნებელი აღმოჩნდა.

და ბატონი სპეკულანტი იჯდა მთლად ნირწამხდარი და ვერ მიმხვდარიყო, ეს გადარეულები და დამთხვეულები ყოველთვის რატომ უყვართ უფრო მეტად ვიდრე ჭკვიანი, პრაქტიკული და მარიფათიანი ადამიანები.

და შავულვაშიან ლაზლანდარას ამ ამბავმა ისე დაასხა რეტი, გიტარის ქლარუნიც კი დაავიწყდა. ნისკარტა გადარეული მღეროდა: „აგერ, მუსიკოსები ჩემ ცხოვრებას უმღერიან!“ და ლაზლანდარა მიხვდა, რომ ჯერ ისევ ახალგაზრდაა, მთელი ცხოვრება წინ უდევს და ამ ქვეყანაზე არც მარტო სილამაზეა მთავარი. მთავარია, რომ ყველას ნისკარტასავით სიმართლე იყოს, უყვარდეთ და აფასებდნენ.

და ქანი ხედავდა, რომ მისი ცოლი ამალია ვერც მას ამჩნევდა და ვერც დახლზე დაწყობილ მის კბილებს. ამიტომ ჰკითხა: — ვარ თუ არა შენი ქმარი?

და ამალია არც კი მობრუნებულა, ისე მიუგო: — შენ თუ ამას მეკითხები, ნამდვილად არა ხარ.

და ქანმა კარი გამოაღო. არა იმიტომ, რომ ვინმე შემოეშვა, თვითონ უნდოდა გასვლა. სამუდამოდ თუ არ წავიდოდა, ცოტა ხნით მაინც გაევლო.

და „ქილის“ წინ სამი ძაღლი იდგა და დამნაშავეებივით კუდებს აქიცინებდნენ. ესენი ზვეინიეკიაანთ ოსკარის, კუძენიეკიაანთ იეკაბისა და ვეინიაანთ ბენედიქტეს ქოფაკები იყვნენ. ძაღლები ბერიკაცების ცოლებს გამოეგზავნათ, შინ მომავალ ქმრებს გზა რომ არ არეოდათ.

და გარეთ რომ გადიოდა ქანი, ძაღლები შიგნით შეუშვა.

და ბერიკაცებმა თავიანთი ძაღლები რომ დაინახეს, მიხვდნენ, წასვლის დრო მოსულიყო, რადგან ძაღლები ზოგჯერ ადამიანზე ჭკვიანები არიან და ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს კაცმა.

და ის სამწუხარო შემთხვევაც გაიხსენეს, სამივენი ცოლებს რომ გაბრაზებოდნენ და შვედეთში გაქცევა გადაეწყვიტათ, რათა ალიმენტი აღარ გადაეხადათ მათთვის და აეტირებინათ. ეს ამბავი ზამთარში მომხდარიყო, არტელის დაარსებამდე. მარხილებში შეებათ ცხენები, აეღოთ კომპასი და, რომ არ გაყინულიყვნენ, სამი ყუთი არაყიც მოემარაგებინათ. გზაზე ცოტა შეხურებულიყვნენ და თვალიც მოეტყუებინათ, როცა გამოიღვიძებიათ, ირგვლივ უამრავი ხალხი დაუნახავთ. ზვეინიეკიაანთ ოსკარს, ამათში ყველაზე ჭკვიანს, ინგლისურად უკითხავს: „ჰაუ დუ იუ დუ!“ „ჰო, როგორც იქნა, მოაღწიეთ შინამდე!“ — წმინდა ლატვიურად მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგო კოლმა. ეტყობა, სახლის გზა არ დავიწყებოდათ ცხენებს.

და ბერიკაცები სუფრიდან ადგნენ და გარეთ გავიდნენ. უგუნებოდ ჩანდნენ, თითქოს არ რჩებოდათ რაღაც ძვირფასი და ვინ იცის, კიდევ როდის შეიყრებიან ერთად, რომ სამივენი ერთ სუფრას მიუსხდნენ.

და ბებერი, კეთილი მიწა ისე მოწიწებით შეეგება მათ და ისე ტაატით წაიყვანა, თითქოს ზღვა მიანანავებსო ნავს რვაბალიან ქარში. ისე მსუბუქად იწრეოდნენ ბერიკაცები, რომ თავადაც ვერ გრძნობდნენ ამას.

და ბებერი, კეთილი მიწა ატროკებულ გოგონასავით აფრქვევდა სურნელს. გეგონებათ, ყოველ სულდგმულს სიყვარულის ბნედა შეჰყრიაო. ფრინველები წყვილ-წყვილად ისხდნენ ტოტებზე და ისე ტკბილად ეღურტულებდნენ, რომ ტირილი მოუნდებოდა კაცს. მამლები ეძებდნენ დედლებს და დედლები უხმობდნენ მამლებს. ისეთი ქრიამული იდგა, ლამის ყურებში თითი დაგეცოთ. მთელი ბუჩქები შეყვარებულებით გავსებულიყო. ჯაგის მკერდზე მიეკრათ ქალიშვილები და ისე მხურვალედ ეფერებოდნენ, რომ ამ ამბავს უეჭველად ბავშვები უნდა მოჰყოლოდნენ.

და ბერიკაცები მიდიოდნენ და თავიანთ ძაღლებს გაზაფხულის შესახებ ათას რაღაცას უყვებოდნენ. მღეროდნენ კიდეც და ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ სახლებსა და ქუჩებს, მათი სახელები რომ ერქვათ.

და ბებერმა, კეთილმა მიწამ, რომელიც მარტო სიყვარულით კი არ იყო გადარეული, არამედ ჭკვიანიც იყო და საზრიანიც, უთხრა ზღვას: — ხვალ მაინც ნუ გადაირევი, იყავი თვინიერი და წყნარი, რადგან კაცებმა წუხელ იმხიარულეს და ხვალ დილით გაუჭირდებათ.

და ზღვამ მიუგო ასე: — დამშვიდდი, დაო! ეს ხომ პირველად არ ხდება!

და ზღვა ელოდა კაცებს და ნავებს.

ლატვიურიდან თარგმნა
უჯანგ სახლთუხუცესმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბიძინა მინდაძე

* * *

სადაც ბარნოვის ქუჩას
პეტრიაშვილი კვეთს,
სადაც ბარნოვის ქუჩას
პეტრიაშვილი კვეთს, —
მართლა შემთხვევით შევხვდით,
თუ ასე სურდა ბედს?

...და ყვავილების ეტლი
ჭენებით მიაქვს მაისს,
ხოლო ეტლიდან ცრემლი
და ყვავილები ცვივა...
— გული თუ გწყდება მაინც?
— გული თუ გწყდება, მაინც?
არას ვამბობ და მაინც
გულის კედელი მტკივა.

სადაც ბარნოვის ქუჩას
პეტრიაშვილი კვეთს,
სადაც ბარნოვის ქუჩას
პეტრიაშვილი კვეთს, —
მართლა შემთხვევით შევხვდით,
მართლა შემთხვევით შევხვდით,
მართლა შემთხვევით შევხვდით
თუ ასე სურდა ბედს?

— გახსოვს თუ არა მაინც?
— გახსოვს თუ არა მაინც?
და ტრანსში, როგორც ვალსში,
ვიწყებთ უაზრო ყიალს
და ყვავილების ეტლი
ჭენებით მიაქვს მაისს,
ხოლო ქუჩებში ცრემლი
და ყვავილები ყრია.

* * *

*დიდედაჩემის, ეკატერინე მაჩაბლის ხსოვნას*

რა შეედრება სიკეთის თესვას
თუ ღმერთმა წლებიც გამოგიზოგა...
დაბადებული ჩ. ყ. პ... წელსა
ჩუმად ჩათვლიმე ტელევიზორთან.

ჩრდილში ყოფნას რომ ირჩევდი მუდამ,
დღეს ნიმბად გადგას თავზე ნათელი
და მიაქვს ცაში ბალახის სუნთქვას
ერთი უბრალო ქალის სახელი.

ჩამომქცევია ზვავივით ვალი,
გადასახდელი კაიკაცობით.
ვინ მოაბეზროს ჩემს სტუმრებს თავი
ი. გრიშაშვილით და ნეკრასოვით;

ან ვის ავუხსნა, თუ როგორ უჭირს
შენ გამოზრდილ ბიჭს ეს უშენობა
და როგორ ანგრევს ცხოვრება მუშტით
სათნო ღიმილით ნაგებ შენობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და რომ ვერაფერს ვერ მეუბრები,
მე შენზე სიზმრებს გზებივით ვქეცავ...
ქარს წაუღია წუხელ ლრუბელი,
რომ უფრო ნათლად უყურო ზეცას.

ჩრდილში ყოფნას რომ ირჩევენ [illegible]
დღეს ნიმბად გადგას თავზე ნათელი,
და მიაქვს ცაში ბალახის სუნთქვას
ერთი უბრალო ქალის სახელი.

* * *

მოდის ზვავი დიდებული,
თოვლს და ლოდებს შეჰხარის.
— ელვას გამოკიდებულო,
გელის მეხთატეხანი!
„გასწით!“ — ვუხმობ დღეთა ჩემთა,
დაემსგავსეთ მწევარს,
ამ ცხოვრების ტალღებს ზედა
მე გულალმა ვწევარ.

ყინულივით შემომადნა
სიყვარულის ელდა,
ღმერთმა სიტყვა მოგვცა, მაგრამ
ვერც იმის თქმას ვბედავთ.

მოდის ზვავი დიდებული
თოვლს და ლოდებს შეჰხარის.
— ელვას გამოკიდებულო,
გელის მეხთატეხანი!

## სევდიანი ლექსი

ადრე სულში ალუბლები ჰყვაოდა,
ადრე, მახსოვს, გაზაფხულზე ვწერდი...
მარტი დადგა. დედის სასაფლაოსთან
მარტო რჩება შვილი ერთადერთი.

მარტოობის ზღვით ვარ გარემოცული.
ტალღებს მიაქვთ წყალიცა და ქვიშანიც.
დნება თოვლი, უდროო დროს მოსული,
ნაადრევი ჭაღარაა ნიშანი.

რა ახლოა, რაც მეგონა შორითა,
დღეებივით შემეკვეცა ფრთები.
ალბათ მიტომ, ყველას პირველ სკოლიდან
ცრემლიანი ალტაცებით ვხვდები.

ღმერთო ჩემო, რა დრო არის გასული...
ცოტა ხანი კიდევ ერთად დავყოთ;
მომაგონე მხიარული წარსული,
დამავიწყე სევდიანი აწმყო.

მარტოობის ზღვით ვარ გარემოცული
არც მწირი ვარ, არც უმწეოდ ვდაობ.
დრო გასულა შეობის და ქორწილის,
გველოდება ძმათა სასაფლაო...

ერთი ვიცი, ვერაფერი შემცვლის.
ისიც ვიცი, წყალს რომ მიაქვს ქვიშანი
დრო თოვლივით შემომადნა ხელში.
ნაადრევი ჭაღარაა ნიშანი.

ღმერთო ჩემო, რა დრო არის გასული...
ცოტა ხანი, კიდევ ერთად
დავყოთ.
მომაგონე მხიარული წარსული,
დამავიწყე სევდიანი აწმყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენვერ ნიჟარაძე

## მოლოდინის მშვენიერება

ყოველდღე ველი
მძაფრ ქარიშხლის
მოახლოებას,
წამს, ციურ სუნთქვით
როს ათრები
დაიბერება,
ეს შენ ანიჭებ
მოულოდნელ
აზრს ჩემს ცხოვრებას,
მარადიული
მოლოდინის
მშვენიერებავ.
და თუ განგება
მცირეოდენ
იღბალს მომმადლის,
ალბათ ოდესმე,
მზიან დილით თუ
წყვარამ ღამეში,
მეც შემაცურებს
მოდრეიფე
ბედის ხომალდი
დიად ვნებათა
და გრძნობათა
ოკეანეში.
დაე, გრიგალი
გემს მრისხანე
ტალღებს უშენდეს,
სანამ შერჩება,
ანძებს აფრის
ერთი ნახევიც,
მწამს, რომ ვიპოვნი
ჯერ სხვათაგან
აღმოუჩენელ
კუნძულს, რომელსაც
დაერქმევა
ჩემი სახელი.

## ჩემში ხარ მუდამ

ოცდათხუთმეტი საუკუნეა,
რაც სიყვარულად მოედინები,
შენ, საქართველოს მძლავრო დუღაბო,
ნუ მოგვეშალოს შენი იმედი.
შენი ტაძრები და ქონგურები
წარლვნამ და დელგმამ ბევრჯერ
დალახვრა,
მაგრამ ყოველთვის ალსდექ
მკვდრეთით და
დარჩი ჭეშმარიტ ქართულ ქალაქად.
სიცოცხლის, ღიმის, შვების, ხალისის,
წყარო ხარ წმინდა და ოაზისი,
ყოველ სალამოს ნანას გიგალობს
და ყოველ დილით პირს გბანს ფაზისი.
ო, ქუთაისო, კვლავ ტკივილამდე
ხარ მშობლიური, და ხარ კეთილი,
გადარჩენილი თეთრი ბაგრატი
დღესაც თავს გადგას ნათლის სვეტივით.
ე, მაგ მზისა და ლაჟვარდის ეშხით,
ვიცი, ჩემამდეც ბევრი დაბუგე,
მეც შენს წიაღში ავიდგი ფეხი,
მანდ დამრჩა ყრმობა და სიჭაბუკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარხარ ისე, როგორც სიცოცხლე,
მე შენ ყოველთვის ასე მიყვარდი,
და სულ შენს გულში მინდოდა ყოფნა,
მაგრამ ცხოვრებას სხვაგან მივყავდი.
შენი ატმებით და ალუჩებით,
ბროწეულების დამსკდარ მარჯნებით,
მაინც ჩემში ხარ, როგორც იყავი
და სამუდამოდ ჩემში დარჩები.
ჩემში ხარ მუდამ, მზეა თუ თოვლი,
ჩემში ხარ მუდამ, წვიმს თუ ქარია,
ჩემში ხარ ახლაც, მიჭირს თუ მილხინს.
ჩემში ხარ, მტკივა თუ მიხარია.
მეძახი ცხადში, მიხმობ სიზმარში
და ნეტარების ცრემლი მერევა,
მე ბედნიერი შენთან ვიყავი,
ახლა სადღაა ბედნიერება.
შენს აწმყოს, მყობადს და ისტორიას
დღეს უამრავი უმზერს ტურისტი,
მაგრამ შენ მათთვის ეგზოტიკა ხარ,
მე კი სისხლს დავღვრი შენი
გულისთვის.
მე ჯერ შენ სიტყვაც ვერ შემოგბედე.
თუმც რა ხანია მახრჩობს სათქმელი,
მე ხომ გელათის დიად ტაძარში
ავანთე ჩემი რწმენის სანთელი.
ის ისევ იწვის და ილვენთება,
ის ისევ ელავს და არ ჩაქრება,
აღარ მეღირსოს კვლავ შენი ხილვა,
თუ გიერთგულო სხვაზე ნაკლებად.

## ვედრება

შენ ყველგანა ხარ, ასხივოსნებ
ზეცას და ქვესკნელს,
შენ გესმის მიწყივ ჩვენი ფიქრი,
სუნთქვა და კვნესა;
დასაბამიდან მოვიწევდით
ჯიუტად შენსკენ,
იმ სიჯიუტით ისევ შენსკენ
მოვდივართ დღესაც,
როდესაც დაგვჭრის დაუნდობლად
სიმუხთლე კაცთა,
როდესაც ღმუის ქარიშხალი
და როცა ბნელა.
და სულში შიში ილექება
ამღვრეულ განცდად,
ო, მარტოოდენ, მარტოოდენ
შენ შეგთხოვთ შველას.
ჩვენ ამ მშფოთვარე სამყაროში
მცირე გვაქვს როლი,
ჩვენ, ალბათ, ხსოვნა დავიწყების
ბურუსში გაგვხვევს,
მაინც იმედით, სიყვარულით,
კრძალვით და თრთოლვით
დაუსრულებლად ვიმეორებთ
შენს წმინდა სახელს.
გოდება ჩვენი, თუ ოდესმე
შენამდე მოვა,
თუ ჩვენს შესაწირს მიიღებ და
არ ჩათვლი მწირად,
შეგვიმსუბუქე კაეშანი
და ჟამსა მყოფარს
მცირეოდენი სიხარული
გვიბოძე წილად.
ო, ერთხელ მაინც მოგვიწიე
სინათლის ტოტი,
დაუყვედრებლად ჩვენც გვაგემე
არსობის პური,
ააყვავილე კვლავ დამჭკნარი
სიკეთის ყლორტი,
არ აზეიმო ბოროტება,
მტრობა და შური.
რომ არ წაგვლეკოს უგულობის
მძვინვარე ტალღამ,
არ შეგვიწიროს განცხრომისთვის
ბრძოლამ და ჯგლეთამ,
გვიშველე რამე, გევედრებით,
რადგან შენს გარდა,
არავის ძალუძს დღეს განკითხვა
ცოდვათა ჩვენთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შუქურა

შენ ვით შუქურა ზღვაში აწვდილი,
ინთები, ქრები და კვლავ ინთები.
რომ გაუნათო მგზავრებს მღელვარე
ცხოვრების რთული ლაბირინთები.
შენ უნდა ენთო ყველა ამინდში,
თუნდ გრიგალები წეწდნენ მსოფლიოს,
რომ დაგინახონ უკვე შორიდან
და მოაშურონ ნაპირს მშობლიურს.
ნაპირს, რომელსაც ჰქვია სიკეთე
და ბოროტებით არ ილრუბლება,
ნაპირს, რომელსაც ჰქვია სიცოცხლე,
სიყვარული და თავისუფლება.

ალბათ, ძნელია სხვისთვის ნათება,
ზოგჯერ როდესაც სულში ღამეა,
როდესაც ცრემლით გინდა ტირილი,
როდესაც გიჭირს და მოწამეა
შენი ტკივილის მხოლოდ სიზმარი,
არავისთან რომ არ გაქვს საერთო.
სულ ერთი წუთით კიდეც რომ ჩაქრე,
მაშინვე ისევ უნდა აენთო.
უნდა ელავდე, როგორც შუქურა,
იყო მაღალი, იყო საჩინო,
რომ ღამის წყვარამ ოკეანეში
ეული მგზავრი გადაარჩინო.

## ჩემი სიმღერა

ქარების ფრთებზე წვანან ქორები,
გაულეღიათ ქედებს მკერდები,
ღელავენ შუქით დანატბორევი
ჭრელი კორდები და ხავერდები.
ქვეყანა უფლის ნაამბორევი
ნახე, ძმაო, და შენც ამღერდები.

## ამ უცნობ ვარსკვლავს მე დავარქვი შენი სახელი

ამ უცნობ ვარსკვლავს
მე დავარქვი
შენი სახელი —
ჩემი ოცნება,
სიხარული,
ფიქრი, ნაღველი.
არ შევუდრკები
არც არავის
და არც არაფერს
სანამდე იგი
ჩემთვის ანათებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ო, ფერთა ჭკნობავ, სალამი შენდა!

ო, ფერთა ჭკნობავ, სალამი შენდა!
აღარა დარჩა ირგვლივ უცვლელი.
მეც დამიბრუნდა ნაცნობი სევდა,
მსუბუქი, როგორც ვარდის ფურცელი.

ქართა შრიალში ყრუდ ითაფლება
მთვლემარე კორდთა ხავერდ-ჩითები
და თბილ ქვეყნებში გადასაფრენად
ემზადებიან უკვე ჩიტები.

დრომ არაერთი დაბინდა ხილვა,
არც რა დატოვა ძველი წყენიდან,
მაგრამ ამ სევდას, ცრემლივით
მჭვირვალს,
უკან მიბრუნებს ყოველ წლიწადს.

## მე მხოლოდ სიტყვამ გადამარჩინა

მოასკდებოდა და დამმარხავდა
უიმედობა თოვლის ზვავივით,
დრომ ბევრ სიყალბეს ფარდა ახადა
და ბევრზე ბევრი დაჭკნა ყვავილი.

და მაინც თუკი დღემდე გადავრჩი,
თუ არ ვიქეცი უჩინმაჩინად,
ყველა ქარში და ყველა ავდარში
მე მხოლოდ სიტყვამ გადამარჩინა.

ბიბლიოთეკა

ფრანსუა ვიიონი

# დიდი ანდერძი*

CXL

ოტემ, ორი ძმა, პერდრიე ორი
წილის გარეშე დარჩეს სრულიად,
მადლი თუ მიქნეს, ეგ, სხვათა შორის,
ცად უცდით, განა დაკარგულია.
უმცროსთან ძმობა მქონდა ნამდვილი,
როცა ბურჯისკენ — რისთვის შვილოსა! —
ცხელი, წითელი, ალავარდნილი
ენების ძებნად გზა დამილოცა.

CXLI

ვფურცლე ტირელი, რექტო და ვერსო,
ვნახე ქვეთავი: „ხრაკვის საკითხი“,
მაგრამ, რაც მსურდა, ვერ ვნახე ვერსად,
ვერ მოუცლია ენის ხრაკვისთვის.
ბოლოს გავშალე მაკარიოსი
და, ა, ბატონო, რასაც ვეძებდი!
რომ არ გეგონოთ სიტყვა რიოში,
უცვლელად მომაქვს მთელი რეცეპტი:

## ბალადა

### ბოროტი ენები

ჩაისხას ქვაბში ფურთხზე დამდგარი
ჭვარტლი, გვარჯილა, გახსნილი კირი,
გამდნარი ტყვია და რეალგარი,
შენელებული სკორით და წვირით,
ურიის შარდის ნაყენი მყრალი,
კეთროვნის ფეხთა ნაბანი წყალი,

* დასასრული. დასაწყისი იხ. ა. წ. „მნათობი“, №№ 1, 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზედ მოეპკუროს შხამ-სისხლი გველის,
გეენის ცეცხლზე გაჯერდეს წვენად
და შიგ იხარშოს ათასი წელი
მოენისა და მოშურნის ენა.

ანდა: ჩაშუშდეს უკბილო კატის
დაფქვილი ტვინი, დაფხვნილი გული.
დამპალი ვირთხის დრუნჩი და თათი.
ჩექმის ნაფხეკი, მეონავი წყლული ,
უძუაფაფრო ჯორების ოფლი,
ცოფიან ძაღლთა დუჟი და დორბლი,
შავი ნაღველი მგლისა და მელის,
ხვლიკი და ძლოკვი, ფენა და ფენა,
და ზედ იბრაწოს ათასი წელი
მოენისა და მოშურნის ენა.

ანდა: სუბლიმატს, შეხებად საშიშს,
დაერთოს სისხლი, ჩასხმული პალეტს,
სავსემთვარობას, როკაპთა სვლაში,
შედედებული შავად და მწვანედ,
ჩირქ-ბალღამ-გესლი აურაცხელი,
საროსკიპოთა ზინთის, ნარწყევის,
მწიდროვანების ნახარში სქელი,
მოდუღებული უკურნელ სენად,
და ზედ იხრაკოს ათასი წელი
მოენისა და მოშურნის ენა.

პრინცო, ვინც არი დანატრებული
ცილით, ბეზღებით მოყვასის წყენას,
მიერთვათ, წვეულთ სრული კრებულით,
მაკარიულად შენელებული
მოენისა და მოშურნის ენა.

CXLII

იტემ, მეტრ კოროს ვუგზავნი „დებატს
ფრანკ გონტიესთან“. ტრაქტატს იშვიათს.
უნაგირს ვამტვრევ, როგორაც ხდება,
არ ვედავები, ვინც საშიშია,
არც რამეს შევთხოვ დიდ გვირგვინოსნებს,
ძლიერთან წილი არ მინდა ვყარო,
„არ შეესიტყვოთ“, ბრძენიც გვიმოწმებს,
„არ გადააწყდეთ ცხაურს და ხაროს“.

CXLIII

გონტიე სხვაა, ძმა და ლვიძლია,
ულაშქარყმოა, ჩემი დარია,
ოღონდ ვერაფრით გამომიცვნია,
სიღარიბეზე რამ გადარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე ნუ იტყვით, იმ ორიოდე
დღესაც, რომელიც გვერგო სამადლოდ,
უნდა გვშიოდეს, უნდა გვციოდეს...
დგას თავისაზე. მაშ, ვიკამათოთ.

## ბალადა

### გაკამათება ფრანკ გონტიესთან

ტახტზე, ცეცხლთან, ოდნავ მთვრალი
მღვდელი ზის და ოდნავ ქელავს,
ჩამოუსვამს მუხლზე ქალი,
ტკბილი, თეთრი, ფუშფუშელა.
მივდგომივარ ჭუჭრუტანას, -
ვიცინი და ვბრაზობ თანაც.
მოგვატოვეს ყოველგვარი
ზრუნვებიც და ზრუნებიცა.
ეს ცხოვრება რისთვის არი?
დრო ვატაროთ გუნებისად.

ფრანკ გონტიე? ღმერთო ჩემო!
სად გვიინავსო? მაგის პატრონს!
ჯერ თივთიკის ნახოს გემო,
მდელო მერე მოინატროს.
რასა ვჭამთო? ქალი უყვარს
და ის ქალი ნივრით უყარს.
აჭრილი რძით სავსე ქოთანს
მიწის ამობრუნებისას
ჩემი გული დაუკოდავს,
დრო ვატაროთ გუნებისად.

მე რა მგამა! ჭამოს შვრია,
სვას წყალი და ასე შემდეგ,
ფრინველივით გამიშვია
ბაბილონის ბოლო წრემდე.
ელალობოს თავის დამას
ნარ-ეკალზე, მე რა მგამა!
აყილ-ასკილ პეპლებს ვდიე
წიალ-წიალ ბუნებისა.
ვისაც როგორ, ფრანკ გონტიე,
დრო ვატაროთ გუნებისად.

გადაგვიჭერ, პრინცო, დავა,
დასტურს ველი უნებლივსა.
ვისაც როგორ? ყაბულსა ვარ!
დრო ვატაროთ გუნებისად.

CXLIV

იტემ, ბიბლიის ისეთ ღრმა მცოდნეს,
ვით ქალბატონი ბრუიერია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუწესებ, საქმეც საუფლო ჰქონდეს —
მას და მის ყველა სწავლულ ფერიას —:
ვინც დაიგულონ გზასამცდარ გოგოდ.
იხსნან, იციან ათასი ჯადო,
სასაფლაოზე ნუ ცდიან ოლონდ,
მრთველ-მქსოველების მარშეზე ცადონ.

## ბალადა

### პარიზელი ქალები

განთქმულია კიდით კიდე
ფლორენციელ ქალთა ენა.
თუმცა ენას არ უკიდებს
არც გენუა, არც რავენა.
თქმულა რომიც, ნეაპოლიც,
პიემონტიც, ლომბარდიაც,
მაგრამ ქვეყნად ვერ იპოვი
პარიზელზე კვიმატ დიაცს.

მთელ საქალეთს უჭრის ენა,
ცოდვას ვერვინ დააბრალებს
სკოტ-ინგლისელ, პრუს-ალემან,
ესპანელ და უნგრელ ქალებს,
ეგვიპტელებს, მავრებს, ბერძნებს,
მაგრამ ვიტყვი, რაც ნაღდია,
ფუჭად ეძებ, თუკი ეძებ,
პარიზელზე კვიმატ დიაცს.

ქალი ყველგან. სადაც ქალობს,
სამსალად და თაფლად წვეთავს,
ქალი ტულუზს, ქალი ვალონს,
ქალი გასკონს, ქალი ბრეტანს,
ქალი მარსელს, ქალი ლოთრენს,
ბურგუნდიას, პიკარდიას,
მაგრამ ჭორად ვერ იჭორებ
პარიზელზე კვიმატ დიაცს.

პრინცო, ქვეყნის მთელი გზები
ცხენის ფეხქვეშ მოგიგდია,
მაგრამ, ვერა, ვერ შეხვდები
პარიზელზე კვიმატ დიაცს.

CXLV

მიმოიარე მათი საყდარი,
ჩუმად უსმინე და არ გაოცდე.
ბჭობენ ორ-სამად, ირიბ დამჯდარნი
კალთის შეკეცილ ბოლო ნაოჭზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს ჩაიბეჭდე სიტყვები მათი,
ჩასწვდი ნათხრობის დაფარულ მორალს,
რადგან, თუ მისდგნენ ზნეობის საკითხს,
თვით მაკრობიუსს მისცემენ ფორას.

CXLVI

იტემ, მონმარტრის კურთხეულ მაღლობს,
სად სამონასტრო ყვავის ედემი,
მთა ვალერიენს ვუჩოჩებ ახლოს,
და კიდევ — ,რაკი წმინდა დედები
საეჭვო სტუმრებს არ აძევებენ,
ვუყოფ, რომ ღვთისგან ვარიდო წყრომა,
ამ წლის ცოდვათა განსატევებელ
ფურცელს, რომელიც რომიდან მომაქვს.

CXLVII

იტემ, მსახურთა ღირსეულ ორდენს —
ლაქიებსა და კამერისტ ქალებს
მივართმევ ფლანებს, გუქერებს, ტორტებს,
ღვინოს უწყველად, ვინც რამდენს დალევს,
ერთი პირობით: არ მოჰყვნენ ყვირილს,
მოგვიანებით დაბრძანდნენ ლხინად
და უხმაუროდ მწყსონ გრძელი ვირი,
სანამ ბატონს და ქალბატონს სძინავთ .

CXLVIII

იტემ, გვერდს ვუვლი ასულთ, რომელთაც
ჰყავთ დედაც, მამაც და მამიდებიც,
რა ვქნა, ცუდადაც რომ ჩამომერთვას,
გავწვდე, შეძლება სად მაქვს იმდენი.
რაც მქონდა, მსახურ გოგონებს ვუძღვენ,
გულის ხმა როგორ გამაჩერებდა,
უჭირთ ააყვარლებს და ნურვინ უწყენს,
თუ ჟაკოპენ და შარტრელ ბერებთან,

CXLIX

მათთან, ვინც წმინდა ცხოვრებას მისდევს,
იკარგებიან სამარხვოს ჭამად.
ორმაგი ნასკვი ვუპოვე მიზეზს:
რაცა აქვთ იმათ, არა აქვთ ამათ.
ვიმოწმებ ჟაკლინს, ვიმოწმებ პერეტს,
იზაბოც ამბობს: „მე შენი ჭკუა“...
რა წაწყმედს ტურფებს მაგ მარხვის მერე,
ცოდვა და მარხვა გამობრით თუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

CL

იტემ, მოხატულ; კალთამაღლიან
ჩემს სქელ მარგოზე ვიწყებ საუბარს.
რაც აქ არ ვიყავ, კვლავ უმატნია
მის აიტუროფეს და ღვთისმოსაობას.
მიყვარს და მასაც ვუყვარვარ გზნებით.
საქმეს, ცხადია, არ ვთვლი ლალატად.
თუ სადმე შეგხვდეთ, მიართვით ზეპირ
ეს ტრფობისა და სევდის ბალადა:

## ᲑᲐᲚᲐᲓᲐ

### ᲡᲥᲔᲚ ᲛᲐᲠᲒᲝᲖᲔ

თუ მიყვარს ჩემი ლამაზი და ვემსახურები,
ამისთვის უნდა მეძახოდნენ უხამსს და უბიროს?
ზედვე ასხია, რაც კარგი აქვს და სასურველი.
მისი ტრფიალით ჩამიბღუჯავს ფარი და შუბი.
თუ სტუმრებია, ცეცხლზე შევდგამ ხელდახელ ქოთანს,
წყალს შემოვიტან, პურს, ყველსა და ხილეულს ცოტას.
მერე გავდივარ ღვინისათვის და ვიკარგები...
ბენე სტატ! — ოქრომ თუ იელვა უფლის შეწევნით, —
როცა ახურდეთ, კვლავ მობრძანდით, ჩემო კარგებო,
ამ სახლში, სადაც ხელობას და ჭაპანს ვეწევით.

მაგრამ ხანდახან, როცა უფულ-უსტუმროდ მოდის
და ისე წვება, ბრაზი მახრჩობს, მძულს, როგორც ჭირი,
მინდა, როგორმე გადავიგდო გულიდან ლოდი,
ვილებ მის კაბას, სარტყელს, კოფთას და ხაფად ვყვირი,
რომ ეს ჭინჭები გასაყიდად ეკოში გამაქვს.
„რაო? მტარვალო! ანტიქრისტე! რას სჩადი ამას!
იესოს სიკვდილს გეფიცები“, ბრაზით კანკალებს,
„ეგ არ მოხდება!“ ვიბრძვით, ვყმუით, როგორც მხეცები.
დავწვდები ნაპობს და ვუტოვებ ცხვირზე ნაკვალევს,
ამ სახლში, სადაც ხელობას და ჭაპანს ვეწევით.

დამაშოშმინებს, დალევაზე დამიყაბულებს,
მეალერსება ეშხის ღვრით და სიცილ-ციმციმით,
მუშტს მირტყამს თავში, ბარძაყებზე ხელს მიტყაპუნებს,
ვთვრებით, მივწვებით და პირდაპირ ძილში მივცვივით.
უეცრად ბიჟგი! — მუცლის თრთოლვით ალვიძებს ვნება
და რომ „ნაყოფი“ არ წაუხდეს, ზემოდან ჯდება.
ვგმინავ, მაბრტყელებს ფაშფაშა და მძიმე სხეული,
მგონია, ძვალი აღარ დამრჩა დაულეწველი.
მერე თავს იქცევს... მე ვაგდივარ ქანცგალეული,
ამ სახლში, სადაც ხელობას და ჭაპანს ვეწევით.

ვარ კმაყოფილი. წვიმს? სეტყვაა? ჭერი მაქვს ამ დროს.
იმეთ ღირსებას რა ვუთხარი, თუ ლუკმას ნატრობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოლად ვცხოვრობთ, ფერი ფერს და რალაა სამტრო,
ორივე ვეძებთ გამოსარჩენს თვალგაცეცებით.
ნურვინ დაგვძრახავს, სიბინძურე სარფაა ჩვენი,
იგი მრუშია? მეც მრუში ვარ, ერთმანეთს ვშვენით,
ამ სახლში, სადაც ხელობას და ჭაპანს ვეწევით.

CLI

იტემ, ვრთავ ნებას მარიონ ლ' იდოლს
და ჟანა ბრეტანს, საქმეში ფხიანთ,
სახალხო სკოლა გაგვიხსნან თითო,
სადაც ოსტატებს შეგირდნი წრთვნიან.
აბრებს ვუკრძალავ, რაითა სიცილს
არ მისცეს ძალი ყველა გამვლელმა...
მე მხოლოდ მენის დილეგი ვიცი,
საცა ეგ საქმე არ ისწავლება.

CLII

იტემ, ტირიფი, ჩემს ბალში მდგარი,
ნოელ ჟოლისთვის განმიჩენია,
მსურს მცირე ძლვენი მივართვა ყარიბს,
გამოსწორებაც რაკი ძლვენია.
ორასი წკეპლა მოიჭრას დათვლით,
სალვთო საქმეში დასახარჯველი,
და ნოელს ზედა აღსრულდეს მადლი
ოსტატი ანრის მტკიცე მარჯვენით.

CLIII

იტემ, ღვთის სახლის საპყრებს და გლახებს
ხამს უხუმრელად მივუჭრა წილი,
იმდენი სნებით სნებულნი ვნახე,
სინდისი მკაცრად მიკრძალავს ქილიკს.
ვგრძნობ, მათი ცოდვით გასკდება გული,
სასაფლაომდე ვიდრე მიგვიან,
მთელ წვრილფეხობას—წვრილ-წვრილი ფული,
წვრილ თამაშებში რაც წამიგია.

CLIV

იტემ, გალერნი, ჩემი დალაქი,
წელს უყინულოდ დამრჩეს, არ მინდა.
საიდან, როგორ მთელი მარაგი
ამ დეკემბერში? დაბა მარნიდან.
ტანს შემოიკრას, ხოლო, თუ სახვევს...
რაო? თავს გამდის? რა ლლაბუცია?
მსურს ზაფხულისთვის სიგრილედ გაჰყვეს,
მსურს... მანამ სიცხედ თუ არ უწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

CLV

იტემ, ნაპოვნი ბავშვები — შემდეგ.
ჯერ დაკარგულებს სჭირდებათ შველა.
ვინც დაკარგულად ითვლება დღემდე,
ნახავთ მარიონ ლ'იდოლთან ყველას.
მეც ვიცი, რჩევა არას აკეთებს,
ბრძენთა სიტყვებიც რჩება სიტყვებად,
მაინც უსმინონ ბოლო გაკვეთილს,
სხვა ჩემგან აღარ წაეკითხებათ.

## გაკვეთილი
### გზადაკარგულ ყრმათათვის

CLVI

კოხტა ბიჭებო, არ წაიხდინოთ
თავზე ქუდი და ქუდზე ვარდები,
ხელგაწეპილნი თუ საიმღხინოდ
მონპიპოსაკენ მიემართებით.
რიუელს ჰავა უფრო მკაცრია,
გზაც უფრო მოკლე საიმალაგოდ.
კოლენ კეიემ აპელაციას
ანდო თავი და კიდეც წააგო.

CLVII

ეს არ გეგონოთ თამაში ფანტის,
ფსონი ტყავია და ბევრს გახდია,
არ ჭრის ჩალიჩი, შულერის ფანდი,
მანდ ხელის წასვლა თითქმის ნაღდია.
მანდ თუ წააგებთ, წაგება თვითონ
შეიკვრის ყულფად ბოლო გარისკვით,
და თუ მოიგებთ, დედოფალ დიდო
კართაგენელთან გვირგვინს არ ისკვნით.

CLVIII

კარგად ისმინეთ ჩემი ნათხრობი,
უკეთ ამ წირვას ვერავინ წირავს:
სჯობს ბუხრის პირას ლხინი ზამთრობით
და ზაფხულობით მდინარის პირას.
თუ რამ გაქვთ, ხარჯეთ, მართეთ ლრეობა,
შემოგვაყარეთ თვალში ნაცარი.
ვის დაუტოვებთ მემკვიდრეობას?
ავად ჩაივლის ჭაავკაცარი.

## ბალადა

### კეთილი რჩევა ცუდმაშვრალთათვის

კარტსა ჩვრეტ და ბულას ყიდი,
თუ ჭრი ყალბი ფულის ყალიბს,
რის ფასადაც, დიდი-დიდი,
აგიდუღდეს ქვაბით წყალი,
ხარ ჯიბის თუ დანის კაცი,
ფიცსა ტეხ თუ ვაჭრის კარებს,
ვის ბარდება მონალვაწი?
ტავერნებს და ბოზანდარებს.

ვთქვათ, ილექსე, იჯამბაზე,
ბაზარ-ბაზარ ტაში წყვიტე,
დადგი ყველა მთავარ გზაზე
სოტი, ფარსი, მორალიტე,
ჩაუჯექი გლიკს და ბრელანს,
კამათელი წალმა ყარე,
ვის მიუტან მონახელავს?
ტავერნებს და ბოზანდარებს.

ვთქვათ, მოსცილდი ღვთის ამ ნაგავს,
ხარ სოფლად და ბედს არ ჰყვედრი,
დასტრიალებ ნათეს-ნარგავს,
ხარობ თხით და ჯორ-სახედრით.
მაგრამ უცებ ძველი გზები
კისრისტეხით მოგამგზავრებს,
სადაც ასე ენატრები
ტავერნებს და ბოზანდარებს.

სხვა ვინ ჩაგთვლის კაცად კიდევ
ასე შავს და ასე მდარეს,
ჰოდა, ჯიბეს თუ რამ გიდევს —
ტავერნებს და ბოზანდარებს!

### CLIX

სულით სუსტნო და ხორცით მაგარნო,
თქვენ, ჩემი ლხინის თანასაკნელნო,
საფათერაკო და საანგარო
ნუ გეჩვენებათ საქმედ საქველოდ.
რად გინდათ, ცხედარს ფილტვებდაბერილს
ქარი არხევდეს, ალხი შაშრავდეს,
უდროოდ წასვლას რად ეხარბებით,
რა დიდი გვიდევს დროულ წასვლამდეც...

### CLX

იტემ, კენზ-ვენის ბრმებს — ჩემი ჭოგრი.
სდექ! უცებ არ თქვა, რა დაჩხაპნათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცი, ეგ სიცილს არავის მოჰგვრის,
ჯერ გითხრათ: მანდით ჩანს სასაფლაო,
სადაც მრავალი მსურველი შედის,
რომ იქ მეორედ მოსვლამდე დარჩეს,
და, ეგებ, მათში ბოროტს და კეთილს
ჩვენსაზე უკეთ ბრმის თვალი არჩევს...

## CLXI

რისი სიცილი, დაგბურძლავს ტანში!
რაღაა ბედთან, იმედთან ბრძოლა,
მონაგებისთვის გაწყვეტა ქანცის,
რბილ ლოგინებში განცხრომით წოლა,
ზარ-ზეიმები, როკვა და ხვრეპა,
თუ უკუნეთი გაზომებს ყალიბს,
თუ ყოველგვარი სიამე ქრება
და რჩება მხოლოდ ცოდვა და ბრალი...

## CLXII

რომ გავიხსენებ იქ ჩაყრილ თავებს,
ღია საძვლეში, მიყივის ყურთან...
ითლიდა ხუნდებს? ითლიდა მთა-ველს?
რას ატარებდა — მიტრას თუ კურტანს?
იჯდა მსაჯულად? იჯდა კოფოზე?
ალუფხულია ყველა გზა-კვალი.
ჰე, რომელი ხარ ეპისკოპოსი?
რომელი — მნათე და დიაკვანი?

## CLXIII

ვისია ქალა? იყო წახრილი?
ოდით ჩვეული პატრონის რისხვას?
თუ სჯულმდებლობით, ჯვრით და მახვილით,
შიშს და სამსახურს ითხოვდა სხვისგან?
ვისია აამწყსო? სკიპტრა ვისია?
ყმასთან ჩახრწნილა მთავრის სხეული.
გამობრილია ყველა ნისია,
ყველა წოდება — ჩამორთმეული.

## CLXIV

გაფრინდა სული ცადაბოლილი,
ნეტამცა მუნმცა, ნეტართა ლხინში!
ხორცი კი, ეგებ როგორ მოვლილი,
ნაკვეები კრემით, ფრომანტით, ბრინჯით,
დალპა, დამიწდა... იშლება ძვლებიც...
აღარც საფლავთან აღარვინ გოდებს...
ნეტამცა ტკბილი იესოს ნებით
არ მოჰკითხავდნენ აქაურ ცოდვებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

CLXV

ეს — გარდაცვლილებს, ანდერძის წესით.
მიერთვას რეგენტს, მსაჯულთა კრებას,
ვინც საზოგადო საქმისთვის კვნესის,
ვინც ნემსის ყუნწში ხალხისთვის ძვრება,
ვინც უანგაროდ დაძრწის და ღელავს,
შუბლზე ჩვენს გამო იღრმავებს ღარებს, —
სენ-დომინიკმა განსაჯოს ყველა,
როცა განკითხვის საათი დარეკს.

CLXVI

იტემ, ვერ ვაძლევ წილს ჟაკე კარდონს,
ალბათ, იფიქრებს, მერჩის რამესო,
მაგრამ მწყემსური სიმღერის გარდა
ვერა ვნახე რა ზუსტად სამისო.
მარიონნისთვის, ვინ იცის როდის,
შემათხზევინა ერთმა მომენტმა,
კარგად ეწყობა სევდიან მოტივს:
„კარი გამიღე, გიიომეტა“.

**სიმღერა**

შინდაბრუნება მკაცრი ციხიდან,
სადაც დავტოვე სული კინაღამ,
მაინც მეღირსა! გზა მოინახა!
თავს ვუთხარ: „ეგებ, კიდეც გიღირდა,
გიხდიან ყველა ვალს და ეგ არი“,
ისე ტკბილია ნადილეგარის
შინდაბრუნება.

მაგრამ რა? ბედი კვლავ ამიხირდა,
არ კმარა ვითომ, რაც მათამაშა,
აღირსე, ღმერთო, ჩემს სულს დამაშვრალს
ცად, საუკუნო მკაცრი ციხიდან
შინდაბრუნება.

CLXVII

იტემ, ჟან ლომეს ვაძლევ წყალობად,
მე, ფერიების შთამომავალი,
ჯადოსნურ უნარს, გაუწვალებლად
ეტრფოს მრავალს და იტრფოს მრავალი.
ღამეში ასჯერ გაიღოს ლალა,
ზღაპრულ ოჟიეს მოუგოს ნიშნი,
ეჰ, მათთან არა, ვინც იწნავს დალალს,
მათთანაც არა, ვინც დალალს იშლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

CLVIII

იტემ, მიჯნურებს, სნებისგან გამდნართ,
ვუტოვებ სულთქმის თავსასთუმალთან,
ალენ შარტიეს ანდერძის გარდა,
საცრემლე ბარძიმს, ჰურჰელს ჰმუნვათა,
შიგ — ვარდს, რომელიც, ცრემლით ნამული,
არ ჭკნება, სუნი არ ეკარგება,
რათა მჰმუნვარე თითო ფსალმუნი
თქვან ვიიონის სულის სარგებად.

CLXIX

იტემ, კვლავ ჰმუნვა... ქაჯ ქაშს მიეცეს
ნება, ივსებდეს ნახვევჭის მარაგს,
და კიდევ ყველა, ყველა დიაცის
დანიშვნის ნება. შერთვისა — არა.
რისთვის აგროვებს? რომ სხვებმა ჰპარონ.
ვინ? ვისაც უჩნდეს ცხოვრების სახსარი.
რად უჩნდეს? ალბათ, ანდაზის გამო:
რაც ნეზვს ეკუთვნის, ეკუთვნის ტახსაც.

CLXX

იტემ, ვინც ერთხელ მიხსნა ვალისგან,
ნოლა სენეშალს, ვაგლახ, დაჭერილს,
გადასცენ, ვინილო გამოხალისდეს,
ეგ აბდაუბდა, ჩემგან ნაწერი.
სურდეს, ვროთავ ნებას, იხმაროს სანთლად,
რადგანაც ეშმის მგალობელს ჩემდარს,
რომ, კი, სიმღერა მოწყენას ფანტავს,
მაგრამ, თუ გეტკბო, ალვიძებს სევდას.

CLXXI

იტემ, ებგურთა უფროსს ჰაეებად
კიისკასი მარკე და ფილიბერი,
ორივე კარისკვლავს ეთამაშება,
თუ რამ სჭირთ, ჯავრით, არა სიბერით.
წლობით მარშალთა პრევოსთან იყვნენ,
არ დაუფასდათ საწყლებს ამაგი,
კვლავ აღიდგენენ ჯანსა და სიყრმეს,
თუ გავუხერხებ მცირე ჯამაგირს.

CLXXII

იტემ, კაპელა გადამიცია
ჟან შაპლენისთვის, ოქროკაცისთვის,
კი, რეგვენია, კი, უვიცია,
მაგრამ მშრალ მესას ჰყოფნის, რაც იცის.
მოეცლს ვერ გადავცემ, რაც უნდა მქონდეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითხრა და მჯერა: უმწყსველს დატოვებს,
საალსარებოდ შეიყვანს მხოლოდ
მოახლეებს და მათ ქალბატონებს.

## CLXXIII

იტემ, დაფარულს არას შეადგენს
ჟან დე კალესთვის ჩემი ზრახვები,
თუმცა, ჰა, აგერ ოცდამეათე
წელი თავდება, არ ვენახები.
ვთხოვ, ნოტარიული თვალით ჩახედოს
ანდერძის პუნქტებს, და ვთხოვ, წაშალოს,
თუ შიგ რაიმეს ნახავს თავზედურს,
ანდა საინელოს, ანდა საშაროს.

## CLXXIV

ტერმინ-ცნებები ზუსტად განმარტოს,
ქვემ. სქოლიოში მიჯრით ჩაწეროს,
რაც უკუღმაა, წალმა წარმართოს,
ნებავს შეკუმშოს, ნებავს გაწელოს,
შიგ შენიშვნებით აზრი ჩაკინძოს,
გლოსები დასხას გაუგებართან,
შეალამაზოს, შეამახინჯოს.
მოკლედ, ეძლევა სრული ნებართვა.

## CLXXV

მემკვიდრეთაგან თუ რომელიმე,
ვთქვათ, არ ვიცი და, ჩაბარდა გამჩენს,
რაც მივაკუთვნე, ხამს ყოველივე
მისივე ჯურის მემკვიდრეს დარჩეს.
ზემოხსენებულ ჩემს ნოტარიუსს
ვთხოვ, გადაწყვიტოს, — ვის სახელდობრივ.
თუ მიითვისებს, კვალი არიოს,
მის მრავალნაცად სინდისს ვენდობი.

## CLXXVI

იტემ. დამკრძალეთ სენტ-ავუაზე,
ზედ სარკმლის პირას მსურს დასახლება,
ვიდგე სამზერზე მკვიდრად, უაზროდ,
ნამდვილი არა, ოდენ სახება.
ქანდაკს არ ვითხოვ, დამხატეთ შავად,
ზეწამომდგარი, როგორც... სამიზნე.
აკლდამა? არა, ეგ ვინმე თავადს,
მე კი — ,მძიმეა, ფიცრებს ჩამიზნექს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

CLXXVII

იტემ, მჭირდება ერთი წარწერაც,
დარჩეს ფილატრზე ხსოვნა, ძმაკაცნო,
ეგ არი, ფილა გაიკაწრება,
არადა, არ ღირს, ფილა გავკაწროთ.
ამიტომ, მოდით, მოისხით მადლი,
ოთხივე მხრიდან საფლავის ქვაზე
რითიმე, ფანქრით, ნახშირით, ჭვარტლით,
მსხვილად, გარკვევით დაწერეთ ასე:

ეპიტაფია

CLXXVIII

ამ სხვენზე სძინავს უმანკო ძილით
საწყალ ვიიონს, პატარა სქოლარს,
ყარა, წააგო, კვლავ ყარა წილი
და შეეწირა ამურთან ბრძოლას.
გასცა დუქნები, პურ-ღვინო, ფული,
თვითონ კი გზები კეცა ვაებით, —
მიწაზე მისი არ ევლო ხნულიც.
თქვით შესანდობრად ერთი ტაეპი:

რონდო

განუსვენე და ულხინე, ღმერთო,
დარდიმანდსა და სევდიან სალოსს,
არ ჰქონდა ქვეყნად საკრუხე პალოც,
სკამი და ჯამი, ყურე და ერდო,
თმა-წვერ-წარბებიც არ ჰქონდა ბოლოს.
ჰგავდა ფაქიზად გარჩეულ ბოლოკს.
განუსვენე და ულხინე, ღმერთო.

სამართალიც და იღბალიც ემტრო.
თქვა, გიჩივლებთო, როცა გავაზე
ბოლო ნიჩაბიც ამოსთავაზეს, —
უჯერო სიტყვა წამოსცდა ერთობ.
განუსვენე და ულხინე, ღმერთო.

CLXXIX

იტემ, ნოტრდამზე ის დიდი ზარი,
ის მინის ზარი მინდა დარისხდეს,
დიდ შემოსევებს რომ ამცნობს პარიზს,
დიდ წყალდიდობებს, ხანძრებს, ქარიშხლებს.
დარეკს და წყდება ქროლვა ქარიშხლის,
მტრები თავისით წყვეტენ ლაშქრობებს.
არ მეგულება გული პარიზში,
მის დარეკვაზე, რომ არ აჩქროლდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

CLXXX

ზართან გამწესდეს ორი ალალი,
სხვადასხვა წრის და ჰანგის მრეკველი.
ლაგარდი, ლხინში დაუღალავი,
ვოლანი, ჭირში შეუდრეკელი.
სამრეკლოებზე, ცოლი-ცოლ, შურით,
ქალაქის ყბაში ისეც გადიან.
ხვდეთ გასამრჯელოდ სამ-სამი პური.
სენტ-ეტიენის, ცხადზე ცხადია.

CLXXXI

რათა აღსრულდეს ყოველი წესი,
აღმსრულებლები სჭირდება ანდერძს,
ისეთი ხალხი, საქმე რომ ესმის,
არ აჩუმათებს, რაც უნდა ჩანდეს,
არც მკვეხარაა, არც სამასხროა,
მევალეები პატივსა სცემენ
და შეუძლია დავის დაცხრობა.
ექვსს ვასახელებ. ჩაწერე, ფრემენ.

CLXXXII

პირველი გახლავთ პრევოს ცნობილი
კრიმინალისტი მარტენ ბელეფე,
მეორე — მესირ დე კოლომბელი,
უყვარს, როდესაც ასახელებენ.
მესამე... ღმერთო... დავფიქრდე ცოტა...
მიშელ ჟუვნელი! ნაღდი ასევე.
რომ არ დათანხმდნენ? ტყუილად ვშფოთავ,
არა, მე მგონი, დამაფასებენ.

CLXXXIII

რა იცი, ვისაც ედექი მხარში,
სად გილალატებს, როგორ და როდის...
თუ შეაშინებთ პირველი ხარჯი,
ან მოიხდიან საერთოდ ბოდიშს,
მოკლედ, ეგ საქმე თუ არ გამოვა,
ვნიშნავ ხსენებულ პირთა მაგიერ
ფილიპ ბრიუნელს, ჩემს დიდგვაროვანს,
და ჟაკ-ძმობილებს, ჟამს და რაგიეს.

CLXXXIV

დაძეძგილები არიან მძიმედ,
ღვთისმოშიშარნი, უხვნი, გამრჯენი,
რაც გარკვეულად იძლევა იმედს,
დაუმარხავი რომ არ დავრჩები.
ამდენად, მათზე ნურვინ იღელვებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნურც თავკერძობას ნუ დააბრალებს,
უმალ საკუთარ ფულს გაიღებენ,
ვიდრე გადავლენ ჩემს დანაბარებს.

CLXXXV

ტყუილად ფიქრობთ, ანდერძის მეტრი
რამეს მიითლის, ვინც უნდა იყოს:
ვნიშნავ — გაირჩეს შავი და თეთრი! —
ჩვენს ჭაბუკ მამას, მღვდელ ტომა ტრიკოს.
მო, შენი ხარჯით გადავკრათ, მამი,
თუნდაც კორნეტი დავკარგოთ ძველი.
ტრიპოს თამაშიც თუ გიყვარს ღამით,
მოინახულე „პერეტის ხვრელი".

CLXXXVI

გიიომ რიუმ მიხედოს სანთლებს,
წინ სანთლით ხელში წამიძღვეს თვითონ.
სუდარის ზიდვა ვერავის ვანდე,
აღმსრულებლებმა თვითონვე ზიდონ.
ყალყზეა ესეც, თმა-წვერ-წარბებიც,
კიდევ სხვა თმებიც სადღაც და სადღაც.
მივდივარ, ხალხნო, პატრონს ვბარდები,
შენდობა გთხოვოთ, ის წამიც დადგა.

## ბალადა
### შენდობის თხოვნისა

ჩამომხმარ ბერს თუ ლაყლაყა აბატს,
ყმაწვილს, გასენილს ტრფიალის სენით,
გოგოს, რომელსაც ლამაზი კაბა
შემოსტკეცია ტანზე და შვენის,
ქუჩის მასხარას, შემოსილს ჭრელად,
თაღლითს თუ არიფს, მჭმეველს თუ მჭამელს,
უკანასკნელად მივყვირი ყველას:
შემინდეთ, ვისაც შეგცოდეთ რამე!

ქალებს, რომლებიც გზისპირას დგანან
და კერტებამდე აჩენენ ჯიქნებს,
შარის საძებრად გამოსულ განაბს,
კარტის მწყობელს და შიგნების მშიგვნელს,
ჯამბაზს, რომელიც დაათრევს ხელანს,
ლოთებს, რომლებიც კოცნიან ჯამებს,
უკანასკნელად მივყვირი ყველას:
შემინდეთ, ვისაც შეგცოდეთ რამე!

მათ კი, ვისთანაც მართლებიც ვტყუით,
ვინც წიხლით გვტენის ჯურღმულის გვიძში,
ვის გამოც პურის გამხმარი ყუით
ბინძურ საკანში ვებრძოდი შიმილს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა... ვკვდები და რა მათთვის მცხელა...
ცოდვილს მინდოდა მათ სულში ჩამე...
ჩამე... ჰო, ჯვარი გწერიათ ყველას,
შემინდეთ, ვისაც შეგცოდეთ რამე!

მეცლება სული, მეცვლება ნირი,
მიკრავენ ყბას და კუბოთი მდგამენ,
მაინც ძალ-ღონეს ვიკრებ და ვყვირი:
შემინდეთ, ვისაც შეგცოდეთ რამე!

## უკანასკნელი ბალადა

გასრულდა წიგნი. წევს ვიიონი,
როგორც და სადაც თვითონ ენება,
რა გაიგონოთ კარიიონი,
მოდით და ნახეთ გამოსვენება,
ოლონდ მობრძანდით წითლად ჩაცმულნი, —
მარტვილ-მეტრფე ვარ, ამის მსხვერპლიო, —
იფიცავს ზედვე ხელებდასხმული,
გამზადებული საიმქვეყნიოდ.

სატრფოსგან დევნილს გასაკვირველი
ფხა შერჩა, მოკვდა ტრფობის მონადვე,
არ დარჩენილან ბნელი ჩირგვები
აქედან ვიდრე რუსილონამდე,
მისი საცვლების თითო ნაფლეთი
ზედ სამკაულად რომ არ ებნიოთ,
რითაც გვიხსნიდა ბოლო გაკვეთილს,
გამზადებული საიმქვეყნიოდ.

მწარეა ტრფობის ყველა ლახვარი,
გულს განეწონა უმეტესობა,
შარვლის სამაგრი, ცუდად ნახმარი,
მუცელში სწორედ ასე გვესობა.
იყო უთვალავ ჭირთა მზიდველი,
ენდეთ, ნურავინ ჩათვლით კვეხნიად,
იყო ქესატი, შიშველ-ტიტველი,
გამზადებული საიმქვეყნიოდ.

პრინცო, ლამაზო, ვით ჩიტბატონა,
თავს შეუძახა, წარბს ნუ შეხრიო,
წითელმა ღვინომ გაიმარტოვა
გამზადებული საიმქვეყნიოდ.

ფრანგულიდან თარგმნა **დავით წერედიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები:

CXLI. **ტირელი, გიომ** — პირველი სამზარეულო წიგნის ავტორი, ფილიპ მეექვსის მზარეულთუხუცესი (მე-14 ს.). **მაკარიოსი** — ვიიონი „წმ. ბაკხუსის მარტვილობის" (1318) მზარეულ მაკერს (სახელი მაკარიოსის ფრანგული ფორმა) ხუმრობით აიგივებს წმ. მაკარიოს ალექსანდრიელთან.

**ბალადა ბოროტი ენები.** ლექსში შიგადაშიგ პაროდირებულია შავი მაგიის რეცეპტები. შავ მაგიასთანაა დაკავშირებული, მაგალითად, **პალეტის** ხსენება. პალეტი იყო სპილენძის პატარა ჭურჭელი, რომელშიც დალაქ-დასტაქრები გამოშვებულ სისხლს აგროვებდნენ. ამ სისხლს რომ მაგიური დანიშნულებითაც იყენებდნენ, ჩანს შარლ მეშვიდის ბრძანებიდანაც, რომლითაც აიკრძალა გამოშვებული სისხლის საღამომდე შენახვა პალეტებში.

CXLII. ამ პასაჟით ვიიონი კიდევ ერთხელ „ურევს" მეფეს. ანდრი კურო მეფესთან დაახლოებული პიროვნება იყო და ცდილა მასთან ვიიონის დაახლოებასაც, რაც მინიშნებულია კიდეც ტექსტ... „დებატს ფრანკ გონტიესთან" ვიიონი მეტრ კუროს ფაქტიურად მეფისათვის უგზავნის. ფრანკ გონტიე ცნობილი კარისკაცისა და ეპისკოპოსის ფილიპ დე ვიტრის პოემის გმირია. პოემაში იდეალიზებულია სოფლური, ღარიბული ყოფა. ვიიონი ეკამათება ფრანკ გონტიეს, სინამდვილეში კი სარკაზმი მეფისკენაა მიმართული, რომელსაც უფლისწულობის დროს მსგავსი იდილია დაუწერია. ვიიონს გამაღიზიანებლად ეჩვენება ის ფაქტი, რომ ღარიბული ცხოვრების იდეალიზაციას ფუფუნებაში მყოფი პრელატი და თვით მეფე ეწევიან. მრუში მღვდლის სახე კი, ლექსის დასაწყისში, იდილიის ავტორის სასულიერო წოდებით უნდა იყოს განპირობებული. **ბრძენიც გვიმოწმებს...** — ეკლესიასტე, 8, 1.

CXLVII. **მთა ვალერიენს...** — დედათა მონასტერს. მონმარტრის ბორცვზე პოეტი უტოვებს პარიზის ახლოს მდებარე მეორე ბორცვს, სადაც მამათა მონასტერი იყო. **ფურცელს, რომელიც...** — პოეტი ვითომ რომის მოსალოცავად იყო წასული, სადაც პილიგრიმებს ცოდვათა გამოსყიდვის ფურცლებს, ინდულგენციებს ურიგებდნენ. ინდულგენციისადმი მისი დამოკიდებულება კარგად ჩანს ცოტა ქვემოთ, ბალადაში „კეთილი რჩევა ცუდმაშვრალთათვის".

CL **ჩემს სქელ მარგოზე...** — კარგა ხნის მანძილზე ვიიონს სქელ მარგოზე დაწერილი ბალადის გამო სუტენერადაც კი თვლიდნენ, მაგრამ ახლა გარკვეულია, რომ „სქელი მარგო" ტავერნას ერქვა, რომლის აბრაზე ფაშფაშა დედაკაცი ეხატა.

**გაკვეთილი, მონპიპო, რიუელი** — ადგილთა სახელებია. ქურდულ ჟარგონზე მონპიპოში წასვლა ნიშნავდა ჯიბგირობას, რიუელში წასვლა—ყაჩაღობას. **კოლენ კეიე** — ვიიონის სორბონელი ამხანაგი, რომელიც კოკილართა ბანდის წევრი გახდა და ბოლო დაქერაზე, 1460 წელს, მიუხედავად აპელაციისა და პარიზის მთავარეპისკოპოსის შუამდგომლობისა, ჩამოახრჩეს.

**ბალადა კეთილი რჩევა.** ბალადაში ჩამოთვლილია სხვადასხვა ჯურის საეჭვო პირები, მათში ვიიონს ქურდებთან, ცრუმოწმეებთან და ყომარბაზებთან ერთად შეჰყავს ბულის, ცოდვათა გამოსყიდვის ფურცელთა გამყიდველები, რომლებიც პაპის ლოცვა-კურთხევით მოქმედებდნენ, და მოხეტიალე მსახიობები, რომელთაც ეკლესია დევნიდა. **აგიდუღდეს ქვაბით წყალი...** — ყალბი ფულის მჭრელებს პირში მდუღარე წყალს ასხამდნენ.

CLXV. **სენ-დომინიკმა განსაჯოს...** — წმ. დომინიკე მართლმსაჯულებისა და ინკვიზიციის მფარველ წმინდანად ითვლებოდა. ქვეტექსტი ასეთია: ყველა განმსჯელი განსაჯოს წმ. დომინიკემ, სწორედ იმ წმინდანმა, რომლის სახელითაც ისინი ინკვიზიციის კოცონებს აგიზგიზებენ.

CLXVIII, ვიიონი, ეტყობა, სიყვარულის ტკბილ-ტკბილ მგოსნებს გულისხმობს, რომელთაც ორ მამათმავალ „მემკვიდრეთა" შუა ათავსებს. **ალენ შარტიე** (1385-1433) — ფრანგი პოეტი. მინიშნებულია მისი ერთი ლექსი, სადაც ის სნეულ მიჯნურებს უბარებს, იმღერონ საგალობლები და ბალადები სასომიხდილობის შესამსუბუქებლად.

CLXXV. **დამკრძალეთ სენტ-ავუაზე...** — ეს კაპელა ზედა სართულზე [illegible] ვალებულის დამარხვა არაფრით არ მოხერხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

CLXXIX. **ის მინის ზარი...** — ლაპარაკია პარიზის ღვთისმშობლის დიდ ზარზე, რომელსაც „ჟაკლინს" ეძახდნენ. იგი 1429 წელს გაიბზარა და რამდენჯერმე შეაკეთეს. მთელი ძალით ჩამოკვრის, „დარისხების" შემთხვევაში დიდი შანსი იყო, ხელახლა გაბზარულიყო. ამის გამო უწოდებს ვიიონი მას „მინისას" და პარიზელთა გულის ჩქროლვაზეც ამიტომ ლაპარაკობს. ზარი მართლაც გაიბზარა რამდენიმე წლის შემდეგ.

CLXXX. სენტ-ეტიენის პური ნიშნავს ქვას.

CLXXXIII. **ფილიპ ბრიუნელი** — ზემოთ მოხსენიებული დე გრინი, პოეტის მეგობარი, რომელსაც დიდგვაროვნებაზე ჰქონდა პრეტენზია.

CLXXXV. **ტრიპოს თამაში** — ბანქოს ერთ-ერთი სახეობა. **„პერეტის ხვრელი"** — ტავერნის სახელწოდება. მაგრამ ამ პასაჟში ვიიონი ცოტა სხვა აზრს დებს.

CLXXXVI. **სუდარის ზიდვა ვერავის ვანდე...** — სუდარა გარდაცვლილის მეგობრებს უნდა ეტარებინათ. რაკი ვიიონი ამ საქმეს აღმსრულებლებს ანდობს, ამით გვეუბნება, რომ უმეგობროა, ყველასაგან მიტოვებულია.

**უკანასკნელი ბალადა.** ნაგულისხმევია, რომ ამ ბალადას გზირი წარმოთქვამს. **წითლად ჩაცმულნი...** — წმინდა მოწამეთა დღეობებზე მღვდელმსახურები წითლად ჩაცმულნი გამოდიოდნენ ნიშნად იმისა, რომ ღმერთს შურისძიებას შესთხოვდნენ უმანკოდ დაღვრილი სისხლისათვის. ვიიონი აცხადებს, რომ თვითონაც მოწამეა, სიყვარულის მსხვერპლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი გამარჯვების 40 წელი

ნოდარ შამანაძე

# ზარები ჩვენ გვიხმობენ

მერჯევი, შინმოუსვლელთა მემორიალი, ას სამოცდასამი გვარი და სახელი მარმარილოს დაფაზე ლამაზი ასოებით ამოკვეთილი. შორიდან რომ შეხედავთ, პოემა გეგონებათ. მულერი, ხმიერი გვარები და სახელები, მართლაც, ერთ სევდიან პოემად იკითხება. ას სამოცდასამი ... ომის წინ მერჯევში სულ ორასამდე კომლი ცხოვრობდა. ორას კომლს ას სამოცდასამი ვაჟკაცი შინ აღარ დაუბრუნდა. ამდენი თუ იყვნენ, ზოგს არ ეგეგონა. ერთად რომ თავი მოიყარეს, ბევრი გამოვიდა. სევდა და სინანულიც გაბევრდა, საავდრო ღრუბელივით გაიზარდა...

## ზოგი რამ, რაც მემორიალის გახსნაზე ითქვა

### მათე მიქაძე (ომის ვეტერანი):

...ამ გორაკზე, დღეს შინმოუსვლელთა მემორიალს რომ ვხსნით, ომის წინ აკაციების პატარა ტყე იყო. ზაფხულობით აქ ყოფნას არაფერი სჯობდა, ყოველ საღამოს აქეთ მოვეშურებოდით. მხიარული ყიჟინითა და ჟრიამულით ცა ძირს ჩამოგვქონდა. ეს შინმოუსვლელი ბიჭებიც აქ იყვნენ ხოლმე. კარგია, მათ სწორედ ამ ადგილას რომ მოვუყარეთ თავი. ამიერიდან ეს გორაკი ჩვენი სოფლის მთაწმინდაა და ბევრ რამეს გვავალდებულებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

### ნინა წიგნაძე (შინმოუსვლელის და):

...დედაჩემი მუდამ იმას დარდობდა და გულმდუღარედ მოთქვამდა, ასე უგზო-უკვლოდ როგორ დამეკარგა ბიჭი, საფლავი მაინც ვიცოდე, რომ მივიდე და დავიტიროო. ეს მემორიალი ადრე რომ გახსნილიყო, საბრალო დედა აქაურობას არ მოშორდებოდა. ვაი, რომ ველარ მოესწრო!...

### შოთა შამანაძე (ომის ვეტერანი):

...წელან ზარების რეკვას რომ ვუსმენდი, მათმა ხმამ შემძრა, თხემიდან ტერფამდე ჟრუანტელმა დამიარა. ამ ზარების ზრიალსა და ქლარუნში თითქოს შინმოუსვლელი ბიჭების ყიჟინაც ისმის, მათი დედების მოთქმა-გოდებაც და ცოლების გულთა კვნესაც...

ეს ზარები, იცით, ვის უხმობენ?

ჩვენ გვიხმობენ!

თქვენ გიხმობენ!

მათ უხმობენ!

მთამომავლობას შინმოუსვლელთა მემორიალების გახსნა აღარ დასჭირდეთო...!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შთაგვაგონებენ!
მოგვიწოდებენ!
გვაფრთხილებენ!

## მალხაზ ფალავანდიშვილი (V კლასის მოსწავლე):

...ელიკა დიდედა მეუბნება: „ანგარიშში“ ბაბუაშენი იყო მაგარი, დიდ-დიდ რიცხვებს ისე გაყოფდა და გაამრავლებდა, წამით არ შეყოვნდებოდაო. ხოლა, სკოლიდან „ხუთიანი“ ხშირად რომ მოგაქვს, უეჭველად ბაბუის ნიჭი გამოგყვა, გენაცვალოს ბებიაო. ბაბუა მამაჩემსაც არ ახსოვს და მე საიდან მემახსოვრება?! მაინც მიყვარს. ბებია რომ მეუბნება, ბაბუას ჰგავხარო, მიხარია და ვცდილობ, არითმეტიკა უფრო კარგად ვისწავლო.

* * *

მერჯევის ქვემო უბანში შარშან უბედური შემთხვევა მოხდა: ელიკო დეკანოიძის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარს როგორც კი თვალი მოვკარი, ავტომანქანა დავქოქე და შარაგზას დალმა დავუყევი. რომ მივედი, სახლის ზემო სართული მთლიანად კვამლში იყო გახვეული. ცეცხლის ენები დროდადრო სახურავს ზემოთაც ჩნდებოდა და ჟანგისფერ კრამიტებს ლოკავდა. მეხანძრეები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ... მეზობლებს ემარჯვნათ, ცეცხლისთვის ბევრი რამ გამოეტაცნათ. სახლის პატრონი, ტანდაბალი და კაფანდარა დედაბერი ეზოში მიყრილ-მოყრილ ავეჯეულობას უვლიდა გარშემო და მწარედ ქვითინებდა.

— უიმე, ზანდუკი! — შეჰყვირა მან უეცრად და სახე ფრჩხილებით ჩამოიპოტნა: — მიშველეთ, ზანდუკი გადამირჩინეთ!...

კვამლით სახეგამურულმა ჭაბუკებმა ერთმანეთს გადახედეს. ჩანდა, აბობოქრებულ ცეცხლში შეჭრას ვერც ერთი ველარ ბედავდა.

ელიკო კი კვლავ გამწივანი ხმით გაჰკიოდა:

— ზანდუკიი!... ის რომ დამეწვას, თავს მოვიკლავ!...

ხალხი აჩურჩულდა:

— ნეტა, რა დარდუბალა ყურია ამ ზანდუკში, ასე რომ ირევა?!

— ფული აქვს, ალბათ!...

...სახლის პატრონი რომ დარწმუნდა ზანდუკის გამოსატანად სახლში შესვლას ვერავინ ბედავსო, რაღაც არაადამიანურად ამოიღმუვლა და მოგურგურე ცეცხლისკენ წაფარფატდა. შავულვაშა, მაღალი ჭაბუკი წინ გადაუდგა და გაბრაზებულმა ჰკითხა:

— რა ადგილასაა ის შენი ზანდუკი?

— ბოლო ფანჯარასთან, კუთხეში. — უპასუხა, თანაც ხელით ანიშნა.

„შავულვაშა“ უცებ ადგილს მოსწყდა. მას კიდევ ორი ჭაბუკი მიჰყვა.

— არ შეხვიდეთ! არ შეხვიდეთ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

ჭაბუკები მკვირცხლად შევარდნენ ცეცხლში და ხალხის შეძახილიც შეიყოლეს.

წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. „მეზანდუკენი“ ელვის უმალ გამოჩნდნენ. არც თუ მძიმე ტვირთი მეორე სართულის კარებში ბურთივით გამოაგდეს და კიბეზე დააგორეს რიხინ-რიხინით. თვითონაც თან მოჰყვნენ. კიბე კიდეც ჩამოირბინეს და სახლის სახურავიც ჩაიქცა.

დედაბერი ერთხანს გაოგნებულივით იდგა, თვალსაც არ ახამხამებდა. მერე თითქოს ახლალა გაახსენდაო, ზანდუკს მიხედა, მისკენ ფეხათრევით წალასლასდა. მომწვარ გვერდს რომ დახედა, გამოცივებულ თვალებში კვლავ ცრემლები მოეძალა. ჩაცუცქდა, ზანდუკს მავთულით დამაგრებული სახურავი ახადა. ტანსაცმელი რომ ამოალაგა, პატარა ფუთა გამოჩნდა, ერთი მხარე დამწვარ-დანახშირებული რომ მოუჩანდა. ფუთის გახსნისას მოუთმენლობა დაეტყო, ხელებს ძლივსღა იმორჩილებდა. რაღაც შეკვრა ამოიღო. ისიც რომ გახსნა, სამკუთხა ბარათები და სურათები გამოჩნდა.

ხალხმა შვებით ამოისუნთქა.

— მაგისთვის გვკლავდი, დიდედა?! — გაუღიმა იმ ჭაბუკმა, ზანდუკის გამოსატანად ცეცხლში პირველი რომ შეიჭრა.

— ჩემი საცოდავი კაცის უკანასკნელი სახსოვარია. რომ მოვკვდები, კუბოში უნდა ჩავიყოლო. — უპასუხა ელიკომ და კვლავ ფუთას მიუბრუნდა.

* * *

ელიკოს ამბავმა ჩამაფიქრა: „საბრალო მოხუცი!... ქმრის წერილებისთვის თავს იკლავდა, აგურგურებულ ცეცხლში შეჭრას აპირებდა. თუმცა რომ არ ემარჯვა და სახიკვდილოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი არ გადაედო. იმ ჯოჯოხეთში ზანდუკისთვის შესვლას ვინ შებედავდა? კიდევ [illegible] ბოდა ქმრის ძვირფასი ხსოვნა, ის ბარათებსა და სურათებს დღეს თუ [illegible] [illegible] ანდერძისამებრ კუბოში ჩაუწყობენ. [illegible] რომ, უკვა- [illegible] ფიქრები.

მემორიალი რომ გაიხსნა, [illegible] საქმეა, მაგრამ ეს არ კმარა. უნდა შევკრიბოთ შინმოუსვლელთა ბარათები, აგრეთვე სურათები, საჭიროა ჩავიწეროთ ყველა ამბავი და გადმოცემა, რაც მათი გმირული ბიოგრაფიის ნაწილს შეადგენს. დრო ულმობელია, თუ არ ვიჩქარეთ, მერე გვიანღა იქნება. მომავალ თაობებს მემორიალის დაფაზე ჩამოწერილი სიებიღა შერჩებათ... რაღა სხვას ვუყურო, დრო მაქვს, ბარემ ხვალვე შევუდგები ამ საქმეს... მარტოდ სიარული უხალისოა. რუბენ დეკანოიძეს შევიამხანაგებ..."

რუბენი მერჯევის საშუალო სკოლის მასწავლებელია, თანაც რაიონულ გაზეთში თანამშრომლობს, საინტერესო ლექსებს და წერილებს აქვეყნებს.

მეორე დღეს დილით ადრიანად მივადექი კარზე რუბენს. ჩანაფიქრი მოეწონა. მოგზაურობაზეც უყოყმანოდ დამთანხმდა.

* * *

მე და რუბენს ორი კვირის განმავლობაში მუხლი არ ჩაგვიხრია. დავდიოდით მარა-შარა, უბან-უბან, ეზო-ეზო... ვხვდებოდით შინმოუსვლელთა ოჯახის წევრებს, ვუსმენდით მათ ნაუბარს, ვიწერდით, ვინიშნავდით, ვუფიქრდებოდით... ხალისიან სამუშაოს ვასრულებდით-მეთქი, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. პირიქით, ომში დაღუპულთა ბიოგრაფიული ამბები, უდროოდ შეწყვეტილი მათი სიცოცხლის გახსენება ხშირად გუნებას გვიფუჭებდა და გულს ფარული სევდით გვიმძიმებდა. ზოგჯერ ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს პანაშვიდიდან პანაშვიდზე შევდიოდით. თუმცა სასიხარულო და სახალისო მომენტებიც გამოერეოდა ხოლმე არცთუ იშვიათად...

## რა გვიხაროდა?

ჭიშკრის შედებისთანავე ეზოში შეგვიჩნევით რომ შემოგვეგებებოდნენ ბავშვები, რომლებიც შინმოუსვლელის შვილიშვილები და ბადიშები აღმოჩნდებოდნენ, გვიხაროდა, უზომოდ გვიხაროდა...

შინმოუსვლელის ქვრივისა და შისი შვილების მიერ აშენებულ ოდა-სახლს და აყვავებულ კარ-მიდამოს რომ შევყურებდით, გვიხაროდა, თანაც ოჯახის დიდისადმი გული მადლიერების გრძნობით გვევსებოდა. ბავშვები უმამოდ რომ დაზარდა, დააკვალიანა და მეუღლის კერაზე ცეცხლი არათუ ჩააქრო, არამედ კიდევ უფრო გააღვივა, ააგიზგიზა.

სათუთად და სასოებით შენახულ შინმოუსვლელის წერილებს და სურათებს რომ გადმოგვცემდნენ, თანაც დიდის ამბით გვაფრთხილებდნენ, არ დაგვეღუპოთ, ჩვენი უკანასკნელი სიყვარული არ დაგვიკარგოთო, გვიხაროდა...

გვიხაროდა, რუხა, თვალებბრიალა ბიჭუნას სახელს რომ ვკითხავდით და შინმოუსვლელი ბაბუის სეხნია აღმოჩნდებოდა.

## რასაც არ ველოდით

სოფლად მოგზაურობა რომ გადავწყვიტე, ყველაზე მეტად ერთი რამ მაფიქრებდა: ამდენ შინმოუსვლელთა მშობლებს როგორ შევხვდე, როგორ ველაპარაკო, ვაითუ დაკარგულ შვილებზე საუბარმა გულის ჭრილობები განუახლოს-მეთქი. რა ვიცოდი, მსახვრალმა დროჟამმა თურმე მათთან შეხვედრის შესაძლებლობა სამუდამოდ აღმიკვეთა. აღარ არიან... ამ ამბავმა გაგვაკვირვა, თანაც ძალიან დაგვაღონა და გული გვატკინა. საბრალო მშობლები!... ომში დაკარგულ შვილებზე იტირეს, იდარდეს, ითავცემეს... ამაო მოლოდინში ნერვები დაიწვრიტეს, გულის ძარღვები დაიწყვიტეს, თვალები ამოილამეს და... წავიდნენ. წავიდნენ მაწუხრად და ერთბაშად. ომი რომ არ ყოფილიყო, ბევრი მათგანი, ალბათ, ისევ ცოცხალი და საღ-სალამათი იქნებოდა. დარდმა და ნაღველმა შეუმოკლათ ისედაც მოკლე წუთისოფელი. ასე რომ, მათაც შეიძლება ომის მსხვერპლი ეწოდოთ.

## კიდევ რამ დაგვაღონა?

იშვიათად, მაგრამ გვქონდა ამგვარი შემთხვევებიც: მივდივართ შარაგზაზე, მგზავრი არ ჩანს. ეზოებისკენ თვალი გაგვირბის. აგერ ერთგან ბავშვები თამაშობენ. ვეძახით. შინმოუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლელის გვარს და სახელს ვეკითხებით. მხრებს იჩეჩენ, აქ ასეთი არავინ ცხოვრობსო. სახ-ლიდან ქალი გამოდის და გვესალმება.

— მაგი ომში დაიკარგა. — გვეუბნება სინანულით.

— არავინ დარჩა?

— შვილი არ ჰყავდა, ცოლი კი... დარდუბალა იმას, გაუთხოვდა.

— მშობლები?

— ეჰ, სადღა არიან, დაეხოცნენ. ერთი დაიდა ჰყავს, ისიც გაღმა სოფელშია გათხოვილი. ჩვენც სხვა რაღა გზა გვაქვს, მის სანახავად გაღმა სოფელში მივეშურებით.

...ცუდ გუნებაზე გვაყენებდა იმ შინმოუსვლელებზე ფიქრი, რომლებსაც ომმა სიჭაბუკის გარიჟრაჟზე მოუსწროთ, მტრის ბრმა ტყვიას ვერ ასცდნენ და სიყვარულის ვნებით გულ-ანთებულნი შინიდანაც ისე წავიდნენ და წუთისოფლიდანაც. ცოლის თხოვა ვერ მოასწრეს, ასეთები, სამწუხაროდ, ბევრი აღმოჩნდა.

## იყო ამგვარი გასაუბრებანიც:

— თუ გაქვთ ქმრის სურათი სამხედროდან გამოგზავნილი?

— კი მქონდა, მარა...

— დაგეკარგათ?

— ხო, სახლს რომ ვაშენებდით, სადღაც გამებნა.

* * *

— თქვენი ქმარი იქნებ ცოცხალია, შორსაა და ვერ მოდის?!

— რაღა შინმოუსვლელი და რაღა მკვდარი!..

* * *

— ფრონტიდან წერილებს ხშირად იღებდით?

— კანტიკუნტად მოგვდიოდა. მერე სულ შეწყდა.

— გვათხოვეთ, არ დაგიკარგავთ!

— რავა არ გათხოვებთ, მარა... აღარ შემრჩა. — მზერა შვილიშვილებზე გადააქვს. — ამ ციგნებმა დამიხიეს. ხშირად კითხულობდნენ და ხელში შემოაცვდათ.

* * *

— ვთქვათ და... ქმარი ახლა მოგივიდეს?

— იჰ, ქმარს რაღაში ვუნდევარ ბებერი და დასნეულებული, ძლივსღა დავბორჯალობ საცოდავად.

— არ დაგიწუნებს, ისიც დაბერდებოდა...

— რას ამბობ, შვილო, ღმერთმა ნუ მანახოს ჩემი კაცი დაბერებული და დაჩაჩანაკე-ბული. რავარიც მახსოვს, ისეთივე უნდა ჩავიტანო სამარეში.

* * *

— ქმარი ძალიან გენატრებათ?

— შვილო, ერთ დროს, მართლაც, ძალიან მენატრებოდა!..

— ახლა?

— ორმოცი წელიწადი განა ცოტაა?! გადავეჩვიე...

— ვთქვათ და... მოხდა სასწაული: მეუღლე დაგიბრუნდა!... ხომ შეეჩვევი ისევ მალე?

— უიმე, ქმარს რაფერღა უნდა შევეჩვიო?!... — იცინის და თვალს მარიდებს.

* * *

— თქვენი ძმა ჯარში როდის გაიწვიეს?

— ომი რომ დაიწყო.

— თვე არ გახსოვთ?

მხრებს იჩეჩს.

— წელი?

— რა ვიცი, კი წაიყვანეს და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— ნატვრის თვალი რომ გქონდეთ, ქალბატონო, უპირველეს ყოვლისა, რას ინატრებდით?

— რას ვინატრებდი და... ქმრის დაბრუნებას!...

— მისი მოსვლის სურვილი ასე ცხოვლად შეგრჩათ აქამდე?

— იმე! შემრჩებოდა, აბა, ვის წამართმევდა?! რომ დამარწმუნონ: ოღონდ შენ მოკვდი დღეს, ხვალ ქმარი უეჭველად დაგიბრუნდებაო, ამაზეც უყოყმანოდ დავთანხმდები.

— თქვენ თუ მოკვდით, ქმარი რაღად გინდათ?!...

— მინდა ნახოს: ოჯახს როგორ მოვუარე, შვილები დავუთავიანე, სახლკარობა გავუმშვენიერე, მტერ-მოყვარესთან მისი სახელი არ შევარცხვინე!...

* * *

სოფელში მოგზაურობა რომ დავამთავრეთ, მძიმე დაღლილობა ვიგრძენი. არა, ფიზიკურად სულაც არ დავღლილვარ!... სული დამიმძიმდა, თითქოს რაღაც ჩამომაწვა მაჯლაჯუნასავით. ხუმრობა ხომ არ იყო, ომში დაღუპულ ახლობლებზე, მეზობლებსა და თანასოფლელებზე ორი კვირა გამუდმებით ვსაუბრობდით, ვფიქრობდით, ვწუხდით... უამრავ ჭირისუფალს შევხვდით, მათი სიმძიმილი და ჭირ-ვარამი გავიზიარეთ.

ერთხანს გამიჭირდა შეკრებილი მასალებითა და ჩანაწერებით სავსე საქაღალდეების გახსნა და გადაკითხვა. ახლა, საკმაო დრო რომ გავიდა, შთაბეჭდილებები მიმინელდა და ტკივილები მიმიყუჩდა, მოპოვებულ მასალებს კვლავ დავუბრუნდი. ვზივარ და გულდამშვიდებით ვარჩევ და ვიაზრებ ყოველ ნაუბარს, ყოველ მასალას. ჩემს ნარკვევს, რომლის დაწერასაც ვაპირებ, მრავალი მოქმედი გმირი ეყოლება. ზოგზე შეიძლება ვრცლად შევჩერდე, ზოგზე კი მხოლოდ ორიოდე წინადადებით დავკმაყოფილდე. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რისი თქმის შესაძლებლობასაც შეკრებილი მასალა მომცემს. ჩანაწერებთან ერთად საკუთარ მეხსიერებასაც მოვიშველიებ. ომი რომ დაიწყო, მეთორმეტე წელიწადში ვიყავი გადამდგარი. უკვე საკუთარი თოხი და ბარი მქონდა, მამასა და უფროს ძმებს გვერდით ვედექი და კოლმეურნეობაში ვმუშაობდი შეძლებისდაგვარად. ყანასა და ზვარში, კალოზე და სიმინდის სარჩევ ფარდულზე, აგრეთვე სკოლაში, კანტორასა და კლუბში ხშირად ვხვდებოდი კოლმეურნეებსა და უფროსკლასელ ბიჭებს, რომლებიც შემდეგ ფრონტზე წავიდნენ და ვეღარ დაბრუნდნენ. ბავშვობის შთაბეჭდილებანი მეტად გამძლე და ხშირ შემთხვევაში წარუვალია. არა მარტო სახეები მახსოვს ბევრი შინმოუსვლელისა, არამედ მათი მიხვრა-მოხვრაც და ქცევის მანერაც თვალწინ მიდგას. გამოვიყენებ თანასოფლელთა მოგონებებსაც.

დეკანოიძე ვენადი მალაქიას ძე

ჯარში 1940 წლის შემოდგომაზე გაიწვიეს...

## ნაწყვეტები წერილებიდან:

„დედა, მომიკითხე ორი თვისა და ხუთი დღის უნახავი ოჯახის წევრები: ჩემი ძამიკო დომენტი, ელენტია, თინა, ლალი... იყავით ყველანი კარგად და ჯანმრთელად. მე არა მიშავს-რა ჯერჯერობით. რუსულად უკვე ცოტ-ცოტას ვლაპარაკობ, აწი მეტს ვისწავლი... ისე, „არა-მიშავსრა-მეთქი" კი გწერ, მაგრამ „მიშავს"... ოჯახზე ფიქრი რომ წამიღებს, მაშინ შევიქნები ხოლმე ცუდად. ალბათ, შევეჩვევი ჩემს მდგომარეობას ნელ-ნელა, რა ვიცი!..."

ზემოთ მოხსენიებული „ლალი" გენადის პაწაწინა გოგონაა, რომელიც ჯარში მისი გაწვევის შემდეგ დაიბადა.

გენადი პედაგოგი იყო. მის წერილებში ნათლად ჩანს ნაცადი მასწავლებლის ფიქრი:

...„თინიკო, გენაცვალე, იპოლიტე ლონდაძეს ჩამოუვიდა აკაკი წერეთლის „რჩეული ნაწერები". დღეს ერთხელ კიდევ გადავიკითხე „პატარა კახი" და „ნათელა". ეს წიგნი ჩვენც გვაქვს. როგორ მინდა, პოემაში რომ „ნათელას სიმღერაა", ხმა შეუწყო და ჩემს პატარა ლალის უმღერო: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შევლაო..." ასე რომ, ლალის შეეძლება სიამაყით თქვას: საქართველოს სიყვარული აკვნიდანვე მომყვება, დედის რძესთან ერთად მაქვს შესისხლხორცებულიო..."

„თინიკო, გენაცვალე, მე კარგად ვარ. ხანდახან ვფიქრობ: ნეტავ, როდის გავხდები იმის ღირსი, ოჯახის წევრები რომ ვნახო, ლალი და შენ გულში ჩაგიკრათ... მერე კი, სევდა-ნაღველი რომ მომეძალება, ჩემს თავს შემოვუძახებ ხოლმე: „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!"

ომმა გენადის დაბა კლევანსში (უკრაინის სს რესპუბლიკა) მოუსწრო. ომამდელი მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები საუცხოო კალიგრაფიით და დინჯი თხრობით გამოირჩევა. ფრონტიდან გამოგზავნილ წერილებს კი ნაჩქარეობა ემჩნევა, ასოები აჩხა-ბაჩხადაა ხელგაკრული. ერთ ბარათში აკი თვითონაც აღნიშნავს ამის თაობაზე: „წერილს წვიმაში ვწერ ნაჩქარევად. ფოსტა მიდის და მინდა ჩემი ამბავი ერთხელ კიდევ გაგაგებინოთ".

სწორედ ეს ნაუცბათევი, გაკრული ხელით დაწერილი ბარათებია კიდევ უფრო ძვირფასი გენადის მეუღლისა და შვილისათვის. ამ ბარათებმა შემოინახეს შინმოუსვლელი ჯარისკაცის გულის ღელვა, მისი უკანასკნელი ფიქრები და ოცნებები. ბოლო წერილი გამოგზავნილია 1841 წლის სამ აგვისტოს.

## სიკეთე იმედისა

— ქმრის დაბრუნების იმედი საბოლოოდ როდის გადაგეწურათ? — ვკითხეთ გენადის მეუღლეს.

— საბოლოოდ არასდროს გადამწურია. ისე კი, მძიმე და აუტანელი დღეები ბევრჯერ მქონია. განსაკუთრებით შავად და ბნელად ჩამრჩა გულში 1941 წლის შემოდგომა. შეჩვეული ვიყავი: ჩვენი ფოსტალიონი რომ დამინახავდა, მხიარულად შემომცინებდა და ან სანატრელ ბარათს შორიდან ხელაწევდით დამანახვებდა ანდა იმედიანი სიტყვით გამამხნევებდა: დღეს არ დამემდურო და სულ მალე გაგახარებო. ჰოდა, როგორ გუნებაზე დავდგებოდი, იმ ჩემმა „გამხარებელმა" პირის მორიდება და ზურგის შექცევა რომ დამიწყო: გადის ოქტომბერი, ხმას არ იღებს, გადის ნოემბერი და არაფერს მეუბნება. თურმე რაღა უნდა მითხრას: ჩანთაში ჩემი ოჯახის დაღუპვისა და დაქცევის ქაღალდი უდევს... თუმცა „ჭირი თავსა არ დამალავსო", ხომ გაგიგონიათ?! გამიმხილეს როგორც იქნა!... არა, ფოსტალიონს კი არ უთქვამს, საბჭოს თავმჯდომარემ „შემაპარა"... თუმცა რაღა შეპარება იყო, პირველივე სიტყვაზე მივუხვდი... ფოსტალიონი ამის შემდეგაც მემალებოდა, ბარე ორ თვეს აღარ შემხვედრია.

...„შავ ქაღალდს" ერთხანს ისე დავყურებდი, თითქოს შინ მიცვალებული მყოლოდეს. კინაღამ გავგიჟდი. რამდენიმეჯერ თავის მოკვლა დავაპირე. გონს რომ მოვედი, ჩემს თავს შემოვუძახე: იქნებ ეს ქაღალდი ყალბია და თავს ტყუილა ვიკლავ-მეთქი. მართლაც, სულ მალე ამბავი მომიტანეს: კორბოულში სისვაძის ოჯახს შვილის დაღუპვის ცნობა მიუვიდა და მერე ის „დაღუპული" ჯარისკაცი ცოცხალი აღმოჩნდაო. შემდეგ ასეთი შემთხვევა პერევშიც განმეორდა. მეც ამ პატარა იმედის შუქს ჩავეჭიდე და საამქვეყნიო საქმეებისკენ ვიბრუნე პირი. შეიძლება უცნაურობად ჩამითვალოთ, მაგრამ მე ისევ განუწყვეტელ მოლოდინში ვარ, მგონია, ჩემი გენო ან ახლა შემომიღებს კარს. ან ახლა... ხანდაზმულობაში რომ შევედი, ამგვარი ფიქრი კიდევ უფრო მომეძალა. მოსწავლეებს წერით სამუშაოს რომ მივცემ და გაკვეთილზე სიჩუმე ჩამოვარდება, ზოგჯერ გენოს ხმა მომესმის და შემცბარი მივიხედ-მოვიხედავ ხოლმე...

**ჰო, მართლა: თინა დეკანოიძე დამსახურებული პედაგოგია, მერჯევის საშუალო სკოლაში მასწავლებლობს.**

## ლალის ნაამბობიდან:

მამას არ უნახიხარ, არც შენ გინახავს, რომ მეუბნებიან, ზოგჯერ არ მჯერა. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მისი მზრუნველი თვალი მუდამ თან მდევს. ეს ალბათ სიზმრებისბრალია... მეორეში თუ მესამე კლასში ვიყავი, მამა პირველად რომ დამესიზმრა. იმ დღეს როგორღაც ხელი შემეშალა, არითმეტიკაში გაკვეთილი ვერ დავამზადე და მასწავლებელმა ორიანი დამიწერა. ხუთოსანი ვიყავი და ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა. დედას ვერ გავუმხილე და მთელი დღე ჩუმად ვტიროდი... ღამით რომ დავწექი, კარგა ხანს ძილი არ მომეკარა. რომ ჩამეძინა, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ლამაზი და თვალტანადი კაცი დამადგა თავზე. ზუსტად ისეთი იყო, მამის სურათები რომაა ჯარიდან გამოგზავნილი ომამდე. ჯერ თავზე გადამისვა ხელი, მერე მაღლა ამიტაცა და გულში ჩამიკრა. არ იტირო, შვილოო, მომეფერა. იმ შენს მასწავლებელს მე ვუჩვენებ სეირს, თუ კიდევ გაწყენინაო... რომ გამეღვიძა, ერთხანს გაბურანებული ვიყავი, გული გამალებით მიცემდა, მეგონა მამა ცხადად ვნახე-მეთქი. კარგად რომ გამოვეფხიზლდი, გული ამიჩუყდა და ცრემლები წამსკდა, დედამ ძლივს დამამშვიდა. მამა შემდეგაც მესიზმრებოდა ხოლმე... ღამით დაწოლა მიხაროდა, ვფიქრობდი მამას კვლავ ვნახავ-მეთქი. თუმცა ხშირად გაწბილებული ვრჩებოდი. ნახვის იმედს რომ დავკარგავდი, სწორედ მაშინ დამესიზმრებოდა (ლალიმ გაიცინა) ჩემი გათხოვების ბედი ერთმა ასეთმა სიზმარმა გადაწყვიტა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თინამ ჩაურთო:

ჩემი სიძე-ბატონი ქოროღლელია, გვარად გოგატიშვილი. საქმე რომ კეთდებოდა და პირველად ვნახე, მომეწონა. მარტო მე კი არა, ყველა ჩვენს ნათესავებს და ახლობლებს მოეწონათ. რომ გავიკითხ-გამოვიკითხეთ, კიდევ უფრო დავინტერესდით. სულ ქება და ქება, ერთი ხადიც არავის უთქვამს მასზე. ამ ამბით აფოფინებულნი რომ ვართ, გოგომ ქე არ გადაგვასხა ცივი წყალი?! გაუთხოვარი დავრჩები და იმას კი მაინც არ წავყვებიო. რატომ იწუნებ, ოქროსავით ჭაბუკს, ისეთი რა შეამჩნიე, ეს მაინც მითხარი-მეთქი, შევეხვეწე. არაფერიც არ შემიმჩნევია, მაგრამ არ მინდა, თვალში არ მომდისო, მიპასუხა. ცოლქმრობა მიძალებითა და ძალდატანებით რომ არ შეიძლება, ვინ არ იცის?! ჩვენც რაღას ვიზამდით, დავანებეთ თავი. სასიძომაც ხელი ჩაიქნია: ჯანაბას, ჩემი ბედი არ ყოფილაო. ამ მდგომარეობაში რომ ვართ და დანა კბილს არ გვიხსნის, ერთ მშვენიერ დილას ამ კუდიანმა ქე არ განმიცხადა: თუ ჩემი გათხოვება გინდათ, იმ ქორვილელ ბიჭს გამატანეთ, თვარა მერე რაც არ უნდა მეხვეწოთ და მელაპარაკოთ, კაციშვილისკენ აღარ მივიხედავო. გავვოცდი. ერთხანს ენის მოტრიალება გამიჭირდა. კი მარა, აქამდე რომ ჯირკზე იჯექი და ჩამოხტომას არ აპირებდი, ასე უცებ რამ შეგშალა, წუხელ ხომ არაფერი გესიზმრა-მეთქი. დიახ, მესიზმრაო, მიპასუხა.

### ლალიმ განაგრძო:

მამა დამესიზმრა. შუბლი ოფლით შეცვაროდა, მძიმედ სუნთქავდა. ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა. დიდი გზა გამოვირბინე, ვჩქარობდი, მინდოდა, გაბედნიერება მომელოცა. არ ვთხოვდები-მეთქი, მივუგე. გათხოვდი, შვილო, ბედი არ დაკარგო, იმ ჭაბუკთან კმაყოფილი და ბედნიერი იქნებიო.

### თინამ დასძინა:

ისე ყველა ჩანაფიქრი კეთილად აგვისრულდეთ, როგორც ჩვენ ის სიზმარი აგვიხდა. მართლაც, გამრჯე, გერგილიანი და უაღრესად კეთილშობილი სიძე გამოგვადგა, უკეთესს ვერც ვინატრებდით. ცოლ-შვილის გულისათვის ცეცხლში გადავარდეო რომ უთხრა, უყოყმანოდ გადავარდება. ცოლ-ქმარი ფუტკარივით შეთანხმებულად შრომობენ. კიდეც სულ მალე წყაროს წყალივით წამოიყვანეს ოჯახი, მეც ხელს ვუწყობ, რაც შემიძლია. გენოს ფეხზე ორი ბიჭი და ორი გოგო მეზრდება, იმათ ენაცვალოს და შემოევლოს ბებია.

თინას შვილიშვილების გახსენებაზე თვალები ისე გაუბრწყინდა, იფიქრებდი, რაც დარდნაღველი გულში ათეულწლობით დაუგროვდა, ამ წუთში მთლიანად მოიშორაო.

### აბაშიძე პლატონ გაბრიელის ძე

ომი რომ დაიწყო, პირველივე მობილიზაციაზე გაიწვიეს. ბოლო წერილი 1942 წლის მარტში მოვიდა ქერჩიდან.

### გახსენება

ომის დროს, ფალავანდიშვილების უბანში ჩავლისას, შარაგზაზე, ხშირად ვხვდებოდით სამ პაწაწინა და-ძმას: ცისანას, დოდოს და გაბოს. დოდოს ენა ეჩლიქებოდა და ისე ტკბილად ლაპარაკობდა, სულში ჩაგძვრებოდით. ამიტომ ხშირად სთხოვდნენ ლექსი გვითხარიო. ისიც არ დააყოვნებდა და თვალებაციმციმებული ჩაარაკრაკებდა:

ტოტებს ქარი აქანებს,
ჩემი გული ფანცქალებს,
ომში წასულ მამას ველი,
მოვა და გამახარებს.

ვერა, ველარ დაბრუნდა პლატონი და ცოლ-შვილი ვერ გაახარა. მისი მეუღლე ელიჩკა ფალავანდიშვილი დღემუდამ სულის ჩაუფერხებლად შრომობდა, ობლები რომ გაეზარდა და გზაზე დაეყენებინა. გაუმართლა: შვილებმა გაახარეს. ქალიშვილები გათხოვდნენ და საუცხოო ოჯახები შექმნეს. გაბომ მამის კერაზე ახალი ოდა-სახლი წამოჭიმა, ძველ ვენახს ახალშენი შემატა, ეზო ბაღნარად აქცია. მთელ სოფელს უყვარს, თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არავინ ამოისვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიჩკა უკვე შვიდი შვილიშვილის ბებიაა. დავბერდი, გული მაწუხებსო, შემოგჩივლა.

— სანაქებო შვილები და შვილიშვილები გყავს. გული არ უნდა გაწუხებდეს. — მივუგე მე.

— პლატონის წილი გული მტკივა და მაწუხებს, პლატონის წილი... — ამოთოხრა და თვალზე მომდგარი ცრემლი თავსაფრის ყურით შეიმშრალა.

„ვინა თქვა, დრო ყველაფრის მკურნალიაო?!“ — გავიფიქრე, მას კი ვერაფერი ვუთხარი.

## აბრამიშვილი დიმიტრი მიხეილის ძე

სავალდებულო სამხედრო სამსახურს ბრესტში ასრულებდა. კიდევ რამდენიმე თვეც და შინ დაბრუნდებოდა. საცოლე არჩეული ჰყავდა. ქორწილს შემოდგომაზე აპირებდა და გულისწორთან შეხვედრის მოლოდინში ყოველ დღეს ტკბილი ოცნებით ათენებდა. ომმა მოუჭრა ბედნიერების გზა. მასთან ერთად დაიღუპა მომავალი ქართული ოჯახი. ვინ იცის, რამდენი შვილი ეყოლებოდათ, რამდენი შვილიშვილი... გვაგონდება ფშაური ხმით ნატირალი. დედა უცოლშვილოდ გადაგებულ ჭაბუკს დასტირის:

პირმშოსთან ერთად რძალსაც ვტირი,
რძალს უნახავს და მოუყვანელს;
შვილიშვილებს ვტირი, რომ უნდა მყოლოდა,
და შვილთან ერთად დამელუპნენ.
სისხლის და ცრემლის ტბორში ვზივარ,
სულს მიწეწს მწუხარების მუმლი;
ვაჰმე, სიკვდილო, რა ყოფილხარ,
ხანჯლებით ჩამიკაფე გული.

მოტანილი სტრიქონებით შეიძლება აგრეთვე დავიტიროთ: ზურაბ მალაქიას ძე ქემერტელიძე, გიორგი ნიკოლოზის ძე დეკანოიძე, მიხეილ ზაქარიას ძე სადუნიშვილი, გრიგოლ მიომბის ძე გომართელი, გიორგი სოკრატეს ძე სამხარაძე, მამია არჩილის ძე კირვალიძე, ნიკოლოზ ნესტორის ძე ბედიანიძე...

ამ ჭაბუკებმაც დიმიტრი აბრამიშვილის ბედი გაიზიარეს: მომავალ ბედნიერებაზე ფიქრი და ოცნება ნაუცბათევად გათხრილ საფლავებში ჩაიყოლეს.

## წიგნაძე გრიგოლ (გრიშა) ანტონის ძე

გრიგოლ წიგნაძე ჩაფსკვნილი, ტანბრგე კაცი იყო, ფიზიკური ძალ-ღონით გამოირჩეოდა. ცხენის ნალს თითებით ღუნავდა. ომში წასვლისას აკი კიდევაც უთქვამს: თუ ხელში მოვიგდე, სამ-ოთხ ფაშისტს ისე მოვუგრეხ კისერს, კრინტსაც არ გავაღებინებ, მაგრამ ვაითუ იმგვარ სიტუაციაში მოვხვდი, ვერც ძალა და ვერც მოხერხება ვერ გამოვიყენო, სიკვდილს სულ ტყუილ-უბრალოდ ჩავბარდეო.

გრიგოლი ომში 1941 წლის ბოლოს წაიყვანეს. 1942 წლის გაზაფხულზე კი ქერჩის ნახევარკუნძულიდან მოვიდა წერილი. წერილს კი სულ მალე დაღუპვის დეპეშაც მოჰყვა.

სოიცარია, მაგრამ ფაქტია: მერჯევის შინმოუსვლელთა თითქმის ნახევარი ქერჩისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

ჩვენ მხოლოდ მერჯევის შინმოუსვლელებზე ვლაპარაკობთ, თორემ ქერჩის ტრაგედია ფართო მასშტაბისაა. ამ ნახევარკუნძულმა უამრავი ლიმილის ბიჭი იმსხვერპლა საქართველოს ყველა კუთხიდან და სოფელ-ქალაქიდან.

მაინც რა მოხდა ისეთი, ქერჩმა ამდენი უბედურება, ცრემლი და მწუხარება რომ გამოიწვია: ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მომზადებული და გამოცემული საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიის ექვსტომეული, სადაც, სხვათა შორის, სწორი, პარტიული შეფასება ეძლევა ქერჩისთვის ბრძოლებსაც.

როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ წიგნაძის ბოლო წერილი ქერჩიდან 1942 წლის გაზაფხულზე მოვიდა. ქერჩის ნახევარკუნძულზე სწორედ ამ დროს წარმოიქმნა მეტად მძიმე მდგომარეობა. გადამწყვეტი შეტევის რამდენიმე ცდამ წარუმატებლად რომ ჩაიარა, ყირიმის ფრონტის ჯარმა, მთავარი ბანაკის ბრძანებით, შეწყვიტა აქტიური მოქმედება და თავდაცვაზე გადავიდა.

„ექვსტომეული“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „...თავდაცვის არასწორი ორგანიზაცია, ჯარების ზედაპირული განლაგება და თავდაცვისათვის აუცილებელი რეზერვების უქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნლობა — აი ძირითადი მიზეზები, რომლებმაც ქერჩის თავდაცვითი ოპერაციის წარუმატებლობა გამოიწვია“.

«История Великой Отечественной войны Советского Союза 1941—1945», том второй, Москва, 1961, стр. 405.

უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკმა ყირიმის ფრონტის სარდლობა შეცვალა, ამასთან სხვა საჭირო ღონისძიებებიც განახორციელა, რომლის შედეგადაც ქერჩის ნახევარკუნძული სულ მალე კვლავ ჩვენმა ჯარებმა დაიბრუნეს.

## ბედიანიძე დივანოზ სიმონის ძე

დივანოზ ბედიანიძის ორი ბარათიდან, რომლებიც მისმა ძმიშვილმა გადმოგვცა, ერთი დაწერილია ქერჩში 1942 წლის 3 მაისს, მეორე კი — ამავე წლის 28 ივნისს სევასტოპოლში. არც პირველ და არც მეორე წერილში ბრძოლების მიმდინარეობაზე არაფერია ნათქვამი. ალბათ, არც ჰქონდა ამის უფლება. მხოლოდ ამას წერს: საზღვაო ქვეით ნაწილში ვიმყოფები, ხან ზღვაზე ვცურავ, ხან ხმელეთზე დავხოხიალობ. იქაც და აქაც კალიებივით მომრავლებულ მტრის ჯარს მუსრს ვავლებთ და გამარჯვების დღეს ვაახლოებთო.

ზემოთ მოხსენიებულ „დიდი სამამულო ომის ისტორიაში“ მოთხრობილ და შეფასებულ ამბებს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქერჩის ტრაგედიის მონაწილე დივანოზ ბედიანიძეცაა.

დივანოზის მიერ 1942 წლის 28 ივნისს სევასტოპოლიდან გამოგზავნილ წერილში ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა ადგილმა მიიქცია: „თუმცა ჩვენი სოფლის მოშაირემ ახალგაზრდობაში გამლექსა — „დივანოზი გაიქცაო...“ მე არასდროს გავქცეულვარ და არც გავიქცევი. ნეტა, განახათ როგორ ვიბრძვი. ორმოც-წელიწადს მიღწეული კაცი ჭაბუკებს ტოლს არ ვუდებ. უკვე წითელი ვარსკვლავის ორდენზე წარმადგინეს. იმედი გქონდეთ, მტერს ზურგს არ ვუჩვენებ და თუ დღე დათვლილი მაქვს, ღირსეულად მოვკვდები“.

გამიკვირდა, ტყვიების წვიმასა და ცეცხლის კორიანტელში ოდესღაც გამოთქმული შაირი როგორ გაახსენდა? სანამ იმ შაირს გაგაცნობდეთ, მინდა გიამბოთ, დივანოზი თუ რატომ გალექსეს.

მერჯევში კოლმეურნეობა 1930 წელს ჩამოყალიბდა. მას „გლეხის იმედი“ დაარქვეს და თავმჯდომარედ დივანოზი აირჩიეს. მან იჩქარა და კოლმეურნეობა კომუნად გარდაქმნა: კოლექტიურ მეურნეობაში გააერთიანა გლეხთა პირადი საკუთრებაც. ეკლესიის ამბიონზე ზარი ჩამოახსნევინა და დაკიდა კანტორის ეზოში, სადაც კოლექტიური სასადილო მოაწყო. ჩამოშჩამოკრავდნენ ზარს და ხალხი ზვრებიდან და ყანებიდან სასადილოს მიაშურებდა. ზოგჯერ სადილს ისე შეჰყვებოდნენ, ღრეობად და ქეიფობად გადაექცეოდათ ხოლმე. მაინც კომუნაში შეგვაყვანინებენო, ფიქრობდნენ გლეხები და შინაურ პირუტყვს ჩუმჩუმად კლავდნენ, ან სხვა სოფლებში ყიდდნენ. ზოგი იმასაც ამბობდა, საერთო საბნის შეკერვას აპირებენ, ქალები და კაცები ერთად უნდა დავაწვინოთო. ეს ხმა კიდევ უფრო მეტ არეულობასა და უწესრიგობას იწვევდა. კომუნამ მხოლოდ ერთ კვირას იარსება, მაგრამ სოფელს ეს მოკლე დროც დაეტყო... დივანოზს „ხაზის“ გამრუდება არ აპატიეს და თანამდებობიდან გადაირჩიეს. „შერისხული“ თავმჯდომარე სოფელს განერიდა და ჭიათურის მაღაროებში დაიწყო მუშაობა. ხალხური მთქმელის მიერ მაშინ შეთხზული სტრიქონები კი მერჯევლებს ახლაც ახსოვთ:

ზურნაც სდუმს და ზარიცა, დივანოზი გაიქცა,
კოლექტივი უკან მისდევს: — პატარა ხანს მეიცა,
საბნის კერვა რომ დაიწყე, დაამთავრე მაინცა.

დივანოზმა ფრონტიდან გამოგზავნილ ზემოთ ხსენებულ ბარათში მიცემული აღთქმა პირნათლად შეასრულა: მტერს ზურგი არ უჩვენა და მხედრული მოვალეობის ერთგული დარჩა ბოლომდის.

## წიგნაძე ნიკოლოზ (ნიკალა) სარდიონის ძე

ომი რომ დაიწყო, ნიკოლოზ წიგნაძე 38 წლისა იყო. ქალ-ვაჟი ჰყავდა: ორი წლის ლეილა და ხუთი წლის მიშა. ხალისიანი კაცი იყო, ცხოვრებას შეხაროდა, ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა, მომავლის იმედებით სულდგმულობდა. შვილებთან ერთად, სათნო და შრომისმოყვარე მეუღლეც უხარებდა გულს. „ერთი მზე მე რას მეყოფა, ცხრა მზე ამომდის ცაზედა“, ხშირად ჩაიღიღინებდა ხოლმე ისევე როგორც მრავალთა და მრავალთა ცას, თურმე მის ცასაც უღიმრალი ღრუბლები უახლოვდებოდა. მან კი ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ იცოდა.

ნოდარ ... ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეუღლის ნაამბობიდან

ნიკალა ომში რომ წაიყვანეს, საგონებელში ჩავვარდი. ჯერ ის მაწუხებდა, ქმარი სასაკლაოზე რომ გავისტუმრე და მთელი ოჯახი ჩემი სატვირთო გახდა, მერე იყო და მიშიკომ გადამრია. თვითმფრინავების ბალღს სევდიანობა ზოლადასრულებულისა დასჩემდა. ღამით ვერ ვაწყენდი და ვერ ვაძინებდი: მამა რომ მოვა, ფეხზე უნდა დავხვდეო. რამდენჯერ სკამზე ჩამოძინებული ამიყვანია და შემიგორებია ლოგინში. ძილშიც ვერ ისვენებდა. მამაო, წამოიყვირებდა უცებ და თვალს გააჭყეტდა, შემკრთალი მიიხედ-მოიხედავდა, ვისაც ეძებდა, რომ ვერ დაინახავდა, გული ამოუჯდებოდა და ატირდებოდა. ბავშვებში იშვიათად გაერეოდა, დადიოდა მარტოდმარტო გულჩათხრობილი.

## მიშა წიგნაძის ნაამბობიდან:

საჭმელიც ბევრჯერ მკლებია, ტანსაცმელიც, მაგრამ ვითომც არაფერი, თითქოს აღარც მახსოვს. უმამობის ტკივილი კი განუკურნებელ ავადმყოფობასავით მომყვება. ახლა მე თვითონ ვარ მამაც და ბაბუაც: შვილებიც მყავს და შვილიშვილებიც, მაგრამ მამაჩემზე ფიქრი მაინც არ მეშვება. იშვიათად, მაგრამ მაინც მქონია წუთები, როცა სიხარულით ცათა ფრინველს დავწევივარ, თუმცა იმ წუთებშიც მიგრძვნია, რომ გული რაღაცაზე მეთანაღრება... ეს რაღაც მამის ალერსია, რომელიც მე ომმა აღარ მაღირსა.

## გრიგოლ და ფილიმონ პარმენის ძე მიქაძეები

პარმენ და ოლღა მიქაძეების ოჯახი ერთ-ერთ ყველაზე ბედნიერ და მხიარულ ოჯახად ითვლებოდა მერჯევში ომამდე. ოთხი ძმა: გრიგოლი, ფილიმონი, მათე, მიშა... ალმასივით ბიჭები, მუდამ სალხინოდა და სამხიარულოდ რომ იყვნენ დაქიმათებულნი... იქვე კიდევ პარმენის ძმისწულები ცხოვრობდნენ: თინათინი და ვერიკო. ხალისიანი და მომხიბვლელი გოგონები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოტრფიალენი, ჩვენი პოეზიის ნიმუშები მუდამ პირზე რომ ეკერათ, ხალხურ სანახაობით ტრადიციასაც კარგად იცნობდნენ და ათასგვარ გართობას იგონებდნენ. ახალგაზრდებს არც პარმენი ჩამორჩებოდა. ხუმრობა და ოხუნჯობა ...ხი მოგონილი იყო.

* * *

გრიგოლ მიქაძემ მერჯევის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო არგვეთის საშუალო სკოლაში, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. იმავე წლის შემოდგომაზე გაიწვიეს სამხედროში, სადაც დაამთავრა სტალინგრადის საფრენოსნო სასწავლებელი და მიენიჭა ლეიტენანტის წოდება, პირველი კლასის პილოტის თანამდებობით.

## გახსენება

1939-1940 წლებში მერჯევის ზეცას ხშირად დაღუღრენდნენ ხოლმე თვითმფრინავები, ალბათ, წვრთნის მიზნით. წეროების გუნდივით ჩამწკრივებული რკინის ხომალდების გუგუნგრიალი განსაკუთრებით ბავშვებს გვიხაროდა. ყიჟილ-ხივილით გამოვეფინებოდით მინდვრად და ვერცხლის მძივებივით ზეცას გაფაციცებით შევყურებდით.

თვითმფრინავებისადმი ინტერესი ერთმა ამბავმა კიდევ უფრო გაგვიცხოველა: 1940 წლის შემოდგომაზე. მოსატეხი რომ მოიტეხა, მოსაკრეფი მოიკრიფა და ჭირნახულს თავისი ადგილი მიეჩინა, პარმენ მიქაძემ კლასის ფართობში ჩალის ღერები აჭრა და კარგა მოზრდილი მოედანი გაასუფთავა. მოედანს კირის ხსნარით თეთრი ზოლები შემოავლო. თანაც წითელი მატერიისაგან სახელდახელოდ დროშა გააკეთა და გრძელი ტარით გორაკზე დაასო.

— ამ მფრინავებში ჩემი გრიგოლიცაა. დაინახავს ამ მოედანს და დაჯდება. მომენატრა ი. მამაძაღლი! — გვითხრა ერთხელ პარმენმა და მოგუგუნე „წეროებს“ თვალი გააყოლა. ბავშვებსაც მეტი რა გვინდოდა: მოედანზე ყოველდღე თავს ვუყრიდით და სასწაულის მოლოდინში ელეთმელეთი მოგვდიოდა. ერთ მშვენიერ დღეს სასწაული მართლაც მოხდა: „წეროების“ გუნდს შორის, დასალიერში, ერთი თვითმფრინავი გამოეყო და ჩვენ რომ მოგვიახლოვდა, თანდათან ისე დაბლა დაიწია, ფრთა კინაღამ კაკლის კენწეროს გაჰკრა. პილოტს შავი, ყურებიანი ქუდი ეხურა. ვერ გეტყვით ნამდვილად გრიგოლი იყო, მაგრამ ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც მის სახელს გავყვიროდით და თვითმფრინავს ყიჟინით მივსდევდით, სანამ [illegible] მიეფარა.

— რა ქნა შენმა ბიჭმა, არ დაჯდა?! — ეკითხებოდნენ მეზობლები პარმენს.

— მეჩქარებაო, ბოდიში მოიხადა. ოფიცერია, ათასი საქმე აქვს, დროს გამონახავს და დაჯდება, არ უნდა ლაპარაკი! — უპასუხებდა და ულვაშებში ჩაიღიმებდა.

არ ვიცი, პარმენმა ის მოედანი თავის შესაქცევად გააკეთა, თუ ჩვენს გასართობად? ან იქნებ მართლა სჯეროდა, გრიგოლი აგერ თავისი სახლის წინ დასვამს თვითმფრინავს და მისი ნახვით გავიხარებთო? ასე იყო, თუ ისე, სიბერეში ცეხშედგმული კაცი ხშირად იდგა მოედანზე ჩვენთან ერთად და მოგუგუნე ზეცას შუბლზე ხელმოჩრდილვით გაჰყურებდა, სანამ თვითმფრინავები, სადღაც, შორს, ჰორიზონტს იქით არ ჩაიკარგებოდნენ.

* * *

ახალ „გამანადგურებელზე“ ვზივარ... „მიჰქრის, მიმაფრენს უგზოუკვლოდ ჩემი მერანი“... — წერდა გრიგოლი ლვოვიდან გამოგზავნილ ბარათში, რომელიც 1941 წლის 15 ივნისითაა დათარიღებული.

„დიდი სამამულო ომის ისტორიაში“ ვკითხულობთ: „ომის პირველი დღის განმავლობაში მტერმა მოახდინა მასირებული თავდასხმა ჩვენი სასაზღვრო ოლქების 66 აეროდრომზე. დარტყმა განიცადეს უმთავრესად იმ აეროდრომებმა, რომლებსაც ახალი კონსტრუქციის საბჭოთა გამანადგურებლები ემყარებოდა. ამ თავდასხმებისა და გააფთრებული საჰაერო ბრძოლების შედეგად 22 ივნისის უკვე პირველ ნახევარში ჩვენს ავიაციას 1200 თვითმფრინავი გამოაკლდა“ (დასახ. „ექვსტომეული“, ტ. II, გვ. 16).

გრიგოლ მიქაძე უეჭველად ამ მოულოდნელ და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა. ომის დაწყების შემდეგ მისი წერილი აღარ გამოჩენილა.

ფილიმონ მიქაძე ქიათურის სამთო ტექნიკუმის დიპლომით ხელდამშვენებული წავიდა ჯარში 1941 წელს. მესანგრეთა ნაწილში ჩარიცხეს. დაიწყო მესანგრე მეომრის ხიფათიანი, მაგრამ საინტერესო ფრონტული ცხოვრება. თანამებრძოლებთან ერთად ჭაობებში გაჰყავდა გზები, მდინარეებზე აგებდა ხიდებს, თავშესაფარებს, ძელმიწურებს, თავდაცვით ღობურებს... მოიერიშე მტრის ტანკებს უნაღმავდა გადმოსასვლელებს, მუშაობდა დანაღმული ადგილების გაუვნებელყოფაზე... ერთ-ერთი ასეთი მუშაობისას ნაღმი აუფეთქდა და დაიღუპა. ეს მოხდა ყირიმის პლაცდარმზე, 1942 წლის ზაფხულზე.

## მათე მიქაძემ გვიამბო:

მამაჩემმა მხოლოდ ერთი კვირა იავადმყოფა. ბოლოს სამ დღეს გრძნობაზე კი იყო, მაგრამ ენის მოტრიალება აღარ შეეძლო. სანახავად რომ შევდიოდით, ცრემლიანი თვალებით შემოგვხედავდა და ტუჩები აუთრთოლდებოდა ხოლმე. ვგრძნობდით, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. უკანასკნელ დღეს თვალსაც ვერ ახელდა, თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ემჩნეოდა. ნავახშმევს წამწამები ასწია და სრულიად გარკვევით ამოილაპარაკა: „გრიი-გოოლის თვით-მფრინავში ვიჯექი...“ ბოლო სიტყვაზე თავი ბალიშიდან გადმოუვარდა და სულიც დალია.

## მიხეილ, ვლადიმერ, ლევან ბაგრატის ძე სამხარაძეები

ბაგრატისა და მინადარის წვითა და დაგვით შექმნილ ოჯახს ომმა ერთბაშად გამოაცალა სამი ბოძი. მიხეილი და ვლადიმერი ქერჩის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ, ლევანი კი მტრის ქურდულ თავდასხმას ემსხვერპლა 1941 წლის 22 ივნისს განთიადისას, ლვოვში. ბაგრატი ომამდე გარდაიცვალა, ვლადიმერსა და ლევანს ცოლ-შვილი არ ჰყოლიათ. მიხეილმა კი შინ დატოვა ფეხმძიმე მეუღლე თამარი, აგრეთვე ორი წლის შვილი აჩიკო. სულ მალე თამარს გოგონა შეეძინა. ცისანა დაარქვეს.

კაცების სიმრავლეს შეჩვეული ოჯახი სრულიად უკაცოდ იქცა. თუმცა ფრონტიდან გამოგზავნილ მიხეილის ბარათებს რომ ვეცნობოდით, მინადარის ოჯახი უკაცოდ სულაც არ გვეჩვენება. თამარმა მეუღლის წერილები რომ გადმოგვცა, ღიმილით გვითხრა: უცნაური იყო ჩემი კაცი, წერილებს ყოველთვის აჩიკოს სახელზე გვიგზავნიდა. ორი წლის ბარტყს ისე ესაუბრებოდა, თითქოს უკვე ზრდადასრულებულიაო. არ ვიცი, ამით თავს იტყუებდა, თუ ჩვენ გვაცუცურაკებდა. ერთობოდა, ალბათ. ჩვენც გვართობდა, ყოველ მის წერილს სიცილ-ტირილით ვკითხულობდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწყვეტები მიხეილის ბარათებიდან:

„...აჩიკო, მომიკითხე ბებიაშენი და დედაშენი. რავარც კი წამოიწყონ ტირილი და კრუსუნი, ხან გაუწყერი, ხან გაეხუმრე და დარდ-ვარამი გააქარვებინე, თვარა ნაადრევად დაბერდებიან და ისევ ჩვენი მოსავლელი და სადავიდარაბო გახდებიან“.

„შვილო აჩიკო, შეშა დროულად მოიმარაგე. შორს წასვლა არ დაგჭირდება. ფრონტელის ოჯახის შვილს ბახიოთისა და მოძვის ტყეებშიც დაგრთავენ შეშის დამზადების ნებას. უფრო წიფელასა და ცხემლას დაეძალე, კაი ცეცხლი იცის“.

„...ბუხარში ცეცხლს რომ წამოაგიზგიზებ, ბებიას თვალი ადევნე, უეცრად არ ჩათვლიმოს და ცეცხლის ალზე თმები არ შეეტრუსოს“.

„...ცისო რას შვრება? დაქალიშვილდა და ყელი მოიღერა ხომ? გასათხოვარი გოგოს ამბავი ხომ იცი: თვალები აცაბაცა მიურბის. მიხედე, შვილო, ერთი დაია გყავს და უნდა მოუარო, აპა, რავა გინდა?!“

„...საშობაოდ ორი წლის ტახი გაასუქე (ნეზვს ტახი სჯობია!). ქატო არ აჭამო, სიმინდის წმინდა ფქვილით გასუქებულს ხორცი უფრო გემრიელი აქვს. დაკვლისას ეშვი არ გაგკრას, შვილო, მეზობლები დაიხმარე“.

„...ძველშავის ტკბილი ქვიშხურის ჭაჭაზე დააყენე. ჭუკისფერი ღვინო დადგება, მე და შენ რომ გვიყვარს, ისეთი. ჩამოვალ და ვუჭახუნოთ ჭიქები“.

„...თუ ჩამოსვლა დამიგვიანდეს, ღვინო ორმოცკოკიანიდან შვიდ-შვიდ კოკიანებში გადაიღე, თვარა ღვინოს ხელი მიეცემა და სტუმრებთან შევრცხვებით“.

„...ამ შემოდგომაზე დაქორწინება თუ გადაწყვიტო, ფეროვანი და ძვალმსხვილი საცოლე შეარჩიე. ოჯახშიც უფრო გამოგადგება და ჯანსაღ შთამომავლობასაც გაგიჩენს“.

„...ვიცი, ამ შემოდგომაზე მაინც დიდი მაჭრიანობა იქნება, ქეიფი ქეიფს მოჰყვება. დედულში რომ დათვრები და ქემერტელიძეების გზას გამოჰყვები, ყვირილი და გადაძახილ-გადმოძახილი არ დაიწყო. იმღერე შენებურად, ტკბილი ხმით ყველას ყურადღება მიიქციე. საქორწილოდ შეღერებულ ჭაბუკს, ხო იცი, ათასი ვინმე გიყურებს და მუშტრის თვალით გამოწმებს“.

„...შვილო აჩიკო, წლევანდელი მოსავალი სასიმინდესა და ბეღელში თუ ვერ ჩატიო, სახლის სხვენიც გამოიყენე“.

**1941 წლის ზაფხული ზემო იმერეთში და, კერძოდ, მერჯევში უსაშველოდ გვალვიანი და მშრალი იყო. სიმინდის ნათესები თითქმის მთლიანად დასწვა და გააჩანაგა, ყურძენი ჩამოაჭკნო და დააკრიკინა. მიხეილმა ყველაფერი ეს თავისი თვალით ნახა და გულით განიცადა. წერილებში კი სრულიად საპირისპირო სურათს გვიხატავს. იუმორის მარილიც სწორედ ამაშია.**

## აჩიკოს ნაამბობიდან:

მამაჩემის წერილები ჩემზე ჯადოსავით მოქმედებდა ბავშობიდანვე. ხან ბებიას დავსდევდი უკან და ვეხვეწებოდი, მამის ბარათები წამიკითხე-მეთქი, ხან დედას... ანბანი რომ ვისწავლე, მე თვითონ ვკითხულობდი. ბებია წერილებს ზანდუკში ინახავდა და მხოლოდ მაშინ ამოიღებდა და წამაკითხებდა, ხუთიანს თუ მივიღებდი ან რაიმე საოჯახო საქმეს მის მოსაწონებლად გავაკეთებდი. საბრალო ბებია! ხან ერთ შვილზე ტიროდა და მოთქვამდა, ხან მეორეზე და მესამეზე... ის როგორ იყო, დედა, სიზმარში ღვთისმშობელი რომ გამოეცხადა? — მიუბრუნდა აჩიკო დედას.

— ხო, გამოეცხადა... — დაემოწმა თამარი და თავი სინანულით გადაიქნია, — ნეტა, არ გამოცხადებოდა! იმ სიზმარმა კიდევ უფრო შეუმოკლა სიცოცხლე საცოდავს!

## თამარმა გვიამბო:

ჩემი დედამთილი მაგარი, გაუტეხელი ქალი იყო. მე რომ უნდა გამემხნევებინა, პირიქით, აქეთ მაიმედებდა, ნუ გეშინია, შვილო, ღმერთი არ წაახდენს ჩვენს საქმეს, ბიჭები დაბრუნდებიან, მანამდე კი თავს ნუ დავიზოგავთ, გავისარჯოთ, სავსე ოჯახი დავახვედროთო. წლები რომ გავიდა, სიბერე მოერია და ერთბაშად მოტყდა. ნერვებმაც უმტყუნეს, მთელი ღამე ბორგავდა და წრიალებდა, ძილი არ ეკარებოდა.

რა უბედურ დღეზე ვყოფილვარ დაბადებული, ერთი ბიჭი მაინც მომსვლოდაო, მოიმწუხრა ერთ დღეს და მაშინვე ენაზე იკბინა, მე სასიკვდილემ ეს რა ვთქვიო... დაიწყო ტირილი, ველარ დავამშვიდე. მეორე დღეს გათენებისას კი ლოგინში წამოჯდა, ჯერ პირჯვარი გადაიწერა და მერე მომიყვა; სიზმარში ღვთისმშობელი გამომეცხადა, დაილოცოს მისი სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიო. რომელი შვილი დაგიბრუნოო, მკითხა. სამივე დამიბრუნე-მეთქი, დავუჩო[illegible] ერთს დაგიბრუნებ, რომელსაც მეტყვიო.

— მიშა დამიბრუნეო, ვერ სთხოვე, ბებია?! — უსაყვედურა ცისანამ.

— ლევანმა და ვალოდიამ რა დააშავეს, შვილო? — ამოიოხრა მინადარმა.

— იმათ ცოლ-შვილი არა ჰყავთ, მამაჩემს კი ამდენი ხალხი ველოდებით! — მონახა გამოსავალი აჩიკომ.

— უცოლშვილონი რომ არიან, კიდევ უფრო ცოდვები არიან, შვილო! — მიუგო მან.

ამის შემდეგ ყოველთვის იმის ნატვრით წვებოდა დასაძინებლად, ნეტავ, ღვთისმშობელი კვლავ დამესიზმროს, შევევედრები, იქნებ სამივე შვილი დამიბრუნოსო. არ დამესიზმრაო, მოიმწუხრებდა ხოლმე დილით. ზამთრის ერთ დილას კი ველარ გაიღვიძა, ძილში გაპარულიყო.

## წიგნაძე გიორგი (გოგიტა) ვასილის ძე

შინმოუსვლელთა მემორიალი რომ გაიხსნა, მერჭევის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა ეს ამბავი სწავლა-აღზრდის საშუალებად გამოიყენეს: გაკვეთილების გარკვეულ დროს ომზე და ომის გმირებზე საუბარს უთმობდნენ. სიყვარულით იხსენებდნენ თანასოფლელებს, რომლებმაც სიცოცხლე სამშობლოს დაცვას შესწირეს.

მოსწავლეები გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ჟივილ-ხივილით მიიჩქაროდნენ მემორიალისკენ, მარმარილოს დაფაზე აღბეჭდილ შინმოუსვლელთა სიას თითის მიყოლებით კითხულობდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ. იმ ბავშვებს, რომელთა პაპები ან ბაბუები იქ ეწერა, ამაყად და უინჩად ეჭირათ თავი: ესაოდა, გმირთა შთამომავალნი ვართო!

გიორგი წიგნაძის ერთი ბადიში პირველ კლასში სწავლობდა. მემორიალს მანაც მიაშურა, თან ამხანაგები ახლდნენ. თვალებაციცინებული მიადგა დაფას და კითხვას შეუდგა. სულ მალე ცივი წყალი გადაესხა: თავისი დიდი ბაბუა ვერ იქნა და ვერ აღმოაჩინა. ამხანაგებმაც ცეცხლი შეუნთეს:

— ვაჰ, არ წერებულა, თენგიზ!...

— გამორჩათ, ალბათ!

— გამორჩათ კი არა...

თენგიზს სახე წამოენთო და ამხანაგებს აღარც მიხედა, შინისკენ იბრუნა პირი. სახლის კარი აქოშინებულმა შეაღო და ქვითინი წასკდა.

— რა იყო, ბიჭო, ხო არავინ გაგლახა? — შეეგება სონა ბებია.

— ჩემი დიდი ბაბუა არ წერია იქ! — ამოილაპარაკა ცრემლების ყლაპვით.

— სად არ წერია, მემორიალზე?

— ხო, არ წერია, იქ ვიყავით ახლა და... არ წერია!

— ამისთვის ტირი, ბიჭო?! — გაიცინა სონამ და გულში ჩაიკრა, — რავა არ წერია, წამო, განახვებ!

— აგერ წერია შენი დიდი ბაბუა, ა! აპა, შენ თვითონ წაიკითხე! — უთხრა სონამ, მემორიალთან რომ მივიდნენ: — ნუ ჩურჩულებ, ხმამაღლა, მეც მინდა გავიგონო!

— წიგნაძე გიორგი ვასილის ძე. — ამოიკითხა თენგიზმა და ბებიას გაკვირვებით შეხედა: „გიორგი"; ბაბუას ხო გოგიტა ერქვა?

— გოგიტას შინაურობაში ვეძახდით, საბუთებში გიორგი ეწერა. — აუხსნა სონამ. თენგიზი თითქოს დამშვიდდა. ამხანაგები როგორ დავაჯეროო, ეს ფიქრი მაინც აწუხებდა.

* * *

მე და რუბენი გოგიტას ოჯახს ღამით მივადექით კარს.

— გოგიტა!... — როგორც კი შევძახე ორ-სამჯერ, ყველანი ეზოში გამოეფინენ: ცოლი, შვილები, შვილიშვილები... სონა გაოცებული მოგვიახლოვდა. რომ გვიცნო; გადაგვკოცნა და თვალზე ცრემლები მოადგა:

— თქვენ გაგახარათ ღმერთმა, ორმოცი წელიწადია, „გოგიტა" აქ აღარავის დაუძახნია, პირველად რომ ჩამესმა, შევცბი: ყური ხომ არ მატყუებს-მეთქი.

— ვიცოდით, გაგეხარდებოდა და იმიტომ დავიძახეთ... — ვუპასუხე მე და მისვლის მიზეზზეც ჩამოვუგდე სიტყვა.

— რა უნდა გიამბოთ, — მითხრა მან და თვალები თავსაფრის ყურით ამოიწმინდა, — გოგიტა 1912 წელსაა დაბადებული. ომში 1941 წლის ბოლოს გაიწვიეს. ჯაბა ოთხი წლისა დატოვა, სულიკო — წლინახევრის. მრავალი ფიქრი ჰქონდა, მრავალი გეგმა და ყველაფერმა ამაოდ ჩაუარა.

— რატომ ამაოდ?! აგერ არა ვართ?! — გაიცინა ჯაბამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ კი ხართ, შვილო. ღმერთმა მიდღეგრძელოს თქვენი თავი, მაგრამ ის [illegible]ფერს მოესწრო. — მიუგო მან და მერე განაგრძო: — სულ ოთხი წერილი მივიღეთ, ოთხივე ქერჩიდანაა. გამოვიტან აგერ და თქვენც წაიკითხავთ: ყველა წერილში ჩემზე დარდობს განსაკუთრებით. მშობლებს უთვლის: მე არა მიშავს რა, მეუღლეს მიმიხედეთ, სუსტად დავტოვე და იქნებ ექიმთან მიიყვანოთო. მაშინ მართლა სუსტად და ლანიოფად ვიყავი. ხელმოკლეობამ და გაჭირვებამ გამაკაჟა. არც დღე და არც ღამე ჩემი მოსვენება არ იყო, საკაცო საქმეც ჩემს მხრებზე გადადიოდა და საქალოც. ზოგჯერ ვიტყოდი ხოლმე: ერთი ახლა გოგიტას დაანახვა ამ თოვლ-ჭყაპში ბარი რომ მიჭირავს ხელში და მიწას ვაბრუნებ-მეთქი!..

ხონამ თეთრი, გაუთოებული ხალათი მოგვიტანა, რომლის გულისჯიბეშიც გოგიტას წერილები იდო.

— ამ ბლუზაში დაიწერა ჯვარი. — სახეზე წამოწითლდა სონა, — მერე აღარ იცვამდა, სამახსოვროდ უნდა შევინახოო. ხოდა, მეც ვინახავ. კი დაძვა, მარა სანამ მე ვიცოცხლებ, ესეც გაძლებს, მე მგონი....

### ჯაბას ნაამბობიდან:

ეს ხალათი პატარაობიდანვე მიყვარს. გამოვაღებდი კარადას და ისე ვუმზერდი, კატა ძეხვს რომ ვერ შესწვდება და შორიდან შეჰყურებს. ცოტა რომ წამოვიზარდე, სკამზე შევდგებოდი, ხალათს ხელს მოვკიდებდი, გულში ვიხუტებდი და ვსუნავდი. მამაჩემის სუნს ვგრძნობდი და მიხაროდა. ერთხელ, სკამზე რომ ავდიოდი, ფეხი ჩამიცდა და იატაკზე მოვადინე ზღართანი. ცხვირი გამიტყდა და სისხლი წამსკდა. კიდევ კაი, მამის ხალათი არ დამესვარა...

* * *

— რა გახსოვს ყველაზე ნათლად მამასთან ურთიერთობიდან? — შევეკითხე ჯაბას.

— ფიცრისგან ხის თოფი გამომითალა და მხარზე გადამკიდა. მერე ლექსი მასწავლა: „რას, დვა, ტრი, შემოტრიალდი, ხელში თოფი დაიჭირე, ომში წამოდი“. დამაყენებდა ხოლმე „სმირნაზე“ და ამ ლექსს მამეორებინებდა. ბებიაჩემი საყვედურობდა, ბალანას სხვა რამე ასწავლე, ომზე ნუ ალაპარაკებო.

— მამა მეც მახსოვს, ფოჩიან კამფეტებს მომიტანდა ხოლმე. — ჩაერია სულიკო.

— წლინახევრისა ყოფილხარ და რა დაგამახსოვრდებოდა? კამფეტები, ალბათ, სიზმარში მოჰქონდა... — მინდოდა მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე.

### ნაწყვეტები წერილებიდან

„...ყოველ წამსა და ყოველ წუთს მოსაგონარო, ჩემო მშობლებო, ოჯახო, გული არ გაიტეხოთ და თავი დარდს არ მისცეთ. ამბობენ: ფაშისტები მცივანეები არიან, ამ ზამთარს ვერ გაუძლებენო.. თუ მანამდე არ მოვედი, მე მგონი, გაზაფხულზე მაინც ჩამოვალ...“

„...ერთი თვეა ფრონტზე ვარ და მტერს ჯერ პირისპირ არ შევყრივარ. ისე, ძალიან მაინტერესებს, რა სიფათები აქვთ ამ კაციჭამიებს...“

„...სონა, თვალი გეჭიროს, ბავშვებმა გაურეცხავი ყურძენი და ატამი არ შეჭამონ. ხო გახსოვს, დეკანოიძეებში შარშან ამ დროს მუცელა რომ გავრცელდა და ორი ბავშვი კიდეც იმსხვერპლა?!“

„...მამა, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ხარებს გაუფრთხილდი, საკვები არ მოაკლო. ლამაზას ხანდახან რქების აქნევა სჩვევია და ჯაბა მოარიდე“.

„...ძვირფასო მშობლებო, ყოველმხრივ დაწყევლილი წელიწადი დაგვიდგა. ომს გვალვა და მოუსავლიანობაც დაერთო. ვიცი, შრომადღეებზე ბევრს არაფერს დაანაწილებენ. რაღაც უნდა იღონოთ, წლის სარჩო რომ მოიმარაგოთ. ბეღელი გაყიდეთ. რომ ჩამოვალ, უკეთესს ავაშენებ...“

„...ჯაბა და სულიკო, ჩემო სიცოცხლეებო, დაუჯერეთ დედას და რომ ჩამოვალ, ერთ ურემ ფოჩიან კამფეტს ჩამოგიტანთ. ფოჩიანი კამფეტები აქ მუხლზე ყრია“.

„...საყვარელო მამა და დედა, მომიკითხეთ იულია, შორიდან ხელის ჩამორთმევით და პირზე კოცნით. მომიკითხეთ ნინა, შორიდან ხელის ჩამორთმევით და პირზე კოცნით. მომიკითხეთ სონა შორიდან ხელის ჩამორთმევით“.

**იულია და ნინა გოგიტას დებია. მათზე წერს პირზე კოცნით მომიკითხეთო, მეუღლეზე კი არა, მშობლების ეხათრება.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სერგო და პლატონ საამოს ძე სადუნიშვილები

**უწყება ერთ დღეს მიიღეს, გასაწვევ პუნქტშიც ერთად წავიდნენ. წვრთნასაც ერთად გადიოდნენ. ორი თვის შემდეგ დააშორეს ერთმანეთს, 1941 წლის 13 ივლისს გამოგზავნილ ბარათში სერგო ცოლს წერს:**

„სადიკო, გენაცვალე, პლატონი წუხელ ეშელონს გააყოლეს. რომელ ფრონტზე წაიყვანეს, რა ვიცი... აქამდე მაგრად ვიყავი. ძმას რომ ვხვდებოდი, წამით ომი მავიწყდებოდა, მეგონა ისევ ჩემს ოჯახში ვარ-მეთქი. აწი რაღა ვქნა მარტოდმარტომ. ნეტაი, მეც მალე გამიყვანდნენ ფრონტზე: შამხანის სროლა არ შემეშლება, ტყვიას ტყვიაში ვაჯებ".

**ძმის დაშორებას პლატონიც ძალიან დაუღონებია:**

„ბაბო, მეორე დღეა, მაგრად ჩაკეტილ ვაგონში ვზივარ და მივდივარ, მივრახრახებ. სად მივდივარ, ჯერ არ გვეუბნებიან. ყველაზე უფრო ის მაწუხებს, სერგოს რომ დავშორდი. ვაითუ, ველარ ვნახო ჩემი საყვარელი ძმა".

**ძმებს შეხვედრა მართლაც აღარ ეწერათ თურმე. პლატონი 1942 წლის გაზაფხულზე დაიღუპა ქერჩთან, სერგო კი — დასავლეთ უკრაინაში 1944 წელს. ერთსაც ხუთი შვილი დარჩა, მეორესაც...**

## ოჯახის წევრთა ნაამბობიდან

### სადიკო (სერგოს მეუღლე):

სერგო ომში რომ წავიდა, ხუთი შვილი დამიტოვა. ისე პატარები იყვნენ, ცხრილზე რომ დაგესვათ, ზემოთ ერთიც არ შერჩებოდა. სულ უმცროსი — მიშიკო ათი თვისა არც იყო, რაღაც დღეები აკლდა. ქმარი მატარებელზე რომ გავაცილე, ბალღიც წავიყვანე. ძუძუს ვაწოვებდი და შინ ხომ ვერ დავტოვებდი?! რა ქნა ი თოთო ბალღმა, იცით? ვისაც ვუთხარი, არ დამიჯერა: იგონებო. თქვენც არ დამიჯერებთ. მაინც გეტყვით. მატარებელი რომ ჩამოდგა, იქვე, ხის ძირას თავსაფარი დავფინე და მიშიკო ზედ დავსვი, მერე სერგოს მივეხმარე ხაბაკის მიტანაში, თანაც თვალი მიშიკოსკენ მეჭირა. მატარებელი რომ დაიძრა და სვლას უმატა, მიშიკო ჯერ ბობღვა-ბობღვით წამოვიდა ჩვენსკენ, მერე ნელა-ნელა წამოდგა, ხელები გაშალა და აჩქარებით წამობაჯბაჯდა, იფიქრებდი, საცაა მიწას მოსწყდება და გაფრინდებაო.

— მიშიკო! — შესძახა ჩემმა კაცმა, გაქანებული მატარებლიდან ჩამოხტა და ბავშვი ჯულში ჩაიკრა, თან გულამომჯდარი ლუღლუღებდა რაღაცას. ორასიოდე ნაბიჯზე მატარებელი გაჩერდა. კომისარიატის თანამშრომელმა მოირბინა და სერგოს უყვირა: ტრიბუნალზე გადაგცემო.

— რახან ეს დავინახე: ჩემმა ბიჭმა ფეხზე გაიარა, აწი თუნდ მოვკვდე, არ დავეძებ! — უპასუხა სერგომ და ცრემლები წამოუვიდა. ნასვამი იყო და თავი ვერ შეიკავა.

— დიდი ამბავი! ბავშვი ფეხზე გაივლის, აბა, რა!

— აქამდე არც უცდია, ახლა გაიარა!

— ჩვენი დამარცხება შეუძლებელია. ბალღიც კი ნაადრევად სწავლობს სიარულს, ომში წასვლა ეჩქარება! — იხუმრა ვიღაცამ იქვე შეჯგუფულ ხალხში და დანაღვლიანებულ გამცილებლებს სახეზე ღიმილი მოჰგვარა.

### მარიამი (პლატონის ასული):

ათი წლის თუ ვიქნებოდი, მამაჩემის დაღუპვის ცნობა რომ მოვიდა. ჩვენს ეზოში უამრავი ხალხი შეგროვდა. ბაბუა სახელოსნოში იყო და ფიცრებს აშალაშინებდა. საზარელი ამბავი რომ გაიგო, შალაშინი თავპირში დაიშინა. ძლივს გააკავეს. რაღა დროს: თავპირი უკვე დაეჩეჩქვა, სისხლი და ცრემლები ერთად ჩამოსდიოდა სახეზე. დედას გული შეუღონდა. ბავშვებიც ვქვითინებდით. იყო მოთქმა-გოდება და ცოდვის კითხვა.

მის შემდეგ ორმოცი წელიწადი გავიდა და ის საშინელი დღე მეხსიერებიდან არ მშორდება. მაშინდელი გლოვა და ზრიალი, ვინ იცის, რამდენჯერ დამსიზმრებია და ჭირის ოფლში გაღვარულს გამღვიძებია. მერე ჩუმი ცრემლებით მომიოხებია გული.

### ბაბო (პლატონის მეუღლე):

დიდი ოჯახი გვქონდა: 15 სული ვიყავით. ბათმან ფქვილს რომ გამოვაცხობდით, ცოტა ხნის მერე ჩვენს თარო-თახჩაში მჭადის ნატეხს ველარ იპოვიდით. ნათქვამი კაცს არ გაუკვირდება და ძალიან გვიჭირდა. სადიკოსა და მე დღედაღამ მოსვენება არ გვქონდა, საკაცო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეებსაც ვაკეთებდით, საქალოსაც. თუმცა მარტო ჩვენ რას გავხდებოდით, რომ არ გვყოლოდა მარჯვე და ხელგამომავალი. ღმერთმა აცხონოს ჩვენი დაუვიწყარი და მუდამ კეთილად მოსაგონარი საამო, მართლაც საამო ადამიანი იყო.

## გახსენება

საამო სადუნიშვილი განთქმული მეურნე და მუხლჩაუხრელი მშრომელი იყო. გოლიათური აღნაგობის კაცს უსაზღვროდ კეთილი გული ჰქონდა. წისქვილში ან ბაზარში რომ წასულიყავით, მის ეზო-კართან უნდა ჩაგვევლო. ბავშვებს რომ შეგვხვდებოდა, ყოველთვის გაგვიღიმებდა, მოგვეფერებოდა, რაღაც სახუმაროს გვეტყოდა. ამიტომ ყველას გვიყვარდა. თუმცა ერთხელ მე შიშიც მაჭამა. არა, მას კი არ შევუშინებივარ, მისმა საქციელმა შემაშინა...

ორმოცდაოთხი წლის გაზაფხული იყო. ბებიამ წამიყვანა წმინდა გიორგის სამლოცველოში, ჩვენი სოფლიდან ხუთიოდე კილომეტრით რომ იყო დაშორებული და მთის შემაღლებულ კალთაზე მდებარეობდა. ღმერთს იყო შეპირებული: ყოველწლიურად გეახლები ძღვენით, ოღონდ შვილიშვილი ომიდან სალსალამათი დამიბრუნეო. რომ ავედით, იქ ხუთიოდე მლოცველი დაგვხვდა. ყველანი ქალები იყვნენ. ის იყო მზე ჩავიდა და საამოც ამოვიდა. გაგვიკვირდა: ცარიელ-ტარიელი იყო, ხელში მხოლოდ წინსაბიჯგი ჯოხი ეჭირა.

— შენ გაგახაროს ღმერთმა, საამო, რომ ამოხვედი! მარტო ქალები ვიყავით და... — მე არ ჩამაგდო სათვალავში ბებიამ.

— მე სამდურავის სათქმელად ამოვედი. ქე წავალ მალე. — უპასუხა სახემოღუშულმა და გაფითრებულმა. ცოტა ხანს გაყუჩდა, მერე მძიმედ ამოიოხრა და განაგრძო: — რაც ომი დაიწყო, აქ ყოველ წელიწადს ამოვდიოდი და ნასუქი ჭედილა ამომყავდა. მერედა, ამ წმინდა გიორგიმ რა გამიკეთა? ორმოცდა ორ წელს ერთი ბიჭის დაღუპვის ქაღალდი მომივიდა, აგერ ახლა კიდევ მეორისა... ვინღა დამრჩა?!

— საამო, ღმერთს ნუ გმობ, ვენაცვალე მის სახელს! — გააფრთხილა ბებიამ.

— ვგმობ თუ არა... ნეტაი, მეც ახლავე მომკლავდეს და გამათავებდეს! ჩემი სიცოცხლე მაინც აღარ ღირს... — ხელი ჩაიქნია მან და სამლოცველოს ჩამონგრეულ კედლებს ამრეზილად გადახედა. კარგა ხანს იდგა სახემოქუფრული, მერე უხმოდ შებრუნდა და, არც გამოგვემშვიდობებია, თავდაღმართს ნელი ნაბიჯით დაუყვა.

დავით კლდიაშვილის „შერისხვა" უკვე წაკითხული მქონდა. მოთხრობის დედააზრს მაშინ ვერ ჩავსწვდი, მეგონა კაცია საგუნაშვილი წმინდა გიორგიმ დასაჯა: რატომ უარმყავით-გულის თრთოლვით გავიფიქრე: საამოსაც იმსხვერპლებს-მეთქი. მერე ეს ფიქრი კარგა ხანს არ მასვენებდა, სადუნიშვილების უბნიდან ავისმაუწყებელ ამბავს ველოდი.

კაციასაგან განსხვავებით, საამომ მის შემდეგ კიდევ ათიოდე წელიწადს იცოცხლა, შვილიშვილები დაზარდა და მათ ბედნიერებასაც შეესწრო.

## წიგნაძე ვალერიან (ვალიკო) სარდიონის ძე

მაისის მზიანი დღე იყო. ბავშვები სკოლისკენ მივიჩქაროდით. ვალიკოს სახლს რომ მივუახლოვდით, ჭიშკართან ვალენტი ბიცოლა დაგვხვდა — ვალიკოს მეუღლე, ცალ ხელში ვარია ეჭირა, მეორეში კი — ნაჯახი.

— დამიკალით, თქვენმა გაზრდამ!... ბიჭები არ მყავანან შინ. ე კაცი კია, მარა რათ გინდა, ქათამს ვერ დააკვლევინებ, მეცოდებაო. — გვითხრა და სანამ ვარიას ჩამოვართმევდით, მეუღლისკენ მზერა გააპარა, ხომ არ გაუგონიაო. ვალიკო საფრჩხილავე ლატანს თლიდა, ჩვენსკენ არც მოუხედავს.

...პირველ სექტემბერს კიდევ ჩავიარეთ იმ ჭიშკართან. ტირილმა და მოთქმა-გოდებამ შეგვაჩერა, სახლიდან გამოდიოდა:

— ეს რა მიყავი, ვალიკო, ბაჭაჭყებთან მარტოდმარტო რომ დამტოვე?! ბარემ აქვე დაგვცემოდა ბომბი და ერთად დავხოცილიყავით... ვაი, ჩემს გაჩენას, რა გვეშველება უშენოდ!... თუმცა ჯანაბას ჩვენი თავი, რავარც იქნება გავაძალორებთ წუთისოფელს ან ისე ან ასე... შენ ხარ სატირალი, შე საცოდავო!...

ვალენტის ხმა იყო, ომში წასულ ქმარს ტიროდა. ეზოში ახალფრჩხილეებიანი ურემი მოჩანდა, კონკილაზე შეყენებული.

* * *

ვალიკო მშვიდი და წყნარი ცხოვრებისთვის იყო დაბადებული. რომც განაწყენებული-ყო, ხმას იშვიათად შეუმაღლებდა. ყველას შუბლგახსნილი ხვდებოდა, სახეზე კეთილი ღიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არ შორდებოდა. მეზობლებს უყვარდათ. მთელი სოფელი რომ მოგევლოთ, [illegible] ვერავის წამოაცდენინებდით.

მეურნეც სანაქებო იყო. მისი ხარ-ურემი, გუთანი თუ კავ-სახვნელი ყოველთვის გამოირჩეოდა. ხარებს უბრალო გამწევ ძალად კი არ თვლიდა, თავის გულითად მეგობრებად მიაჩნდა. მათ მოვლა-პატრონობაზე გული არ შეუჭერდებოდა. თვითონაც ხარს ჰგავდა, დღეშუდამ ქედწახრილი შრომობდა. ან კი რა ექნა, შვიდი შვილის მამა იყო.

## ნაწყვეტები ბარათებიდან:

„...ვალენტი, გენაცვალე! სიჭაბუკეს სიბერემდე ელოდეო, მართალი უთქვიათ, რაღა დროს ჩემი ომია, შვიდი შვილის მამა ვარ!... მაგრამ არ დაგვაყენა მტერმა და რა ვქნათ“.

„...ამ ხნის კაცი ვარ და ზღვა არ მენახა. რამდენა ყოფილა ეს დასაქცევი: მივდივართ და ნაპირი აღარ ჩანს“.

„...ბრძოლის პირველი დღე უფრო გამიჭირდა. მარტო ხმა მაყრუებდა და მზარავდა, სხვა რო არაფერი ვთქვა. თანდათან მივაჩვიე ყური. სხვა რა გზა მაქვს“.

„...დამიკოცნე ჩემი შვიდი შვილი: ლიანა, მერიკო, პახო, ალიოშა, ვანიჩკა, მარუსა, მარგალიტა... ჩამოთვლას უმცროსებიდან რომ ვიწყებ, არ გაგიკვირდეს. პატარები უფრო შეცოდებიან და პირველად ესენი მომადგნენ ენაზე“.

„...ლიანას ძუძუ არ გააშვებინო. ისე მიდის საქმე, შვილების ძუძუს წოვება ლიახათი დაგვიმთავრდება, მეტი ბალღი, ალბათ, აღარ შეგაწუხებს“.

ბოლო წერილი 1942 წლის სამი მარტით თარიღდება. 15 მარტს კი დაღუპვის დეპეშა მიიღეს.

* * *

გაიარეს წლებმა: იმედებში, დარდებში, სიხარულში, წვალებაში, შრომაში, ტირილში, სიცილში... გასაზრდელი გაიზარდა, გასათხოვარი გათხოვდა. დასაქორწინებელმა ცოლი ითხოვა... ვალენტიმ ოთხმოც წელიწადს გადააბიჯა. ბოლო დროს სიბერემ და ავადმყოფობამ ერთად შეუტია და სულ მალე კიდეც დაჯაბნა. ხალხთანაც და ოჯახთანაც პირნათლად ვალმოხდილმა ქალმა 1981 წლის გაზაფხულზე თვალი დახუჭა სამუდამოდ.

ვალენტის დასაფლავებას ტირილის დღე რომ ვუწოდოთ, არ ვიქნებით მართალნი. გლოვა-გოდებას ხომ სულაც არ ჰგავდა. ეს იყო სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების ზეიმი, ნამდვილი ზეიმი. თვალს უხაროდა, ამ ამაგდარი დედის მოდგმას რომ უყურებდა. მოსამძიმარეებს სიყვარულით, ღიმილით, ხვდებოდნენ: შვიდი შვილი, ოთხი სიძე, სამი რძალი, ოცდაცხრა შვილიშვილი, ჩვიდმეტი შვილთაშვილი... სამ ბიჭუნას ვალიკო ერქვა. დიდი ვალიკოს სეხნიები დაცანცალებდნენ ეზოში საყვარლად

რაც არ უნდა მოხუცი და დავრდომილი იყოს, დედის გარდაცვალება შვილისათვის მაინც გულის დამწველი და დამდაგველია. დასტიროდნენ შვილები ვალენტის. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მერის ცრემლიანი სიტყვები: მოხუცებულ დედას და ახალგაზრდა მამას ერთად ვგლოვობთ, მათი დაშორება არ შეიძლებაო.

მერი მართალს ამბობდა: ვალიკო ხომ ორმოცი წლისა დაიღუპა...

## პეტრე და სოსო გრიგოლის ძე მიქაძეები

ზაფხულის ერთ საღამოს ბაგრატ შამანაძის ჭიშკართან გრიშა (გრიგოლ) მიქაძის ყვირილი გაისმა. ყველანი გარეთ გავცვივდით. გრიშას ჩიტის სამი დაჭყლეტილი ბარტყი ეჭირა ხელში და ბაგრატს განრისხებული შეჰყურებდა.

— რა იყო, გრიშა, ვინ გაწყენინა? — ჰკითხა ბებიაჩემმა მიახლოებისთანავე.

— შეხედეთ, ამას თუ ადამიანის შვილი იზამს! — გრიშამ ბარტყები მაღლა ასწია, დაჭყლეტილი თავები გამოაჩინა, — ჩემი ვენახის ბოლოში მესკიები ბარტყობდნენ. მოვარდა ბაგრატის „კაი“ ბიჭი, ბუდე ჩამოშალა და ჯერ კიდევ ცოცხალ ბარტყებს ფეხით გადაუარგადმოუარა.

— რომელი ბიჭი? — დაინტერესდა ბებია.

— ფაცუნა!... სავსე ტიკჭორას რომ ჰგავს...

— იქნებ სცდები, გრიშა, ბუდის ჩამომშლელი ბიჭები ქვემო უბანშიცაა! — შებედა ბაგრატმა.

— ჩემი თვალით დავინახე. ვენახს ვმორჩნიდი და ჩაკუზული ვიყავი. ვაი, ჩემი სიცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დღე ორად გაყოფილიყო და ის რეგვენი ხელში მომეგდო!... მაგრამ რას დაეწევი ემაკს და ქაჯს.

— რა იყო ბოლოსდაბოლოს, რას გადაგვაყოლე ამ შენს ბარტყებს, ბავშვობა არ გამოგიცდია?! — ხმას აუწია ბაგრატმა.

— რაო, ბავშვობაო?! — თვალები დაჭაჩა გრიშამ და ბარტყები თავზევით ასწია: — ეს არის ბავშვობა?! რაღა უნდა გელაპარაკო, რაც მამა ბრძანდები, შვილიც ისა გყოლია!

გრიშამ თავისუფალი ხელი ჩაიქნია და სწრაფად შებრუნდა, შარაგზას ფეხაჩქარებით გაჰყვა.

გრიშა პირმღიმარე და კეთილი კაცი იყო. სკოლიდან მომავალი ბავშვები ეზოში ხშირად შევუპატიჟებივართ და ხილით გაგვიმასპინძლებია. ასეთი გაბრაზება თუ სჩვეოდა, რას წარმოვიდგენდი!...

თუმცა იგი უფრო გაბრაზებული და გაფითრებული ვნახე კიდევ ერთხელ. ეს უკვე ერთი წლის შემდეგ მოხდა. ისევე როგორც მესამე ბრიგადის ყველა წევრი, გრიშა და მისი უმცროსი ბიჭი სოსოც კლასის ფართობში თოხნიდნენ, ომის დაწყება რომ გავიგეთ. საშინელმა ამბავმა ზოგს ენა ჩაუგდო და კარგა ხანს სიტყვის თქმა ველარ მოახერხა. გრიშამ კი ჰიტლერს ხმამაღლა შეუკურთხა და მერმე მის ავკაცობაზე ენა გაილესა. სახემოქუფრული ყვიროდა, ხელებს იქნევდა, იფიქრებდი ომის მთავარი დამნაშავე აგერ წინ უდგას და საცაა ყელში უნდა სწვდესო. ყვირილით გული რომ იჯერა, ჩაჯდა, პაპიროსს ხვნეშით მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და მწარედ ამოიკვნესა:

— ვაიმე, ჩემო პეტრე, ვინ იცის, რა დღეში ხარ, ბიჭო!...

* * *

ახლა, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია“ უკვე ხელთ რომ გვაქვს, შეგვიძლია დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, გრიშა მიქაძის უფროსი შვილი პეტრე თუ რა დღეში იყო ომის დასაწყისში.

პეტრე ტანკისტი იყო. მისი სამხედრო გარნიზონი ომის წინ ქალაქ ლვოვში იდგა. ამგვარად, იგი ეკუთვნოდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტს, რომელმაც გერმანიის ჯარის უეცარ თავდასხმას 1941 წლის 22 ივნისს განთიადისას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. ეს ჩანს პეტრეს სამკუთხა ბარათიდანაც, რომელიც 5 ივლისსაა გამოგზავნილი: „საყვარელო მშობლებო, ორი კვირაა გააფთრებულ ომში ვარ. ისეთი ჯოჯოხეთური ბრძოლები გადავიტანე, ფანტაზიითაც რომ ვერ წარმოვიდგენდი. მე და ჩემი ტანკი ცეცხლის ალში გამოვიჯაგეთ, უფრო გავკაჟდით და გავმაგრდით. იმედი მაქვს, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს და ჩემს „ვეფხვს“ მანამ ვაბღუვლებ, სანამ საბოლოო გამარჯვებას არ ვიზეიმებთ...“

იმედიანი წერილებით კიდევ ორ წელიწადს ახარებდა მშობლებს. 1943 წლის ბოლოს კი ერთ-ერთ შეტაკებაში მტრის ქვემეხმა ტანკის ძრავაც დაადუმა და პეტრეს გულისცემაც.

სოსომ საბრძოლო ნათლობა კრასნოდარში მიიღო. კრასნოდარიდან ნოვოროსიისკში გადავიდა ნაწილთან ერთად, იქიდან კი ქერჩში, მოკლე გზით, აზოვის ზღვით უნდა გადასულიყო, მაგრამ გემი მტრის ავიაგამანადგურებლებმა ჩაძირეს. მშობლებმა ეს საშინელი ამბავი სოსოს მეგობრის ბარათით გაიგეს, იმ უმძიმეს ბრძოლაში რაღაც სასწაულით რომ გადარჩენილიყო.

გრიშას ქალიშვილი დოდო სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობდა და ისიც ომში გაიწვიეს მოწყალების დად. მამაცმა ქალიშვილმა ბრძოლებით განვლო გომელი-კიევი-ჩერკასი-პერვომაისკი-ნიკოლაევი... 1944 წელს დაჭრილი და დასნეულებული დაბრუნდა შინ და სულ მალე მშობლიური სოფლის მიწამ მიიბარა.

დედა შვილების დარდს გადაჰყვა. დარჩა გრიშა მარტოდმარტო. დადიოდა თავდახრილი, მხრებჩამოყრილი. რომც არ გეკითხათ როგორა ხარო, შეხვედრისთანავე გეტყოდათ:

— ბუდედაშლილი და ბარტყებდაჭყლეტილი დედაჩიტი თუ გინახავთ, ზუსტად ისე ვარ!...

— რას იზამ, გრიშა, უნდა გაუძლო!.. — ეუბნებოდნენ მეზობლები.

გრიშამ ჭირ-ვარამს მართლაც დიდხანს გაუძლო. 91 წლისა იყო, რომ გარდაიცვალა.

## კუსიანი სილიბისტრო (ბაბია) სამსონის ძე

1941 წლის 22 ივნისს გერმანელი ფაშისტების ქურდულ და მოულოდნელ თავდასხმას ბაბია ბალტიისპირეთის სასაზღვრო ზონაში შეხვდა. 30 ივნისს გამოგზავნილ ბარათში მეუღლეს წერს:

„თამარ, უკვე ომში ვარ. თუმცა ომიც არის და ომიც. ეს არის ყველაზე საშინელი, რაც კი დედამიწის ზურგზე ომი ყოფილა. მით უარესი მტრისათვის. ეტირება ყოფა. დამწარდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურდული შემოჭრა და საბჭოთა ხალხის აწიოკება. შენი ამბავი რომ ვიცი, ზი[illegible] ლად იღერები, ჩემი ქმარი აღარ მომივაო. ნუ გეშინია, მე მოვალ. წერილები რომ ვერ მიილო, მაინც მელოდე, მე უეჭველად მოვალ..."

ეს ბარათი რომ წავიკითხე, კონსტანტინე სიმონოვის „მელოდე" გამახსენდა. ეს ცნობილი ლექსი ასე იწყება: „მელოდე, მე მოვალ, ოღონდ გულისფანცქალით მელოდე..." რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი დამთხვევაა, თორემ აღნიშნული ლექსი 1941 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებული ჯერ კიდევ არ იყო.

თამარმა პირნათლად შეასრულა ჭაჭიას თხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლისგან შვილი არ დარჩენია, ქმრის დანატოვარ სახლკარობას არ მოსცილდა და კერიაზე ცეცხლი არ ჩააქრო. ჟამთა სვლამ მის გუნება-განწყობილებაზე თითქოს ვერ იმოქმედა, მეუღლეს ისევ ელოდება, „მაინც" ელოდება...

თამარის ჭიშკართან რომ მივედით, მოწითალო, ბომბორა ძაღლი შევნიშნეთ. კაკლის ქვეშ დაყუნცულიყო და გზისკენ იყურებოდა. თითქოს შინაურები ვყოფილიყოთ, ჩვენს დაძახილზე ყურიც არ გაუპანტურებია.

— ავი ძაღლი კი გყოლიათ, კინაღამ შეგვჭამა! — ვუთხარი თამარს, ეზოში რომ შევედით და კაკლის ჩრდილში დავსხედით.

— დარდუბალა ამის ძაღლობას! დღეები ისე გავა, ერთხ არ წამოიყეფებს.

— ავად ხომ არ არის? — ჰკითხა რუბენმა.

— ავად კი არა! ახეა პატარაობიდან, ხმას არ იღებს. მერედა, რავარი აზიზი მჭამელია: ხმელა მჭადს არ კადრულობს, წვნიანს გეახლებათ. წვნიანი თუ არ მაქვს, ფაფას ვუმზადებ ხოლმე.

— რად გინდათ უქნარა? — გავიკვირვე მე.

— ჭაჭიას სახსოვრად ვინახავ. ასეთი მოწითალო ძაღლი იყო ისიც, მან რომ დატოვა. უყვარდა. მასხარას ეძახდა. ხო, წაიკითხე, წერილებშიც დიდის ამბით იხსენიებს. ეს ძაღლი იმ „მასხარას" შთამომავალია. ამასაც მასხარა ჰქვია.

— მერამდენე თაობაა? — დაინტერესდა რუბენი.

— მეხუთე.

თითქოს მიხვდა ჩემზე რომ ლაპარაკობენო, მასხარამ ერთ-ორჯერ გაიწკმუტუნა და კუდი გააქიცინა, მერე კი ისევ გზისაკენ დაიწყო უაზროდ ყურება.

## წერეთელი პეტრე ალექსანდრეს ძე

სკოლაში რომ შემიყვანეს, ჩემი ყურადღება ერთმა ამბავმა მიიქცია: გაკვეთილებზე, კრებებსა თუ კერძო საუბრებში ყველას პეტრე წერეთელი ეკერა პირზე. გვასახელა, როგორც ჩვენთან იყო ბეჯითი და მუყაითი, საჩხერის პირველ საშუალო სკოლაშიც ისე სანაქებოდ განაგრძობს სწავლას, იქაური პედაგოგები მადლობას გვითვლიანო, გვეუბნებოდნენ მასწავლებლები და მის წარმატებებს მისაბაძ მაგალითად გვისახავდნენ. განსაკუთრებით მათემატიკურ ნიჭსა და უნარს უქებდნენ. არ არსებობს ამოცანა და მაგალითი, მან რომ ვერ ამოხსნასო, ირწმუნებოდნენ.

პეტრე მეათე კლასში რომ გადავიდა, ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. ეს ამბავი მერჯევში ლეგენდასავით გავრცელდა. ამბობდნენ: დიპლომი თვითონ აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს გადაუცია და უთქვამს: ათწლედს რომ დაამთავრებ, პირდაპირ ჩემთან მოდი, „საპროფესორო" დარგზე უნდა შეგიყვანოო. ზოგი იმასაც უმატებდა: ძველი შარვალ-ხალათი გაუხდიათ და ახალ ტანსაცმელში გამოწკეპილი გამოუშვიათ, მშობლებს ძლივს უცვნიათო...

ასეთი მითქმა-მოთქმა რომ იყო, მესამეკლასელები კიდევ უფრო გავოცდით, 1940 წლის პირველ სექტემბერს საკლასო ოთახის კარი დირექტორმა რომ შემოგვიღო და პეტრე წერეთელი არითმეტიკის მასწავლებლად წარმოგვიდგინა.

ჩვენს ახალ მასწავლებელს დედა უკრაინელი ჰყავდა — ტანია კოპჩენიკოვა. პეტრე დედას მხოლოდ ცხვირით ჰგავდა, სხვა მხრივ ნაღდი ქართველი იყო: სახის იერით, მიხვრა-მოხვრით, ტემპერამენტით. ღრმად ჩამჯდარი, არწივისებური თვალები ჰქონდა, ისე იყურებოდა, იფიქრებდი, რაღაცას ეძებს და ვერ უპოვიაო. 17 წლის ჭაბუკი საოცარ ტაქტსა და პედაგოგიური მიდგომის უნარს ამჟღავნებდა. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მასწავლებელი იყო.

* * *

პეტრეს უმცროსი და ზოია ჩვენი თანაკლასელი იყო. პირველი კლასიდან ხუთებზე სწავლობდა და ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა. ერთ დღეს არითმეტიკის

ახალმა მასწავლებელმა გამოიძახა და გაკვეთილთან ერთად განვლილი მასალაც საფუძვლიანად გამოჰკითხა. ზოიამ დიდებულად უპასუხა, ოღონდ ერთ კითხვაზე წაიფორხილა, თუმცა ბოლოს ისიც გამოასწორა. მასწავლებელმა ჟურნალში „4“ ჩაუწერა. ზოიამ ეს იუკადრისა და ჯერ აქვითინდა, მერმე თანდათან ხმას აუწია. მათი პატარა სახლი იქვე იდგა, სკოლიდან ტყრუშული ღობე ჰყოფდა. ვერ გეტყვით ტანიამ ტირილი გაიგონა თუ გულით იგრძნო. ეს კი იყო, რომ კარი შემოაღო და მასწავლებელ შვილს წარბშეკრულმა ჰკითხა: ჩემი ზოია რატომ ტირისო? მან უპასუხა.

ტანია გოგონასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და დაუყვავა, სირცხვილია, ნუ ტირიო. ზოია დედის მოფერებამ კიდევ უფრო გაათამამა და გული ამოუჯდა, სულს ძლივსღა ითქვამდა.

ტანია პედაგოგ შვილს მიუბრუნდა:

— პეტია, ეს რა მიქენი, მომიკალი გოგო? სადაც ოთხი დაცერე, იქ ხუთი რატომ არ დაცერე? გადაასცორე, შვილო, ტვარა ბაგანა ცოდვაა!

— რაც ეკუთვნოდა, ის დავწერე. ვერ გადავუსწორებ, თუმცა შენი დიდი ხათრი მაქვს, დედაჩემო! — უპასუხა მან დინჯად.

ტანია მაგიდასთან მივიდა, ჟურნალი აიღო და გაბრაზებით ჩაილაპარაკა: შენ თუ ვერ გადაასცორებ, მე გადავასცორებო. მართლაც, მერხზე დაჯდა, საშლელი მოიმარჯვა, „4“ ფაქიზად ამოშალა, მის მაგივრად „5“ ჩაწერა და ჟურნალი ზოიას წინ დაუდო:

— ა, შვილო, ამისთვის ტირი?!

პეტრე დედას წარბშეკრული შეჰყურებდა. გასუსულნი ვისხედით და მასწავლებელს თვალს არ ვაშორებდით. გვეგონა ან ახლა გამოსტაცებს ჟურნალს, ან ახლაო. ზოია უკვე აღარ ტიროდა. ტანიამ ჟურნალი არც დახურა, ისე მიაწოდა პეტრეს. მან ჩამოართვა. კარებში რომ გადიოდა, ტანია შეჩერდა, ჯერ ჩვენ გადმოგვხედა, მერე მასწავლებელს უთხრა:

— ესენი ანგელოზები არიან. გული თუატკინე, ვეღარ იფრენენ, შვილო!

* * *

ალექსანდრესა და ტანიას ექვსი შვილი ჰყავდათ. თოხით და ბარით წვრილშვილის შენახვა უჭირდათ. პეტრე სწორედ ხელმოკლეობამ აიძულა, უმაღლესში შესვლა ცოტა ხნით გადაედო. ამ ერთ წელიწადს ვიმასწავლებლებ, ოჯახსაც მოვალონიერებ და ტანსაცმელსაც შევიძენ, 1941 წლის სექტემბრიდან კი უეჭველად სტუდენტი ვიქნებიო, ფიქრობდა პეტრე და თავისუფალ დროს უმაღლესში ჩასაბარებელ საგნებში მეცადინეობდა. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... პირველი სექტემბრისათვის პეტრე უკვე წრთობაგანვლილი არტილერისტი იყო და იმ შენაერთში ირიცხებოდა, მოსკოვი სულ მალე მტრის გააფთრებული შემოტევისაგან რომ უნდა დაეცვა.

ვალიკო მუმლაძე (კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე) გვიამბობს:

ალექსანდრე წერეთელი მერჯევის კოლმეურნეობის გამგეობის წევრი იყო. ომი რომ დაიწყო, მის შემდეგ ის გაღიმებული აღარ გვინახავს. გამგეობის სხდომაზე ყოველთვის დანაღვლიანებული და ღრმად ჩაფიქრებული იჯდა, არც ავს ამბობდა, არც კარგს. თუ რამეს ვკითხავდით, ძუნწად გვიპასუხებდა ორიოდე სიტყვით, მერე ისევ თავის სადარდელს უბრუნდებოდა.

1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვები იყო. ალექსანდრე სრულიად შეცვლილი, სახეგაბადრული და თვალებაციცინებული შემოვიდა სხდომაზე და ჯიბიდან სამკუთხა ბარათი ამოიღო:

— ჩემს პეტიას საშვიდნოემბრო პარადში მიუღია მონაწილეობა წითელ მოედანზე! — ამოთქვა ზეიმური კილოთი და წერილი გამომიწოდა.

ალექსანდრე სამოქალაქო ომის მონაწილე იყო და სამხედრო საქმე კარგად ესმოდა. 1941 წლის საშვიდნოემბრო პარადის სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა მან ჩვენზე უკეთესად შეაფასა. ამ პარადით იწყება ჰიტლერის დამარცხება და წითელი არმიის გამარჯვებაო, გვითხრა დარწმუნებით. ჩემს შვილს გაუმართლა, ისტორიულ პარადში მონაწილეობა რომ მიაღებინესო, დასძინა ბოლოს.

* * *

1941 წლის 7 ნოემბრის პარადზე, დიდი სამამულო ომის შემდეგ, ბევრი რამ ითქვა. ამას წინათ „პრავდაში“ კიდევ ერთი საინტერესო წერილი გამოქვეყნდა სათაურით „პარადი, რომელმაც მსოფლიო გააოცა“, რომელშიც ვკითხულობთ: „1941 წლის საშვიდნოემბრო პარადმა, მოსკოვთან გადამწყვეტი ბრძოლების წინ რომ ჩატარდა, ჰიტლერელი ხელმძღვანელების პრესტიჟს უძლიერესი დარტყმა მიაყენა“. („პრავდა“, 1981 წ. № 310).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1941 წლის საშვიდნოემბრო პარადს წითელ მოედანზე და მასში მონაწილეობის მიღებას დევგმირული ძალით ალუვსია და სულიერად აუმაღლებია პეტრე წერეთელი. ზემოთ ხსენებულ ბარათში წერს:

„მწყობრში რომ ვიდექი და მავზოლეუმის ტრიბუნიდან მთავარსარდლის სიტყვას ვუსმენდი, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, მეგონა მიწას მოვწყდები და ჩიტივით ცაში გავფრინდები-მეთქი. რა იყო ეს, სიზმარი თუ ცხადი, ჯერაც ვერ გამოვრკვეულვარ. ჩვენი არმიის ძალები წითელ მოედანზე ერთ ჯადოსნურ მუშტად შეიკრა. ეს მუშტი დაამსხვრევს გერმანელ ფაშისტთა სამხედრო მანქანას და სულ მალე გამარჯვების დღეს გაგვითენებს... თუ იმ ნანატრ დღეს შევესწარი, უბედნიერესი კაცი ვიქნები... ბევრი რამ მექნება საამაყო“.

## გახსენება

ზოია გაკვეთილებს შორის შესვენებაზე ზოგჯერ შინ მიირბენდა და ხან მოხარშული სიმინდის მარცვლებს მოგვიტანდა, ხან კი მოხალულ სოიას. ეს სასუსნავი მაშინ ნუგბარ ტკბილეულად ფასობდა ჩვენთვის. იმ დღესაც მან ზარის დარეკვისთანავე სახლს მიაშურა. მოშიებულები საკენკს რომ მოველოდით და თვალი მისი ეზოსკენ გვეჭირა, უცებ ტირილი და წიოკობა მოგვესმა. გავიქეცით. ზოიას სახლის დერეფანში მძიმე სურათი წარმოგვიდგა: ალექსანდრე სკამ-ლოგინზე იჯდა კედელს მიყრდნობილი, მკვდრის ფერი ედო, „ვაიმე, პეტია, შენ მოგიკვდეს მამა!“ — ამოიგმენდა ხოლმე და თავში ხელს წაიშენდა. პეტრეს ყველა და-ძმა გულმდუღარედ ტიროდა, განსაკუთრებით ზოია იფოფრებოდა. ცრემლები მეც მომადგა თვალებზე, თანაკლასელი გოგონები კი ხმამაღლა აქვითინდნენ. მხოლოდ ტანია ჩანდა გაუტეხლად, სახეზე მასაც მკვდრის ფერი ედო, მაგრამ არ ტიროდა, ხან მეუღლეს ამშვიდებდა, ხან კი შვილებს იკრავდა გულში და ეფერებოდა.

მასწავლებლებმაც მოირბინეს. მოვიდნენ მეზობლებიც.

— ალექსანდრე, ნუ იკლავ თავს წინასწარ, შე კაცო! სახლკარობაზე ხელს ავიღებ, თუ ეს დეპეშა ტყუილი არ გამოდგეს. გენო შეყლაშვილმაც კი მიიღო ასეთი ქაღალდი, მარა ბიჭი ქე მოუვიდა შინ, აპა! — სცადა ვითარების განმუხტვა ერთმა მეზობელმა.

— არა, ეს ჩვენი დამღუპველი „ტელეგრამა“ მართალია. პეტია ნამდვილად მოგვიკლეს. ბევრი ხალხი იხოცება, დიდი ომია! — თქვა ტანიამ ისე შეუვალად, ნუგეშისმცემელმა მეზობელმა ხმა ველარ ამოიღო.

დერეფანში, მაგიდაზე პეტრეს სურათი ყვავილებით მორთეს, იქვე მისი წიგნები, რვეულები, აგრეთვე ტანსაცმელი დაალაგეს.

## ქემერტელიძე სიმონ მიხეილის ძე

ჯარში გაიწვიეს 1941 წლის ივლისში, მის მეუღლეს ერთადერთი წერილი შემორჩენია, იმავე წლის აგვისტოშია დაწერილი. ჩვეულებრივი სამკუთხა ბარათია, „მოკითხვისა“ და „ნახვის ნატვრით“ გამთბარი. ჩვენი ყურადღება ერთმა ადგილმა მიიქცია. სიმონი მეუღლეს წერს:

„ვენახს კაი პირი უჩანდა, ახლა როგორაა? ერთი შეწამვლა კიდევ სჭიროდა. უცებ წამომიყვანეს და ველარ მოვასწარი. ყურძენი, ალბათ, შეთვალებული იქნება. ჩემო ცაცა, ერთ რამეს გთხოვ: ჩხები ბევრი აჭერი, აკიდოებადაც ბლომად შეინახე. ყურძენს ნახერხი დააყარე და აღარ დაჭკნება. ხომ იცი, ყურძენი ძალიან მიყვარს. მალე გავიმარჯვებთ, ჩამოვალ და რაც ოთველზე ყურძნის ჭამა დამაკლდება, გაზაფხულზე ავინაზღაურებ“.

ხედავთ? გაზაფხულამდე გამარჯვების ზეიმსაც მოვასწრებ და შინ დაბრუნებასაცო. რა იყო ეს, ზედმეტი თვითდაჯერება თუ გულუბრყვილობა? არც ერთი და არც მეორე. ეს იყო რწმენა... რწმენა ჩვენი ქვეყნის უძლეველობისა... ამ რწმენით იზრდებოდა სიმონი (ისევე როგორც ყველა საბჭოთა ახალგაზრდა). ამ რწმენით შეხაროდა მომავალს და ამ რწმენით გაეშურა ფრონტზე დამპყრობელთა მოსასპობად და გასანადგურებლად.

## გახსენება

1942 წლის ცხელი ზაფხული იყო. ჩემს გვარეულობასთან ერთად მეც საჩხერის რკინიგზის სადგურზე ვიყავი, ომში მიმავალ ბიძას ვაცილებდი. უამრავი ხალხი ირეოდა. ზოგიერთებს აკაციების ჩრდილში სახელდახელო სუფრებიც გაეშალათ და ლალისფერი ღვინით სავსე ჰიქებს ერთმანეთს უჭახუნებდნენ. შევყურებდი ზურგჩანთიან ჭაბუკებს და მიხაროდა: მხნედ და იმედიანად გამოიყურებოდნენ. „ჰიტლერის თავს ჩამოვიტანთ და ჩამოვალთო“, გაიძახოდნენ, აცრემლებულ დედებს და მეუღლეებს გაღიმებულნი ამშვიდებდნენ. მათი მხიარული განწყობილება მეც გადმომედო და ბიძაჩემს ვკითხე:

— ჰიტლერის თავს შენ არ ჩამოიტან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, ნეტა ჩემს თავს ჩამოვიტანდე და... — ჩაილაპარაკა ნაღვლიანად და სადღაც [illegible] უაზროდ გაიხედა.

მიწა რომ გამსკდომოდა და ქვესკნელში ჩავეტანე, მირჩევნოდა. „ესენი ყველანი სასახელოდ იბრძოლებენ და გმირულად დაბრუნდებიან, ბიძაჩემი კი მშიშარა ყოფილა, ფრონტზე თავს ვერ გამოიჩენს, შეიძლება სულაც შეგვარცხვინოს...“ — გავივლე გულში და მერმე ამ ფიქრმა ძილიც ბევრჯერ გამიტეხა.

## გერვასი, ლავრენტი, ტარასი ილიკოს ძე დეკანოიძეები

ქართული ხალხური საუნჯის ერთ-ერთი დიდებული ძეგლია „ამირანის თქმულება“, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ზეპირად ვრცელდებოდა და თაობიდან თაობებს გადმოეცემოდა. დევებთან და ღმერთებთან მებრძოლი ამირანი ბოლოს დასჯის და კავკასიის მთაზე მიაჯაჭვეს.

სრულიად ბუნებრივია, რომ კავკასიის ფრონტზე მებრძოლ ლავრენტი დეკანოიძეს ბავშვობაში ბუხრის პირას გაგონილი თქმულების გმირები მოაგონდა. ერთ ბარათში იგი წერს:

ამირან, ბადრი, უსუპი საომრად შევიყარენით,
სხვადასხვა ნაწილში მოვხვდით, დროებით გავიყარენით.

გერვასი, ლავრენტი და ტარასი დეკანოიძეები 1942 წლის მარტში გაიწვიეს ჯარში. მძიმე იყო ეს პერიოდი ჩვენი სამშობლოსათვის. მტერი 1942 წლის ზაფხულში უკვე კავკასიას მოადგა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს რეალური საფრთხე შეუქმნა. უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებამ საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ეროვნული სამხედრო შენაერთები ჩამოაყალიბა. გერვასი, ტარასი და ლავრენტი ქართულ დივიზიაში გაამწესეს, ოღონდ სხვადასხვა ნაწილებში. გერვასის ბარათში ვკითხულობთ: „სულ ქართველმა ბიჭებმა მოვიყარეთ თავი. ჩვენს ლაპარაკს და ყიჟინს რომ მოუსმინოთ, პატარა კახის ლაშქარია, იფიქრებთ“.

ლავრენტის ბარათიდან აღსანიშნავია ერთი ადგილი: „ჩვენთან ქართველი პოეტები იყვნენ. კაი შაირები წაგვიკითხეს. „შხამად შეერგოს დედის რძე, ვინც მედგრად არ იბრძოლოსო“, ერთი შაირი ასე იწყებოდა. ქვემეხს რამდენჯერაც კი დავაქუხებ და მტერს ყუმბარას ვესტყორცნი, გულში იმდენჯერ ვიმეორებ: შხამად შემერგოს დედის რძე, თუ მტერს შევუშინდე და ოდესმე ზურგი ვუჩვენო“.

აღნიშნული სტრიქონი ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) ლექსის „სიმღერა გამარჯვებისა“ სტრიქონია. ამგვარად, ირკვევა, რომ ლავრენტი დეკანოიძეს ხსენებული ლექსის ავტორისთვის მოუსმენია. ჩვენ დავინტერესდით, ალიო მირცხულავა როდის იყო ფრონტზე და რომელ ნაწილში? ამ მიზნით გავეცანით ცნობილი ჟურნალისტის ქართველთა 392-ე მსროლელი დივიზიის საფრონტო გაზეთის რედაქტორის პეტრე შამათავას „მოგონებათა ფურცლებს“. ერთგან ასეთი ცნობა ამოვიკითხეთ: „1942 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში, მოვლენათა კვალად, ფრონტზე მოქმედ არმიაში, ჩვენს ქართულ დივიზიაში ჩამოვიდა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია. მასში შედიოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ილია თავაძე, პოეტები ირაკლი აბაშიძე, ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) და სიმონ ჩიქოვანი. მათ ათი დღე დაჰყვეს თანამემამულეებთან, გადასცეს მშობლიური ხალხის მადლობა, საუკეთესო სურვილები მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოწინავე ხაზზე შეხვდნენ მეომრებს და დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ“ („ლიტერატურული საქართველო“, 4. XI, 83 წ.).

აქედან ისიც ირკვევა. რომ ლავრენტი დეკანოიძე (შეიძლება მისი ძმებიც) 392-ე მსროლელ ქართულ დივიზიაში ირიცხებოდა.

როგორც ცნობილია, კავკასიისათვის ბრძოლა 14 თვეს გაგრძელდა. მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა 1942 წლის შემოდგომაზე.

მტერმა დარტყმა კავკასიონის ქედის ცენტრალური მიმართულებითაც, განავითარა და ხელთ იგდო ქლუხორის, სანჭაროს და მარუხის უღელტეხილები.

## გახსენება

ფრონტი ისე მოახლოვდა, ქვემეხების გრიალი მყუდრო ამინდსა და ღამის სიჩუმეში გარკვევით გვესმოდა. სიხერის რაიონში ჩამოყალიბდა გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებშიც გაერთიანდა ყველა ბერიკაცი და ხეიბარი, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. მათი მიბაძვით ჩვენი უბნის ბიჭებმაც შევადგინეთ რაზმი, შევიარაღდით დანებით, პატარ-პატარა წალდებით და შურდულებით. ერთ დღეს მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ ფრონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტზე წასვლა. იმ დროს ზოია კოსმოდემიანსკაიასა და საშა ჩაიკინას გმირობის [illegible] და ყველას პირზე. ჩვენც გვეგონა, როგორც კი მტერს შევებრძოლებით, ყველანი გმირები გავხდებოდით-თქო. ვთქვით და კიდეც შევასრულეთ: უთენია ავდექით და გავიპარეთ „ფრონტზე". „მერჯევის ქვემო უბანში რომ ჩავიარეთ, კიდევ სამი თანაკლასელი შემოგვიერთდა. ერთი მათგანი გივი იყო, ლავრენტი დეკანოიძის ბიჭი, უბით ჩვილი ძმის სურათი მოჰქონდა: მამასა და ბიძებს უნდა ვაჩვენო, ჯერ არ უნახავთ და გაუხარდებათო.

ყანა-ყანა და ვენახ-ვენახ მივძრომიალობდით, ვფრთხილობდით, წინ არვის შევჩეხებოდით. ხოდაბუნები რომ გავიარეთ, ცა თანდათან მოიქუფრა, საავდრო ღრუბლები დაბლა-დაბლა დაეშვნენ. სულ მალე დაგვსცხო წვიმამ, მაგრამ რა დაგვსცხო... ტოტებგაბარჯღულ კაკლის ხეს შევეფარეთ. მანაც ვერ გვიშველა. ყველაზე საცოდავად გივი გამოიყურებოდა: უბეში ძმის სურათს ხელს აფარებდა და წვიმის წვეთებთან ერთად ცრემლებიც ჩამოსდიოდა სახეზე. ეშინოდა, დედა მომკლავს სურათი რომ გამიფუჭდესო. გაწუწულ-გალუმპულნი და მოშიებულნი შინ გვიან-გვიან მივლასლასდით. ჩვენი გმირობაც ამით დამთავრდა.

* * *

კავკასიისათვის ბრძოლა 1943 წლის 9 ოქტომბერს წითელი არმიის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამ დიდ გამარჯვებაში სამი ძმის — დეკანოიძეების წვლილიც არის.

მე და რუბენი ლავრენტის ნაბოლარა შვილს ჯემალს ვენახში შევხვდით, ვაზებს ხარდანს უცვლიდა. მამა-ბიძებზე სიტყვა რომ ჩამოვუგდე, ისე აღელდა, თითქოს მათი დაღუპვის ცნობები იმ დილით მიეღოს. მან გვიჩვენა „ახალგაზრდა კომუნისტის" 1982 წლის 22 ივნისის ნომერი, რომელშიც დამაღონებელი ამბავი ამოვიკითხეთ. ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს იალბუზზე ექსპედიცია გაუგზავნია. მოვუსმინოთ ამ ექსპედიციის მონაწილეს: „გამდნარმა ყინულეთმა ჩვენს თვალწინ გამოაჩინა 12 საბჭოთა ჯარისკაცის ნარჩენები. ისინი დაეცნენ იალბუზზე, როგორც გმირები... გახეული ფარაჯა, ვარსკვლავიანი ღილები, გიმნასტურის ნაფლეთები, ჩექმები... შაშხანის ნამსხვრევები. კონდახზე იარაღის ნომერი 77966. ჯიბეში ერთადერთი დოკუმენტი, რომელსაც შერჩენოდა მხოლოდ შავი სალებავით ღრმად ამბეჭდილი სიტყვა „საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი".

— ჩემი მამა-ბიძებიდან გერვასი იყო კომკავშირელი. შეიძლება ის დოკუმენტი მისია, ვინ იცის! — თქვა ჯემალმა და მძიმედ ამოიოხრა.

ჯემალის მამა-ბიძებთან ერთად კავკასიონის მიწამ მიიბარა დეკანოიძეები: ზოსიმე ვანოს ძე, ვარდენ ოტიას ძე, ტრიფონ ილარიონის ძე, გოგიტა არსენის ძე, კვირვალიძე გიორგი არჩილის ძე, სადუნიშვილი ალექსანდრე თეოფილეს ძე...

## კაპანაძე ვლადიმერ (ლადო) ბაგრატის ძე

ომამდე და ომის წლებში ყვირილაზე მრავალი წისქვილი იყო, რომელთა შორის გამართულობით ბაგრატი კაპანაძისა გამოირჩეოდა. ლადო ბავშვობაში ხშირად იყო ხოლმე წისქვილში მამასთან. თოფსა და ბადეს პატარაობიდანვე შეეჩვია. ნადირობასა და თევზაობაში, ვინ იცის, რამდენჯერ დაღამებია და დასთენებია. მეძებარ ძაღლს გაიგდებდა წინ და ორლულა „ცენტრალით" ყვირილას ნაპირებს შეჰყვებოდა. ბევრჯერ პერევისა და ჯალაბეთის მთებამდე უვლია ბილიკ-ბილიკ. ნადირობამ და თევზაობამ გამოაწრთო, მუხლი გაუმაგრა. თოფის მიზანიც უტყუარი ჰქონდა, ტყვიას ტყვიაში აჯენდა.

ბავშვობის დროინდელი წრთობა და ვარჯიში დიდად გამოადგა. ულვაშშემწვანებულმა ქაბუკმა ჯერ კიდევ თეთრფინელებთან ბრძოლებში ისახელა თავი, მამაცი და მიზანაუცდენელი სნაიპერის სახელი მოიხვეჭა.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ლადო ფრონტზე იმყოფება. მისი სნაიპერული შაშხანის ლულა მუდამ ცხელია, მიზნისკენ მიმართული. თავდადებული ბრძოლა კიდეც დაუფასდა: 1942 წლის 5 ივლისს გამოგზავნილ ბარათში იტყობინება, წითელი ვარსკვლავის ორდენზე წარმადგინესო. სამწუხაროდ ეს ბარათი აღმოჩნდა უკანასკნელი...

## წიგნაძე აბელ დავითის ძე

მერჯეველ ომამდელ ბავშვებს მისი სახელი თქმულებასავით მოგვყვება... ზაფხულის ერთ დღეს ხმა დაირხა: აბელ წიგნაძე მატარებელს შეეჯიბრა, აქეთ მხარეს, გზატკეცილზე ის მირბოდა, იქით, ლიანდაგებზე რკინის „მერანი" მიჰქროდა, საჩხერის სადგურიდან დარკვეთამდე იქროლეს და ჩვენმა ფალავანმა გაიმარჯვა, „მერანს" დათქმულ ბაქანთან ხელებაწეული დახვდაო. მაშინდელი ცეროდენებისათვის ეს ამბავი საოცრება იყო. იმ უბნის ბევრ ბავშვს მატარებელი არც ენახა და იგი ზღაპრულ რაშად ჰყავდათ წარმოდგენილი. მეც არ

ეროვნული

მენახა... მის შემდეგაც კი, ბებიამ ქიათურაში ნათესავთან რომ წამიყვანა და მატარებლით მგზავრობა მეღირსა, აბელზე ჩემი წარმოდგენა სულაც არ შეცვლილა. მაშინ და კარგა ხანს გვიანობამდე საჩხერესა და ზესტაფონს შორის თუმცა ვიწრო ლიანდაგი გადიოდა, პატარა მატარებელი საკმაოდ სწრაფად მოძრაობდა; მისი გასწრება ადვილი საქმე არ იყო.

ამ ამბავს ახლა გონების თვალით რომ ვამოწმებ, ზოგი რამ საეჭვოდ მეჩვენება. აბელს დარკვეთამდე შეიძლება არც ურბენია და, მე მგონი, ვერც ირბენდა, მაგრამ რაღაც ამდაგვარი რომ მოხდა, არ უნდა ლაპარაკი. არაფრისა და არარაობისგან თქმულება არ იქმნება. რაც მთავარია, პატარებს ყველაფერი წყალგაუვალ სიმართლედ მიგვაჩნდა და აბელს ყოვლის შემძლე გმირად ვთვლიდით.

ზემოუბნელი ბიჭები წიგნაძეების უბანში ხშირად მხოლოდ იმიტომ მივდიოდით, აბელი რომ დაგვენახა და მისი საუბრისთვის მოგვესმინა. აბელის გარეგნობა, მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკის მანერა ისე ალმებეჭდა მეხსიერებაში, ახლაც ცოცხლად წარმომიდგება ხოლმე. საშუალო სიმაღლისა იყო, ხმელ-ხმელი, ტანმჩატე, კუნთოვანი. ხორბლისფერი სახე მუდამ უღიმოდა. ბიჭუნებსაც კი არ გვტოვებდა უყურადღებოდ, სათითაოდ ხელს ჩამოგვართმევდა, როგორ ცხოვრობთო, ისე გვკითხავდა, თითქოს მისი თანატოლები ვყოფილიყავით. ზოგჯერ წყვილ-წყვილად დაგვყოფდა და ერთმანეთს დაგვაჭიდებდა. გამარჯვებულს ხელს აუწევდა და შეაქებდა. მისი შექება ყველაზე დიდ ჯილდოდ მიგვაჩნდა.

მერჯევის კოლმეურნეობაში მოანგარიშედ მუშაობდა. ჩანდა, სამსახურებრივი მდგომარეობითაც კმაყოფილი იყო. დანაღვლიანებული და წარბშეკრული არასდროს გვინახავს. მუდამ ღიღინით მიდი-მოდიოდა. იფიქრებდი: ცა ქუდად არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნადო. სიმღერაც ეხერხებოდა. მის ეზოში საღამოობით თავს იყრიდნენ იმ კუთხის ახალგაზრდები, სახელდახელო კონცერტებით იქაურობას ალვიძებდნენ და ახმიანებდნენ. ყოველი „კონცერტის" მოთავე და მთავარი „სოლისტი" აბელი იყო.

იგი ყველას უყვარდა. ახლაც მოწიწებით და სინანულით იხსენებენ.

## ნაწყვეტები თანასოფლელთა მოგონებებიდან

### ივლიანე კაპანაძე (ვეტერანი კოლმეურნე):

...შინმოუსვლელებზე ხშირად ისე ვლაპარაკობთ, როგორც ომში „დაღუპულებზე"... მე მგონი, ყველას მიმართ არ უნდა ვამბობდეთ ასე. მაგალითად, გოგიტა, ვალიკო, ნიკალა, გრიშა წიგნაძეები დაღუპულები არიან განა? რამ დაღუპათ, როცა მათ ფეხზე ამდენი შვილები და შვილიშვილები რუზრუზებენ, მოყვრის თვალს ახარებენ, მტრისას აბნელებენ. დაღუპული და დაქცეული საბრალო აბელია, უცოლშვილოდ რომ გადაეგო და ქვეყნად თავისი ნასახი არ დატოვა. აფსუს, რა ჯანსაღ შთამომავლობას შეგვძენდა, დროზე რომ დაოჯახებულიყო?!"

### იულია წიგნაძე (გიძაშვილი):

„აბელი, გოგიტა და ნიკალა ჯარში ერთად გამოიძახეს 1941 წლის ბოლოს. აბელი დასევდიანებული და ყურებ-ჩამოყრილი მაშინ პირველად დავინახე. გოგიტას და ნიკალას უთხრა: თქვენ რა გიჭირთ, შვილებს მაინც ტოვებთ, მე კი რა მეშველებაო?!...

გოგიტამ რომ ცოლი ითხოვა, აბელიც აპირებდა იმ წელიწადს დაქორწინებას. გოგოც შერჩეული ჰყავდა, ყოველ საღამოს ხვდებოდა. მერე ისე მოხდა, შინაურებმა დაუწუნეს საცოლე. მან კი ეს ამბავი იწყინა, შინაურებსაც შემოწყრა და გულისტოლსაც. ის გოგოც გაბრაზდა, აბელის ჯინაზე ადგა და სულ მალე გათხოვდა. ახლა შვილიშვილებში ზის ლამაზად".

### ბედიანიძე გიორგი (ჟორჟიკა) ილიკოს ძე

ჟორჟიკა ბედიანიძე 1939 წლის შემოდგომიდან ქ. ბრესტში იმყოფებოდა მესაზღვრედ. მოწინავე ჯარისკაცად ითვლებოდა. მისმა მშობლებმა სამხედრო ნაწილიდან მადლობის ბარათი მიიღეს.

...რემენგტონის მანქანაზე გადაბეჭდილმა რუსულად დაწერილმა ბარათმა ყველა დიდად დააინტერესა. ეს ჩვენს უბანში პირველი შემთხვევა იყო. ზოგმა ისეთი ხმაც კი გაავრცელა, ჟორჟიკა თითქოს გმირობაზე იყო წარდგენილი. ქალალდს სარდალი აწერს ხელსო, გაიძახოდნენ. ილიკო ხელოსანი იყო და ზოგჯერ კერძო დაკვეთებს ასრულებდა, რისთვისაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე საყვედურობდა, ზოგჯერ კრებებზეც „ამუშავებდა". იმ წერილის მიღების შემდეგ გახარებული მამა „ყიჩად" დადიოდა. თავმჯდომარე თუ რამეს გაუბედავდა, გულის ჯიბეზე ხელს გაიკრავდა და გაზეთშემოკრულ ფურცელს თვალწინ აუფრიალებდა: ჭკუიანად იყავი, თვარა ფოსტას წერილები აქედანაც მიაქვსო.

...ომის დაწყების შემდეგ ჟორჟიკას წერილი აღარ მოსულა, მისი ამბის მთხრობელიც არ

გამოჩენილა. ასეთივე ბედი ეწია ყველა მერჯეველს, ვინც კი ომამდე ბრესტში იმყოფებოდა. ესენია: სადუნიშვილები — სიმონ გიორგის ძე, მიხეილ (მიშა) ზაქარიას ძე, შალვა იოსების ძე, დეკანოიძეები — გრიგოლ ისიდორეს ძე, პანტელა (პანტელეიმონ) მაქსიმეს ძე, სიმონ იოსების ძე, წიგნაძეები — გენადი ანთიმოზის ძე, პლატონ სიმონის ძე...

## გახსენება

ბავშვობაში ხშირად შევსწრებივარ, შინმოუსვლელის ჭირისუფალი თავის გულისწუხილს რომ გამოთქვამდა:

— ერთი წერილი მაინც მიმეღო. რა ეშმაკმა შეუკრა ხელი, რომ ორი სიტყვის დაწერა ველარ მოახერხა მთელი ომის განმავლობაში!

— სად იყო ომამდე?

— ბრესტში.

— oო, ბრესტში თუ იყო?!...

— ჩემი ბიჭიც ბრესტში იყო. პირველი ტყვია რომ გავარდა, მის შემდეგ ვერც კაი გავიგე, ვერც ავი. წიწილი რომ წიწილია, ისიც არ იკარგება უამბოდ. რა ვქნა მე სასიკვდილემ, სად წავიდე, ვის მივაკითხო?!

* * *

— სად ხარ, ბიძია, ახლა შენ?

— უმაღლესში ვსწავლობ.

— ჰოდა, თუ უმაღლესში სწავლობ, შენ მაინც გამაგებიე: რა მოხდა ამ ბრესტში ისეთი, იქ ნამყოფს ვერც კაცს შევხვდი და ვერც რაიმე ამბავს მოვკარი ყური...

**...ბრესტის ლეგენდარულ დამცველებს მიეძღვნა სერგეი სმირნოვის შესანიშნავი წიგნი „ბრესტის ციხე-სიმაგრე", რომელმაც ლენინური პრემია დაიმსახურა. აღსანიშნავია აგრეთვე პროფესორ ალექსანდრე კალანდაძის „დღეები ბრესტის სიმაგრეში".**

**ს. სმირნოვი წერს: „ბრესტის ციხე-სიმაგრეში ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ხალხთა შვილები იბრძოდნენ. ამ მეომართა შორის ძალიან ბევრი ქართველი იყო და ისინი თავგანწირულად იცავდნენ სახელოვან ბუგისპირა ციტადელს — სიცოცხლე შესწირეს, საკუთარი სისხლით მორწყეს ეს წმინდა მიწა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაუთმიათ დიადი ხაბჭოთა სამშობლოს სასაზღვრო ხაზის ეს პირველი მცველები" (ს. სმირნოვი, ბრესტის ციხე-სიმაგრე, „მერანი", 1969 წ.)**

## კიდევ გახსენება

1944 წელს მერჯევის შვიდწლიანი სკოლა დავამთავრე და არგვეთის საშუალო სკოლაში განვაგრძე სწავლა. სკოლაში რომ მივსულიყავი, ილიკო ბედიანიძის ჭიშკართან უნდა გამევლო. ერთხელაც რომ მივიჩქაროდი და ბედიანიძეების გორაკი ავიალმართე, ჭიშკართან გაროზმობუდნული ქოოქიკას დედა პელაგია დავინახე. ვიცოდი, იგი მწოლიარე ავადმყოფი რომ იყო და გარეთ არ გამოდიოდა. მადლობა ღმერთს, მომჯობინებულა-მეთქი, გავიფიქრე და შორიდან მივესალმე.

— შენ გელოდები, შვილო, პატარა საქმე მაქვს. შინ შევიდეთ. — მითხრა და სახლისკენ შებრუნდა. შევატყვე, ფეხის გადადგმა გაუჭირდა. ხელი შევაშველე.

— ყვარყვატი გამიდის, თითქოს ფეხქვეშ მიწა მეოყევა. ან კი რისი სული მიდგია მე უბედურს! — ამოიკვნესა და მხარზე დამეყრდნო.

შინ რომ შევედით, ხალათის ჯიბიდან სამკუთხა ბარათი ამოიღო და მსთხოვა ხმამაღლა წამიკითხეო. ის რომ წავიკითხე, მეორე წერილი მომაწოდა. პირველი წერილი 1941 წლის 19 ივნისს იყო გამოგზავნილი და ასე მთავრდებოდა: „ორ კვირაში გამათავისუფლებენ, დავტოვებ ბრესტის ციხე-სიმაგრეს და ჩემს საყვარელ მერჯევს დავუბრუნდები. ოი, ჩემო დედა, როდის გავა ეს ორი კვირა!"...

ქოოქიკა მეორე ბარათში ბოდიშობდა: ჩემო საყვარელო დედა და მამა, წერილებს რომ ვერ გიგზავნიდით, არ დამემდუროთ, მტრის ბლოკადაში ვიყავით სამ წელიწადს. ახლა კარგადაა საქმე, ბლოკადა გავარღვიეთ, პოლონეთის ტერიტორიაზე გადავედით და მალე ბერლინშიც შევალთო...

მეორე წერილის წაკითხვა რომ დავამთავრე, პელაგიამ მსთხოვა:

— დაუკვირდი, შვილო, ეს ორი ნაწერი თუა ერთნაირი?

— ერთნაირია, აბა, რა! რატომ არ იქნება ერთნაირი?! — მხრები ავიჩეჩე გაკვირვებით.

— კარგად დაუკვირდი, შვილო, იმედი მაქვს შენ ვაგლახად არ მოტყუვდები!

დავაკვირდი, ბარათები ხელში შევატრიალ-შემოვატრიალე. მეორე წერილს საველე ფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტის არავითარი ნიშანი არ აჩნდა, მხოლოდ საჩხერის ფოსტის ბეჭედი ემჩნეოდა [illegible] კი განსხვავება თითქმის ვერ შევამჩნიე.

პელაგია ისეთი თვალით მიყურებდა, რომ მეთქვა წერილებს შორის განსხვავებაო, არაბათ, ხელში შემომაკვდებოდა.

— ზუსტად ერთნაირია. — ვუთხარი დარწმუნებით.

— არ დამძრახო, შვილო. წუხელ ცუდი სიზმარი ვნახე. — გული ამოუჯდა პელაგიას და სვენებ-სვენებით განაგრძო: — ჩემი ქორჟიკა დამესიზმრა. ორივე ხელი წაწყვეტილი ჰქონდა: ყუმბარის ნამსხვრევები მომხვდაო.

— წერილებს რომ მიგზავნი? ვინ გიწერს, შვილო? — ვკითხე.

— მე გიგზავნი წერილებს? — გაიკვირვა.

— ჰო, გუშინწინაც მივიღე.

— ტყუილია!... შესძახა სახემოღუშულმა და თვალდახელშუა გამიქრა.

...პელაგიამ ექვსიოდე თვეს კიდევ იცოცხლა. რომ გარდაიცვალა, ქულიამ — უმცროსმა შვილმა დაატირა: ფრონტიდან რაც კი ქორჟიკას ბარათი მიიღე, ყველა ჩემი დაწერილია, დედიკო, მაპატიე, გატყუებდით.

## ნიკოლოზ (ნიკალა) და შოთა ილარიონის ძე სამხარაძეები

ილარიონ და ნატალია სამხარაძეებმა ომის დაწყებისთანვე ფრონტზე სამი შვილი გაისტუმრეს: შურა, ამბროსი და ნიკოლოზი (ნიკალა). მეოთხე ბიჭი შოთა ჯერ სრულწლოვანი არ იყო და ოჯახს უკანასკნელ ნუგეშად შერჩა. ფრონტელ შვილებზე გულდასევდიანებული მშობლები ნაბოლარა შვილს ანთებული სანთელივით შეჰყურებდნენ და იმედის წვრილ თოკს ეკიდნენ: ომი იქნებ მალე დამთავრდეს და გვეშველოსო. მაგრამ ომს დასასრული არ უჩანდა. ამასობაში უწყება შოთასაც მოუვიდა.

ილარიონი ბავშვობიდან ხეიბარი იყო, ზვრისა თუ ყანისაკენ ჯოხზე დაყრდნობილი მიკელაობდა ხოლმე. ახლაც ჯოხი დაიბიჯგა და კომისარიატისკენ გაუყვა გზას. საჩხერის რაიონის სამხედრო კომისარი მაშინ მაიორი კობეშავიძე იყო.

— სამი შვილი ფრონტზე მყავს, კარგა ხანია არცერთის წერილი აღარ მომსვლია. ვაითუ... — ენა შეებორკა ილარიონს და ველარ დაამთავრა, პირდაპირ თხოვნაზე გადავიდა. — ერთადერთი ბიჭიღა შემრჩა და ისიც მიგყავთ, უკვე უწყება მომივიდა. ნუ დამღუპავთ, ბატონო, ნუ მომთხრით ძირფესვიანად, დამიტოვეთ სათესლე ბიჭი და მის მაგივრად მე წამიყვანეთ.

— შენ?! — გაიკვირვა კომისარმა, — რომ ვერ გაიქცევი?

— მე საბრძოლველად მინდა წავიდე, ბატონო, გამოსაქცევად კი არა!

— ბიჭოს! ეს ვინ ყოფილა?! — მოეწონა კომისარს, — შრომა თუ უყვარს შენს ბიჭს?

— იმე! შვიდი წლის რომ გახდა, მის შემდეგ უღელში მიბია. არც მე ვისვენებ და არც მას ვაძლევ შეღავათს.

— წადი, ბიძია, და იშრომეთ თქვენებურად. მარჯვე ხალხი ზურგშიც გვჭირდება. ჯარს თუ აქედან ხელი არ შევუწყვეთ, როგორ იბრძოლებენ?!

მოხდა ისე, რომ კობეშავიძე ერთი თვის შემდეგ თვითონ გაიწვიეს ფრონტზე. შოთა სამხარაძეს კვლავ მიუვიდა უწყება. ილარიონმა ისევ მიაშურა კომისარიატს გულისფანცქალით. მისი თხოვნა ფრონტზე შვილის მაგივრად მე წამიყვანეთო, ახალ კომისარს სიცილადაც არ ეყო. ფრონტი შენ ხეიბართა და დავრდომილთა თავშესაფარი ნუკი გგონიაო, შემოუძახა მან და გააფრთხილა: ის შენი ვაჟბატონი აქ თუ დღესვე არ გამოცხადდა, მერე ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთო. ილარიონი შინ ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა. შვილთან გამომშვიდობებაც ვერ მოასწრეს ხეირიანად.

შოთამ საბრძოლო ნათლობა ნოვოროსიისკის მისადგომებთან მიიღო. იქვე დაიჭრა. რამდენიმე კვირას იმკურნალა. ჭრილობები რომ მოუშუშდა, კვლავ ფრონტს დაუბრუნდა. „ჰოსპიტალში წოლამ და მკურნალობამ ფრონტელ მეგობრებს ჩამომარჩინა, ახალ ნაწილში ვარ და ამის გამო გული მენაკლულებაო", იწერებოდა ბოლო ბარათში. ამ წერილს სულ მალე დაღუპვის ცნობა მოჰყვა.

დამთავრდა ომი. შურა და ამბროსი დაბრუნდნენ, ნიკალასი კი 1943 წლის შემდეგ არაფერი იცოდნენ. გაგზავნეს შეკითხვა ჯერ თბილისში, მერმე მოსკოვში. უგზოუკვლოდაა დაკარგულიო, მოუვიდათ პასუხი სამხედრო არქივიდან.

ილარიონი და ნატალია დარდმა და ვარამმა თანდათანობით გატეხა. შინმოუსვლელ შვილებზე ოხვრა-გოდებით ალამებდნენ და ათენებდნენ. თუმცა იმედის პატარა შუქი გულში ყოველთვის უჭიატებდათ: ღმერთმა იქნებ დასაღუპად არ გაგვიმეტა და ეს დასაწვავი ქაღალდები სტყუა, ვინ იცისო, ამშვიდებდნენ ერთმანეთს. ომის დამთავრებიდან ათიოდე წელი-

წადი რომ გავიდა და სიბერემაც ხელი დარიათ, დარდ-ნაღველი თანდათან გაუბევრდათ.

—დღესა თუ ხვალე ჩვენ ქე წავალთ და რა ვქნათ, კაცო, ე დაკარგული ბიჭები უპატრონოდ დავტოვოთ? — შესჩივლა ერთ დღეს ნატალიამ მეუღლეს. ილარიონი არანაკლებ მორწმუნე იყო. ბოლო ხანებში კი სულ საიქიოზე ფიქრობდა. ეს ფიქრი დაძინებისას გუ-ლში ჩაყვებოდა ხოლმე და სიზმარში ხშირად მიცვალებულებთან იმყოფებოდა.

— მეც ეგ მადარდებს. — უპასუხა ილარიონმა, — ბიჭები საქაოსაც დაგვეკარგნენ და არ ვიცით, საიქიოსაც რავა ექნებათ საქმე... თუ ღმერთმა მართლა გაგვწირა... ბიჭებს პატრონობა უნდათ... არც ხელის გახსნა ღირსებიათ, არც ორმოცი და წლისთავი...

— გავუკეთოთ სულის მოსახსენებელი ხარჯი. თუ ცოცხლები არიან, მათ ჭირის სუფრა ვერ დაგვიხოცავს. ჩვენ კი გული საგულეს გვექნება და წუთისოფელს მშვიდად დავტოვებთ.

ილარიონი დასთანხმდა. დღე დანიშნეს და მზადებას შეუდგნენ.

## იმ სუფრის მონაწილეთა მოგონებებიდან

### მარუსა სამხარაძე:

ნიკალასა და შოთას სულთა მოსახსენებელი პურის ჭამა უნდა გაიმართოსო, რომ გავიგე, გავეოცდი. ილარიონი და ნატალია ყოველთვის მებრალებოდნენ, იმ დღის შემდეგ კიდევ უფრო შემეცოდნენ. როგორ, შვილების მოსვლის იმედი საბოლოოდ დაკარგეს? — ვეკითხებოდი ჩემს თავს და ეს ამბავი ავის მომასწავებლად მიმაჩნდა. სამწუხაროდ, წინათგრძნობა გამიმართლდა...

### ანდრო ამირანაშვილი:

იმ სუფრაზე ტოლუმბაში მე ვიყავი. ნათქვამი კაცს არ გაუკვირდება და, თამადობა ძალიან გამიჭირდა. სათქმელს თავი ვერ მოვაბი. ანკი რა უნდა მეთქვა? სუფრის შუაგულიდან ნიკალა და შოთა შემომყურებდნენ, ღმერთივით ბიჭები... ერთად გავიზარდეთ. ის დღე დღედ არ მიგვაჩნდა, თუ ერთმანეთს არ ვნახავდით. მერედა, როგორ ჯანმრთელები იყვნენ: ისე დაჭაბუკდნენ, ფრჩხილიც არ წამოსტკენიათ. რომ შეხედავდი, იფიქრებდი, ტყვიაც ვერაფერს დააკლებთო. ჰოდა, როგორ ავმდგარიყავი და მეთქვა: ამ ბიჭების სული ღმერთმა გაანათლოსო?! სადაც იყვნენ, იქ გაუმარჯოს-მეთქი, ამის თქმაღა მოვახერხე.

### სერგო სამხარაძე

ერთი სადღეგრძელოს უფლება მოვითხოვე და ნიკალასა და შოთას შესანდობარი მე შევსვი პირველად. აბა, როგორ, ოჯახი დაიხარჯა, იმხელა სუფრა გაშალა და ის არ გაგვეკეთებია, რასაც წესი და რიგი მოითხოვდა? ისოცხლე, ჩემს მერე ენად გაიკრიფნენ, პირტიტველა ბიჭებს სულის ცხონება და საუკუნო სასუფეველი უსურვეს. ნატალია დიდედა იდგა მხრებჩამოყრილი და ხან ერთს შეჰყურებდა გაფითრებული და ხან მეორეს. ილარიონ ბაბუა კი თავდახრილი იჯდა. სულ ბოლოს მან აიღო ჭიქა და ის იყო ღვინოში პურის ნატეხი ჩააწო და შესანდობარი უნდა ეთქვა, ნატალიამ რაღაც შემაზრზენი ხმით შეკივლა და ჩაიკეცა. ქალები მიეხვივნენ, სახე ცივი წყლით დაუზილეს და როგორც იქნა მოასულიერეს.

### ბოლოსიტყვა

მერჯეველებმა შინმოუსვლელთა მემორიალი ბაღით დაამშვენეს, ახალგაზრდობის დასვენებისა და გართობის საუკეთესო ადგილად რომ იქცა. იქ ომისა და შრომის ვეტერანებიც ხშირად იყრიან თავს. ამას წინათ იმ ბაღს მე ვესტუმრე. ძელსკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ შინმოუსვლელების შვილები და ძმები: ვანიჩკა ვალიკოს ძე წიგნაძე, გაიოზ კოწიას ძე კაპანაძე, მათე პარმენის ძე მიქაძე, კარლო ალექსანდრეს ძე წერეთელი.

— რაღაც უცნაურობა მჭირს და ვერ ამიხსნია, — წამოიწყო საუბარი კარლომ, — ძილნარს ზოგჯერ ზარების რეკვა ჩამესმის ხოლმე. გავაჭყეტ თვალს, წამოვდგები, გამოვიხედავ: ზარები უძრავად ჰკიდია, ბაიბური აღარ ისმის.

— კარგია, ზარების რეკვა რომ ჩაგესმის. — უთხრა მათემ.

— ერთი შენ გაღვიძებდეს და ძილს გიტეხავდეს, კარგიაო თუ იტყვი მაშინ?!

— მეც უნდა მაღვიძებდეს... ყველას უნდა გვაღვიძებდეს ეს ზარები! — მიუგო მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერლის არქივიდან

ოტია პაჭკორია

# $E = mc^2$

მე საკმაოდ ბევრი წამიკითხავს ფიზიკოსებზე: კუზნეცოვის, ზელიგის, ინფლიდის წიგნები აინშტეინზე; ელენ კიურის — მარია კიური, დამინის — რეზერფორდი, სეგრეს — ფერმი... იუნგის, ერენფესტის, ლოურენსის, ვინერის, ბორნის, ჰოუდსმიტის, პორგრებოვსკის მონოგრაფიები... წიგნები ჰაიზენბერგზე. შროდინგერზე, დირაკზე, ნილს ბორზე, ლორენცზე, მაქსველსა, გალუასა და ლაიბნიცზე...

ბევრი რამ, რაც შეეხება ელექტრონებსა და ნეიტრონებს, თეორიულ და ექსპერიმენტულ ფიზიკას, კვანტებს, კვარკებსა და ანტისამყაროს, ელექტრომაგნიტურ და გრავიტაციულ ველებს, $E=mc^2$-სა და დროისა და სივრცის ახალი შინაარსით აღჭურვას და ა. შ. ჩემთვის ბნელითაა მოცული. მაშინ, რატომ მიზიდავს ეს ლიტერატურა?

(მე ვიცნობ ბრუნო პონტეკორვოს, მრავალი საღამო გავატარეთ ერთად მოსკოვში როდამ ამირეჯიბის სახლში. იგი ტიპიური ფიზიკოსია — ატომისტი; მე მაშინ არც ვიცოდი, თუ იგი ფერმის პატენტის მონაწილე იყო სეგრესა, რაზეტსა, ამალდისა და დ'გოსტინოსთან ერთად...

არის პონტეკორვოს საუბარსა და ქცევაში რაღაც სპონტანური, მოულოდნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას — მწერლური; პონტეკორვო ემოციური წყობის კაცია, ირონიული, შინაგანი ღირსებით აღსავსე, რაც ამ მოძრავ, ეგზალტირებულ იტალიელს რაღაცნაირ სიმშვიდესა და სიდიადეს ანიჭებს...).

მარია კიურის დებულება — ჩვენ მეცნიერებაში გვაინტერესებს **რა** (შედეგი) და არ გვაინტერესებს **ვინ** (პიროვნება) — ჩემთვის მიუღებელია. იგი ერთგვარ სულიერ პასიურობას უფრო გამოხატავს, რაღაცნაირი სოციალური და პიროვნული თავის მართლება უფროა, ვიდრე ამაყი თავმდაბლობა.

ჩემთვის მიმზიდველია სამყაროს საიდუმლოებათა წვდომის დაუოკებელი ვნება, რომელიც არ გამორიცხავს პოეტურ ეგზალტაციას; ზემოთ მოხსენიებულ სწავლულთა აზროვნების სტილი არ უარყოფს ინტუიციურ ხილვას; მიმზიდველია ის ფილოსოფიური, ზნეობრივი, თუნდაც რელიგიური საფუძველი, რასაც ისინი ეყრდნობიან.

ჯერ კიდევ აინშტაინი წერდა — „მეცნიერულ აზროვნებაში ყოველთვის

---

* აინშტაინის ცნობილი ფორმულა: E — ენერგია, m — სხეულის მასა, c — სინათლის სიჩქარე; „ენერგია ტოლია სხეულის მასისა და სინათლის სიჩქარის კვადრატის ნამრავლისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ელემენტი პოეზიისა. ჭეშმარიტი მეცნიერება და ჭეშმარიტი მუ-
სიკა ერთგვაროვან აზროვნების პროცესს მოითხოვს“.

(„ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი   მ უ ს ი კ ა, — აი რას ამბობს ბეთჰოვენი (უფრო ხწორად, ბეტინა
ბრენტანო გოეთესადმი წერილში), — მელოდია პოეზიის გრძნობადი სიცოცხლეა... აქ სული
ისწრაფვის უსაზღვრო ერთიანობისაკენ, სადაც ყველაფერი იხაზება ყველაფერში... ესაა ჰა-
რმონია... მრავალნაირი ფორმა ერთ მთლიანობაში გაერთიანებული ერთი კალაპოტით მიის-
წრაფის მიზნისაკენ. სწორედ მაშინ აღიქმება, რომ ყოველივე სულიერში დაბუდებულია რა-
ღაც საუკუნო, უსასრულო, რომელსაც ვერასოდეს მისწვდები მთლიანად, და მიუხედავად
იმისა, რომ ყოველი ახალი ნაწარმოები ჩემში წარმოშობს წარმატების გრძნობას, მე მაინც
ხარბ შიმშილს განვიცდი...

მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ შეიცნონ მუსიკა, როგორც ს უ ლ ი ე რ ი   შ ე ც ნ ო ბ ი ს
გრძნობადი გამოსახვა...

მუსიკას, როგორც ხელოვნების სხვა დარგებს (ისევე, როგორც მეცნიერებას, ო. პ.) სა-
ფუძვლად უდევს მაღალი ცნება (ნიშნები) მორალური შეგნებისა: ყოველივე ჭეშმარიტი აღ-
ქმა არის მორალური პროგრესი“).

ეს იყო შემოქმედებითი თაობა (მთელი ერა), რომლისთვისაც ზნეობრივი
ჯულტურის, კათარზისის, აბსოლუტისკენ სწრაფვა ისევე ორგანულია, ვით მწე-
რალთა და მოძღვართათვის.

ისინი თავიანთი ძიების ტრაგიკულ არსსაც დიდი სიმძაფრით განიცდიდ-
ნენ... სულიერი შეცნობა მაღალი ჰარმონიის შეცნობაა. „ჰარმონია“ და „მე-
ლოდია“ გამოხატავენ იმ გრძნობებსა და იდეებს, რაც მეცნიერებასა და ხე-
ლოვნებას ერთ სფეროში მოაქცევს.

„ერთთათვის მეცნიერება გონებრივი სპორტის მაგვარია, რომელიც ინტე-
ლექტუალური დაძაბვის შეგრძნებას იწვევს და უკმაყოფილებს პატივმოყვა-
რეობას. მეორენი მეცნიერებაში მხოლოდ პრაქტიკულ შედეგს ეძებენ...

მაგრამ არსებობს მეცნიერების ტაძრის ქურუმთა კიდევ ერთი კატეგო-
რია, ეს გახლავთ ხალხი, რომელიც მოდის მეცნიერებაში (ისევე, როგორც
ხელოვნებაში, ო. პ.) იმის გამო, რომ გაურბის ყოველდღიურობას, მათ თრგუ-
ნავს უხეშობა და უიმედობა სიცარიელე ყოველდღიური ყოფისა; იზი-
დავს პირადი არსებობის ბურუსიდან ობიექტურის ჭვრეტა და შეცნობა“
(ბ. კუზნეცოვი). აი ისინი, (ლამანჩელი) რაინდები, მწირები და მარტვილები,
პილიგრიმები და დერვიშები; საკუთარი სიდიადის ნაჭუჭში გამოკეტილი ცო-
დვილები, რომლებმაც იხილეს მეორედ მოსვლის ბჟე და მაგიური შუქი...

კლასიკური მექანიკის უკუგდება, უსასრულოდ მცირეს წიაღში შეღწევა
და მისი უსასრულობის აღმოჩენა... უმცირეს ნაწილაკთა სტრუქტურაში ჩა-
მალული საშინელი ძალის შეცნობა და უმწეობა იმ საოცრებათა მორალური
არსის წინაშე, რასაც მისწვდა გონება, მაგრამ არცთუ ისე შემზადებული და-
ხვდა ფსიქიკა და ზნეობა — განა ეს კლასიკური დრამის მოდელი არ არის?
სპონტანურობა, ენერგიის წყვეტილობა, წინასწარგანუსაზღვრელი მიმოქცევა
— განა პოეტური წარმოსახვის იდუმალ თვისებას არ აქულავნებს?

(შემთხვევით როდია ბახტინის მიერ ლიტერატურაში შემოტანა ცნებისა: ქრონოტიპი —
დროსივრცე, და აინშტაინის ფარდობითობის თეორიის ლიტერატურულ მეთოდთა გარდაქ-
მნის ცდა. მართალია, ბახტინი წერს, რომ ქრონოტოპი უფრო მეტაფორაა, მაგრამ მაინც
რამ მოზიდა იგი აინშტაინის ფილოსოფიურ-ფიზიკურ კანონთა კომპლექსში?: დროისა და
სივრცის, ენერგიისა და მასის ერთიანობამ, ანუ ერთი და იმავე რეალობის განსხვავებულმა
გამოვლინებამ?! იქნებ იგი ცდილობს ფარდობითობის საერთო თეორიის ფილოსოფიური გა-
ნზომილება მიუსადაგოს დროის ლიტერატურულ კატეგორიებს და რელატივების ბურუსში
ხელის ფათური მოსწონს?!

საქმე ისაა, რომ ბახტინს შეგნებული აქვს ერთი აუცილებლობა — „ჭეშმარიტი მეცნი-
ერებისა“ და „ჭეშმარიტი ხელოვნების“ აზრობრივი პროცესების და შეცნობის სისტემების
სინთეზის აუცილებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვნებიანი სევდა", „ვნებამოცული სევდა" — ამ გამოთქმას იყენებს აინშტაინი. თუ აინშტაინი გრძნობდა ხელოვნების და მეცნიერების ერთიანობას — მართალია, იგი მცდარად იმასაც კი გრძნობდა, რომ ელექტრო და გრავიტაციული ველები ერთიანია — ჩვენ, ჩვეულებრივი მოკვდავნი, რომლებიც არც სინაიზე ვართ და არც „ხარბ შიმშილს" განვიცდით, ამგვარ სინთეზს უფრო უნდა ვესწრაფოდეთ. როცა ამას აკეთებს ბახტინი, მართალია, ხელოვნურად და რამდენადმე არალოგიკურად, ეს მაინც გასაგებია, თუმცა აქვე; ამ პროცესში ერთგვარი პროვინციული სნობიზმის აღზევების შესაძლებლობაც იგულისხმება — განსაკუთრებით პოეზიაში).

ყველაფერზე ძნელი აზრისთვის ფორმის მიგნებაა, აზრის სიტყვიერი სამოსელის პოვნა... ახალი აზრი ყოველთვის მოიცავს პარადოქსულ ელემენტს, ისევე, როგორც ყოველი ახალი აღმოჩენა, რომელიც მოითხოვს ფორმულა-სიმბოლოს, სიმბოლო-ნიშანს, ჩვეულებრივ მათემატიკურ განტოლებას.

პონტეკორვომ მითხრა — ჩიქოვანი საერთაშორისო მასშტაბის ფიზიკოს-ექსპერიმენტატორი იყოო, დაიცავდა თუ არა სადოქტოროს, საკავშირო აკადემიის წევრად ავირჩევდითო...

მას თურმე ბრძენი ხელები ჰქონდა, როგორც რილკე წერს — „ხელების მთელ ტომს ფლობდა", თამაშობდა ქალალდს, ცხოვრობდა მოუწყობელი, ძნელი ცხოვრებით და დაიღუპა...

საინტერესოა პონტეკორვოს აქვს თუ არა რაიმე კავშირი იტალიელ სინიორებთან და ფეოდალებთან, თავადებთან — პონტე-კორვო...)

სერენდიპული — „ნიჭი იმ ფასეული და სასიამოვნო ნივთების პოვნისა, რომელთაც არ ეძებდი".

ბევრი დიდი აღმოჩენა სერენდიპულადაა მოხდენილი, სერენდიპულად და შემთხვევით. რატომ აიღო ფერმიმ პარაფინის ნაჭერი და არა გრიფელი, როგორც აპირებდა... რატომ შემოფრინდა პენიცილინის ფერმენტი ფლემინგთან... რატომ მიაქცია ყურადღება ვაშლს ნიუტონმა... ან რატომ დაიბანა ტანი არქიმედმა... ვისთან მოდის შემთხვევა, ვინ ფლობს უნარს იყოს სერენდიპული? მასთან, ვინც ეძიებს საერთოდ და ზოგჯერ იმას პოულობს, რასაც არ ეძებდა: მაგრამ მაინც მასთან, ვისაც შეუძლია ამოიკითხოს ბილინგვა, ლურსმული წარწერა, პროცესის არსი; ვინც თავადაც და დროითაც შემზადებულია საამისოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ანტისერენდიპულიც — ე. ი. ნიჭი იმ ფასეული ან სასიამოვნო ნივთების ვერ დახახვისა, რომელთაც მიაგენი (ასე დაემართა ენრიკო ფერმის, ირენ ჟოლიო-კიურის...)

როგორ მოდის მწერალთან თემა? რა თქმა უნდა, არა სერენდიპულად, თუმცა მოულოდნელი აღმოჩენების უარყოფა არ შეიძლება. წარმატება და სახელი? აქ საქმე სხვაგვარადაა: ფიზიკაში თეორიას სჭირდება ექსპერიმენტული დასაბუთება და მათემატიკური ასახვა, ეს არის გზა ნობელისაკენ... მწერლობა არ არის ექსპერიმენტით დასაბუთებული თეორია ან გამოკვეთილი ფორმულა... მწერლობა ბინდმოცული ნაპირია, სადაც აჩრდილები დაბორიალობენ, არავინ იცის წარმატების კანონი... ხშირად ნაწარმოების დამკვიდრებას და აღიარებას ასეული წელი სჭირდება, აღიარებულის უარყოფას კი — ერთი დღე. არ მახსოვს, ვინ თქვა: მწერლობა ესაა — ნიჭი პლუს იღბალი.

ენერგიას არ შეუძლია იმყოფებოდეს მუდმივად ეგზალტირებულ მდგომარეობაში. მითუმეტეს შემოქმედებით ენერგიას. ეს მწერალს უნდა ახსოვდეს. პროფესიულობა ენერგიის ინტენსიფიკაციის ხელიდან არგაშვება და ამ მომენტისათვის მზადებაა. ამდენად პროფესიულობა სისტემატური ცნებაა, ლიტერატურული აღმოჩენა (ალბათ, მეცნიერულიც) სისტემატურობიდან გამოყოფილი, მასზე აღზევებული, თვით პროფესიულობაზე ამაღლებული უკიდურესი აქტივობის, ნათელხილვის რომელიღაც დღეა ან საათი; როცა ოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰანი ხლეჩს ატომს, ბეკერელი პოულობს დასხივებულ ფირს, მარია კიური შესცქერის იისფერი რეფლექსების ღვთაებრივ ციალს, ბარათაშვილი წერს „მერანს“...

პროფესიულობა აღმაფრენის წუთებს შორის არსებული შუალედების მაღალცნობიერი შევსებაა, ოსტატობა, იქნებ ცოტა კონსერვატიზმიც...

საოცრად მიმზიდველია ე. წ. ბუნებისმეტყველთა აზროვნების სტილი, რომელიც არ უარყოფს პარადოქსს (ჩემთვის სულერთია სპეციფიკები—ატომური, ბირთვული, უმცირეს ნაწილაკთა, კვანტური, ასტროფიზიკური, სპექტრული თუ სხვა), მაგრამ მე ვიცი ერთი: მათი აზროვნება მოიცავს იმ სიღრმეებს, რომელიც შეუძლებელია არ იყოს ტრაგიკული, რადგან უაღრესად ძნელია აქ სულიერი წონასწორობის, ჰარმონიის შენარჩუნება. მიმზიდველია მათი ინტელექტუალიზმი და იმის შეგნება, რომ მეცნიერება საყოველთაო, ზოგადკაცობრიული ფენომენია და ამდენად ადამიანთა შემაკავშირებელიც.

**იქნებ ლიტერატურაც ასეა?**

**სრულებით არ ნიშნავს ეროვნულის უარყოფას იმის შეგნება, რომ ლიტერატურა არსით საერთოა, სტილით (მე განგებ არ ვხმარობ — ფორმას) ლოკალური... სტილი კი თავისთავად არავითარი სოციალური ექსპანსიის ხიფათს არ მოიცავს.**

მიმზიდველია ფაქტი, რომ რეზერფორდის, კაპიცას, ლორენცის, სტილარდის... ვისიც გნებავთ, ურთიერთობა, მეცნიერული სოლიდარობა უკვე თუ შეიძლება ასე ითქვას, ზნეობრივ-რელიგიური აქტია და იმ ერთიანობის, მსოფლიო მოქალაქეობის, ეთიკური ჰარმონიის იდეის გამომხატველი, რომლის უარყოფა ნორმალური ადამიანისთვის შეუძლებელია. ნუთუ არაფერს განსაზღვრავს იმის შეგნება, რომ სამყარო არა მარტო ნაირგვარი სტილის ეთნიკური ჯგუფების ერთიანობაა, არამედ „მატივი“ და უსასრულოდ მცირე ნაწილაკების ერთიანობაც და თავისივე არსში მოიცავს თვითნგრევის, ენერგიის ვერდაურვების, შეცნობის კონტროლის დაკარგვის ტრაგიკულ ძალას?

**შეიძლება თუ არა მწერალი იყოს ბედნიერი? თუნდაც ვიზუალური ხელოვნების ჩარჩოში გამოკეტილი, „ბუნებრივი“, წიგნიერებიდან და საუკუნის პრობლემატიკიდან გამოთიშული მწერალი! (სამწუხაროდ, ასეთნიც არიან).**

**თავისთავად მ წ ე რ ა ლ ი ც ანაქრონიზმივით ჟღერს...**

**ამდენად ბ ე დ ნ ი ე რ ი ც იცვლის შინაარსს, შემოქმედებითი სფეროდან პრაქტიკული არსებობის სფეროში გადაინაცვლებს. არსებობენ ადამიანები, რომელთაც ზენაარი, გარდა მათი უშუალო საქმისა, ვეება ზნეობრივ მისიას დააკისრებს: მისიას წინამძღოლობისა, ადამიანთა ზნეობისათვის პასუხისგებისა, სულიერი მოძღვრისა, მფარველობისა... წინათ, როგორც წესი, ეს მისია მწერლებს ეკისრებოდა... XX საუკუნეში მისია მეცნიერ-ბუნებისმეტყველს დაეკისრა; ასეთი ზნეობრივი ცენტრი, ეთიკური ავტორიტეტი დროის გარკვეულ მონაკვეთზე გახდა ალბერტ აინშტაინი...**

**მ წ ე რ ლ ე ბ მ ა დ ა კ ა რ გ ე ს მ ო ძ ღ ვ რ ი ს ფ უ ნ ქ ც ი ა...**

**მოხდა ერთი რამეც, პარადოქსული აზროვნებაც ბუნებისმეტყველთა წილი გახდა... მწერლობამ თითქოს დაკარგა პარადოქსული აზროვნებისკენ მისწრაფება, აფორისტული მეტყველების უნარი... მისი ზნეობრივი მისია მხოლოდ აღნუსხვით განისაზღვრება; იგი აღარ ასწავლის, მხოლოდ იმახსოვრებს — თუ ეს თავისთავად მოიცავს რაიმე ზნეობრივს, ხომ კარგი, არადა...**

**„ყველაზე გაუგებარი სამყაროში ის არის, რომ იგი შეცნობადია“, — გაოცებულია და შეწუხებული აინშტაინი.**

**ხელოვნებამ იცის, რომ „სამყარო შეცნობადია“ და საოცარია ერთი — სწორედ მაშინ, როცა მეცნიერება ამ შეცნობის საზღვრებს განზიდავს, მისი უსასრულობის წინაშე კრთება, ხელოვნებამ თითქოს ამოწურა შეცნობის ძალა და უნარი, იგი თითქოს უსაქმოდ დარჩა და თანდათან უთმობს ზნეობრივ პოზიციას მეცნიერებას; ხოლო ესთეტიკურს — თავისსავე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალურ (ან მატერიალიზებულ) სხესხვაობას, ვიზუალურს... არ არის საჭირო ფუტუროლოგიური მარჩიელობა, რომ საკუთარი უბედურება ნათლად შეიგრძნო.

იანგი წერს — ჩვენ მივხვდით, რომ აბსტრაქცია ჩნდება მას შემდეგ, როცა მყარადაა ჩადებული საძირკველი და არა მანამდე. კონკრეტულ ვითარებათა კომპლექსი ქმნის აბსტრაპირების პირობას ლიტერატურაში; აქაც აბსტრაქცია ჩნდება მას მერე, როცა მყარია კონკრეტული საფუძველი.

მე ვერ ვეგუები სეპარატისტულ მწერლობას, — რაც არ ნიშნავს, რომ სეპარატისტული და ეროვნული ერთი და იგივეა... სეპარატისტული — შოვინიზმია; ეროვნული — სტილი, მარტოობისგან თავის დახსნა, თვითდამკვიდრება...

ეთიკის რღვევა — ყოველი საზოგადოება ეფუძნება ეთიკურ ტრადიციას, — წერს მაქს ბორნი. დღეს ეს ტრადიცია ირღვევა. რადგან დაირღვა პროპორციები თვით ცივილიზაციის ფარგლებში. ტექნიკის ზრდა იწვევს ეთიკის რღვევას, რადგან ბუნებისმეტყველთა მიერ მიღწეული სიღრმეები ხშირად არ ეფარდება მათ სულიერ, ზნეობრივ პოლიტიკურ განვითარებას.

ბორნი პირდაპირ აცხადებს — მთავარი მიზეზი (პრობლემისა ყოფნა-არყოფნა) მომდინარეობს იმ ფაქტის აღმოჩენიდან, რომ მატერია, რომლისგანაც ჩვენ შევდგებით და ყოველი საგანი ჩვენს ირგვლივ, არ არის მყარი და ურღვევი; პირიქით, იგი მერყევია და ფეთქებადი. ჩვენ ხომ დენთის კასრზე ვსხედვართ.

„დენთის კასრის“ პრობლემა უფრო ტრაგიკულია იმ ხალხებისათვის, რომლებიც არ ფლობენ საუკუნის ტექნიკას, მაგრამ საერთო სურათს ვერ ეთიშებიან და სტატისტების როლში გვევლინებიან; არაფერს განაგებენ, ვერაფერს წარმართავენ. ატომურ ფარსში კი მაინც მონაწილეობენ...

მაქს ბორნის დებულება (კვანტური მექანიკის საერთო საფუძველიც): კლასიკური მექანიკის პრეტენზია მოვლენათა დეტერმინირებული ახსნისა გაუმართლებელია, რადგან ეს პრეტენზია დაფუძნებულია იმ „აბსურდულ“ვარაუდზე, რომ აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს თითქოს ფიზიკური არსი აქვთ (იგი გამოდის მტკიცებიდან, რომ მოვლენები ატომის დონეზე არ შეიძლება აიხსნას უბრალო დეტერმინიზმიდან მომდინარე).

«Причинность классической физики всегда интерпретировалась (в том числе, несомненно и самим Кантом), как детерминизм. Новая квантовая механика оказалась не детерминистической, а статистической».

მე შემოქმედებითი პროცესის შეცნობისას ვზღუდავ დეტერმინიზმის ფუნქციას. მართალია, აქ იქმნება ფორმალურად სწორი სქემები, მაგრამ ეს „სისწორე“ ანტილიტერატურულია.

შესაძლოა მე ერთგვარ წინააღმდეგობაშიც (მეტი რომ არა ვთქვა) ვვარდები და მიზეზობრივ კავშირებს საერთოდ უარვყოფ (უფრო, მექანიკურად შექმნილ მიზეზობრივ სქემებს, რასაც დაჩვეული ვართ), მაგრამ ერთგვარი ლიტერატურული გამოცდილება მკარნახობს — დავეჭვდე ხელშეუხებ კანონზომიერებათა აბსოლუტურ ღირებულებაში. ჩემი ანტიდეტერმინიზმი პირობითია, მაგრამ ეფუძნება იმ რწმენას, რომ „აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს“ არა აქვთ ლიტერატურული არსი.

სეგრე წერს — ფერმი გულგრილი იყოო ფილოსოფიური აბსტრაქციებისადმი და რამდენადმე უგულებელყოფდა თეორიულ ბუნდოვანებას... მაშინ რითი აიხსნება ფერმის გავლენა არა მარტო ექსპერიმენტარულ, თეორიულ ფიზიკაზეც? ფერმი არ ფიქრობდა აბსოლუტზე, როგორც აზრის უმაღლეს, ჩვენთვის მიუწვდომ ფორმაზე. იგი მოქმედებდა იმ ლაბორატორიაში, სადაც აზრი იბადებოდა... რაოდენ ჰქონდა მას შეგნებული ელემენტარული ნაწილაკების სამყაროში შეღწევის უსასრულობა, ძნელი სათქმელია, იგი მთელი არსებით მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერიასთან იყო დაკავშირებული და მისი ემოციური ალქმები ექსპერიმენტის სფეროში თავსდებოდა. მას აბნევდა ოპენჰაიმერის მაღალფარდოვანება, ფილოსოფიური და პოეტური განზოგადებისაკენ მისწრაფება... ფერმის თითქოს აკლდა არისტოკრატიზმი ჰაიზენბერგისა და პრეტენციოზულობა ოპენჰაიმერისა, მაგრამ იგი ისე უხვად იყო დაჯილდოებული ადამიანური ნიჭით, როგორც სხვა არავინ.

# ჩანაწერები...

მხატვრებს აქვთ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი — ისინი ცდილობენ უარყონ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა და არ იციან, რითი შეცვალონ სიტყვა, რადგან მათ ეს სიტყვა ისევე სჭირდებათ, როგორც ფერი, ფუნჯი, ტილო... ამიტომ ისინი ხშირად მიმართავენ სიტყვას, როგორც სულის ამოთქმის საშუალებას და გზას.

* * *

გემოვნებაზე არ კამათობენ.

ეს თეზაა.

გემოვნებაზე კამათობდნენ.

ეს ანტითეზაა; ამ ანტითეზის გარეშე ყოველი ნაწარმოები ან მხოლოდ უარყოფილი ან მხოლოდ აღიარებული იქნებოდა, ან ორივე ერთად. მაგრამ დამოკიდებულება ყოველთვის გემოვნებაა, დამოკიდებულებაზე კი კამათობენ.

* * *

ფილოსოფიის ინსტიტუტში არსებობს ე. წ. „ელიტა“. ათიოდე კაცი, რომელთაც შექმნეს კორპორაცია, დაწერეს წიგნები კიერკეგორზე, კროჩეზე, ჰეგელზე... ქება და დიდება მათ. და აი ერთ-ერთი მათგანი ფრიად ქედმაღლურად და სკეპტიკურად მელაპარაკება ქართულ მწერლობაზე: ხედავთ, მას თურმე ვერ გაუგია ამ მწერლობის ვერც გნოსეოლოგიური საყრდენები და ვერც ესთეტიკური არსი, დანიშნულებაც კი.

შემდეგ იგი იძულებული იყო მოესმინა ჩემი საცოდავი კონტრარგუმენტები:

1. არსებობს ეროვნული ლიტერატურა (თანამედროვე). და ავია იგი თუ კარგი, ეს რეალური ღირებულებაა, უეჭველი თვისება ერის ცხოვრებისა.

2. არ არსებობს თანამედროვე ქართული ფილოსოფია (საერთოდ არსებობს კი ეროვნული ფილოსოფია?!).

3. გლობალური თვალსაზრისით, შესაძლოა ქართული მწერლობა ციდახ ვარსკვლავებს არ წყვეტდეს, მაგრამ ქართველმა მწერალმა, მაგალითად რეზო ჭეიშვილმა, რომელმაც დაწერა კარგი მოთხრობა (ხოლო მას მართლაც აქვს დაწერილი' კარგი მოთხრობა) ერის სულიერ ცხოვრებას შესძინა რაღაც რეალური ღირებულება, რაღაც ფასეული, სინამდვილეში არსებული.

4. გლობალური თვალსაზრისით, ქართული ფილოსოფიური სკოლა არ არსებობს (მოვეშვათ მირაჟებს, რასაც თვით ფილოსოფოსები ქმნიან) მისი ადგილი მიკროსკოპითაა საძიებელი. წიგნი კროჩეზე, ან ვისზეც გნებავთ, ალბათ საერთო ფონზე მხოლოდ ერთი ფრაზაა. ბოლოს და ბოლოს არსებობს თვით კროჩე, თანაც აგერ ახლა გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული კულტურის თვალსაზრისითაც ისინი საერთოდ არ არსებობენ სამი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ეს იზოლირებული კასტაა, უაღრესად ცუდად განვითარებული ეროვნული შეგნებით; მეორე, ამ ნებაყოფლობითი იზოლაციის გამო მათ ერის კულტურული ცხოვრების მთავარ ძარღვთან დაკარგული აქვთ ყოველგვარი კონტაქტი; მესამე, ისინი საერთაშორისო თვალსაზრისით არ წარმოადგენენ იმ პიროვნებებს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იამაყო მათი სახელით.

ერთი სიტყვით, ქართველი „ფილოსოფოსები", არც საერთაშორისო მასშტაბით და არც ეროვნული თვალსაზრისით, არავითარ განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარმოადგენენ-მეთქი.

ჩემი ოპონენტი მიყურებდა ისე, თითქოს ჰერბარიუმში რაღაც საოცრება, უსაშველოდ გადაშენებული და ზღაპრულად უვიცი სხეული აღმოაჩინა. იგი გამშორდა ამაყი შეგნებით, რომ წააწყდა „ქართველური" არასრულფასოვნებისა და ჩამორჩენილობის კიდევ ერთ კლასიკურ მაგალითს, — კაცს, რომელიც ვერასოდეს მიაღწევს მაღალი აზრით ტკბობის ღვთაებრივ მწვერვალებს.

* * *

ნიშანდობლივია ერთი — ჩვენი პროფესიის (საერთოდ ჰუმანისტურ დარგებთან დაკავშირებულ) სფეროებში საოცრადაა ერთმანეთთან დაახლოებული, ერთმანეთთან გადახლართული და ძნელად გასამიჯნი პრინციპულობა და ხელმოცარულობა. ხელმოცარულობა ხშირად პრინციპული უბიწოების ნიღაბს იფარებს და ამით ვაჭრობს.

* * *

ლიტერატურული კრიტიკა საიმისოდ არსებობს, რომ თუ არაფერი საინტერესო არ ხდება ლიტერატურაში, მან უნდა მოიგონოს ეს საინტერესო. მან უნდა მოიგონოს ლიტერატურა.

* * *

რას უნდა ხედავდეს მწერალი? — ეს იყო უცნაური განწყობა. წვიმდა, გუბეებში ფოთლები ეყარა, ჩამხრჩვალი ფოთლები, სახეზეც ბევრი იყო (გარდამავალი ხანა შემოდგომისა). მე ვფიქრობ, მწერალი გუბეში ჩამხრჩვალ ფოთოლს უნდა ხედავდეს, როგორც უჩვეულო მდგომარეობას, როგორც სულიერ მდგომარეობას, როგორც დრამატულ მდგომარეობას... ფოთოლი ხეზე ჩვეულებრივი კანონზომიერებაა, ფოთოლცვენაც... ფოთოლი, ასფალტის უსწორობაში ჩამდგარ გუბეში უმწეოდ ჩავარდნილი და გამვლელთ მიერ გადაქელილი, — უკვე ლიტერატურაა.

* * *

არსებობს დამოკიდებულება ლიტერატურისადმი, რომელიც საერთოდ გამორიცხავს პირად ლიტერატურულ მოღვაწეობას, როცა კაცი ივიწყებს — როგორ და რას აკეთებს, მას აქვს საზომი და თვალსაზრისი სხვებისთვის და არა თავისთვის... თვით უცოდველია და უზადო.

* * *

ტენდენციური ვარ, მაგრამ ჩემი ტენდენციურობის მიზეზი პიროვნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიდან უფრო გამოდის, ვიდრე მისი პოეზიის ცოდნიდან... ეს არ არის არც კარგი და არც სწორი.

* * *

ხშირად ხდება — ყოფის, ყოველდღიურობის, თხრობის შიში ბორკავს კაცს... ვერ შეჰგუებია, რომ ემოციურის, განწყობილებათა შორის სივრცეების შევსება აუცილებელია. მაშინ ხელი არ უნდა მოჰკიდოს პროზას.

ჩემთვის არასოდეს არ არსებობდა „ცხოვრების ხე“, მე ყოველთვის „ცნობადი ხის“ ტყვე და მსხვერპლი ვიყავი. მე ვატარებ ჩემში ადამის პირველცოდვას, ყოველთვის ვატარებდი.

* * *

მე ყოველთვის მაღიზიანებს ვიღაცის მორალზე ან საქციელზე ლაპარაკი მათი, ვინც არაფერს აკეთებს. უმოქმედო კაცს ყოველთვის შეუძლია სხვისი აუგის თქმა, მას ამის საშუალებას მხოლოდ უმოქმედობა აძლევს.

ყველაზე ძნელია, მოქმედებისას შეინარჩუნო ხელშეუხებლად შენი მორალური პოზიცია, შენი ზნეობრივი მრწამსი. ისე, რა თქმა უნდა, დიდებულად შეიძლება ცხოვრება განვლო, არც არავის ერჩოდე, არც არავინ გერჩოდეს. მაშინ რას მიიტან ერის სამსხვერპლოზე? მხოლოდ უმოქმედობით შემორჩენილ უზადო პრინციპს. იგი არავის სჭირდება, ეს არაფერია.

* * *

რა იცვლება...

გრძნობის გამოხატვის ფორმები...

დღეს არავინ არ მისწერს ქალს წერილს იმ სტილით, როგორითაც წერდა ილია ან ჰიუგო.

დღეს არავინ დაწერს:

«Ты мой ангел и я целую твои ножки, целую твои глаза... Ты свет моих очей, ты жизнь моего сердца»...

პოეტიკა იცვლება, მაგრამ იცვლება გაცილებით ნელა, ვიდრე ამ ეპისტოლარული ლირიკის პოეზია. ჰიუგოს ლექსი არ არის ისე შორს ვალერის ლექსისაგან, როგორც ჰიუგოს ეპისტოლეთა სტილი ვალერის ეპოქის სტილისტიკიდან.

ბაროკო ორგანულად მოითხოვს სტილის შემდგომ დემოკრატიზაციას, რათა მისცეს სულისთქმა აზრს, გრძნობასაც.

* * *

როგორც კი კრიტიკოსი გადაწყვეტს წიგნზე ბატონობას, იქვე გადაიქცევა მოხელედ, რომელსაც აუცილებლად დასჭირდება ამ ბატონობის მაუწყებელი ოფიციალური მდგომარეობა.

* * *

ვუყურე გადაცემას თამაზ მელიავაზე.

თითქმის ყველამ აღნიშნა ამ კაცის საოცარი ზეგავლენა ახლობლებზე.

მე პირადად მისი უშუალო გავლენა არ განმიცდია, მაგრამ ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგრძნობდი ამ შესაძლებლობას.

თუკი რაიმე უშლიდა ხელს თამაზს ყოფილიყო პროდუქტიული, არც კონიაკი და არც სილამაზე — ისევ და ისევ ანალიტიკური გონება, ფიქრის უნარი და, იქნებ, სწორედ ერუდიცია...

იცოდე, რითი უახლოვდება ჰემინგუეი დოსტოევსკის, ან რატომ ხდება, რომ ფოლკნერის წიგნს იხსენებ, როგორც სინამდვილეს, ნანახს, განცდილს. ეს ბარიერია, ძნელი ბარიერი, რომელიც წინ გელობება შემოქმედებისას.

„მოვლენ დილეტანტები და შექმნიან დიდ ხელოვნებას“. თამაზ მელიავას სწორედ „დილეტანტობა“ აკლდა.

* * *

ფაქტებზე ნადირობა რეპორტიორის საქმეა და არა მწერლის.

მწერალს ფეხებზე ჰკიდია ფაქტები, მათი ემპირიული უძლეველობა.

მწერალი იწყება იქ, სადაც იგი დასძლევს ამ უძლეველობას. ჭეშმარიტი მწერალი...

„მწერლები“ კი, რა თქმა უნდა, ფაქტების სელექციონერები გახლავან და ვერც ამჩნევენ, რომ ეს ხელობაა და არა შთაგონება.

* * *

ჰომეროსი დიდია არა იმიტომ, რომ დააგროვა მითები და გადმოცემები... იგი დიდია იმიტომ, რომ შექმნა ბერძნული სამყაროს სტრუქტურა (ძართალია არა აქაველთა, არამედ დორიული, მაგრამ ამას პრინციპში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს), შექმნა ბერძნული სამყაროს სულიერი სახე, შთაბერა ამ სახეში პოეტური სული, წარმოსახვით აჯობა დროს...

გოეთე არასოდეს არ იქნებოდა დიდებული „ვერტერით“, გოეთე დიდებულია „ფაუსტით“; როგორ მინდა, ეს ყოველთვის ახსოვდეს ზოგ ჩემ ძეგობარს.

* * *

მხოლოდ გონება და მხოლოდ ფრაზა (თუნდაც ძლიერი და დახვეწილი), არ კმარა საიმისოდ, რომ წიგნი დარჩეს... სიტყვა საშუალებაა, ნიშანი, ფონემა, გრაფემა, ჯანდაბა და დოზანა... რჩება წიგნის სული, ნერვი, ენერგია... რჩება ლოცვა აწ წყევლა... არავის ახსოვს წუწუნი და აცრემლებული გამოხედვა... რჩება ჰიმნი.

* * *

მოჰყვებიან ბავშვზე, რომელსაც ავიწყდებოდა ჭამა, რადგან ბლაგვი დანით ხის ფიგურებს ჭრიდა; მის სიჭაბუკეს დაამშვენებენ რაიმე შეხვედრით ცნობილ კაცთან, რომელიც უწინასწარმეტყველებს მომავალ დიდებას. ეს იქნება კიდევ ერთი დამადასტურებელი წინასწარმეტყველება, რომლებიც ასე მომხიბვლელად უბრალონი (ხალხურნი) არიან.

ამას წერს რილკე.

გოგლა ლეონიძემ შექმნა ლეგენდა ვაჟასა და თავის შეხვედრაზე, ოდესლაც, ბავშვობისას, გოგლა ამ მხრივ მართალი იყო, რადგან „მოჰყვებიან ყმაწვილზე, რომელსაც...“

მე მირანდოლას კი არ ვიმეორებ, მაგრამ მაინც, ადამიანი თვითონ ქმნის საკუთარ თავს, ლეგენდას საკუთარ თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პოლიტიკური სიბეცე ეპატიება მას, ვინც უმოქმედოა...

არ ეპატიება სწავლულს, მწერალს, მეცნიერს...

მწერალი შეიძლება ყოველივე ამაზე მაღლა დადგეს, ოღონდ არ უხდა იყოს ბეცი...

* * *

მე ვიცი, იმ დღეს, გალაკტიონის დასაფლავების დღეს, ჩემი ერი იყო მგლოვიარე, ამაყი, ირონიულად მიმტევებელი და არისტოკრატი...

* * *

ბატონებო, ლიტერატურული ანალოგიებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ვგონებ, საკუთარი გაუნათლებლობის შედეგია და სხვა არაფერი...

ბატონებო...

* * *

არსებობს ერთი ფრიად არალიტერატურული ფაქტორი — ლიტერატურულ ცხოვრებაში პრინციპულობა და ხელმოცარულობა უცნაურად იჭრებიან ერთურთში. ზღვარი მათ შორის იშლება. მე ვგულისხმობ ხელმოცარულთა ნიღაბს — „პრინციპულ უბიწოებას“, ერთი სიტყვით იმას, რასაც თავის სულიერ უნაყოფობას, სულიერ სიმწირეს, ჩუმ დაუნდობლობასა და შიხაგახ ანარქიზმს აფარებენ. იქნებ ეს არაფერია, მაგრამ თუკი მოვლეხათა არსს შეაღწევ, გრძნობ, თითქოს ეხები კიდეც, იმ ყალბ უჯრედებსა და ატროფირებულ სასიცოცხლო კვანძებს, რომელთაც ისინი ჯიუტი შემპარაობით ქმნიან.

* * *

ადამიანი არ იყო ადამიანი მანამ, სანამ ცოდვის ნაყოფი არ იგემა.

ადამიანი ადამიანად ცოდვამ გადააქცია. შემდეგ კი ცოდვისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლამ აზრის მწვერვალებს აზიარა.

* * *

ლირიკის სათავე ქალური საწყისია. ხშირად ხდება — პოეტი კარგავს ძალას, ენერგიას, პოეტურ წარმოსახვას... ინარჩუნებს მხოლოდ იმ საწყისს და ჩვენს წინაშეა ისტორიით დაავადებული, თვალდავსილი დიაცი.

* * *

პოეტური სახეების სიჭარბე პროზაში ვერ ქმნის პლასტიკურ, ვიზუალურ წარმოდგენებსა და სიცხადეს... ის, რაც ლექსში აუცილებელია, პროზაში ზედმეტი სამკაულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მე მთელი ცხოვრება მაწუხებს დილეტანტიზმი. არასოდეს მქონია მეთოდური კვლევის უნარი, მე ვიძლევი მოსაზრებათა კომპლექსს და არასოდეს არ ვასაბუთებ აკადემიური გულმოდგინებით არც ერთ მოსაზრებას. ის აქტივობა, რაც საკმაოდ ახასიათებს ჩემს ემოციასა და გონებას, ვერასოდეს ვერ გარდავქმენი რეალურ საქმედ, მონუმენტურ ნაშრომად, რაღაც სისტემად. მე ვერ მივაღწიე იმ „უბრალო" ფაქტს, რომ შევიქმნა სამყაროს ჩემი მოდელი, დასაბუთებული გარკვეული ესთეტიკური და ფილოსოფიური სისტემით.

ჩემგან ყოველთვის გამოვიდოდა ლორდი კერნერი და არასოდეს არ გამოვიდოდა კორტერი. დილეტანტიზმი სრულებით არ ამსუბუქებს სულიერ ტკივილებს, პირიქით ამძაფრებს მათ, რადგან დილეტანტიზმი სრულებით არ ნიშნავს თავქარიანობას.

* * *

პროვინციალიზმი ისეთივე თანდაყოლილი თვისებაა, როგორც რაიმე ნიჭი... მის აღმოსაფხვრელად არ კმარა დედაქალაქში დავანება და მწერალთა კავშირის გამგეობაში დაფუძნება... თბილისის თვისება პროვინციალთა უსაშველო აღზევებაა... თითქოს ვაკუუმი შეივსო, თითქოს კი არა, მართლაც ვაკუუმი შეივსო — სიცარიელე, რომლის დატოვება არ შეიძლებოდა არავითარ შემთხვევაში... ამით ისარგებლეს პროვინციალებმა.

* * *

კარლო ქილარჯიანის შესახებ თითქმის არაფერი არ ვიცი. მე გამომრჩა მისი დავაჟკაცების, ინტელექტუალური აღზევების, სულიერი ამაღლების ხანა. გამომრჩა, მაგრამ როცა ჩამოვედი, ნათლად ვიგრძენი, რომ ჩემ მეგობართა შორის არსებობს მუდმივ მოქმედი ზნეობრივი ძალა და იმპულსი, რომელსაც ქილარჯიანი ქმნის. მას წინამდგომის თვისებები ახასიათებდა, მაგრამ ხელს უშლიდა ნერვული დაძაბულობა, პიროვნული... ნაციონალურიც კი.

* * *

ერთ ფრანგული ლიტერატურის სპეციალისტს ვკითხე — რომელ ბალზაკს აქებს-მეთქი მალერბი, როგორც პროზაიკოსს.

თვალები დააჭყიტა — ბალზაკი ერთია და — ერთსო.

— კი მაგრამ ბალზაკი მეცხრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა, მალერბი კი მეჩვიდმეტეში, როგორ გამოდის-მეთქი.

— ეს მოჭორილიაო.

— კეთილი, ბატონო, მაგრამ ეს ჭორიც მეჩვიდმეტე საუკუნეშია-მეთქი მოგონილი ტალემან დე რეოს მიერ.

იძულებული შეიქნა წასულიყო და მეჩვიდმეტე საუკუნის ბალზაკიც აღმოეჩინა.

* * *

საკუთარი შემოქმედების გაფეტიშება — მანიაკურობის გავრცელებული ფორმაა; საკუთარი შემოქმედების უარყოფის სურვილი — პროფესიონალიზმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

პოეტური სახე, თუნდაც სრულქმნილი, პროზაში არ იწვევს თვალნათლივ, პლასტიკურ წარმოდგენებს. ისინი პროზაში მაინც უფუნქციოდ რჩებიან.

* * *

სალიტერატურო ენა ყოველთვის უპირისპირდება ყოფით მეტყველებას, იგი არასოდეს არ ბაძავს მას, ყოველთვის ამაღლებულია და რამდენადმე პათეტიკური. ამგვარად, მეტყველების ბუნებრიობის თვალსაზრისით, იგი რამდენადმე ხელოვნურია, ზეაწეული, მაღალი... კინოს ენა, კინოს მეტყველება არ არის სალიტერატურო ენა. იგი უფრო ყოფით მეტყველებასთანაა ახლოს და თავისი ბუნებრიობის სათავეს სწორედ ყოფითი მეტყველების სტრუქტურასთან, ინტონაციასთან სიახლოვეში პოვებს. იგიც, რა თქმა უნდა, რამდენადმე ასუფთავებს, დაწმენდს ყოფითი მეტყველებისათვის დამახასიათებელ არგოიზმებს, ბარბარიზმებს... იგი, ასე ვთქვათ, უფრო მორცხვია და კდემამოსილი, მაგრამ იგიც სმენითს ეფექტებზეა დაფუძნებული და ამდენად კინომეტყველება უპირისპირდება კიდეც ლიტერატურულ ენას, იგი უფრო ყოფითი მეტყველების პირმშოა, ოღონდ ერთგვარი პრეტენზიით ლიტერატურაზე. იგი საჭიროებს ტონის, ინტონაციის ბუნებრიობას და არა ფორმებისა და სტილისტიკის განსაკუთრებულ დახვეწას; იგი ლექსიკურად მდიდარია, მაგრამ ნაკლებად ფიქრობს სემანტიკურ მნიშვნელობაზე, იგი იცავს სინტაქსს, მაგრამ არა სალიტერატურო ენის სინტაქსს. იგი უფრო ქუჩების, სახლების სინტაქსურ მრავალფეროვნებას ინარჩუნებს. სალიტერატურო ენა კი ამ მრავალფეროვნებას ერთი ნიშნის, ლიტერატურული მეტყველების ქვეშ, აერთიანებს და ამდენად უფრო ერთფეროვანია ინტონაციურად.

კინოს ენა სახიფათო და გას ფრთხილებელია, რადგან მისი გავლენა მეტყველებაზე თვალნათელია.

* * *

მოგონება ზოგჯერ დილეგივითაა, გატყვევებს და ვერასდიდებით ვერ დააღწევ თავს.

* * *

ჩვენ ისე ვეჩვევით მავანისა და მავანის უსინდისობასა და სიბილწეს, რომ დროთა მანძილზე ველარც ვამჩნევთ მას.

* * *

მე ადრე ვწერდი — ფერის, ბგერის, გარემოს შეგრძნების, თუნდაც ესთეტიკური შეგრძნებების უაღრესად პირობითობის შეცნობა ძნელი გასაძლებია, მტკივნეულია....

მე ახლა კიდევ უფრო ნათლად ვიცი ყოველივე ეს, ბოლოსდაბოლოს არყოფნა სხვა არაფერია თუ არ ამ შეგრძნებათა გაქრობა, ამის ცოდნა ცოტაა, ამის განცდაა მთავარი.

* * *

ადამიანის ზნეობა ყალიბდება არა მარტო იმის მიხედვით, თუ რაოდენ მისცემს გასაქანს დადებით საწყისს საკუთარ პიროვნებაში, არამედ იმით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რამდენად მოახერხებს უარყოფითის დათრგუნვას თავის თავში (ეს დაახლოებით იგივეა რაც აინშტაინმა ბრძანა მე-ს უარყოფის თაობაზე).

* * *

მე ახლა ვიცი, რას განიცდის მხედართმთავარი წაგებული ბრძოლის შემდეგ. არც შეიძლებოდა მე ეს ბრძოლა მომეგო, თუნდაც იმის გამო, რომ ნახევარ ზომებით ვმოქმედებდი, არ მივედი ბოლომდე, რისთვისაც ზოგნი გამიბრაზდნენ კიდეც.

რაღაც ჩაივლის, ჭრილობა მოშუშდება, შეურაცხყოფის გრძნობა განელდება... მაგრამ დარჩება ცხადი შეგრძნება იმისა, რომ ამაოდ შევები იმ უღელში, რომელიც ჩემს ხასიათთან არ თანხმდება. შეგრძნება იმისა, რომ სასიკეთოდ და სიყვარულისთვის გაწვდილი ხელი შეიძლება მოგტეხონ და ვერას იტყვი, ვერ გაიმთელებ, რადგან არავის არ სჭირდება შენი სიკეთე, კეთილგანწყობა, სიმართლე... დღეს ყველაფერს ზომავენ ქცევის აქტიურობით და არა ზნეობრივი სიმაღლით.

ერთია ოღონდ, მე კარგად ვარჩევ გულწრფელ დამოკიდებულებასა და უბრალო ცნობისმოყვარეობას... მაგრამ მაინც გამოირკვა, რომ ჩემს გვერდით გაცილებით მეტი კაცი დგას, ვიდრე ვფიქრობდი.

ამ ორი კვირის მანძილზე ერთი ოცი წლით დავბერდი.

* * *

პირველი ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი და მოძღვარი იყო ზოროასტრი, რადგან მან დაუპირისპირა ერთმანეთს სიკეთე და ბოროტება და გამოვიდა სიკეთის სახელით.

* * *

ერთი რამ მაოცებს, რაც უფრო ვუღრმავდები რაიმე პრობლემას, მით უფრო გაუგებარი და დაუფასებელი ვხდები ზოგიერთი ლიტერატორისათვის. ეს ან მათი უვიცობის, ან ჩემი ბრალია; ვფიქრობ, ჩემი ბრალი არ უნდა იყოს. იქნებ მაინც ჩემი ბრალია, რადგან ჩემში ნაკლებია სკოლა, აზროვნების სკოლა.

* * *

მე ვფიქრობ — მოწოდება გლობალობისკენ, ყოველგვარი ეროვნული და ნაციონალური საზღვრების გადაშლისკენ ადამიანს უფრო მეტად უმძაფრებს პიროვნულის გამძაფრებას, მარტოობას, საკუთარი არსებობის ტრაგიკულობის შეგრძნებას. ბოლოსდაბოლოს ეროვნული პირობითი ცნებაა, რომელიც ქმნის სტილს, ეთიკურ ტრადიციას და თუ იგი არ ხდება რაიმე ექსპანსიის საბაბი, მაშინ მხოლოდ იმ გარემოსა ქმნის, სადაც ინდივიდუმი გრძნობს რაღაც ერთიანობას გარკვეულ კოლექტივთან, პასუხისმგებლობის შეგნებას, ფორმის შენარჩუნების აუცილებლობას.

ამავე დროს, მე ნათლად ვხედავ, წარმოიშვა პრობლემათა და უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიგი, რომელთა გადასაჭრელად არ არის საკმარისი ლოკალური აზროვნება, სეპარატისტული შეზღუდულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მე არ ვიძლევი ლიტერატურული თეორიებისათვის დამახასიათებელ ფორმულებს, მე ვიძლევი შთაბეჭდილებათა კომპლექსს, საჭირო• აძის, როგორც ეტყობა, მეთოდოლოგიური მოწესრიგება. მაგრამ ესეც ხომ პიროვნულ თვისებაზეა დამოკიდებული.

* * *

მინდა, ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ პროზა არა მარტო სტრუქტურაა, პროზა სისტემაა... პროზას ყოველთვის აქვს სქემა, ეს არ არის საშიში... არსებობს ტოლსტოის რომანების სქემა და დოსტოევსკის რომანების სქემა... მაგრამ არსებობს საერთო სისტემა — საერთო ტოლსტოისთვისაც და დოსტოევსკისთვისაც — და მათ სისტემას აერთიანებს განცდის გლობალობა. მასშტაბი — დიდებულება (ის, რაც აღარ აქვთ არც ბუნინს, არც ბაბელს, არც კუპრინს — აქ სხვა სისტემასთან გვაქვს საქმე — უფრო სწორად, სისტემის დაქუცმაცებასა და დანაწევრებასთან, რაც აგრეთვე ლოგიკური აუცილებლობაა).

ბიბლიოთეკა

მანანა გვეტაძე

# ერთგულება

გამოჩენილ ქართველ პოეტს, XX საუკუნის ქართული პოეზიის პატრიარქს კოლაუ ნადირაძეს დაბადების 90 წლისთავი შეუსრულდა. „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავენ პოეტს ამ თარიღს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებითს გამარჯვებას უსურვებენ.

კოლაუ ნადირაძემ სიმბოლიზმით დაიწყო. ეს იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისი — ქართველ სიმბოლისტთა კორპორაცია „ცისფერი ყანწები“ ოფიციალურად 1916 წელს ჩამოყალიბდა. თუ თავისი რაობით ეს იყო გადახრა ქართული პოეზიის მაგისტრალურ გზიდან, იმავე დროს ეს იყო ცდა ახლის დაფუძნებისა ფორმის სფეროში. იმხანად სიმბოლიზმმა ერთგვარად დათრგუნა ნატურალიზმი, გაამრავალფეროვნა პოეტური სახეები, ინტონაციები, მოიტანა მეტი ექსპრესია, მიაღწია ლექსის მუსიკალურ სრულყოფილებას და, როცა თავისი თავი ამოსწურა როგორც მიმდინარეობამ, ყველაფერი ეს უკვალოდ არ დაიკარგა — საგზლად გაჰყვა არა მარტო ყანწელთა შემდგომ პოეზიას. ეს არაერთხელ აღინიშნა და ითქვა. კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაც ამ გზით წარიმართა. გვინდა გავიხსენოთ კ. ნადირაძის ერთ-ერთი ადრეული ლექსი „პოეზია“ (1920 წ.), რომელშიც კარგად ჩანს პოეტის სიმბოლისტური გატაცებანი. ლექსი ერთგვარად საპროგრამოა; ამ ლექსში საოცარი შეხამებაა ქართული პოეზიისათვის ტრადიციული პოსტულატებისა და სიმბოლისტური ესთეტიკისათვის დამახასიათებელი მომენტებისა. „უარყავ ჟინის ცეცხლი მაცდური და სიყვარული დაანთე სულში“, და იქვე, „მისაღებია ყოველი ფერი, მაგრამ ეძიე მათში ფარული“... „დამალე ცრემლი! განა ტირილი ვისმეს ახარებს, ვისმეს სჭირდება?!“ და „იწამე ყოფა ჩვენი ლანდური შორ მომავალში და შორ წარსულში“... „ცისფერყანწელები“ არსებითად უფრო მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ვიდრე ჰგავდნენ. ეს განსხვავება მერე და მერე უფრო ხელშესახები გახდა, მაგრამ მაშინაც კი, როცა ისინი ერთნაირი ტოგით იყვნენ მოსილნი, იერი თავისი ჰქონდათ. კოლაუ ნადირაძის ლექსებში განცდის საოცარი სიწრფელეა, მიუხედავად იმ საერთო აქსესუარებისა, რომლებიც სიმბოლისტთა ლექსებში შეიმჩნეოდა. და რა სპეციფიკურად ქართულია პატარა ლექსი „ოცნება საქართველოზე“ (1917):

> დავიწყებული ძველი ფონები
> და ნანგრევები დიდ ციხეების,
> ჩვენი დიდება მოსაგონები,
> ფართო ჩრდილები ცაცხვის ხეების.
> შედიხარ ჩუმად, გრილი ტაძარი,
> მოთაფლისფერო სახე მამების;
> და საცეცხლურში ცოტა ნაცარი
> და შავი ხატი წმინდა სამების.
> ნიშანი ბედის — კარზე ნალები,
> სახურავები დახავსებული.
> და ღვთისმშობელის მოგრძო თვალები
> უმანკო სევდით ამოვსებული.

ამ ლექსში ყველაფერი კონკრეტულია, რეალურია, და ეს ლექსი კოლაუ ნადირაძის სიმბოლისტური ხასიათის ლექსებს არ მიეკუთვნება, თუმცაღა 1917 წლით არის დათარიღებული და პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის იმ დროს განეკუთვნება, როცა იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სიმბოლიზმთან. იგივე ითქმის ლექსზე „შემოდგომა იმერეთის სოფელში“ და არაერთ სხვაზე, რომელნიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ვთქვათ. ქართულ ხაზს აგრძელებენ ნადირაძის პოეზიაში. ამავე დროს, პოეტის შემოქმედებაში არაერთი ლექსია შექმნილი, სხვა თუ არაფერი, სიმბოლიზმის პრეტენზიით. ასეთია, მაგალითად, „თეთრი ანგელოზი", „ვერსალი წვიმაში" და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ ქართულ პოეზიაში ძალიან ბევრია საერთო განწყობილებანი, მოარული სახეები, თემები. უკვე ნახსენები „თეთრი ანგელოზი" 1917 წელსაა დაწერილი, ისევე როგორც გალაკტიონის „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი..." გავიხსენოთ:

ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა...

კოლაუ ნადირაძე

თეთრი ანგელოზი მწუხარე თვალებით
ქალაქს მოევლინა ციურ ბრწყინვალებით...

ახლა ლექსი „ვერსალი წვიმაში", უთუოდ აღძრავს ასოციაციებს ვალერიან გაფრინდაშვილის ტრიოლეტთან (კ. ნადირაძის ლექსიც ტრიოლეტია). გავიხსენოთ:

ვარ მოწყენილი ვით ზამთარში ხაზი
ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი
ვერსალი...

კოლაუ ნადირაძე:

დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის ბაღებში
მოწყენილ დედოფალს აშინებს წვიმა...
საღამოს ლანდები კრთიან ოთახებში,
დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის ბაღებში.
მძიმეა სიჩუმე სასახლის თაღებში,
ვინ იცის, დედოფალს რათ გაეღიმა!
დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის
ბაღებში,
დაღალულ დედოფალს აშინებს წვიმა.

უნდა ითქვას, რომ მოტანილი ტრიოლეტი სავსებით ადასტურებს კოლაუ ნადირაძის, როგორც რაფინირებული ოსტატის რეპუტაციას. ეს პატარა, უპრეტენზიო ლექსი, მშვენივრად გადმოსცემს განწყობას. ამავე დროს კოლაუ ნადირაძის პირველი პერიოდის ლექსებს შორის არის ლექსები, რომლებიც მედიტაციურ ლირიკის ნიმუშად შეგვიძლია მივითვალოთ. ასეთია „დაფიქრება ზღვასთან". ზღვაზე კოლაუ ნადირაძეს არაერთი ლექსი აქვს დაწერილი. სხვაგანაც, სხვა კონტექსტში ხშირად გვხვდება იგი. გავიხსენოთ მაგალითად მშვენიერი ლექსი „განთიადი ზღვაზე". ანდა სხვა ლექსი, სადაც მთავარი კვლავ ზღვაა, როგორც სტრიქონის ერთ-ერთი მთავარი განსახიერება პოეტისათვის.

ვზივარ ზღვის პირად, დრო უხმოდ ძიდის
მზე დარჩა ქვებზე და ბავშვის თმებში...
საღამოვდება, სიჩუმე დიდი,
როგორც ნათელი შემოდის ჩემში.

კოლაუ ნადირაძის ლექსებში ბუნების სურათები თითქმის ყოველთვის განზოგადებულნი არიან და რაღაც გარკვეულ აზრამდე მიყვანილი, უფრო სწორად პოეტს ეს, ასე ვთქვათ, „პეიზაჟები" სჭირდება რაღაცის გამოსათქმელად, რაღაცის ხაზგასასმელად. ასეა ეს კოლაუ ნადირაძის როგორც ადრეულ, ისე მოგვიანებით შექმნილ ლექსებში. ამავე დროს, კოლაუ ნადირაძის არაერთ ლექსში ბუნება ერთგვარად ღვთაებრივთან არის შეთანხმებული, მაგალითად, ლექსში „ჩემი ვარსკვლავი".

რაღაც დიადი და ღვთაებრივი
სავარსკვლავეთის წიაღში, ხდება,
ო, ალბათ ფიქრი და სიყვარული
აქ განისვენებს და აქვე ჩნდება,
შემდეგ გადმოდის სულდგმულის გულში,
პოულობს სიტყვას და აღარ კვდება.

მაგრამ ლექსის დედააზრი სხვა სტროფშია გამოთქმული:

რაღაც დიადი და ღვთაებრივი აღაძიახის
სულშიაც ხდება!
ალბათ ეგ არის, როცა სიმღერა პირამდე
გავსებს და აღარ წყდება;
თვალში სინაზე რომ გაიელვებს, როცა
ნათელი სახეზე ჩნდება...

მსგავსი განწყობაა ლექსშიც „ბუნების ენა". ოსტატურად გადმოცემული ხალამოს სურათების შემდეგ („და მაღალ ვერხვებს აკაშკაშებს ღამის მნათობთა შეხება ცივი"), პოეტი ამბობს:

ისე საოცრად მეტყველებს მაშინ
მძინარ ბუნების მეფური ენა,
რომ გულის ცემაც მოისმის ქვაში
და მიწის სუნთქვას ითვისებს სმენა.
მაშინ ჩემს ფიქრებს და აღმაფრენას
შემოერტყმება ცეცხლი და ქარი
და ვგრძნობ სიცოცხლის ღვთაებრივ დენას
გაფითრებული და ცოცხალ-მკვდარი!...

ზემოთ მოყვანილი ლექსები, როგორც ვხედავთ, ძირითადად აზრისმიერი ლექსებია, მაგრამ კოლაუ ნადირაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ლექსებს საოცარი სიმსუბუქე ახასიათებს — განსხვავებით ასეთი ყაიდის უმეტეს ლექსთაგან. როგორც წესი, კოლაუ ნადირაძე ყოველთვის აქცევს ყურადღებას ლექსის მუსიკას, რითმების ჟღერადობას. ეს გასაგებიცაა, გავიხსენოთ სიმბოლისტების ლოზუნგი — „მუსიკა, უპირველეს ყოვლისა". მაგრამ კოლაუ ნადირაძესთან მუსიკა არასოდეს არ არის თვითმიზნური, პრიმატი ყოველთვის აზრს ენიჭება. მეტიც, კოლაუ ნადირაძის ლექსებში აშკარად იგრძნობა თხრობის ელემენტი. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ „ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვენება“, „ხის სიკვდილი“, „ქვიშხეთის საღამოები“ და სხვ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ლექსებში შენელებულია ემოციური მუხტი. აი ლექსი „აყვავებული ტყემლები“, რომელიც გარდასულ დღეთა მოგონებას ეძღვნება და უხვად ატარებს თხრობის ელემენტს, იწყება ემოციურად, საოცრად შთამბეჭდავად:

გაზაფხულია და დღე ბრწყინვალებს,
როგორც გვირგვინი ძვირფასი თვლებით.
მე ჩუმად ვუმზერ მაღალ მყინვარებს
და აყვავებულ ტყემლებით ვთვრები.
გულო, წყარო ხარ წყნარი და წმინდა,
როს აღარ უცქერ ცხოვრებას უბრად!
გინდა მტრედივით აფრენა ხიდან,
რომ ცას გაეკრა პატარა ღრუბლათ.

მედიტაციური ხასიათის ლირიკოსის ყურადღების მიღმა შეუძლებელი იყო დარჩენილიყო ისეთი მოვლენა, როგორიც არის სიკვდილი. ამ თემაზე ბევრი დაწერილა, ბევრი დაიწერება და უთუოდ სხვადასხვა დამოკიდებულება კვლავ გამოჩნდება. კოლაუ ნადირაძის ბევრ ინტიმურ ხასიათის ლექსში გამოკრთის ბუნებრივი სევდა საყვარელ ადამიანთა გარდაცვალების გამო, მაგრამ როცა საკითხი დგება ზოგადად, აქ პოეტი მისადმი გარკვეულ ფილოსოფიურ დამოკიდებულებას იჩენს:

იკურთხოს წამი, ჩვენ რომ განვიცდით,
რომელიც ქრება და წარსულს ბადებს!...
სიკვდილის ჟამიც, რომ ვერ ავიცდებთ
და ფიქრი, გულში ღამეს რომ ათევს!
(„ბუნების ენა“)

სიკვდილის, როგორც აუცილებლობის გააზრება, კოლაუ ნადირაძის არაერთ ლექსში გვხვდება. ამის გამო დიმიტრი ბენაშვილი წერდა: „პოეტის აზრით, სიცოცხლე საბოლოოდ ხძლევს სიკვდილს და აქ არის უკვდავებაც. კოლაუ ნადირაძე ფიქრობს, რომ სამყარო მის მთლიანობაშია სრულყოფილი და არასოდეს არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არა დაუბოლოვებელი გამოვლენა ღვთაებრივი ძალისა. სამყაროში არ არსებობს სიკვდილი, რადგანაც სინამდვილე აღებული მის მთლიანობაში მხოლოდ სიცოცხლეა.

პანთეისტების მსგავსად, ჩვენი პოეტი ფიქრობს, რომ არასოდეს არ შეიძლება მოისპოს სუბსტანციონალური, ისპობა მხოლოდ ძისი გამოვლინების სახეები. მიწიერი ცხოვრების ზევით ამაღლება, რათა ადამიანი დატკბეს მთლიანი სინამდვილით, არის სიცოცხლის ერთადერთი მიზანი. (დ. ბენაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე, თბ., 1961, გვ. 87).

რასაკვირველია, კოლაუ ნადირაძის პანთეიზმზე ლაპარაკი, გადაჭარბებული იქნებოდა, მაგრამ სხვა ზემოთქმული პირადად ჩვენთვის სავსებით დამაჯერებელია. რაც მთავარია, ამის საბაბს სავსებით იძლევა კოლაუ ნადირაძის პოეზია. და რა მოსაზრებასაც არ უნდა ვიზიარებდეთ ამ საკითხთან დაკავშირებით, უთუოდ გვხიბლავს თავისი სიწრფელით გარდაცვლილ სატრფოსადმი მიმართული სტრიქონები:

ცივი და ჩუმი თოვლის შრიალი,
ეგ ხომ ხმა არის მიმავალ ჟამის
და მალე ჩემი გულის ფრთხიალიც
შეუერთდება თოვლსა და ღამეს...
მე ისევ მესმის წარსულის კვნესა,
კაეშანს ჩემსას სიჩუმე ათრობს.
დაკარგულ საფლავს ვიგონებ შენსას,
სადაც, ძვირფასო, გძინავს და გათოვს...

მედიტაციური ხასიათის ლექსებს განეკუთვნება ლექსი „დიალოგიც“. ძველი, ძალიან ძველი პოლემიკის გამოძახილი ისმის ამ ლექსში:

მითხრეს: — ამ ლაჟვარდს რად გასცქერი,
რას ეძებ, რა გსურს?
ეგ ხომ სივრცეა უსიცოცხლო და
ცარიელი!
მხოლოდ მიწაზე სუფევს ტრფობის
სიბრძნის იერი,
შენ მხოლოდ შენში კვლავ იხილავ
დაკარგულ წარსულს.
მხოლოდ შენშია ვნების ცეცხლი
და მღელვარება!
— ო, მეგობარო, მე მწყურია სხვა
ნეტარება,
იქ სიმშვიდეა და მდუმარება.

მაგრამ სიმშვიდისა და მდუმარების მოყვარული პოეტის შემოქმედება საოცრად სიცოცხლისმოყვარული პოეზიაა. აქ უხვადაა სიყვარული, მზე, სევდაც და მრავალი სხვა რამ, რაც ერთი რკალის ლექსების რეზონიორობას უთუოდ სცილდება და სხვა რკალის ლექსებში პოულობს განხორციელებას. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ქართველმა სიმბოლისტებმა არ გაიზიარეს ფრანგული სიმბოლიზმის საერთო დამოკიდებულება ეროვნული თემისადმი და ამ მხრივ არც კოლაუ ნადირაძე იყო გამონაკლისი. სამშობლოს თემა სხვადასხვა ასპექტით იჩენს თავს კოლაუ ნადირაძის პოეზიაში, როგორც, ასე ვთქვათ, მისი „სიმბოლისტობის“ პერიოდში, ასევე მოგვიანებითაც და სულ ბოლო ხნის ლექსებშიც. ხან ეს უბრალოდ ქართული რეალიებია ლექსში, ხან ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი ლექსები, ხან ჩვენი დღევანდელი დღე, მისი აღმშენებლობითი პათოსი. აი კოლაუ ნადირაძის ერთ-ერთი ადრეული ლექსი „ფიქრი კრწანისზე და მანანა ორბელიანზე“:

განა არ ვიცი, განა არ ვხედავ,
რომ სხვა დროების ჩამოდგა ჟერი?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ რათ მტანჯავს ეს ფიქრი ნეტავ
და რაც არ მოხდა, ის რატომ მჯერა?
კრწანისის ახლოს ყიოდა გედი,
ქარი მიწამდე აწვენდა ლერწამს...
სხვა რა მოხდება ამაზე მეტი —
რაც დღემდე გულის ფიცარს ძილეწავს?

მტკივნეულად, მძაფრად განიცდის პოეტი სამშობლოს წარსულს, ის მისთვის დღევანდელი სატკივარია. კრწანისი არაერთხელ ჩნდება პოეტის წარმოსახვაში სრულიად სხვადასხვა ლექსებში; კრწანისს მიუძღვნა მან პატარა ლირიკული პოემაც, რომელსაც „კრწანისის ტრაგედია" ეწოდება. პოემა სულ ოთხი ქვეთავისაგან შედგება: „ბრძოლის მეორე დღე", „სამას არაგველს", „შავნაბადაზე", „მოკლული არაგველის სიტყვა". ამ ნაწარმოებზე იმიტომაც შევჩერდით, რომ კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაში არაერთხელ გვხვდება ნაწარმოების კომპოზიციური ხაზგასმა და ეს ნაწარმოებიც ამის ნიმუშია. „კრწანისის ტრაგედია" უკვე გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის და 1958 წლით არის დათარიღებული. მაგრამ ნახეთ, რა ჩაუმქრალი ნაღვერდალი არის მასში:

მკვდრეთით აღვმდგარვარ, რომ სიყვარულით
კიდევ მოგაპყრო თვალი,
არ ინაცრება ეს ჩემი გული,
არ იჟანგება ხმალი.
რაც ნაისრალი მკერდს დასჩენია —
სულს ნეტარებას ჰგვრიდა.
მე არასოდეს შემირცხვენია
შენი სახელი წმინდა.

ასევე განუწყვეტლივ აშფოთებს პოეტის შთაგონებას ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, ცოტნე ერისთავის თუ სხვა გმირების აჩრდილები.

1925 წელს დაწერილი „ასპინძის ომიც" სამი ფრაგმენტისაგან შედგება: „ერეკლე და კოხტა ბელადი", „ყალბი ცნობა ქართველთა ჯარის დამარცხებისა", „ერეკლეს შემოსვლა". განსაკუთრებით შთამბეჭდავია „ერეკლეს შემოსვლა":

მზე დაწვა სისხლად, მაგრამ ბინდი ჯერ
გვიანდება,
აწვება მეტეხს დაზანტებით მეტეხის
ჩრდილი,
და სოლანლუღის სიმაღლეზე, როგორც
ლახდება
დაისის ცეცხლში დგას ერეკლე
ხმალამოწვდილი.

ლექსის ფინალი სკულპტურის ასოციაციას იწვევს. ისე მკვეთრად არის დახატული სურათი. საქართველოს ისტორიაზე დაწერილ ლექსთა რკალს ეკუთვნის „დავით აღმაშენებელს", „თამარის კურთხევა" და სხვა არაერთი ლექსი. ამავე ლექსებს განეკუთვნება „სამი აჩრდილი", რომლის ქვესათაურია „ცოტნე, ქეთევან, ილია".

ისეთი ცოდვა რა ჩაიდინე,
ჩემო სამშობლოვ, მინდა ვიცოდე,
რომ ამოდენა ცეცხლი დაგჭირდა
და მე ამ ცეცხლით უნდა ვიწოდე,
რომ განთხევინეს ამდენი სისხლი,
არ შეგიბრალეს, არ შეგიცოდეს...

ლექსი 1945 წელს არის დაწერილი, ეძღვნება მნიშვნელოვან თარიღს და შემთხვევითი არ არის დიდ აჩრდილებთან გასაუბრება. ნიშანდობლივია ბოლო სტროფიც:

დამათენდება, მამადავითზე ააელვარებს
ხმალს განთიადი,
სამი აჩრდილი დატოვებს ოთახს,
გაიფანტება ჯანღი წყვდიადის
და ჩემ ქვეყანას, როგორც ნათელი,
დაეუფლება შუქი დიადი.

პოეტმა შესანიშნავად იცის, რომ მამულის სიყვარული მხოლოდ ისტორიის გააზრებას არ ნიშნავს. მთავარია მისი დღევანდელობა, აწმყო. ამიტომაც ლოგიკურად ჟღერს ახალი ქუთაისისადმი მიმართული სტრიქონები:

მე შენი ცქერით ვარ ბედნიერი
და სიხარულით გული მევსება.

ქუთაისი საყვარელი თემაა პოეტისათვის. „განახლებულ ქუთაისს", „მშობლიურ ქუთაისს", „ქუთაისის საღამო"... საერთოდ, კოლაუ ნადირაძის პოეზიაში არაფერი არ არის შემთხვევითი, ყველაფერი, რაც კი მოხვედრილა ლექსების ბჭკარებს შორის, მახლობელია თუ სათაყვანო პოეტისათვის და ამიტომაც საოცარი გულწრფელობითაა მოტანილი მკითხველთან.

რად მაგონდება ასე ულმერთოდ
შენი თხემები ჩამოქცეული?
რად მინდა მოვკვდე და შეგიერთო
შენ ჩემი სისხლი, ჩემი სხეული?
რად შემიყვარდა დღეს ისე ისე
თოვლი, წვიმები და ღელეები?
ზღვად მოვარდნილი შენი მაისი,
ქაჯებით სავსე შენი ტყეები?
(„იმერეთი").

კოლაუ ნადირაძის პოეტური ტექნიკა თითქმის ყოველთვის უზადოა. ეს ეხება როგორც ადრეულ, ისე გვიანდელ ლექსებს. ფრაზის თავისუფალი, სრულიად ძალდაუტანებელი მდინარება, ამავე დროს ტრადიციული ლექსთწყობისათვის დამახასიათებელი რითმულობა და რიტმულობა. კ. ნადირაძის ლექსის ტონალობა ყოველთვის სათქმელიდან გამომდინარეობს. ზემოთ მოტანილი ლექსის მღერადობა, სრულიად ქრება მშვენიერ ლექსში „სათქმელი ჩემი", რომელიც 1964 წელს არის დაწერილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლში გასვრილი
არ ყოფილა ჩემი ხელები,
არ მიძებნია წარჩინება,
ჯილა და ჯილდო.
არ დავჩოქილვარ
როგორც მონა
არვის წინაშე.
არ მაკვირვებდა
არც სიმდიდრე,
არც უქონლობა,
თუმცა ორთავე
მე საკმაოდ
მაქვს გამოცდილი...

პოეტმა მართლაც სპეტაკად განვლო დიდი ცხოვრება, რომელიც მთლიანად აირეკლა მის შემოქმედებაში. ყველაფერია აქ — პოეტის სამშობლო, ბავშვობა, ტრაგიკული აღსასრული საყვარელი ქალისა, სიხარული და სევდა, რაც ყოველ ადამიანის ცხოვრებაში იჩენს თავს... ადრეულ ლექსში — „სექსტინა", ვხვდებით პოეტის უცნაურ აღიარებას „მე თავად მატკბობს საკუთარი სულის წამება", და შემდეგ:

მე ყველაფერში ვეძებ ფარულ მშვენიერებას,
უხსოვარ ჟამთა ქარის ხმაში ისმის წამება,
საუკუნენიც გარდივლიან როგორც წამები!

კოლაუ ნადირაძის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლირიკულ პოემას „წითელი მოედანი", რომელიც 1924 წელს გამოქვეყნდა. პოემის არქიტექტონიკა იმდროისათვის სრულიად ახალი იყო ქართულ პოეზიაში. წითელ მოედანზე მდგარ პოეტის წინაშე ცოცხლდება მოედნის ისტორია, დაწყებული ოლგერდის თუ ბათო ყაენის შემოსევებით. შემდეგ პოეტს ეჩვენება მთვრალი ოპრიჩნიკები, ბოიარები, ხალხს რომ არბევდნენ, მეამბოხე სტენკა რაზინი, რომელსაც თავს჻კვეთენ ამ მოედანზე. აი, 1905 წლის ზამთარი, განთიადის მაუწყებელი... შემდეგ 1917 წელი, ოქტომბერი, რევოლუცია... პოეტი მიმართავს წითელ მოედანს:

მთელი სამყაროს დახუთულ ბნელეთს
ანათებ წითლად,
როგორც შუქურა, როგორც ლამპარი,
ცეცხლი განწმენდის...

საინტერესოა, რომ პოემის ეგევე კონსტრუქცია შემდეგ გამოყენებული აქვს რობერტ როჟდენსტვენსკის პოემაში „ოცი ნაბიჯი". ცხადია, აქ ისტორიის მონაკვეთი გაზრდილია — 1924 წელს ჯერ არ იყო განცდილი სამამულო ომი, რომელიც როჟდენსტვენსკის პოემაში განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს.

ოქტომბრის რევოლუციის თემა გაიხაზება კოლაუ ნადირაძის ბალადაშიც „ბალადა შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე" (1928 წ.).

კოლაუ ნადირაძის ლირიკაში არაერთი ლექსია მიძღვნითი ხასიათისა. მისამართები მრავალფეროვანია: რუსთაველს, პუშკინს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ომარ ხაიამს, საადი-შაფიზს, ვალერიან გაფრინდაშვილს, ივანე ჯავახიშვილს, დავით აღმაშენებელს, პაოლო იაშვილს და სხვა და სხვა... თითქმის ყველა ასეთი ხასიათის ლექსი სცილდება მხოლოდ მიძღვნის ობიექტს და უცილობელ განზოგადებას აღწევს. სხვანაირად საერთოდაც ეკარგება აზრი ამგვარი ყაიდის ლექსების არსებობას.

დრო და ჟამმა არ შესცვალა კოლაუ ნადირაძის ლირიკის ძირითადი თემები, ოღონდ ახალი მიმართულება, ახალი ელფერი მისცა მათ. სამშობლოს თემა კვლავ ძირითადი და კარდინალურია კოლაუ ნადირაძის შემოქმედებაში, მაგრამ საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ მომენტებს, მძაფრად განცდილს კოლაუ ნადირაძის ლირიკაში, ემატება სიხარულის და მზის ფერები, განახლებული სამშობლოს პეიზაჟებისა და ცხოვრების აღწერის დროს.. კვლავაც გვხვდება წარსულის შეხსენება, მაგრამ უფრო მძაფრად გახაზულია აწმყო, ვთქვათ ლექსში — „თბილისის გამოღვიძება":

დაღვრილ ცრემლებით ავსებული,
თითქოს გაძთბარი .
მტკვარი ტორტმანით მოადგება ძეტეხს,
ხავსიანს,
რომ გადალეკოს ძველ სიმტკიცის
თავშესაფარი...
მაგრამ რიერაჟის გალიმებით უკვე
დამტკბარი
ქალაქი ჩემი სიხარულით ისევ სავსეა.

დიდი სამამულო ომის დროს კოლაუ ნადირაძე ნაკლებს წერდა, ხოლო რასაც წერდა, უშუალოდ ომის თემასთან დაკავშირებული არ იყო. ამის მიზეზი უბრალოა — კოლაუ ნადირაძის ყალიბის პოეტს უძნელდება ყოველდღიურობის პუბლიცისტიკა. სამშობლოსადმი დიდი სიყვარული, ომის წლებში მან საქართველოს გმირულ წარსულზე დაწერილი ლექსებით გამოხატა. ეს ერთგვარი მოწოდებაც იყო გმირობისაკენ, ზნეობრივი სიმტკიცისადმი. ასეთია ზემოთ უკვე მოხსენიებული ლექსი „სამი აჩრდილი"... 1945 წელს, ომის მიწურულს და ომის შემდგომ, პოეტი არაერთ მშვენიერ ლექსს წერს, სადაც კვლავ საყვარელ თემებს უბრუნდება. ბევრ მათგანში სიხარულის ხმებია ჩაქსოვილი.

1948 წელს დაწერილ პოემაში „ჩემი სამშობლო" უკვე მოაზრებულია განვლილი ომი და სწორედ ომის შემდგომ ვითარების ფონზე იშლება ეს ლირიკული პოემა, როგორც სამშობლოს სიყვარულის ღაღადისი:

ორი წელია, რაც გადაილო,
რაც საშინელი გრიგალი ჩადგა.
რამდენი მსხვერპლი საჭირო იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი სისხლი ხალხმა გაიღო,
რა გაჭირვების დღეები გვადგა!
მაგრამ დასრულდა მრისხანე ომი,
ჩვენ გამარჯვების მზეს მივაღწიეთ...

თამაზ ჩხენკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კოლაუ ნადირაძის ლექსებში გამჟღავნებული მსოფლშეგრძნება სიცოცხლით ხალისიანი თრთოლვით არის აღსავსე. სიცოცხლე პოეტის მიერ განიცდება როგორც თავზარდამცემი სიდიადე, რომელიც ქვაშიც კი ფეთქავს. იგი განიცდება როგორც ტკივილამდე მისული სიყვარული, როგორც უკვდავების და მარადისობისკენ ლტოლვის აუცილებელი პირობა და ამდენად უდიდესი ღირებულების შემცველი არსებობა“. აქ სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ კოლაუ ნადირაძის გვიანდელი (1945 წ.) ლექსი „მე მიყვარს დილა“.

მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში
შემოვა მზე და მერცხლის გალობა,
როცა მახარებს სიცოცხლის გრძნობა
და თვით სიკვდილის გარდუვალობა.

კოლაუ ნადირაძეს სრულიად თავისთავადი პოეტური სამყარო აქვს. მის ლექსებში გამოსჭვივის არა მარტო დაფიქრებული ლექსის ოსტატი, არამედ რაფინირებული ესთეტიც, რომლისათვის მშვენიერება უდავოდ დიდი განზომილებაა. არც დამფასებლები დაჰკლებია მის შემოქმედებას, განსაკუთრებით ბოლო დროს, როცა მხცოვანი პოეტის ლექსები კვლავ ახალგაზრდული შემართებით ხიბლავენ მკითხველს. და მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ კოლაუ ნადირაძის პოეზია, ასე ვთქვათ, „ელიტარული“ პოეზიაა, გარკვეული მკითხველისათვის გასაგები და მახლობელი. თუმცა კოლაუ ნადირაძესაც აქვს ლექსი, რომელმაც „საყოველთაობა“ მოიპოვა. ეს ცნობილი ლექსია „წიწამურიდან საგურამომდე“, შეიძლება იმიტომაც, რომ იგი ერთგვარად „ამომხტარია“ პოეტის მშვიდ, ეპიკური ტონიდან, ჩვენთვის ბევრ სასიცოცხლო მტკივნეულ საკითხს ეხება. შთამბეჭდავია ლექსის ექსპრესია, მუსიკა:

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი
და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის
გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე აშრიალებულ
ფოთლების ზღვაა...

„ეკლიან და პატარა“ გზაზე საქართველოს ისტორიის ბევრ დუხჭირ დღეებს გაუვლია:

არავინ იყო ამბის მიმტანი,
არ გინათებდა გულს ალიონი,
აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს“,
არ გუგუნებდა ზარი სიონის,
შენ დაგტიროდა მხოლოდ [illegible]
— დამარცხებული ბაგრატიონი!

და ცხადია, წიწამურიდან საგურამომდე დაცემულ დიდი ილიას სახელს განსაკუთრებული ტკივილით იგონებს პოეტი.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ კოლაუ ნადირაძის პოეტური სამყარო სულ მთლად შეუვალი იყო და რაღაცით მაინც არ თანხვდებოდა მის გარშემო არსებულ პოეზიას (საუბარია ნადირაძის გვიანდელ ლექსებზე). მეტიც: ზოგიერთ ლექსში აშკარად იგრძნობა რემინისცენციები. ასე ვთქვათ, 1967 წელს დაწერილი ლექსი „ზღვა მაგიდაზე“ ჩანაფიქრის განხორციელებით სიმონ ჩიქოვანის „ნიჟარას“ გაგვახსენებს, თუმც ეპიგრაფი პუშკინიდანაა. 1947 წელს დაწერილ ლექსში „კვალდაკვალ“ ტაეპი „და ახლა ისე, ვით მინდვრად ოლე, ვდგავარ დალეწილ ფრთებით“ უთუოდ გიორგი ლეონიძიდან იღებს სათავეს. უფრო ადრინდელ ლექსებს რომ დავუბრუნდეთ, კ. ნადირაძის „ღრუბელი“ უთუოდ აღძრავს ასოციაციას ლერმონტოვის ცნობილ ლექსთან. მაგალითების დაძებნა, ცხადია, კვლავაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს არსებითი არაა კოლაუ ნადირაძის პოეზიისათვის. მთავარი მაინც ისაა, რომ თავის ბოლოდროინდელ ლექსებში კოლაუ ნადირაძე მიზანდასახულად უბრუნდება იმ თემებს, რომელთაც არაერთგზის ვხვდებით მის პოეზიაში. ასეთია 1967 წელს დაწერილი ლექსი „ღამე“, ასეთია 1968 წელს დაწერილი უსათაუროც:

შეწყვიტე ფიქრი, მშფოთვარე სრბოლა,
ეს გზა სიმშვიდით დავაბოლოოთ:
სიცოცხლისა და სიკვდილის ბრძოლა
მოჩვენებაა მხოლოდ და მხოლოდ.
ნუ დაგვაეჭვებს ყვავილთა ჭკნობა,
წარმავალობა ფერთა, ჰანგების;
ეგ არის მხოლოდ ცვალებადობა,
უდიადესი სიბრძნე განგების.

თარიღები რომ არა, გაჭირდებოდა იმის მიხვედრა, კოლაუ ნადირაძის შემოქმედების რომელ პერიოდს განეკუთვნებიან ეს ლექსები. მაგრამ თავის ბოლოდროინდელ ლექსებს კოლაუ ნადირაძემ მისთვის სრულიად ახალი ჟანრი შემოამატა. ეს არის, როგორც თავად უწოდებს ავტორი, პოემა — იუმორესკა „სოფლის ამბავი“ (1964 წ.). პოემაში გადმოცემული ამბის მიუხედავად, რომელიც პოეტის უილბლო გამიჯნურებაზე გვიამბობს, „სოფლის ამბავი“ დაწერილია ლაღად, სოფლის პეიზაჟები გადმოცემულია კოლაუ ნადირაძისათვის ჩვეული ოსტატობით, ლექსი მელერია და მოქნეული, ხალხური ლექსის დასადარი. მიუხედავად ასეთი ექსპერიმენტისა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლაუ ნადირაძის პოეზიაში თითქმის სრულებით არ გვხვდება ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიური ლექსის მელოდიკა, სახეები, რაც ხში-რად შეგნებულად თუ შეუგნებლად არის შე-მოტანილი ლექსის ქსოვილში სხვა პოეტების მიერ. თუმც ერთი ასეთი ცდა მასაც ჰქონდა — ხალხურ მოტივებზე დაწერილი ლექსი „სიმღერა არსენა ოძელაშვილზე“ (1923 წ.), მაგრამ ამით დასრულდა კიდეც პოეტის მო-ღვაწეობა ამ სფეროში, თუ არ ჩავთვლით კი-დევ ერთ ლექსს — „ენგურ-რიონის დავა“, რომელიც დათარიღებულია 1935 წლით.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ომარ ხაიამისა და იეთიმ გურჯისადმი მიძღვნილ ლე-ქსებში პოეტი შეეცადა გადმოეცა სპეციფი-კური მელოდიკა. ლექსში „იეთიმ გურჯის სი-მღერა“ აშკარად იგრძნობა ქალაქურ ფოლკ-ლორთან მიახლოების სურვილი.

ცალკე თემად შეიძლება გამოიყოს კოლაუ ნადირაძის ლირიკაში ქართული სოფლის თე-მატიკა. სოფლის პეიზაჟები, შთამბეჭდავად ამოტვიფრული ოსტატის მიერ, უპირველესად, ქალაქელი კაცის თვალთახედვას ამხელენ, რომლისთვის ძვირფასია სოფლის იდილია, მოაზრებულია სოფლის სილამაზეც. სოფლის თემა, ტრადიციულად დამკვიდრებული ქარ-თულ პოეზიაში, ცხადია, დღესდღეობით გარ-კვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. „ცისფერ-ყანწელებთან“ კი ეს იყო სევდიანი გახსენება ბავშვობისა თუ მშობლიბისა, გახსენება, რო-მელიც გულისხმობდა დროის ულმობელ სვლას. ყველაფერი ეს უცხო არ არის კოლაუ ნადირაძის პოეზიისთვისაც, მაგრამ მის ლექ-სებში, განსაკუთრებით გვიანდელ ლექსებში, სოფლის სურათები მოცემულია მაჟორულ ტონალობაში, ეს სურათები განამტკიცებენ სიყვარულს სიცოცხლისადმი, ადიდებენ მას. აი, 1935 წლით დათარიღებული „შემოდგომის სტუმრობა“:

არ ვიცი, რა დროს მოვიდა ჩემთან,
როგორ ამინთო ბუხარში ცეცხლი,
ან როგორ გაჩნდა შორეულ მთებთან
და მწვერვალები მოჭედა ვერცხლით.
როს ზეცა ისევ გადაისარკა
და ქარი ხეებს უმტვრევდა კუნთებს,
ვით მწყემსი გოგო, სამხრეთისაკენ
ის მიდენიდა მერცხლების გუნდებს.

მიუხედავად იმისა, რომ კოლაუ ნადირაძეს ხელეწიფება ფერწერული სურათების შექმ-ნა (როგორც ეს ზემოთ მოტანილ მაგალითი-დანაც ჩანს), მისი პოეზიის სტიქია მაინც სხვა არის. ბუნებასთან ადამიანის დამოკიდებულება და ურთიერთობა, ეს კარდინალური ხაზი, უც-ვლელი რჩება მის პოეზიაში. მოვიგონოთ თუ-ნდაც ეს ადგილი 1967 წელს დაწერილი ლე-ქსიდან:

და როცა აქ ვარ სულ მარტოდმარტო,
როს ნეტარებას ნიავნი მგვრიან,
მე მინდა ფიქრი ღამეს გავანდო
და შევუერთო ცაცხვების შრიალს.
შრიალი მათი ესოდენ ნაზი
მათი ჩურჩული, მათი გალობა,
ეგ არის მადლით ავსილი თასი,
რაც ცამ და მიწამ მე მიწყალობა.
(„ქვიშხეთის ცაცხვები“),

არ შეიძლება არ აღინიშნოს კოლაუ ნადი-რაძის მთარგმნელობითი მუშაობაც. მისი ინ-ტერესები ფართოა ამ თვალსაზრისით. მთარ-გმნელობითი მუშაობაშიც კარგად ჩანს მიკე-რძოება ამა თუ იმ პოეტისადმი, დაინტერესე-ბის სფერო, ვთქვათ, პუშკინი და მალარმე. ასე რომ, მთარგმნელობით მუშაობაში კოლაუ ნა-დირაძე გულწრფელი და პრინციპული დარჩა.

კოლაუ ნადირაძემ გრძელი გზით იარა პო-ეზიაში. საბედნიეროდ იგი დღესაც ნაყოფიე-რად მუშაობს. მის გარშემო თანამედროვე ქა-რთული პოეზიის მრავალფეროვნებაა, ახალი ტენდენციები, ახალი სახეები — დროით მო-ნილი. ეს ყველაფერი არ შეხებია მის ქნარს (შემთხვევით არ ვხმარობ ამ სიტყვას), მისი აზროვნების რიგს. როგორც თვითონ წერს —

და ისევ ისე
როგორც წარსულში
უზენაესი
სიმშვიდე სულში
და ამღერება.
ო, მხოლოდ ასე
სუნთქვა მარადის
ალერსით სავსე
გულში გადმოდის
როგორც ფერება,
და გვევლინება
ასე ფარული,
იდუმალ ხმებით გადმოღვარული
მშვენიერება.

(1956)

ჩანს ეს წმინდა ადამიანური თვისებაა,—ყოვე-ლი პიროვნება თავის თაობას ეკუთვნის, დროს, როცა იგი პიროვნებად ჩამოყალიბდა. თავა-დაც ამბობს პოეტი — „იმ დიად ნაჟურს, ჩე-მში ჩარჩენილს, არ შეეხების არასდროს ხე-ლი“ („თასი“, 1975 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერება

ნოდარ ნათაძე

## „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მთლიანობისათვის

რატომ იდვეს თავს გვიანი შუა საუკუნეების პოეტებმა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შევსება? ვემო ვერ გაუგეს მტკიცედ შეკრული პოემის ამაღლებულ ერთიანობას და რუსთველის კალმის მიერ აღძრულმა ფანტაზიამ მათ ახალ-ახალი ეპიზოდების დამატება მოსთხოვა? პოეტურ ასპარეზობაში, რომელსაც მაყურებლად მარადისობა ჰყავდა, საკუთარი ძალების გამოცდა მოუნდათ? თუ გონებაში კარგად მიგნებული რითმა ან შედარება წამოუტივტივდათ, დასაკარგავად ველარ გაიმეტეს, და შესაფერი ვერსიფიკაციული ან სიუჟეტური „ნარჩოს“ შეკოწიწებას მოჰყვნენ? ეს კითხვები, ალბათ, ყოველთვის უპასუხოდ დარჩება. მაგრამ ორი რამ ცხადია: ერთი ის, რომ იმ გამგრძელებელთა შორის ზოგი ძლიერ პოეტი ყოფილა, ზოგი კი — ძალიან კარგი; მეორეც ის, რომ იმ კარგ პოეტთა ნაღვაწსაც, მიუხედავად მისი ღირსებისა, მკაცრი გაცხრილვა სჭირდება, როდესაც პოემის გამოცემას ვაპირებთ. პოემის ტექსტში არ უნდა აღმოჩნდეს ის, რაც რუსთველისა არ არის, რაც მის სულისკვეთებას, მისი აზროვნების წესს, მის ლაღსა და, ამავე დროს, მკაცრად აღაგზნულ პოეტურ მანერას არ შეესაბამება. მაგრამ ასევე დაუშვებელია ტექსტიდან სტროფის ამოღება იმის გამო, რომ იგი რუსთველის შორეულ შთამომავლებს ველარ გვესმის (ან: სათანადო კვლევის გარეშე ველარ გვესმის), რომ აღარა გვაქვს რუსთველის ლექსიკის ან ამ ლექსიკით გამოხატულ წარმოდგენათა შინაარსის ამოხსნისათვის საჭირო ცოდნა, ან, შუა საუკუნეთაგან მრავალი ასეული წლით დაშორებულებს, ისე აგვრევია ლიტერატურულ სტილთა ცვლის ისტორიული პერსპექტივა, რომ ველარ ვანსხვავებთ, ერთი მხრივ, რუსთველის უნიკალურ მხატვრულ მეთოდოლოგიას და, მეორე მხრივ, საგმირო თხზულებათა მთარულ, საყოველთაოდ გავრცელებულ მეთოდოლოგიას, რომელიც დანართებსა და ჩანართებს ახასიათებს.

პირველი ამ ორ ცოდვათაგანი — ტექსტის უჯერო შევსება — რუსთველის შედარებით ახლობელი მემკვიდრეებისათვის კარგად ცნობილი გახლავთ და მან სათანადო შეფასებაც მიიღო. ვინმე ნანუჩას (მანუჩარ ციციშვილს),[1] რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი „ვეფხისტყაოსნის“ ასეთი შემკობით, მეფე-პოეტმა არჩილმა შემდეგი სტრიქონები უძღვნა:

ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ შეურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმიდა რამ აუმღვრევია.

რაც შეეხება მეორე ცოდვას, „ვეფხისტყაოსნიდან“ სტროფთა უმართებულო ამოყრას, მას ჩვენი წინაპარნი, უთუოდ, არც იცნობდნენ ვახტანგ მეექვსის კრიტიკულ-რედაქტორულ მუშაობამდე (წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ჩამდენი, უთუოდ, უფრო მკაცრ შეფასებას მიიღებდა, ვიდრე ნანუჩამ მიიღო) მაგრამ არც პოემის პირველ ტექსტოლოგ-კრიტიკოსს ვახტანგ მეექვსეს უნდა დავდოთ მეტისმეტად მკაცრად ბრალი სტროფთა გამოტოვებისათვის, ვინაიდან დაზუსტებით არ ვიცით, რა მასალას აძლევდა მას ხელთ ის ხელნაწერები, რომლითაც სარგებლობდა.

[1] ნანუჩას ვინაობის მონოგრაფიული გამოკვლევა იხ. გ. არაბულის წიგნში — „ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ“, 1983.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის დღევანდელ პრაქტიკაში პოემის კვეცა ლამის ტრადიციად იქცა. ტექსტის კრიტიკულად დამდგენნი ნაკლებ უფრთხიან ხოლმე პოემიდან ისეთი სტროფის ამოგდებას, რომლის სიყალბის დასამტკიცებლადაც უტყუარი საბუთი (ზოგჯერ კი სულაც არავითარი საბუთი) არ გააჩნიათ, ვიდრე მასში ისეთი სტროფის დატოვებას, რომლის რუსთველობაც ეჭვს იწვევს, ან, მით უმეტეს, ისეთისას, რომელიც მათ რამდენსამე წინამორბედს ტექსტის გარეთ დაუტოვებია. ამიტომაც აგერ რამდენიმე ათეული წელია, რაც „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი და შემდგომი გამოცემები, როგორც წესი, წინებზე უფრო მოკლეა.

ვიკითხოთ: რატომ? ალბათ, იმ ფსიქოლოგიურად (მაგრამ მ ხ ო ლ ო დ ფსიქოლოგიურად) ბუნებრივი პოზიციის გამო, რომლის თანახმადაც ტექსტის შევსება გულუბრყვილო ენთუზიაზმის საქმეა, მისი კვეცა კი — კრიტიკული აპარატით შეიარაღებული ცივი და ულმობელი მკვლევარის მოვალეობა. წინამდებარე წერილის მიზანია იმის ჩვენება, რომ ასეთი პოზიცია მართებული არ გახლავთ; რომ „ვეფხისტყაოსნის“ კულტურულ-ისტორიული გარემოს ის ცოდნა, რომელიც ხელთ გვაქვს, ყოველთვის როდი იძლევა იმის უფლებას, რომ ხელნაწერებში (ან ერთ ხელნაწერში მაინც) შავით თეთრზე დაწერილი სტროფის ნაყალბევობა ვამტკიცოთ; რომ ანალიზის გაღრმავებას უსათუოდ სკეპტიციზმამდე კი არ მივყავართ, არამედ ზოგჯერ ისეთი სიღრმისეული კავშირების აღმოჩენამდეც პოემის ქსოვილში, რომლებიც აქამდე არ შეგვინიშნავს და რომლებიც პოემის თითქოსდა გათიშულ კომპონენტებს ერთ მთლიანობად კრავს; და რომ, დასასრულ, პოემის კვეცის იმ პრაქტიკამ, რაც ბოლო წლების გამოცემებში ფართოდ გავრცელდა, პოემის უ ფ რ ო გამართული მეცნიერული ტექსტი კი არ მოგვცა ხელთ, ვიდრე შედარებით ლიბერალური მიდგომისას გვექნებოდა, არამედ, პირიქით, ნ ა კ ლ ე ბ გამართული. ჩვენი მსჯელობისთვის მასალად გამოვიყენებთ რამდენიმე სტროფის ბედს. მათ განვიხილავთ ბოლო წლების სამი გამოცემის მიხედვით: ა. 1937 წლის საიუბილეო ტექსტი, რომელიც 1966 წლამდე მცირედი ცვლილებებით გამოდიოდა ხოლმე, ა. შანიძის, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქტორობით. ქვემოთ მას „ტრადიციულ ტექსტად“ მოვიხსენიებთ; ბ. 1966 წლის გამოცემა, ა. შანიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით. ქვემოთ მას სიმოკლისათვის „ა. შანიძისეულს“ ვუწოდებთ; გ. 1966 წლის საიუბილეო გამოცემა (სარედაქციო კოლეგია ირ. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი), მოვიხსენიებთ 1974 წლის სასკოლო გამოცემასაც (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, განმარტებები და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ) და პოემის ტექსტის დამდგენი აკადემიური კომისიის ნამუშევარსაც, რომელიც „მაცნეში“ ქვეყნდება პერიოდულად.

განსახილველ სტროფებს დავყოფთ: **ა.** უეჭველად რუსთველურ სტროფებად (ჩვენი აზრით), **ბ.** საეჭვო სტროფებად და **გ.** დიდად საეჭვო სტროფებად (მათი ნუმერაცია მოცემული გვაქვს 1974 წლის სასკოლო გამოცემის მიხედვით).

## I. უეჭველად რუსთველური სტროფები.

1. სტრ. 310. (არის შანიძისეულსა და ტრადიციულ ტექსტებში, არ არის 1966 წლის საიუბილეოში). ტარიელი პირველ შეხვედრაზე ავთანდილს ეუბნება:

**მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთით მზითა**
**ორი მისი მოწყალება დღესცა მომცა ამა გზითა:**
**პირველ, შეჰყრის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა,**
**კვლა, ნუთუმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა.**

ამ სტროფის ნამდვილობაში ეჭვის შესატანად არავითარი საბუთი არ არსებობს, მისი ნამდვილობის სასარგებლოდ კი საესებით ხელშესახები პოზიტიური საბუთები გვაქვს ხელთ: ჯერ ერთი, იგი ბუნებრივი გაგრძელებაა წინა სტროფისა, რომელიც მის გარეშე დაუმთავრებელი რჩება აზრის მხრივ. იქ ტარიელი ეუბნება ასმათს, რომელმაც სთხოვა, ავთანდილს შენი ამბავი უამბე, ეგებ რამით გიშველოსო: — „რას მიშველის, განა არ იცი, ჩემი სენი რომ განუკურნებელია? მეორე მხრივ, ეს მტირალი ყმა მეცოდებაო“. განსახილველ სტროფში ეს აზრი გრძელდება: „მაგრამ მოწყალე ღმერთმა ორგვარი წყალობა მომცა, — ამბობს ტარიელი. — ჯერ ერთი, ჩემი მონათხრობი მოყვარულთა (იგულისხმება — ავთანდილისა და თინათინის) შეყრას წაადგება; მეორეც, ეგებ ამ თხრობით ტკივილი გამიცხოველდეს და ნანატრი სიკვდილი მეღირსოსო“. მეორეც, ამ სტროფის ენობრივი ნორმები სპეციფიკურად რუსთველურია (**„ნუთუმცა სრულად დამწვა“**, რაც ნიშნავს: „ეგებ დამწვას“, „ვინ იცის, ეგებ დამწვას). მესამეც, აქ ხმარებული სიტყვა **„ცნობა“** მხოლოდ ნეოპლატონური ფილოსოფიიდანაა გასაგები, რომელსაც რუსთველი და მისი თანამედროვენი კარგად იცნობენ, მათი შთამომავალნი კი—არა („ცნობა“, ანუ გონება, ბერძნულად „ნუს“, ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი მეტაფიზიკური ცნებაა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სტრ. 327. არ არის საიუბილეო ტექსტში, მაგრამ არის ა. შანიძისეულსა და ტრადიციულ ტექსტებში. აქ ლაპარაკია ნესტანის შობაზე:

**წიგნი წიგნსა ეწეოდა** (ა. შანიძესთან — ეცემოდა), **დედოფალი ოდეს შობდა,**
**მოციქულსა — მოციქული, ინდოეთი სრულად სცნობდა,**
**მზე და მთვარე განცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა,**
**ყოვლი არსად შემოსრული მხიარული თამაშობდა.**

ამ სტროფის საეჭვოობის ერთადერთი საბუთი ის შეიძლება იყოს, რომ წინა სტროფი (326) მთავრდება ნესტანის მშვენიერების ხსენებით (**„თქვა: მაშინვე მზესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი“**), ხოლო მისი მომდევნო სტროფი იწყება სიტყვებით:

**ქება არ ითქმის ენითა, აწ ჩემგან ნაუბარითა,**
**ფარსადან დაჯდა ხარებად ზეიმითა და ზარითა.**

მაგრამ სრულებით არაა აუცილებელი, „ქება“, რომელზედაც ტარიელი ლაპარაკობს, უშუალოდ ნესტანის სილამაზის ხსენებას მოსდევდეს. იგი შეიძლება მთელ ამ დიდებულ ამბავს—ნესტანის შობას — ეხებოდეს და, ალბათ, ეხება კიდეც. რაც შეეხება, პირიქით, იმის მამტკიცებელ საბუთს, რომ ეს სტროფი ნამდვილად რუსთველისაა, ასეთი საბუთიც ხელთ გვაქვს გამოთქმის — **„არსად შემოსრული“** სახით. „არსად მოსლვა“ ანუ „არსებობაში მოსვლა“ ფილოსოფიური ტერმინია და „გაჩენას“, „არარსებულის არსებულად ქცევას“ ნიშნავს. იგი იხმარება ქრისტიანულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულზეც. ამგვარად, **„ყოვლი არსად შემოსრული“** იგივეა, რაც „ყოველივე შექმნილი“, „ყოველივე არსებული“. როგორც ჩანს, ამ გამოთქმის გაგების სიძნელემ, მისმა მიჩნევამ უაზრო სიტყვათკომბინაციად, განაპირობა მისი ამოგდება ტექსტიდან. მაგრამ თუ ამ გამოთქმის აზრს გავითვალისწინებთ, მაშინ, პირიქით, იგი, როგორც ვთქვით, საბუთია სტროფის ნამდვილობის სასარგებლოდ. საქმე ისევ ის გახლავთ, რომ ამ ფილოსოფიურ გამოთქმას ვერ იხმარდა ინტერპოლატორი, ვინაიდან ინტერპოლაციები, როგორც წესი, ე. წ. აღორძინების ხანას ეკუთვნის, როცა პოეტურ თხრობაში ფილოსოფია, პრაქტიკულად, აღარ მონაწილეობს ხოლმე (გურამიშვილის „დავითიანის“ გამოკლებით).

3. სტრ. 774. იგი არაა არც საიუბილეო ტექსტში, არც ა. შანიძისეულში და არც ტრადიციულში. მისი აზრის გასაგებად წინა სტროფებიც უნდა გავითვალისწინოთ. 772-ე სტროფში ვაზირი მოუთხრობს ავთანდილს, როგორ გაუწყრა როსტევანი, როცა ავთანდილის გაშვება სთხოვა. შემდეგ ვაზირი ამბობს:

**მეცა ვიცოდი, რაცა ვქმენ, ცთომით არ წამკიდებია** (შეცდომით, უცაბედად არ მომსვლია ასეთი წინდაუხედაობა),
**ვიაზრე, გამიწყრებოდა, ქმუნვა მით გამდიდებია;**
**განგებით ქმნილსა რისხვასა ვერავინ ლაჰრიდებია.**
**შენთვის სიკვდილი ლხინად მიჩს, ჭირი არ გამცუდებია.**

ამას სამსავე ხსენებულ გამოცემაში მოსდევს სტროფი:

**ყმამან უთხრა: „აღარ-წასლვა არ ეგების ჩემგან აროს“.**

და ა. შ. ამგვარად, ავთანდილი ვაზირს არ პასუხობს — იგი, უბრალოდ, თავს ანებებს იმ თემას, რომელზედაც ვაზირი ესაუბრებოდა („შენთვის სიკვდილი ჩემი ლხინია, ამიტომ არ მიმაჩნია, რომ ჩემმა ტანჯვამ ამაოდ ჩაიარაო“) და გადადის სხვა თემაზე: ახლა უნდა წავიდე, გვიანდებაო. მაგრამ 772-ე და 775-ე სტროფებს შორის ზოგ ხელნაწერში მოთავსებულია ორი სხვა სტროფი, რომელთაგან პირველი შეიძლება საეჭვოდ ჩაითვალოს ჯერჯერობით (რატომ — ამაზე ქვემოთ), მეორე კი უეჭველად რუსთველურია. ეს სტროფებია:

773. **ყმამან უთხრა: შენთვის წყრომა მეცა განა დამიმძიმდა,** (ეს ნიშნავს: მეფე რომ გაგიწყრა, ეს მეც, დიალაც, მეწყინა),
**მაგრა ქრთამი რადღა გმართებს?** (რაღა საჩუქრის თავი გაქვს, საჩუქარი რად გინდაო), **გაეცინნეს, გა-ცა-ღამდა**
**შენ ადიმი გაგიმეშდა, არ თუ მეში გიადიმდა,**
**რა აქიმი დასნეულდეს, მისთვის ვინმცა გააქიმდა?**

774. **მოახსენა კვლა ვაზირმან: „მე რა გინდა წამეკიდოს,**
**მოიწყრომებს, მე-ცა-მინდობს, ნუთუ გული გაიწმიდოს!**
**შენ რასა იქმ, ესე მითხარ, ჩემი ქმუნვა არ იდიდოს,**
**ხამსცა, კაცმან სასიკვდილოდ თავი ჭირსა არ დაჰრიდოს?**

და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის ავთანდილის სიტყვები 775-ე სტროფიდან,

**ყმამან უთხრა: „აღარ-წასლვა არ ეგების ჩემგან აროს“,**

რომელიც ბუნებრივი პასუხია ვაზირის შეკითხვისა — შენ რაღას იზამ, ეს მითხარიო (სტრ. 774, ტაეპი 3).

მაგრამ რით მტკიცდება, რომ ეს, 774-ე სტროფი მართლაც რუსთველისაა და არა გამ-

ყალბებლის, რომელმაც ამ ბუნებრივი გადასვლის ჩართვა საჭიროდ დაინახა? ამისთვის ორ-გვარი საბუთი არსებობს: ჯერ ერთი, მთელი სტროფის ენა არა მარტო ზედმიწევნით [illegible] ჰხვდება რუსთველის ენას თავისი ლექსიკითა და არცთუ მთლად ჩვეულებრივი გრამატიკული ნორმებით, არამედ შეიცავს „ნუთუ“ ნაწილაკის უაღრესად სპეციფიკურ ხმარებასაც, რომელიც რუსთველისთვისაა დამახასიათებელი და მხოლოდ მისთვის: „ნუთუ“ აქ ნიშნავს „ეგებ“ და შესაძლებლობასთან ერთად იმედსაც გამოხატავს, ისევე როგორც, მაგალითად, შემდეგ გამოთქმებში:

**ნუთუ მხეცთა სიახლემან გადამყაროს გულსა ურვა.**

ან: **ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერ-გამქრქალისა,**

და სხვაგან.

მაგრამ იქნებ ინტერპოლატორმა (ჩამმატებელმა) ისე კარგად შეიგრძნო რუსთველის ენა, რომ მას ამ სიტყვის („ნუთუ“) ხმარებაშიაც ზუსტად მიჰბაძა? პრაქტიკულად ამის ალბათობა თითქმის ნოლს უდრის (რატომ არც ერთ სხვა ნაყალბევ სტროფში არაა ასეთი კარგი იმიტაცია;). მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ სტროფს აქვს სხვა სპეციფიკურად რუსთველური თვისებაც, რომელიც მის გარდა არც ერთ სხვა ავტორს არ ახასიათებს ძველ ქართულ ლიტერატურაში. ვაზირის სიტყვები ამ სტროფის პირველ ორ ტაეპში შემდეგს ნიშნავს: „დაე, მე რაც გინდა დამემართოს. მეფე გულს მოიოხებს და ჩემდამი წყრომა გადაუვლის („ძოიწყრომებს“), მაპატიებს („შე-ცა-მინდობს“), იმედია, გული რისხვისგან გაეწმინდება („ნუთუ გული გაიწმიდოს“). მკითხველი ხედავს, რომ აქ, ჯერ ერთი, ავტორი მიჰმართავს ლმობიერ ირონიას მეფე როსტევანისადმი და მისი ზნე-ჩვეულებებისადმი კარისკაცებთან დამოკიდებულებაში, რასაც რუსთველი როსტევან-ავთანდილ-ვაზირის მთელი ამ ეპიზოდის მანძილზე იყენებს და რაც აბსოლუტურად უცხოა ყველა სხვა ავტორისათვის როგორც რუსთველის დროს, ისე შემდეგ, ვიდრე მე-19 საუკუნემდე; მეორეც, ეს ირონია წარმოადგენს ისეთ სათუთ დეტალს როგორც ხასიათის (ვეზირისა და მეფის), ისე ფსიქოლოგიური სიტუაციის ხატვაში, რომელიც რუსთველის—და მხოლოდ რუსთველის—მხატვრული აზროვნების ნიშანია, მისი დროისათვის აბსოლუტურად უცხოა და რომელსაც ლიტერატურა, ზოგადად რომ ვთქვათ, საკმაოდ გვიან მიადგა. შეიძლება ეს საკვირველი, ნამდვილად თანამედროვე სტილი და კლასი მხატვრული აზროვნებისა XIII-XVII საუკუნეთა ინტერპოლატორებს მივაწეროთ (ჩანართები თითქმის ყველა ამ დროისაა), რომელთა შორის, მართალია, ზოგი მაღალნიჭიერი პოეტიც ერია, მაგრამ რომანისტის ალღოთი დაჯილდოებული — არც ერთი? მე მგონია, იმათთვის, ვინც ქართული და მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტს ითვალისწინებს აღნიშნული ეპოქის მანძილზე, ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი პასუხია შესაძლებელი. ამ სტროფის შეუტანლობა ტექსტში მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ხსენებული კულტურულ-ისტორიული და ესთეტიკური თვალსაზრისი ამ სტროფს არ მიჰყენებია (მით უმეტეს, რომ არავითარი საფუძველი მის ნამდვილობაში შეეჭვებისა ლიტერატურაში არ დასახელებულა და არც არსებობს).

რაც შეეხება წინა, 773-ე სტროფს, აქ შეეჭვების გარკვეული საფუძველი არსებობს: ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, იხმარება თუ არა რუსთველის დროს სიტყვები „მეში“ და „ადიმი“ (პირველი უხარისხო ტყავს ნიშნავს, მეორე — ძვირფას ქსოვილს). მეორეც, არ ვიცით, რამდენად შეეფერება რუსთველის გემოვნებას ერთი და იმავე გამოთქმის ხმარება პოემის სხვადასხვა ადგილას და ისიც — ცოტა სხვადასხვა აზრით (შდრ. **„რა აქიმი დასხეულდეს რაზომ გინდა საქებარი“**). მაგრამ ეს გარემოებები მხოლოდ იმისთვის კმარა, რომ შევეჭვდეთ სტროფის ნამდვილობის თაობაზე, და არა იმისთვის, რომ იგი ტექსტში არ შევიტანოთ. თუ ეს სტროფი საბოლოოდ ყალბი აღმოჩნდება, მაშინ შემდგომი სტროფი (774-ე, რომელიც ზემოთ განვიხილეთ) პირდაპირი გაგრძელება იქნება ვაზირის სიტყვებისა ვაზირისავე სიტყვებით (**„მოახსენა კვლავ ვაზირმან:...“**), რაც რუსთველისთვის საერთოდ უცხო არაა.

## II. საეჭვო სტროფები.

ერთი ასეთი სტროფი უკვე დავახასიათეთ (სტრ. 773). სხვა საეჭვო სტროფები შეიძლება დავყოთ მეტად და ნაკლებ საეჭვოებად, უფრო კონკრეტულად — ისეთებად, რომელთა ნამდვილობის წინააღმდეგ რაღაც (თუმცა არა შეუვალი და არა საკმარისი) საბუთი არსებობს, და ისეთებად, რომლებიც, უბრალოდ, „გვეხამუშება“ რაღაცით, როცა რუსთველის ლექსს კარგად ვიცნობთ. ნაკლებ საეჭვოს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი სტროფებიც, რომელთა ნამდვილობის საკითხი ღია დარჩება მანამდე, სანამ კონკრეტული კვლევა არ გამოავლენს, საეჭვოდ ჩათვლილი სიტყვები, ტერმინები, გრამატიკული ფორმები, წარმოდგენები, გამოთქმები და ა. შ. მართლაც გამორიცხულია რუსთველის დროისათვის თუ არა.

ნაკლებ საეჭვო სტროფებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სტრ. 26. ეს სტროფი არის ა. შანიძისეულ ტექსტში, არაა ტრადიციულ[illegible] ბილეოში: აქ ლაპარაკია იმაზე, რა ევალება მიჯნურს.

**მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,**
**ნუცა ლხინსა აუზვავდეს, ნუცა ჭირსა შეუზარდეს,**
**მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,**
**ნურა ჰგავა, მისი კერძო სოფელიცა გარდაქარდეს.**

საეჭვოა აქ გამოთქმა „ველთა გამოვარდეს“ (რუსთველი ამ აზრით ჩვეულებრივ ხმარობს გამოთქმას „გაჭრა“) და ფრაზა „სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს“, ვინაიდან ეს უკანასკნელი მეტისმეტად მოგვაგონებს სხვაგან ნახმარ გამოთქმას **„ჩემი კერძი სოფელიცა გარდიფხვრების“**.

5. სტრ. 140. არ არის არცერთ სამ ხსენებულ კრიტიკულ ტექსტთაგანში. წარმოადგენს იმ სტროფის გაგრძელებას, სადაც ავთანდილი თანხმობას უცხადებს თინათინს უცხო მოყმის საძებრად წასვლაზე.

**თავი ჩემი სამსახურად შენად რადმცა შევიწყალე?**
**არასათვის არ დავდგები, უსაცილოდ წავალ ხვალე.**
**გული ფერი ლაჟვარდისა გავაწითლე, გავალალე.**
**სიცოცხლისა საიმედო რამც მიბოძე, რამც ვივალე?**

ერთადერთი, რამაც ამ სტროფში შეიძლება მკვლევარი შეაეჭვოს, არის ფორმა „უსაცილოდ“. იხმარება თუ არა ეს ფორმა რუსთველის დროს, არ ვიცით. მაგრამ რომც აღმოჩნდეს, რომ იგი საშუალო და ძველი ქართულის არცერთ სხვა ტექსტში ნახმარი არაა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ შეიძლება *მხოლოდ* რუსთველთან იხმარებოდეს, ან, სულაც, მისი შექმნილი იყოს (რაც რუსთველისთვის საერთოდ უცხო არაა).

6. სტრ. 195. არის ტრადიციულ და ა. შანიძისეულ ტექსტში, არაა საიუბილეოში. ლაპარაკია ავთანდილის ყოყმანზე, უცხო მოყმე რომ დიდხანს ვერ იპოვა:

**თავს უთხრა: მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანსა,**
**მიხვალ, დაგხვდების თინათინ, ანათებს დღესა მზიანსა,**
**გკითხოს მის ყმისა ამბავი, რა გმართებს ვაგლახიანსა?**
**იგონებს წამ-წამ, მოჰყვების ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა.**

ამ სტროფში შეეჭვების არავითარი საფუძველი არ არსებობს, თუ სწორად გავიგეთ სიტყვა „შეექცევის“ ცოტა ზემოთ, სადაც ლაპარაკია, რომ ავთანდილი ტყიან მდინარეს, რომელიც მთის ძირში დიოდა,

**ზედ წაადგა, შეექცევის, წელთა, დღეთა ანგარიშობს.**

„შეექცევის“, როგორც ჩანს, ნიშნავს „მიჰყვება“ (ძველი ქართულის, აგრეთვე სვანურის მონაცემები ამის თქმის საფუძველს იძლევა. საკითხის დეტალებს აქ აღარ ვეხებით). აქ იგივე აზრია, რაც მოყვანილი (№ 195) სტროფის მე-4 ტაეპში:

**...მიჰყვების ტყის პირსა შამბნარ-წყლიანსა.**

როგორც ჩანს, ავთანდილი ჯერ სერ-სერ მოჰყვება მთის ძირში მდინარ წყალს, შემდეგ კი მთიდან ჩამოდის და წყალს გადაკვეთს (**„მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლნა წყალნი და ტყენია“**, სტრ. 198). თუ ამ სტროფს საეჭვოს ვუწოდებთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ზმნის „შეექცევის“ გაგება როგორც „მიჰყვება“-სი თეორიულად კონსტრუირებული გაგებაა და არა რომელსამე ტექსტში ფაქტობრივად დადასტურებული.

არის ცდა ამ სტროფის დაწუნებისა ესთეტიკური თვალსაზრისით (იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 4, გვ. 204), მაგრამ ეს ცდა უბრალო გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. ქვემოთ ვიტყვით, რომ რუსთველის ამა თუ იმ სტროფის ესთეტიკურ ღირებულებასა და მხატვრულ დატვირთვას მხოლოდ მასში გამოყენებულ პოეტურ სახეთა რაოდენობა და რაგვარობა კი არ განსაზღვრავს, არამედ მასში გამოხატული *დეტალები*ც (სიუჟეტური, ფსიქოლოგიური ხასიათისა...). რუსთველი ხომ მხატვარიცაა და არა **მხოლოდ** პოეტი! ამ სტროფშიც **დეტალი** გახლავთ ის, რომ ავთანდილს ცხოვლად ეხატება თავისი სირცხვილი, როცა თინათინის შეკითხვას პასუხს ვერ გასცემს, რაც შემდგომი სიტუაციების *დრამატიზმის* საფუძველია (სირცხვილის შიში აიძულებს, ტარიელის ამბის გაგებას ყველა ღონით ეცადოს, ეს ცდა აიძულებს, ასმათს აწყენინოს, ასმათის წყენა აიძულებს, მის წინაშე მოვალეობა იგრძნოს, ეს ვალი, სხვა მოტივებთან ერთად, აიძულებს არაბეთიდან დაბრუნდეს და ა. შ.). არის მეორე დეტალიც: სირცხვილის ამ შიშს ავთანდილი *ერთხელ* კი არ იგრძნობს, არამედ იგი დროდადრო წამოუვლის; გრძნობის ეს შემოტევები ირაციონალურია, დაუძლეველია და მტანჯველია. ეს გამოხატულია გამოთქმაში „იგონებს წამ-წამ“ — წამდაუწუმ ამას ფიქრობს, წამდაუწუმ ისევ და ისევ ეს ფიქრი მოსდის. შევნიშნოთ აქვე, რომ ზმნა „იგონებს“ ამ აზრით — ერთხელობრივი გაფიქრების აღსანიშნავად, და არა გაბმული ფიქრისა — რუსთველის ენისთვის სპეციფიკურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სტრ. 282. არის ა. შანიძისეულ ტექსტში, არც ტრადიციულსა და საი[illegible]რმოადგენს ასმათის შეგონებას, ტარიელისადმი მიმართულს.

**მისი მძებნელი იყომცა ჰკუითა მეტის-მეტითა;**
**შენ კაცთა ნაცვლად ნადირთა ახლავ გულითა რეტითა,**
**სჯობს, ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისით ჭვრეტითა,**
**ვით იადონი, არ მოჰკვდე ბულბულოს თესლთა კვნეტითა.**

დაეჭვების საფუძვლად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ღია საკითხი — რას ნიშნავს „ბულბულო" და რაა უკანასკნელ ტაეპში მოცემული მთელი სახის აზრი? იმ წმინდა ფსიქოლოგიურ ფაქტზე, რომ „ახალი" სტროფი ტექსტში საერთოდ უჩვეულობის განცდას იწვევს, გვეხამუშება, აქ არაფერს ვამბობთ.

8. სტრ. 325. **ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა,**
**ხუთისა წლისა შევიქენ მსგავსი ვარდისა შლილისა,**
**ჰირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა მართ ვითა სილისა.[1]**
**არა ჰგაოდის ფარსადანს ყოლა არა-სმა შვილისა.**

ეს სტროფი, რომელიც ტარიელის სიტყვებს წარმოადგენს, არის ტრადიციულსა და ა. შანიძისეულ ტექსტებში და არ არის საიუბილეოში. ენობრივი თვალსაზრისით მის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მაგრამ ეჭვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს მისი პარალელიზმი 333-ე სტროფთან, რაც თვით რითმის იგივეობამდეც კი მიდის. აი ის სტროფიც:

**ასმათ მოწამე ყოვლისა ხარ ჩემი, ფერ-მიხდილისა,**
**მზესა მე ვსჯობდი საჭვრეტად, ვით ბინდსა ჟამი დილისა,**
**იტყოდეს ჩემნი მნახავნი: „მსგავსია ედემს ზრდილისა".**
**აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა.**

ეს დაბრკოლება ქრება, თუ ვივარაუდებთ, რომ სტროფები 325 და 333 ერთიმეორის გვერდზე კი არ იყო პირვანდელ ორიგინალში, როგორც ისინი გადამწერთა ტრადიციამ მოათავსა, არამედ 333-ე სტროფი იყო იქ, სადაც ტარიელი თავისი ყრმობიდან სიჭაბუკეში გადასვლის ამბავს მოუთხრობს ავთანდილს და იმოწმებს ასმათს (**„მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად"**, სტრ. 324), ხოლო 325-ე სტროფი იქ იყო, სადაც მისი ბუნებრივი ადგილია, სახელდობრ, იქ, სადაც ტარიელი ავთანდილს თავისი რაინდული დროსტარების ამბავს უამბობს უკვე მას შემდეგ, რაც მამამ დაუბრუნდა ნესტანის შობასთან დაკავშირებით.

სტრ. 332 **მამასავე ხელთა მიმცემს, მე შევიქენ ამა ზომსა,**
**ვბურთაობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.**

რასაც კვლავ ასმათის დამოწმება მისდევს: **„ახმათ, მითხრობდი..."** და ა. შ.

საინტერესოა ამ სტროფთა სიყალბის დასაბუთების ის ცდა, რომელიც მოცემულია გ. არაბულის ზემოთ ციტირებულ წიგნში — ამ თეზისის დასაბუთების დღესდღეობით ყველაზე სერიოზული ცდა. აი მისი საბუთები 333-ე სტროფის (**„ასმათ, მოწამე ყოვლისა..."**[3]) მიმართ:

„ამ სტროფის სტანდარტული და გაცვეთილი შედარებები და ის ფაქტი, რომ მან ხელნაწერებსა და გამოცემებში საკუთარი ადგილი ვერ დაიმკვიდრა, საფუძვლიან ეჭვს აღძრავს მის ავთენტიკურობაზე" (გვ. 37).

ეს არგუმენტაცია ადვილი მოსაგერიებელია. და აი, რატომ:

**ა.** პოეტურ სახეს „გაცვეთილი" მაშინ ჰქვია, თუ ავტორს ჰსურს, საკუთარი და ინდივიდუალურ ნიუანსთა მატარებელი გრძნობა გამოთქვას, მაგრამ ნამდვილად არც ეს გრძნობა აღმოჩნდება ინდივიდუალური და არც მის გამოსათქმელად გამოყენებული სახე — ორიგინალური. „ვეფხისტყაოსანში" ასეთი შემთხვევა არა გვაქვს. ის, რაც აქ, მკვლევრის სიტყვით, „სტანდარტულია", სინამდვილეში იმიტომაა ასეთი, რომ იგი პირობითია და ასეთადაცაა ნაგულისხმევი პოეტის მიერ. მაგალითად, ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ლომი" ვაჟი პერსონაჟის აღსანიშნავად და „მზე" ქალი პერსონაჟის აღსანიშნავად, ფორმით, მართალია, მეტაფორებია, მაგრამ ფუნქციით ლექსიკური ერთეულებია (ვთქვათ, ნაცვალსახელების მსგავსი) და **მეტი არაფერი**. გრძნობისა და სიტუაციის ინდივიდუალური ნიუანსების გამოხატვა აქ სხვა საშუალებებს აკისრია (სხვა ორიგინალურ მეტაფორებს, მხატვრულ დეტალებს...). ამიტომაც, თუ პოემაში მხოლოდ კონვენციური ანუ პირობითი მეტაფორებით გაწყობილი სტროფი გვხვდება, ეს ისევე არ ნიშნავს მის სიყალბეს, როგორც, ვთქვათ, სტროფის ან მისი ცალკეული ტაეპების უმეტაფორობა, მხოლოდ თავისი პირდაპირი აზრით

---

1 **სილი** — სნეული, ჰირიანი.

ეროვნული

გამოყენებული სიტყვების ხმარება. მაგალითის ძებნა არ გაგვიჭირდება. გავიხსენოთ [illegible]

**დიდხან ვდეგ და არა მითხრა სიტყვა, მისსა მონასურსა,**
**ოდენ ტკბილად შემომხედნის, ვითამცა რას შინაურსა;**
**ასმათ იხმო, მოიუბნეს, ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:**
**„აწ წადიო, ვერას გითხრომს“. მე კვლა მიმცა ალმან მურსა.**

როგორც ვხედავთ, ამ სტროფში მხოლოდ ერთი მეტაფორაა, ისიც — პირობითზე პირობითი (**„მიმცა ალმან მურსა“**). მაგრამ ეს არც ამ სტროფის ესთეტიკურ ღირსებას სცემს (იგი მხატვრულ დეტალზეა აგებული და არა პოეტურ სახეზე), არც მის ნამდვილობას ხდის საეჭვოდ.

სწორედ ასევე გახლავთ განსახილველი 333-ე სტროფის საქმეც. აქაც ინდივიდუალური ნიუანსი სიუჟეტური რიგისაა და არა მეტაფორულის. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ა. ტარიელი მოწმედ უხმობს ასმათს, რითაც ამ უკანასკნელს, ასე ვთქვათ, თავისი და ავთანდილის ვრცელი დიალოგის მონაწილედ ხდის, ბ. ტარიელი ლაპარაკობს თავის ფიზიკურ დაქვეითებაზე, რაც დარდმა გამოიწვია, გ. ტარიელი ამბობს, რომ მისი გარეგნობის ბრწყინვალება თავის დროზე საზოგადოებას თვალში სცემია.

იმით, რომ ყოველივე ეს ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი მ ე ტ ა ფ ო რ ე ბ ი ს გარეშეა ნათქვამი, ამ დეტალებს, როგორც მხატვრულ დეტალებს, არაფერი აკლდება.

ბ. რაც შეეხება ამ სტროფის გადაადგილება-გადმოადგილებას სხვადასხვა ხელნაწერებში, ეს ადვილად აიხსნება 325-ე სტროფის (**„ასმათ, მითხრობდი...“**) გავლენით, რომელიც მასთან შინაარსითაც ახლოა და რითმაც იგივე აქვს: ბუნებრივია, რომ ეს სტროფები ზოგმა გადამწერმა ერთად მოათავსა.

უფრო რთულია 325-ე სტროფის ნამდვილობის საკითხი. მის წინააღმდეგ სკეპტიკოსს ორი საბუთი მოჰყავს: ა. თუ ამ სტროფის ნამდვილობა ვირწმუნეთ, გამოდის, რომ ტარიელს ბავშვობა არ ჰქონია: ხუთი წლისას ლომები უხოცავს და ამასთან (თუკი ზედ მიყოლებული აშკარად ყალბი სტროფიც გავითვალისწინეთ, რომელიც ხელნაწერებში 325-ე სტროფს თან ახლავს) ნადიმობის მოტრფიალეც ყოფილა; ბ. 325-ე სტროფის ჩართვა ინტერპოლატორის მიერ ადვილად აიხსნება იმით, რომ წინა სტროფის ბოლოში „ლომი“ უკვე ნახსენებია (**„დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“**), რამაც მიმბაძველის ფანტაზია გაიტაცა და ტარიელისთვის ლომთა ხოცვაც მიაწერინა. ასევე ბუნებრივია (დავძენთ აქვე), რომ ტარიელს ეს სწორედ ხ უ თ ი წ ლ ი ს ა ს მიაწერეს, ვინაიდან მომდევნო სტროფში ტარიელის სწორედ ეს ასაკია ნახსენები:

**მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი.**

მართლაც, მძიმე საბუთებია! მაგრამ ეს საბუთები მაინც იმდენად ვერ გადასწონის სტროფის ნამდვილობის საბუთებს, რომ მისი ტექსტიდან ამოგდება გაგვაბედინოს. ეს საბუთებია: ა. სიტყვა „ჰგაოდის“ რუსთველის ენისთვის სპეციფიკურია, ბ. ამ სტროფში გვხვდება არქაული ბრძანებითი „მითხრობდი“, გ სტროფი შეიცავს არსებით აზრობრივ დეტალს ტარიელის შემყურე ფარსადანის უშვილობას ალაჲ დარდობს.

მაგრამ თუ სტროფი მაინც ამოვარდა (რასაც გ. არაბული მოითხოვს და რაც არც ჩვენ მიგვაჩნია გამორიცხულად, თუმცა ამის უფლება ჯერ არ გვაქვს), მაშინ შემდეგი შენიშვნა გვმართებს: ის, რომ ტარიელი ხ უ თ ი წლის ასაკში დაობლდა, ამ სტროფის გარდა არსადაა ნათქვამი პოემაში. განსახილველის წინა სტროფში თუ ტარიელის დაობლებაზეა ლაპარაკი —

**მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,**
**საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,**
**ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად;**
**მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად,**

ხოლო ამას თუ უშუალოდ მოჰყვება სიტყვები —

**მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი,**

ეს როდი ნიშნავს, რომ ტარიელის დაობლება დედოფლის დაორსულებამდე მომხდარა. პირველ სტროფში ტარიელი მოგვითხრობს, ასე ვთქვათ, თავისი აღზრდის ისტორიას ჩვილობიდან დაობლებამდე, მეორეში კი ისევ ძველ ამბავს უბრუნდება და თხრობას იწყებს იქიდან, რაც მაშინ მოხდა, როცა იგი ხუთისა იყო.

9. სტრ. 344. არ არის არც ერთში დასახელებულ ტექსტთაგან. ისევ ტარიელის მონათხრობია:

**თავადობა ინდოთა და მრავალთაცა მქონდა სხვათა,**
**ვნაპირობდი, თუ ვინ იყვის მავნებელად ჩემთა სპათა,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხალვად ვჯდი და ვიხარებდი, ზამი შევქმნი მღერა-სმათა,**
**სპათა ვმოსდი, ვნადირობდი, ქება თქვიან ჩემთა ქმნათა.**[1]

ენობრივად და შინაარსობრივად ეს სტროფი საეჭვოს არაფერს შეიცავს. რაც შეეხება პოზიტიურ საბუთებს მისი ნამდვილობის სასარგებლოდ, ასეთი საბუთებიც არის, ესაა „ვეფხისტყაოსნისა" და მისი ეპოქისთვის მეტად სპეციფიკური სოციალური ცნებების გამოყენება („სპათა შემოსვა", „ნაპირობა" ანუ მოსაზღვრე ქვეყნების მორბევა და მათი წვრილ-წვრილი შემოტევების მოგერიება) და, ამასთან ერთად, კონკრეტული დეტალიც, რომელიც სწორედ რუსთველის ეპოქის ქართველი ელიტის პოლიტიკური აზროვნების ამსახველია და არავითარ შემთხვევაში — მოგვიანო, ე. წ. „ალორძინების" ხანისა: ეს დეტალია, სახელდობრ გამოთქმა **„თავადობა (სარდლობა) ინდოთა და მრავალთაცა მქონდა სხვათა"**. ამ გამოთქმის აზრი ისაა, რომ ტარიელი სხვა, ვასალური ქვეყნების ლაშქარსაც სარდლობდა, ე. ი. ინდოეთი იმპერია ყოფილა. ამ სტროფის წინააღმდეგ მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტი ლაპარაკობს: ეს სტროფი, როგორც ვეფხისტყაოსნის მკითხველისთვის ახალი, ცოტა გვეხამუშება.

10. სტრ. 589. არის ტრადიციულსა და ა. შანიძისეულ ტექსტში, არ არის საიუბილეოში. აქ გადმოცემულია დავარის სიტყვები, რომლითაც იგი ქაჯებს მიჰმართავს:

**უბრძანა: „წადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღვისა ჰიპია,**
**წმინდისა წყლისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია",**
**მათ გაეხარნეს, ხმა-მაღლად იყივლეს „იპი-იპია".**
**ესე ვნახე და არ მოვკვე, არა მგავს არცა სიპია.**

სტროფში დაეჭვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაგვაეჭვა, რას ნიშნავს „ზღვის ჰიპი" და შეძახილი „იპი-იპი" და რამდენად შეესაბამება ერთი ან მეორე რუსთველის დროსა და კულტურულ გარემოს.

11. სტრ. 729. არ არის არც ერთ სამ განსახილველ კრიტიკულ ტექსტთაგანში წინა, 728-ე სტროფში მოთხრობილია ავთანდილის დარბაზობა მეფესთან და უცხო მოყმის ამბის თქმა. 729-ე სტროფში ვკითხულობთ:

**ყმამან რაცა არვის უთხრის, კითხვად ვინმცა გამოჰპირდა?**
**მართალ-ა, თუ საუბარსა აძვირებდა, ძვირად ღირდა.**
**სმა გარდახდა, გაიყარნეს, ყმა წავიდა, მი-ცა სჭირდა,**
**ვერღა გასძლო, გული მისი აუჩუქდა აუტირდა,**[2]

ამას ხელნაწერებში მოსდევს სტროფი, რომლის სიყალბე აშკარაა რუსთველის დროისათვის უცხო სიტყვის — „წუხელის" — ხმარების გამო.

**თქვა: ამა ჟამსა წუხელის მე დილა გამთენებოდა...",**

ხოლო შემდეგ — ავთანდილის შინ მისვლის ამბავი, რომელიც 729-ე სტროფის ლოგიკური და ბუნებრივი გაგრძელებაა:

**ყმა მივიდა გულ-მოკლული, ცრემლი ველთა მოედინა,**
**მართ მისივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა.**

და ა. შ.

არც ენობრივად, არც სტილისტურად, არც კონტექსტთან ლოგიკური კავშირის მხრივ 729-ე სტროფი რუსთველის სხვა სტროფებისგან არ განსხვავდება. ამ მხრივ მასში საეჭვო არაფერია. საკითხავია — რაღადაა იგი უარყოფილი ესოდენ გრძელი ტექსტოლოგიური ტრადიციის მიერ? უნდა გამოვტყდეთ, ამის საფუძველი ჩვენთვის გაუგებარია. თუ აქ ამ სტროფს მაინც საეჭვო სტროფთა შორის ვასახელებთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნამდვილობის სასარგებლო რამე პოზიტიური საბუთი არ გვაქვს ხელთ, როგორც ზემოთ განხილული უეჭველი სტროფების შემთხვევაში.

12. სტრ. 812-813. არც ერთში განსახილველი სამი ტექსტიდან შეტანილი არაა, მოსდევს ავთანდილის ანდერძის სიტყვებს **„მილვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები"**

**ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი გულმხურვალები,**
**დამხსნას ხორცსა და სოფელსა, სხვად ნურას შევიცვალები,**
**კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნუმცა მწვავს იგი ალები,**
**მომცეს მკვიდრივე მამული მუნ ჩემი სასურვალები.**
**დამხსნას ბნელსა და ნათელი შემმოსოს ზესთა ზენისა,**

---

1 არგუმენტაცია ამ სტროფის სასარგებლოდ იხ. გ. არაბულის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის შესახებ", 1983, გვ. 63-75.

2 ამ სტროფის სასარგებლოდ ვრცელი არგუმენტაცია აქვს გ. არაბულს, ციტ. შრომა, გვ. 48-54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუნ დამიუნჯოს. ნამალი სადა ძეს წყლულთა ლხენისა**
**ჩემი არ ჰქონდეს შეძლება სოფლისა მლილთა კბენისა.**
**ფრთენი მომესხნენ და ძალი მომეცეს აღმაფრენისა.**

ამ სტროფთაგან პირველში ეჭვს იწვევს ენობრივი თვალსაზრისით სარითმო სიტყვები „მეელმხურვალები“ და „შევიცვალები“, ხოლო სტილის თვალსაზრისით — მეოთხე ტაეპის პირველი ნახევარი (ცხადია, ეს შთაბეჭდილება შეიძლება სუბიექტურიც იყოს). მეორეში კიდევ უფრო საეჭვოა მესამე სტრიქონი, რომელიც სახარების ცნობილი სახის („მლილის“ შესახებ) თავისებურ ვარიაციას შეიცავს, იმავე სიტყვებით გამოთქმულს, რაც სახარების ქართულ ტექსტშია, და რუსთველურად არ გამოიყურება (ვიმეორებთ კვლავ, ეს ჩვენი შთაბეჭდილებაც შესაძლოა სუბიექტური იყოს).

13. სტრ. 918. არის ტრადიციულსა და ა. შანიძისეულ ტექსტში, არაა საიუბილეოში.

**ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხნი მოვიდეს ორგნით რებულნი,**
**სახედ ვამსგავსენ მიჯნურთა, ცეცხლნი დამევსნეს დებულნი,**
**შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამწარებულნი,**
**ლომი ხდევს, ვეფხი მიურბის, იყვნეს არ ჩემგან ქებულნი.**

ეს სტროფი საეჭვოა, ვინაიდან იგი წინა და შემდგომ სტროფებში აღწერილი ვითარების ხელმეორედ, ამასთან — სხვაგვარად აღწერას წარმოადგენს. მართალია, ამგვარი ხერხი — ერთი და იმავე მოვლენისთვის ორჯერ, ასე ვთქვათ, სხვადასხვა კუთხიდან შეხედვა — რუსთველისთვის უცხო არ არის, მაგრამ აქ ამას ზედ ისიც ემატება, რომ ამ სტროფსა და დანარჩენ, უეჭველად აუტენტურ სტროფებს შორის ერთგვარი, თუმც მცირე, წინააღმდეგობა არსებობს (ამ წინააღმდეგობის ვრცელი ანალიზი იხ. გ. არაბულის ციტ. შრომაში, გვ. 83-87). ამიტომ საფიქრებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს საბოლოოდ ამ სტროფზე ხელის აღება მოუხდებათ. თუ მისი ამოღება მაინც, ცოტა არ იყოს, საჭოჭმანოა, ამის საფუძველია სიტყვა „სახედ“ (შესახედავად), რომელიც არქაულად გამოიყურება და ინტერპოლაციების ეპოქისას არ ჰგავს.

სტრ. 977 არაა ა. შანიძისეულსა და საიუბილეო ტექსტში:

**მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი,**
**ტყით ნადირნი, წყალშით თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,**
**ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,**
**რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.**[1]

შეეჭვების ერთადერთი რეალური საფუძველია ფორმა „წყალშით“ (უნდა იყოს „წყალშიით“), რაც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებისათვის, მაგრამ რუსთველისდროინდელ ქართულში არ ჩანს (ყოველ შემთხვევაში, თვით „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არ გვხვდება).

ახლა ვნახოთ უფრო საეჭვო სტროფებიც — ისეთები, რომელთა შეტანა ტექსტში, არსებითად, იმითაა მხოლოდ გამართლებული, რომ მათი ამოგდებისათვის ურყევი საბუთი არ არსებობს.

14 სტრ. 69. არაა არც ერთში განსახილველ ტექსტთაგან.

**მეფე ლაღი და წყლიანი გამხიარულდა მეტად-რე,**
**სიცილით უთხრა ავთანდილს: „შვილად გზრდი, მით შე-ვე-მკადრე,**[2]
**იცი, არ გიწყენ, გაზრდილო, მით შემომიხე ზერად-რე,**
**თუ არ გასწბილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედად-რე.**

ეჭვის აღმძვრელია რე ნაწილაკის ცოტა არ იყოს ხელოვნური ხმარება სარითმო სიტყვებში, გამოთქმა „გზრდი“, ფორმა „ზედად“ (ეს რითმა შეიძლება ასეც გავიგოთ: „ზედ ძლრე“). სტროფის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ მის გარეშე ტექსტში ერთგვარი სიცარიელე რჩება: ჯერ ავთანდილის სიტყვებია („გადამწყვედელი მისიცა ბურთი და მოედანია“), შემდეგ კი უცბად, მთქმელის მითითების გარეშე, როსტევანის სიტყვები („მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისა დაცილებასა“).

15. სტრ. 72. **ქვლა ბრძანეს: მონა თორმეტი შევსხათ ჩვენ თანა მარებლად,**
**თორმეტი ჩემდა ისრისა მომრთმევლად, მოსახმარებლად,**
**ერთაი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად.**
**ნასროლ-ნაკრავსა სთვალვიდენ უტყუვრად, მიუმცდარებლად.**

---

1 ამ სტროფის საწინააღმდეგო არგუმენტაცია იხ. გ. არაბულის დასახელებულ წიგნში.

2 ხელნაწერებში დამახინჯებული ფორმაა „შემეკადრე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სტროფი არის ტრადიციულ და ა. შანიძისეულ ტექსტში და არაა საიუბილეო გამოცემაში. მის ნამდვილობაში შეეჭვების საფუძველი ისაა, რომ შემდეგ, ნადირობისას მხოლოდ თორმეტი მონა ჩანს, შერმადინი კი არა. უფრო დამაეჭვებელი კი ისაა, რომ ადრე, როცა როსტევანი და ავთანდილი თორმეტი მონის ხლებაზე შეთანხმდნენ, შერმადინი კი არ უხსენებიათ, მათ ამ შეთანხმებას საბოლოო ვადაწყვეტილების სახე ჰქონდა („საუბარი გარდასწყვიდეს". ამის შესახებ იხ. ვრცლად გ. არაბულის დასახ. ნაშრომში), ასე რომ, ამ სტროფსაც „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში დარჩენის დიდი ალბათობა არა აქვს. მის ბედს გაიზიარებს, ბუნებრივია, 155-ე სტროფიც, რომელიც ტრადიციულსა და ა. შანიძისეულ გამოცემებში შეტანილია, საიუბილეოში კი — არა.

**ესეა მონა შერმადინ, ზემოთცა სახელდებული,**
**თანა-შეზრდილი, ერთგული და მისთვის თავ-დადებული;**
**მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დებული.**
**აწ გაუცხადა სიტყვები მის ყმისა იმედებული.**

16. სტრ. 88. არ არის არც ერთში სამი განსახილველი ტექსტიდან. სიტყვებს „ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა" მოსდევს:

**მეფემან ბრძანა: „ვინ არის უცხო პირად და ტანადო?**
**უბრძანა ერთსა მონასა: „წადი ფიცხლად და ჯანადო",**
**„გიბრძანებს", უთხარ, „ვერ გიცნობ ჩემთა ლაშქართა თანადო,**
**ვინმცა ხარ, მოდი წინაშე შენ ჩვენგან მონაყვანადო".**

უაღრესად საეჭვოა სარითმო სიტყვაფორმები „ჯანადო" და „მონაყვანადო", თუმცა, მეორე მხრივ, ფორმა „ჩემთა ლაშქართა თანადო" სავსებით რუსთველისდროინდელად გამოიყურება და არა აღორძინების ხანისად. სტროფის სასარგებლოდ ლაპარაკობს, ჯერ ერთი, ის, რომ იგი წარმოადგენს ბუნებრივ გადასვლას წინა სტროფიდან შემდეგზე („წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულ-მდუღარისად"), მეორეც, ის, რომ იგი უფრო გასაგებს ხდის შემდგომ მიმართვას ტარიელისადმი:

**მოახსენა: „გიბრძანებსო", ახლოს მიდგა, დაუწყნარდა** (სტრ. 90).

ვის უბრძანებს, რას უბრძანებს, ეს არაა ნათქვამი (თუმცა, ამისი თქმა არც იყო სავსებით აუცილებელი).

17. სტრ. 118 არაა განსახილველ სამ ტექსტში.

**როსტანს სიტყვა ახულისა მოეწონა, ეკეთაცა,**
**პირი ხელით დაუჭირა, გარდაჰკოცნა კვლა და კვლაცა,**
**უბრძანა, თუ: „დაგმორჩილდე, რაცა მითხარ, აგრე ვქმნაცა,**
**იგივეა მხსნელი ჩემი, ვინცა მიწა გამაკაცა".**

ენობრივად ეს სტროფი ეჭვს არ იწვევს. არარუსთველურად გამოიყურება მხოლოდ მეტისმეტად კონკრეტული დამოწმება რელიგიის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი წარმოდგენისა (კაცის შექმნა მიწისგან), რაც რელიგიისადმი „ვეფხისტყაოსნის" დამოკიდებულებას საერთოდ არ ახასიათებს.

ასეთი გახლავთ „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერთა იმ უეჭველად რუსთველურ და საეჭვო სტროფთა სია (არასრული), რომლებიც საიუბილეო ტექსტში შესული არაა და ამიტომ უახლეს გამოცემებშიც არ შედის. იგებს თუ აგებს ამ სტროფთა არშეტანით „ვეფხისტყაოსანი", ამაზე, დაე, მკითხველმა იმსჯელოს საკუთარი ლიტერატურული ალღოსა და გემოვნების საფუძველზე. ჩვენ აქ ხაზი უნდა გავუსვათ მხოლოდ იმას, რომ მეცნიერული არგუმენტები მოყვანილ სტროფთა წინააღმდეგ იმით ამოიწურება, რაც ჩვენ აქ დაესახელეთ (ან მკითხველი გ. არაბულის წიგნთან გავგზავნეთ). სხვა რამ არსებითი არგუმენტები პოემის ტექსტის ამგვარი კვეცისათვის არასოდეს არსად არ გამოქვეყნებულა (ისევე, როგორც ჩვენ მიერ მოყვანილი არგუმენტების დიდი ნაწილი) და, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, არც არსებობს. ხოლო თუ ასეა, მიზანშეწონილია თუ არა ამგვარად შემოკლებული ტექსტის ბეჭდვა?

იმისთვის, რომ მკითხველს შთაბეჭდილება არ დარჩეს, თითქოს ხსენებული სამი კრიტიკული ტექსტი მოკლეა ულმობელი ფილოლოგიური სიმკაცრის წყალობით, უფრო გრძელი ტექსტები კი გულჩვილი „ლიბერალიზმის" შედეგია, უნდა მოვახსენოთ მას, რომ არის მოყვანილ სტროფებზე ბევრად უფრო საეჭვო სტროფებიც, რომლებსაც სამსავე განხილულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექსტში ვპოულობთ. ამ უკანასკნელთა მაგალითად გამოგვადგება თუნდაც შემდეგი სტროფი, რომელიც ტრადიციით მოდის და მოდის ყველა გამოცემაში.

> როსტანისთვის წაატანა ძლვნად ტურფები ჯუბაჩები,
> კვლა ჭურჭელი თვალთა თლილთა, არ კოვზები, არ ჩამჩები,
> „ჩემ მაგიერ მიუტანე, წაო, ნურას მეურჩები“
> ავთანდილ თქვა: „არა ვიცი, მე უშენოდ ვით დავრჩები“ (სტრ. 1615).

რომ ამ სტროფის სტილი არ არის იგივე, რაც რუსთველის მონუმენტური და ტევადი სტილი, ამას მკითხველი ცხადად გრძნობს. მაგრამ, ვთქვათ, ეს შთაბეჭდილება სუბიექტურია (წმინდა ესთეტიკური მომენტების ნდობა ტექსტოლოგიაში საერთოდ ძნელია). ის ხომ მაინც ობიექტური ფაქტია, რომ ჯუბაჩა (ან ჯუბა), როგორც კაცის ტანსაცმელი, რუსთველისთვის ვაჭართა კლასის კუთვნილებაა და როსტევანს არ უნდა ეგზავნებოდეს! (შდრ. ავთანდილის სიტყვები გულანშაროს გზაზე: „მე სავაჭროსა ჩავიცვამ, დავიწყებ ჯუბაჩობასა“ ან, უფრო კარგი რედაქციით, რომელიც გ. კარტოზიას ეკუთვნის, „მე სავაჭროსა დავიწყებ, ჩავიცვამ ჯუბაჩობასა“, სტრ. 1067).

„ვეფხისტყაოსნის“ საბოლოო ტექსტის მეცნიერული დადგენა მეტად მძიმე საქმეა და არ იქნება მართებული, თუ რომელსამე არსებულ ტექსტს უკრიტიკოდ მივიღებთ და დავაკანონებთ. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ასეთი საბოლოო ტექსტი შეიძლება მოკლე დროში მომზადდეს. „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან რთული ნაწარმოებია, იგი ათასგვარი ძაფებით არის დაკავშირებული თავისი დროის კულტურულ გარემოსთან, ძველ მხატვრულსა და ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ ლიტერატურასთან, საქართველოს რეალურ ისტორიასა და ქართული სიტყვის, მწერლობის, ფოლკლორის ვრცელ სამყაროსთან. საბოლოო ტექსტის დადგენა შეიძლება მხოლოდ ამ კავშირების ამომწურავი ან თითქმის ამომწურავი გამოვლინების, მხოლოდ პოემის ამომწურავი ან თითქმის ამომწურავი მეცნიერული შესწავლის ბაზაზე. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის დადგენა რუსთველოლოგიის დაგვირგვინებაა და არა მისი შესავალი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად დადგენილ ტექსტს შეიძლება მოველოდეთ მხოლოდ სპეციალისტისგან ან სპეციალისტთა ჯგუფისაგან (უფრო, რასაკვირველია, მეორისგან. პირველი შესაძლებლობა მხოლოდ თეორიულია), რომელშიც თავმოყრილი იქნება ანტიკური და შუა საუკუნეთა ფილოსოფიისა და თეოლოგიის, არაბული, სპარსული და სხვა აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურების, საქართველოსა და მისი მეზობლების ისტორიის სათანადო პერიოდის, შუა საუკუნეთა რაინდული კულტურების, ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის ცოდნა, სოლიდური ლინგვისტური მომზადება ქართველოლოგიის დარგში და, რაც უმთავრესია, მკვლევარის მახვილი ალღო და უცთომელი ლიტერატურული გემოვნება. ჯერჯერობით ფაქტი ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე ბევრი ნიჭიერი და ტექსტის ბედით დაინტერესებული ადამიანი ფიქრობს და ეს ხდება არა მარტო პროფესიონალთა წრეში. არის ზოგი ბრწყინვალე გონებამახვილური შესწორებაც, რომელიც სხვა პროფესიის კაცს ეკუთვნის და არა რუსთველოლოგს. აქედან კი მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტები გვაქვს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ნიჭიერ მკვლევართა უდიდესი ძალისხმევის ნაყოფს წარმოადგენენ და ტექსტის გამართვის საქმეს დიდად სწევენ წინ. მაგრამ არ უნდა მივიღოთ არც ერთი მათგანი დოგმად. დისკუსია, მხოლოდდამხოლოდ თავისუფალი და ფართო დისკუსია — აი ჭეშმარიტების პოვნისა და საქმის წარმატების ერთადერთი გზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი სამცხე-საათაბაგოს სამეურნეო ცხოვრება

კარგა ხანია, რაც აკად. სერგი ჯიქიას მიერ თარგმნილი, მეცნიერულად შესწავლილი და გამოცემული „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა სამაგიდო წიგნად იქცა. ჩვენ ამოცანას არ წარმოადგენს კვლავ ვილაპარაკოთ „დავთრის", როგორც ისტორიული წყაროს, მნიშვნელობაზე. ამის შესახებ არაერთგზის დაწერილა და, ალბათ, მომავალშიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ისევ გამახვილდება ყურადღება. ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ შევახსენოთ მკითხველს ის გარემოება, რომ გვიანფეოდალური მესხეთით დაინტერესებული ისტორიკოსი თუ ეთნოგრაფი, ეკონომისტი თუ გეოგრაფი გვერდს ვერ აუვლის „დავთარს". „დავთარი" უაღრესად მნიშვნელოვანი და უნიკალური მასალის შემცველი დოკუმენტია. მასში არსებული მრავალფეროვანი მასალა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი მესხეთის, კერძოდ კი ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ეთნიკურ-სოციალურ-რელიგიურ შედგენილობაზე, ტოპონიმიკაზე, ონომასტიკაზე, სოფლის მეურნეობაზე და ა. შ. და რაც მთავარია, „დავთარი" საშუალებას იძლევა შესაბამისი დარგების სპეციალისტების მიერ ცალცალკე და კონკრეტულად იქნას შესწავლილი მასში თავმოყრილი, პირველწყაროს მნიშვნელობის ფაქტიური მონაცემები. ამ მიმართებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ სვანიძე ის პირველი მეცნიერთაგანია, რომელმაც ამ თვალსაზრისით მიაქცია ყურადღება „დავთარს", მან ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც სპეციალურადაა გამოკვეთილი XVI ს. ისტორიული სამცხე-საათაბაგოს სოფლის მეურნეობა. აღნიშნული ნაშრომი, გამოცემიდან სულ მოკლე ხანში, შეიძლება ითქვას უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ძალიან მცირე ტირაჟით (1000 ეგზემპ.) გამოიცა, არამედ პირველყოვლისა მისი მეცნიერული ღირებულების გამო. მ. სვანიძის ნაშრომი ერთნაირად საინტერესოა ისტორიკოსისათვის, ეკონომისტისათვის, აგრონომისათვის; — საერთოდ ფართო მკითხველისათვის.

როგორც ცნობილია, მესხეთი, კერძოდ კი მისი შემადგენელი ნაწილი, ისტორიული სამცხე-საათაბაგოს გეოკლიმატური პირობები (ჰავა, ნიადაგები, ტყეები, საძოვრები, ტბები და მდინარეები) მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წარმოებას ოდითგანვე ხელს უწყობდა. საუკუნეთა მანძილზე მესხეთი საქართველოს ბეღლად ითვლებოდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოფი კესარიელს მესხეთი ყოველივე სასიკეთო დოვლათით აღვსილ ქვეყანად, ხოლო მესხები გამრჯე მიწის მუშაკებად მიაჩნდა.

XVI ს. ოსმალებმა სამხრეთ საქართველოს მთელი ძალით შემოუტიეს და, როდესაც მას დიდი ნაწილი ჩამოაცალეს, სამცხე-საათაბაგო ოსმალთა იმპერიის ფარგლებში აღმოჩნდა. აღნიშნული პერიოდისათვის, როგორც ჩანს, მათ მესხეთის მიწა-წყლის დოვლათიანობის

---

მიხეილ სვანიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობა XVI საუკუნეში. „მეცნიერება", 1984.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ კარგი ინფორმაცია ჰქონდათ. აკი, დაპყრობის შემდეგ ასე გულმოდგინედ შეადგინეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც ტერიტორიულად სწორედ სამცხე-საათაბაგოს მოიცავდა. ეკონომიკური რესურსების ამომწურავი სურათის დადგენისათვის, ოსმალებმა ზედმიწევნით ზუსტად აღნუსხეს ყოველი მოსახლე, მათი მეურნეობის სამეურნეო პოტენციალი, სახნავ-სათესი სავარგულები, საძოვრები, სათიბები, წისქვილები... მოკლედ, ყველაფერი ის, რაზედაც გადასახადის შეწერა შეიძლებოდა. აღწერაში მათ არ გამოუტოვებიათ სამცხე-საათაბაგოს მრავალპროფილიანი სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგი. იმდროინდელი სოფლის მეურნეობა კი, როგორც მ. სვანიძე აღნიშნავს, შემდეგი დარგებით იყო წარმოდგენილი: მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა-მებაღჩეობა, სელი და ტექნიკური კულტურები, მეფუტკრეობა, მეთევზეობა. ყოველივე ეს დარგები ნაშრომში მხოლოდ უბრალოდ კი არაა აღნუსხული, არამედ, „დავთარში“ არსებული ფაქტიური მასალა სტატისტიკურადაა შესწავლილ-გაანალიზებული. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რათა მკითხველმა დაინახოს თუ რამდენ საინტერესო და ამავე დროს შრომატევადი კვლევა-ძიება აქვს ჩატარებული სარეცენზიო ნაშრომის ავტორს. და როცა რომელიმე ცალკეული დარგის, თუნდაც, მასში შემავალი ქვედარგის ხვედრითი წონა ჯამდება, ერთი შეხედვით, თითქოს რაღაც დაუჯერებელ მონაცემთან გვაქვს საქმე. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ჩვენ რამდენიმე მაგალითს მოვიტანთ:

ოსმალების მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს იმდროინდელი ტერიტორია 15.117 კვ. კმ. შეადგენდა. ცნობისათვის: თანამედროვე საქართველოს ტერიტორია (რომელშიაც ყოფილი ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილიც იგულისხმება) 69,5 ათას კვ. კმ-ია. ბუნებრივია, ეს ტერიტორია სულ ვაკე ადგილები როდი იყო. პირიქით. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები რომ გავიხსენოთ, მესხეთი... „მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, ხევ-კლდიანი, მაგარი მთა-ბარიანი“ ქვეყანაა., მიუხედავად ასეთი ვითარებისა იგი აღსავსეა ყოველივე სიკეთით. მ. სვანიძის გაანგარიშებით, აღნიშნულ პერიოდში მარცვლეული კულტურებიდან, საშუალოდ წელიწადში, ერთ კომლზე ხორბლის მოსავალი შეადგენდა 2.864 კგ., ქერისა — 2.692 კგ., ჭვავისა — 602 კგ., ფეტვისა — 300 კგ., რაც მთლიანად 6.458 კგ. უდრის. მაგრამ, იშვიათი როდი იყო ისეთი ოჯახებიც, რომელთა საერთო შემოსავალი მარცვლეული კულტურებიდან 8-10 ტონას შეადგენდა. უკვე აღნიშნულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მესხეთში საკმაო რაოდენობით მოჰყავდათ აგრეთვე მუხუდო, ოსპი და ცერცვი, მაშინ მრავლის მეტყველ ფაქტთან გვექნება საქმე. და, ეს არცაა გასაკვირი. მესხეთი ხომ ფრიად დაწინაურებული აგროკულტურის ქვეყანას წარმოადგენდა.

მემინდვრეობის აღნიშნული კულტურის გარდა, საქართველოს ამ რეგიონში თითქმის უკანასკნელ ხანამდე მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, მოჰყავდათ ბამბა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სელი, რომლის გადამამუშავებელი ზეთსახდელების ნანგრევები აქა-იქ დღესაც გვხვდება.

მესხეთში ასევე მაშტაბურ ხასიათს ატარებდა მესაქონლეობაც. მისი დამადასტურებელი მატერიალური კულტურის რეალიები — უზარმაზარი ფართის მქონე, ყორითა და დიდი ლოდებით შემოკავებული ხალხამების, ბაკებისა და ბერას ნაშთები (ზოგიერთს დღესაც კვლავ იყენებენ) ჯერ კიდევ დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი იალაღებზე. იგივე ითქმის მარცვლეული კულტურების საცავ ნაგებობებზე: ხარო და ლაზამბარი, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით მთელს სამხრეთ საქართველოში (თრიალეთი, სამცხე) საყოველთაოდ იყო გავრცელებული. არ იყო ოჯახი, რომელსაც ლაზამბარი და ერთი-ორი დიდი ტევადობის, მარცვლეულის საცავი-ნაგებობა ხარო რომ არ ჰქონოდა. ოსმალოებს გადასახადის გარეშე არც წისქვილები დაუტოვებიათ. „დავთრის“ მიხედვით, იმდროინდელ სამცხე-საათაბაგოში 719 წისქვილია დადასტურებული, რაც თავის მხრივ მეტყველებს მარცვლეული კულტურების სიუხვეზე.

მ. სვანიძის ნაშრომში გამოკვლეულ ყველა საკითხს, ბუნებრივია, ჩვენ ვერ შევეხებით, მას თვითონ დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა. მაგრამ, დასასრულს, ერთ საკითხზე მაინც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

ერთი შეხედვით თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ოსმალებს თევზზეც ჰქონდათ შეწერილი გადასახადი, და თანაც საკმაოდ დიდი. თავისთავად ისმის კითხვა. მეთევზეობა განა რა დონეზე უნდა მდგარიყო, რომ მასზე გადასახადი დაეწესებინათ? ისტ. მესხეთში ოცამდე დიდი და პატარა ტბაა. მათ შორის ყველაზე დიდი ჩილდირისაა. იგი ამჟამად თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული. სიდიდის მიხედვით შემდეგია ფარავნის, მერე ტაბაწყურის, დიდი ხანჩალის, საღამოს, კარწახის და ა. შ. თუ ვახუშტის „აღწერა სა-

მეფოსა საქართველოსა“ გავიხსენებთ, რომლის მიხედვით მესხეთ-ჯავახეთის ტბები და მდინარეები თევზით ყოფილა მდიდარი, მაშინ არც მასზე დაწესებული გადასახადიც მოგვეჩვენება უცნაურად. გვიანდელი მონაცემების მიხედვით, XIX ს. 70-იან წლებში მესხეთ-ჯავახეთის წყალსატევებში ყოველწლიურად იჭერდნენ 700 ფუთ კალმახს და 2,000 ფუთ ხრამულს, მურწასა და ლოქოს. ჩვენთვის ცნობილი არაა, თუ ამჟამად რა ოდენობით იჭერდნენ თევზს მესხეთ-ჯავახეთში. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: კალმახის (გარდა ტაბაწყურისა), ხრამულის, მურწასა და ლოქოს რეწვა — გარკვეული მიზეზებისა გამო — უკვე დიდი ხანია აღარ წარმოებს. ამის მიზეზი, ჩვენზე უკეთ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მესვეურებს მოეხსენებათ.

მ. სვანიძის ნაშრომში, ისტორიული სამცხე-საათაბაგოს მრავალპროფილიანი სოფლის მეურნეობის ყოველი ცალკეული [illegible] ეკონომიკური შესაძლებლობანი სტატისტიკურ პლანშია განხილული, რაც უფრო საიმედოსა და დამაჯერებელსა ხდის ავტორისეულ დასკვნებს. ასევე შეიძლება ითქვას ნაშრომში მოტანილ იმ მრავალფეროვან შესადარებელ სამეცნიერო ლიტერატურაზე, რომელიც ავტორს მარჯვედ აქვს გამოყენებული „დავთარში“ არსებული მონაცემების კრიტიკული შეფასებისას.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისა“ და აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი გამოკვლევების საფუძველზე, რომელთა შორის ბევრი თურქულენოვანია, მ. სვანიძემ შექმნა ფრიად ორიგინალური ნაშრომი. იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ისტორიული სამცხე-საათაბაგოს სამეურნეო ცხოვრებაზე.

**თეიმურაზ ჩიქოვანი**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1985.

გადაეცა ასაწყობად 22. 01. 85 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 02. 85 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 06421. ტირაჟი 35.000. შეკვ. 190. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს 14/32

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ